F 749
1976

Լույս

1976 6

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს

Z 4193

დიდად პატივცემულო ლეონიდ ილიას-ძე!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით სულით და გულით გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენი სახელოვანი 70 წლისთავის დღეს.

თქვენი ცხოვრება მკაფიოდ ასახავს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, ხოლო თვით ამხანაგ ბრეჟნევის ცხოვრება ლენინური პარტიისადმი უანგარო სამსახურია. ისტორიაში არც ისე ბევრია ასეთი ბედნიერი შემთხვევები, როცა პოლიტიკური ხელმძღვანელის იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა ესოდენ ეხმიანებოდეს მთელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს.

დღეს განსაკუთრებული ძალით გვაგონდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის 'იტყვები, რომელიც ამბობდა, რომ პროლეტარიატს სჭირდება ლაკვირვებული, გამოცდილი და მცოდნე პოლიტიკური ხელმძღვანელები, ყველაზე ავტორიტეტიანი, გავლენიანი, ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე არჩეული პირნი, რომლებსაც ბელადებს ვუწოდებთ. მუშათა კლასის სწორედ ასეთი პოლიტიკური ლიდერი, ხალხის ხელმძღვანელი, პარტიული ბელადია ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ლენინური ტიპის ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს თქვენს სახელთან: ისიც, რომ დიდი სამამულო ომის წლებში მკერდით იცავდით კავკასიას, ისიც, რომ მშვიდობისა და შრომის წლებში საქართველოს დროშას მიაბნიეთ ლენი-

ქ. მ[illegible] საქ. სსრ
სახელმ[illegible]
[illegible]

ნის ორდენი, შემდეგ კი ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

მაგრამ უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი, რაც განსაზღვრავს საქართველოს პარტორგანიზაციის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრების შინაარსსა და რიტმს, არის პარტიის ისტორიული XXV ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამი ცნობილი დადგენილება, სამი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, რომლებიც მიღებულია თქვენი ინიციატივით, თქვენი რჩევით, თქვენი ბრძნული მითითებით: გადაწყვეტილებანი თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ამ სამმა დადგენილებამ, თქვენმა დარიგებამ და რჩევამ, თქვენმა მუდმივმა ზრუნვამ და ყურადღებამ, რომელსაც იჩენთ საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ნამდვილი შემოქმედებისა და აღმშენებლობის ატმოსფერო შექმნა.

მნიშვნელოვანწილად დაძლეულია რესპუბლიკის ჩამორჩენა. მეათე ხუთწლედის პირველ წელს ბევრად დაჩქარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დაგეგმილი ტემპები. ასობით საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალებანი, შემხვედრი გეგმები, სოციალისტური ვალდებულებანი. გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია. სამშობლომ დამატებით მიიღო ათეულათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მარცვლეული, ციტრუსები, ხილი, ბოსტნეული, მაქრის ჭარხალი, ხორცი, რძე. მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები, კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, ასეულათასობით კვადრატული მეტრი ბინები.

ამრიგად, ლენინის ანდერძის ერთგული საქართველოს მშრომელები თქვენს იუბილეს აღნიშნავენ ახალი შრომითი წარმატებებით, სახელობითი შრომითი საჩუქრებით და ამით გამოხატავენ თავიანთ უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, დიდ სიმპათიასა და გულითად მადლიერებას.

ჩვენში ყველგან საზეიმო ვითარებაში აღინიშნება თქვენი დაბადების დღე. და დღეს რესპუბლიკაში არ არის ქალაქი თუ სოფელი, სახლი თუ ოჯახი, სადაც ადამიანები თქვენ, ძვირფასო ლენინიდ ილიას-ძევ, არ გისურვებდნენ ყოველივე იმას, რასაც უსურვებ უახლოეს და უძვირფასეს ადამიანს: ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულს და დიდ ბედნიერებას, ახალ ძალ-ღონესა და ახალ ენერგიას — ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.	პ. გილაშვილი.	ზ. პატარიძე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის

ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medlით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე კომუნისტურ მშენებლობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების გასამტკიცებლად აქტიური, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა დამარცხების, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medlით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 18 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშალის ლ. ი. ბრეჟნევის

სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ოქროსგამოსახულებიანი საპატიო იარაღით დაჯილდოების შესახებ

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულყოფაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი დაჯილდოვდეს სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ოქროსგამოსახულებიანი საპატიო იარაღით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 18 დეკემბერი.

□

ალეფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთოგბეგის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

ლეონიდ ილიას-ძე გრეჭნევი 70 წლისაა

პროზა

ფრანტ მათეფოსიანი. ჩვენა ვართ და ჩვენი მთები.
მოთხრობა. სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა 7

სერგეი ხაჩიროვი. ნამდვილი მეგობარი. მოთხრობა.
თარგმნა სოლომონ დემურხანაშვილმა 106

ალექსი გოგუა. ფულის გემო. მოთხრობა.
აფხაზურიდან თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ 115

დერენიკ დემირჯიანი. ზედმეტი. მოთხრობა.
სომხურიდან თარგმნა მერაბ რობაქიძემ 206

იმრან კასუმოვი. აბა, განი! პიესა.
თარგმნა ნოდარ დუმბაძემ 117

პოეზია

გენადი ალამია. ლექსები. აფხაზურიდან
თარგმნა რენე კალანდიამ 99

6
(15)
ნოემბერი
დეკემბერი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

1976

გამომცემლობა „მერანი“. თბილისი

შინაარსი

რევაზ ასათიანი. ონი. ლექსი. თარგმნა ზურაბ ლორთქიფანიძემ 103

პარუირ სევაკი. ლექსები. სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა 171

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

კიტი მაჩაბელი. ძველ ხელოვანთა მემკვიდრე 222

პერჰ ზეითუნციანი. თანამედროვეობა, როგორც შეფასების საზომი 230

ჩვენი ავტორები 239

გარეკანის პირველ გვერდზე: მარტიროს სარიანი. ერევნის გარეუბანი. მეოთხე გვერდზე: მინას ავეტისიანი. დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ნომერი ეძღვნება
ამიერკავკასიის ხალხთა ღვაწლიერებას



მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია (პასუხისმგებელი მდივანი), **მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.**

ჰრანტ მათევოსიანი

ჩვენა ვართ და ჩვენი მთეგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

ეს სოფელი ქვეყნიერებას ათასი ძაფით უკავშირდება: ტელეფონით, ელსადენით, ფოსტით; მატყლის, ხორცისა და ერბოს დამზადებით, კოოპერაციული მაღაზიითა და სასწავლო პროგრამებით. საბიბლიოთეკო სასწავლებელი ამ სოფელს უგზავნის წიგნისა და სასცენო საქმის მეტ-ნაკლებად მცოდნე კურსდამთავრებულებს. ეს სოფელი შორიახლო სოფლებს უგზავნის ათქვირებულ პატარძლებს, თითქმის მშობიაროობამდის რომ ფიწალს არ აგდებენ ხელიდან და არც ის ახსოვს ვისმე, რომელიმე მათგანი ცოტათი მაინც ლირფი გამომდგარიყოს. ეგევე სოფელი უნივერსიტეტებს ამარაგებს ნიჭიერი სტუდენტებით, არმიას კი მხნე და წესრიგიანი ჯარისკაცებით. კინოგაქირავების კანტორა სოფელს უგზავნის ფილმებს, გაზეთები კორესპონდენტებს და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ყველა, ვინც კი ქვეყანაში გარეულა, ცოტაოდენ მიმდგარ-მომდგარა და თავისი საკუთარი საქმის გარდა ნებაყოფლობით, რატომღაც, ყველასა და ყველაფრის შეფასებაც უდვია თავს — ყველანი უკლებლივ, ერთი აზრისანი არიან ამსოფლელებზე: უბრალო, წყნარი ხალხიაო.

აქაური მეხუთეკლასელი საბავშვო ჟურნალის კროსვორდს ავსებს ბეთჰოვენით, სერვანტესით, ლენცით, ჰიპოკრატეთი, ბრუნოთი, კომიტასით, საჰარათი, ევფრატითა და კენგურუთი; ავსებს და პასუხს კი არ უგზავნის რედაქციას, რადგან არც აგონდება გაგზავნა. არ ფიქრობს ამაზე, კროსვორდს ავსებს უბრალოდ ინტერესის გამო. ჟურნალს რომ გვერდზე გადადებს, ბიბლიოთეკაში მიდის ახალი წიგნის გამოსატანად ან ტრაქტორის შეკეთებაში ეხმარება ტრაქტორისტს; ეგეც შეიძლება, კა-

ლოებზე ჩიტებსა სდიოს თოფით ან მთელი დღე სამჭედურში იდგეს ცხვირგამურული, საბერველი უბეროს და წამითაც არ მოსწყვიტოს თვალი გავარვარებულ რკინას.

ქალაქში მოსწავლე აქაური ახალგაზრდობა ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ჩამოდის და პირდაპირ მინდორში მიეშურება. იქ მათ უფროსი ძმები და მამა-ბიძები ეუბნებიან:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს. შენი ცელი, ეგე, მანდ აყუდია!

სოფელს გენერალიცა ჰყავს ერთი. ხანდახან, ათ წელიწადში ერთხელ მოხდება, გენერალი ოჯახით სოფელს ეწვევა.

— ამხანაგო გენერალო, — ეუბნებიან მას, — აიღე ფიწალი და მზვინავებს უმეთაურე.

— აქამდე უმეთაუროდ როგორღა დააბულულავეთ ამდენი? — ეკითხება გენერალი.

— ძალიან გაუთლელები ხართ! — აღშფოთებას ველარ მალავს გენერლის მეუღლე, — არც სალამი, არც ქალამი, არც — მილოცვა; „ამხანაგო გენერალო, თივა გვიფუჭდება, ფიწალი აიღე!“

— რა უნდა მოგველოცა? — ერთ წვიმიან დღეს შეეკითხნენ გენერლის მეუღლეს...

— აჰა... ეგეც არ იცით!.. ეს ხომ ორი თვის წინ გახდა გენერალი!

— მაგაზე ადრე რაღა იყო?

— რა და, პოლკოვნიკი.

— მაშასადამე, — იხტიბარშეუშლელად, დინჯად და გაულიმებლად დაასკვნეს მხვნელ-მთესველ-მთიბველებმა, — გენერალი რომ გახდე, ჯერ პოლკოვნიკი უნდა იყო.

სოფელ ანტარამეჯს უცხო ენის მუდმივი მასწავლებელი არა ჰყავდა. მასწავლებლად გამოგზავნილი ქალიშვილები ერთი-ორ თვეს კი ამეცადინებდნენ ბავშვებს, მერე ბომბადის წასმასაც იგიწყებდნენ, სარკეში თავის დანახვაც ეზიზღებოდათ და ტირილით ბრუნდებოდნენ ქალაქში. იქ ზრზენითა და ზიზღით უყვებოდნენ მეგობრებს: — ის რა ქვეყანა იყო?! კინოში ფაფახიანები სხდებოდნენ და პაპიროსს აღრძოლებდნენ. „ისე ჭკვიანი გოგო ჩანხარ, ცოტა ტანზეც მოჭენჭიანდი, ჭამე რამე; ბიჭი კიდევ, აგერ საცაა, ჯარიდან ჩამომივა“.

ბოლოს სკოლის დირექტორი კოლმეურნეობის მოანგარიშეს მიადგა:

— შენ ომში ნამყოფი ხარ, არა?

— ცალი ფეხი იქ არ დავტოვე?!

— მაგას არ გეუბნები. გერმანული იცი?

— რაღა თქმა უნდა, ორი წელი ტყვედ ვიყავი.

— გაკვეთილების ჩატარება შეგიძლია?

— ასოები დამავიწყდა.

— წამო, გასწავლი.

გენოსე მანუკიანმა ასოები გაიხსენა და ამის შემდეგ სკოლადამთავრებულები უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე სულ ფრიადებს ღებულობდნენ.

მოანგარიშედ კალოს ყარაული გადაიყვანეს, ისიც აგრეთვე ცალფეხა იყო. მასა და თავმჯდომარეს შორის ასეთი საუბარი გაიბა:

— მოანგარიშედ ვერ იმუშავებ?

— მე, კაცო, ყარაული ვარ.

— მოანგარიშე გვჭირდება.

— ეგეც საქმეა, რაღა, გავაკეთებთ.

— წამოდი!

ყარაულად კი კოლმეურნეობის თავდაპირველი თავმჯდომარე აბგარი დააყენეს. აბგარი სახლში შვილიშვილს აძინებდა, თან თავის ბებრუხანას ელლაბუცებოდა; გააფთრე-

ბული დედაბერი წყევლა-კრულვით იკლებდა ქმარს, ნათავმჯდომარალი კი აწყნარებდა: „ნუ ყვირი, ბავშვსა სძინავს“. მერე სოფელში გამოდიოდა და ახლანდელ თავმჯდომარეს მიადგებოდა:

— საჩემო სამუშაო გექნება რამე.

— შენ წადი, შვილიშვილი დაიძინე.

— დავაძინე უკვე.

— მაშინ შენს დედაკაცს გაეთამაშე.

— ის კიდევ გაიზარდა და აღარ მეთამაშება.

— წადი, — სათქმელს ეძებდა თავმჯდომარე. — წადი, პენსიას ხომ იღებ, შვილიშვილს ნამცხვარი უყიდე.

— ჩემს შვილიშვილს ჯერ კბილები არ ამოსვლია.

— შენს დედაკაცს უყიდე.

— ორივენი უკბილოები არიან.

მერე თავმჯდომარე და ნათავმჯდომარალი ფიქრიანად დუმდნენ.

— აბა, რა ვიცი, რა გითხრა, — ეუბნებოდა თავმჯდომარე, — ხელს ნუ მიშლი, ათასი საქმე მაქვს.

— გახსოვს? — ეუბნებოდა ახლა ნათავმჯდომარალი. — პატარა ბიჭი იყავი, სწორედ ჩემი ჩექმების ტოლა; მაშინ მაგოდენა ცხვირი კი არ გედო, ერთი პატარა ცხვირუკა გქონდა; გადმოგიყვანდა მამაშენი სოფელში და ჩამოგდიოდა წვინტლი ორო-წორო, მე კიდევ ამოვიღებდი ცხვირსახოცს და მოგწმენდდი ხოლმე, გახსოვს?

— მაშ. რა ვიღონოთ, — ამბობდა თავმჯდომარე, — მკა და თიბვა შენ არ შეგიძლია, საქონლის დევნის თავიც არა გაქვს, არც საფუტკრეში დამდგომი ხარ — თაფლი არ გიყვარს; შენვე მითხარი, რა გიყო? თუმცა, დაიცა! ტაბიკები გვინდა. მუხის ტაბიკები დაგვითალე!

— ბალღი მნახე, რალა! დამცინი?

— არა, მართალს გეუბნები.

— რკინის ტაბიკები ხომ მიიღეთ.

— მუხისა სჯობია.

— უკვე დაგიმზადეთ, ორი ათასი ცალი გაქვთ.

— არ ვიცი, მე არ ვიცი. პენსიაზე გახვედი? დაჯექი, რალა, შენთვის, რალას მაწუხებ?

და გამოჩნდა ყარაულის ადგილი.

— სხვას არ მისცე, — შეწრიალდა მოხუცი, — დამაცა, სანამ თოფს გადმოვიტანი.

მან სიჩქარისაგან ფეხიც კი წაიკრა ზღურბლზე. მოხუცები ხომ აგრე ადვილად არაფერს წამოჰკრავენ ფეხს, მათ მოწიფულის გამოცდილება და ბავშვის სიფრთხილე ახასიათებთ სიარულში. მაგრამ ეს წაბორძიკება სხვა იყო, ეს იყო წამიერი გაკისკასება ახალგაზრდობისა, წყურვილი სიცოცხლისა და მოქმედებისა. ასეც მოეჩვენათ იქ მყოფთ, თითქოსდა დროის მდორე მარადისობას ცქაფად გამოუსხლტა და კანტორაში მწყემსივით შეიმართა ოდინდელი ძლიერი, ლამაზი და ჯანმაგარი ასაკი აწ გადალმერთილი ბერიკაცისა.

ანტარამეჯი ძველი სოფელია. სოფლის ეკლესია ათასხუთასი წლისაა, ძველი წარმართული სამსხვერპლო კი, რაზედაც შემდგომ ეკლესია დაუშენებიათ, რვა ათას ხუთასი წლისა მაინც იქნება. ეკლესია ჩაუსახლდა სოფელს თუ სოფელი შემოესახლა ეკლესიას, ეგ არავინ იცის, სოფლის პირველთარიღს ვერავინ ჩასწვდენია ძირამდი. ქალაქელ სტუმრებს ეს ეკლესია სოფლისა და ერის სიმდიდრედ მიაჩნიათ. „რამდენი ხალხი ვიცით, ორასწლოვანი ნაგებობაც კი არ მოეპოვებათ“, ასე ამბობენ ისტორიკოსე-

ბი. თურქებსაო, — ამტკიცებენ ისინი, — ღვთისა და იმპერატორის წყალობით თუნდაც ძირფესვიანად ამოეგდოთ სომხეთი და ჩვენგან მხოლოდ ეს სოფელ-ეკლესია დარჩენილიყო, მაინც უფლება გვექნებოდა, კულტურულ ერად ვწოდებულიყავითო. მხარზე ცელგადებული პავლე უსმენს მათ ლაპარაკს, უსმენს ეკლესიის ქებას და ვერც კი ახერხებს სიამაყით განიმსჭვალოს, რადგან ერთი საათის წინ იმ ძალიშვილმა ზავენმა უთხრა, დამიცადე მოვალო; აჰა, ერთი საათიც გავიდა, ის კი არა ჩანს. არადა, სევანის მხრიდან, ზარდაქარის მთის შემაღლებაზე უკვე ღრუბლები ამოქუჩდნენ და საღილობის ხანს წვიმაც დაუჟაჟუნებს. ეკლესიას ხუროთმოძღვრებიც დიდად აფასებენ. სარკმლები ისე ვიწრო აქვს, კატაც კი ვერ გადაძვრება, სხივები და მტრედები თუ შეეტევიან მხოლოდ, შიგ კი დღესავით არის განათებული.

რაც არ უნდა იყოს, ვერც ხუროთმოძღვარი და ისტორიკოსი, ვერც გენერლის ცოლი და ფინაგენტი, ვერც ტელეფონი, რომელსაც უკვე ოცდაათწლიანი ისტორია აქვს ამ სოფელში, ვერცა-რა ჟურნალ-გაზეთები და მოძრავი კინო, წერილობითი განკარგულებანი და გასტროლები, მადლობები თუ მითითებანი, საყვედურები და თუნდაც დამუქრებანი ამ სოფელზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. გაზეთი გაზეთის ადგილას, მითითება — მითითებისა, ბალახს კი მზე ახმობს და არა მითითება. სოფლელებიც მთელი დღე მზეზე იხრუკებიან, მზეზე შავდებიან და ამიტომაც არის, სახეზე ვერ შეატყობთ, საყვედურები მოქმედებს თუ არა იმათზე. ერთხელ რაიონიდან ჩამოსულ ლექტორს ხალხი ისე შემოეცალა, მარტო თვითონღა დარჩა, რადგან საზამთრო საოლრეებს დათვი დასცემოდა მთაში. ერთხელაც რაიონიდან თავმჯდომარეს დაურეკეს, ხვალვე აქ იყავიო. თავმჯდომარემ ის კი უპასუხა, არ შემიძლიაო და რაიონიდან ველარაფრის თქმა ვერ მოასწრეს, ხაზი გაწყდა. თურმე ტელეფონის ბოძი მეხს წაექცია და მავთულებიც დაეწყვიტა. განვითარებით კი, როგორც სოფელს შეეფერება, რაღა თქმა უნდა, განვითარებული სოფელია.

დღეს ანტარამეჯელი ტელეფონზე ლაპარაკობს, გაზეთს კითხულობს; ტრაქტორს რომ შეაკეთებს, მერე ჩვარს გადმოიღებს, მაზუთს ჩამოსწმენდს, გაასუფთავებს. ტელეფონისადმი ოცდაათი წლის წინანდელი მოწიწებაცა და უნდობლობაც გაუქრა, დღეს სხვანაირად ეკიდება ტელეფონს. ოცდაათიან წლებში ტელეფონი ისეთ რამედ ითვლებოდა, რითაც ერთმანეთს ამწესებდნენ, უბრძანებდნენ, მოთხოვნებს უყენებდნენ, მერე ყურმილს ჰკიდებდნენ და ფანქრით ფიქრიანად აკაკუნებდნენ საწერი მაგიდის მინაზე. მაშინ თავმჯდომარე ისეთივე იდუმალ, შთამაგონებელ და ყოვლისშემძლე პიროვნებად გამოიყურებოდა, როგორც დღევანდელი ანტარამეჯელი მწყემსისათვის გასაიდუმლოებული მეატომე ფიზიკოსი. მერე გავიდა ხანი და ერთხელ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. თავმჯდომარეს ცხენი სთხოვეს მეზობელი სოფლიდან ექიმის გადმოსაყვანად. თავმჯდომარემ გაიცინა.

— ცხენი რად გინდა, დაურეკე, გადმოვა.

— განა ტელეფონი მხოლოდ რაიკომისთვის არ არის?

— დაურეკე, დაურეკე!

— რომ დავურეკო, რა ვუთხრა!

— უთხარ, ექიმი ასტაბაციანი გამოგზავნეთ, ბავშვი ავად გაგვიხდათქო.

— თუ მართალს ამბობ და არ დაგვცინი, შენ დაურეკე.

ამის შემდეგ თავმჯდომარეს ხშირად ორეკინებდნენ სხვადასხვა წვრილმან საქმეებზე და მისდღეში ვერ ამოდიოდნენ მისი სიკეთიდან. ასე იყო კარგახანს. ერთხელაც თავმჯდომარე კანტორაში არ იყო და უცებ ტელეფონმა დარეკა. მწყემსები შეჩოჩქოლდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ. ის შემარცხვენელი ტელეფონი კი წკრიალებდა და დაჟინებით უხმობდა რომელიღაც მათგანს. მწყემსებმა ერთმანეთს გადახედ-გადმოხედეს და მერე ერთი თავიანთი ამხანაგი, ვისაც მთაში დიდი და პატარა მასხრად იგდებდა, ხელის კვრით წინ წააგდეს.

— საქო, ჩვენში ყველაზე გამოჩირჩნილი შენა ხარ...

— აბა, შენ იცი, საქო!..

— საქოს მზემ, ამან რო ერთხელ...

— ჰაი, ყოჩაღ, საქო!..

ხოლო საქომ ტელეფონში ჩაიძახა:

— ჰა?

მერე მოაგონდა და შეასწორა:

— ალო!

ამხანაგები ახარხარდნენ.

— ნახეთ, ეს ჩვენი საქო რა ხელდახელ განათლდა? ალოო, კაცო! ვა-ხა-ხა-ხა!..

საცოდავ საქოს იმ წუთიდანვე მეტსახელად ტელეფონ-საქო დაანათლეს.

საქო კი, აწ და ამიერ უკვე ტელეფონ-საქო, არხეინად განაგრძობდა ლაპარაკს.

— რაოო?.. დიახ, ანტარამეჯია... არა, საქო ვარ...

მეზობელ სოფელ გეტამეჯიდან რეკავდნენ, ანტარამეჯისათვის გეტამეჯში საქონელი მოვიდა: საპონია, ჩითია, ასანთი, ნავთი, გალეტი, ცელი... კაცი გამოგზავნეთ, წაიღეთო. ტელეფონი ალარ იყო ძველებურად იდუმალი და უცნაური. მისი ხმა ისე ჰგავდა კაცისას, თითქოს მაღაზიის გამყიდველი ხეჩო, აგერ, გვერდითა სდგომოდა. ბოლოს საქო ისე გაუშინაურდა ტელეფონს, რომ თავადაც შეეკითხა:

— ხეჩო!..

— გისმენ.

— ხეჩო!..

— ალო, გისმენ, საქო, ხეჩო ვარ...

— ხეჩო!..

— კარგი, რაღა, მითხარ, რა გინდა!

— ხეჩო, მაშ, გალეტი, ნავთი და ჩითი მოვიდაო, ჰა?..

— ეგენიცა და — მაზუთიც; საპონი, ლურსმანი, ცელი...

— ხეჩო, მაშ ნამდვილად შენა ხარ?

— რაღა თქმა უნდა, ხეჩო ვარ, სხვა ვინ უნდა ვიყო.

— კაცი გამხდარხარ და ეგ არი, ხეჩო, ტელეფონით გველაპარაკები, თითქოს არ შეგეძლო, ერთი ბავშვი გამოგეგზავნა!

მეორე ბოლოში ხეჩოს სიცილი აუტყდა.

— ხეჩო, — უთხრა საქომ, — ძალი-მამაძალი ხარ და მეტი არაფერი!

ამით საქოს უნდოდა ეთქვა, თუ საჭირო იქნა, ბავშვს კი არ გამოგიგზავნი, მეც სწორედ ტელეფონზე დაგირეკავო.

მერე დანარჩენმა მწყემსებმა გამოსტაცეს ყურმილი საქოს, გამოსტაცეს და, ვინც კი რა იცოდა ხეჩოზე, ყველაფერი პირში მიახალეს: მამაშენი ცხენის ქურდი იყოო, მარტო მამაშენი კი არა, პაპაშენიცა და

პეპერაშენიც ცხენიპარიები იყვნენო. ამით მწყემსები ქებას ასხამდნენ ტელეფონის გამომგონებლის მამა-პაპასა და პაპის პაპას. ეს ასე იყო და ასევე გაიგო ტელეფონის მეორე ბოლოში მაღაზიის გამგე ხაჩიკ პოლოსიანმაც.

ასე დამკვიდრდა ტელეფონი სოფლის ცხოვრებაში და ისეთივე ჩვეულებრივ ნივთად იქცა, როგორც კომბალი, ყველი ან ურემი. ცოტა მოგვიანებით ასევე დამკვიდრდა ელექტრონი, რადიო და მისთანანი. სხვათა შორის, ელექტრონის შემოსვლის პირველ ხანებში და მას შემდეგ მთელი ორი-სამი წლის განმავლობაში ყოველგვარ სხვა სიახლესაც ელექტრონს უკავშირებდნენ. ასე რომ, საქო რკინის საწოლს უბრალოდ რკინის საწოლს კი არ უწოდებდა, არამედ — ელექტრულს. ეგეც შესაძლებელია, საქოს მოუგონეს კიდეც ეს ამბავი, აქაოდა, პირიქით არ მოგვიგონოსო.

ყველა ეს ელექტრული და არაელექტრული სიახლე სოფელმა მაინც სწრაფად შეითვისა და ამით გამდიდრებულ-გაცნობიერებულმა დინჯად განაგრძო დედამიწაზე ანტარამეჯისთვის გამოყოფილი ადგილის ჩიჩქნა. ადგილი კი მშვენიერია და მერე როგორი! ჯერ მარტო ეკლესია რად ღირს, განსაკუთრებით — მტრედები რომ ჩამოასხდებიან ხოლმე. ახლა სასაფლაოს გადახედეთ: სულაც ვერ შეატყობთ, გარდაცვალებულთა შორის რომლის მემკვიდრეები ყოფილან მდიდარნი ან რომლისანი — ღარიბნი, რადგან სოფლის ქვისმჭრელებსა თუ ქვისმთლელებს მამა-პაპით დაჰკვეებებიათ მხოლოდ ერთნაირი ზომისა და ფორმის ქვა ეჭრათ. შემდეგ, სასაფლაოს გადალმა, ყალყზე შემდგარი ყანები მიუყვებიან მთის კალთებს, ტალღა-ტალღა მიუყვებიან და, სადაც ტალღა უკან აწყდება, იქ აყუდებული შელმართი იწყება. ეს უკვე საძოვრებია, აქ უკვე თეთრსა და შავ ფარებად ცხვარია გაშლილი. დაბლა, ხევში კი, მდინარის დაყოლებაზე — ქვემო სოფლის ბაღებამდე, და აყოლებაზე — სადამდისაც კი მათრობელა სიცხე აღწევს, ორივე ნაპირს ვიწრო ზოლად მიუყვება ანტარამეჯის ბაღები. იქ, სიცხე-სიგრილის მიჯნაზე, მდინარე ერთგან მუხლს იკეთებს და იმ ადგილას იშლება მაგიდასავით სწორი, მაღალი რამ ზეგანი, ათორიკად წოდებული, სადაც ნოყიერ შავმიწაზე უხვად ამოხეთქილა მწვანე, მობიბინე ბალახი, ხოლო ამ სიმწვანეში ჭადრაკულად დაჯრილა საფუტკრის დანომრილი სკები — ერთიდან ვიდრე ხუთას ოცდაათამდე. საფუტკრის გაბმული ზუზუნი შვიდ ვერსზე უწევს, ერთი ვერსის დაშორებით კი უკვე თაფლის ცხელი სურნელი გეცემა. ეგეც ხდება, ხანდახან დათვები წამოყუნტდებიან მდინარის გალმა, კლდის ძირში და სურვილმორეულნი შეიცქირებიან მაღლა, საფუტკრისაკენ. მაშინ ცხვირზე თვალეწამოდებული მოხუცი მეფუტკრე კლდის თავზე კეთილად გაიღიმებს:

— მოდი, დათუჩავ, მოდი!..

— რაღა თქმა უნდა, ანტარამეჯს მაგალითად დაგვისახელებთ, — ბურტყუნებენ სარაიონო კრებებზე სხვა სოფლების თავმჯდომარეები, — ანტარამეჯი რომ ჩემი სოფელი იყოს... იმ'ათი საფუტკრე... ღმერთს არაფერი დაუშურებია, ყველაფერი მათთვის მიუცია.

ღმერთი-რჯული, ღმერთს ყველასათვის ყველაფერი მიუცია, ოღონდ ღმერთმა რომ ის მდინარეში შეჭრილი ათორიკი მისცა ანტარამეჯს, გა-

ნა ზედ ის საფუტკრეც გაუწყო ჭადრაკულად! ეგ საქმე ხალხს დაანება. თუ ხალხს არ უნდა დედამიწაზე მისი წილი ალაგი ბაღნარად აქციოს, მაშინ ან ზეგანს ვერ იპოვის, ანდა თუ იპოვა, ზედ ვერცერთ საჟენ შავმიწას ვერ აღმოაჩენს და, ღმერთმა იცის, კიდევ რა აღარ ეკლდება.

ეკლესიაზე უკვე ვილაპარაკეთ. მიუხედავად ეკლესიის ასეთი ღირსეულებისა, ის ჩემთვის არაფერს წარმოადგენს. ეკლესია ჩემთვის მხოლოდ ნათელი დასტურია იმისა, რომ დედამიწის ამ პატარა ნაგლეჯზე ათასწლოვანი ისტორია აქვს მიწისა და ადამიანის მეგობრობას.

2

მენახირე ოვანესმა შვა მენახირე ესაია, მენახირე ესაიამ შვა მენახირე ჰაიკაზი, მენახირე ჰაიკაზმა შვა სტეფანე, რომელიც მენახირე კი აღარ არის, არამედ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანია, ხელმძღვანელი პირია და ამბობს: „მიწის მუშას ჩვენ პატივი უნდა ვცეთ“. და ამ სიტყვებისათვის იგი უყვართ.

ოვანესი არ მინახავს, გაგონებით კი გამიგონია, რომ ასოცდაშვიდი წლისა მომკვდარა და ბოლო ორ წელს მხედველობის სისუსტეს უჩიოდა თურმე. ესაიასი მხოლოდ სიკვდილი მახსოვს. („ესაია წყალში დამხრჩვალა“. „მართლა, კაცო?“ გაღმა გასცვლა სდომებია, ცხენი შეუჭენებია შიგა“. „გამოუტანიათ?“ „არა. ჯერ ვერ უპოვიათ“. „ფუუუჰ!..“). დასაფლავება აღარ მახსოვს. ეგლა მაგონდება მარტო: ის, ვინც ჯავრიანად გადააფურთხა, იმ დროს შარვალს იცვლიდა, ტოტში ფეხს ვერ უყრიდა, ცალ ფეხზე ხტუნაობდა და გამწარებული ლანძღავდა თავის ცოლს ასეთი უკუღმართული შარვლის შეკერვისათვის. მისი ცოლიც აღარ მახსოვს, ამბის მომტანსაც ვერ ვიხსენებ. თვალწინ მიდგას მხოლოდ სველი ტყაპუჭი, წვიმის წკარუნი ფანჯარაზე და კაცის ცალ ფეხზე ხტუნვა, კიდევ — შარვლის ტოტს რომ ვერა და ვერ პოულობდა.

ჰაიკაზს კი ვიცნობ. ახლა სწორედ ჰაიკაზის ამბავი მინდა მოგიყვეთ.

ჰაიკაზი წაიყვანეს. ომი არ იყო, სავალდებულო სამხედრო სამსახური მოხდილი ჰქონდა, არც სავალდებულოში გაწვევის დრო იყო, მაგრამ ჰაიკაზი წაიყვანეს. სად წაიყვანეს, სად არა, კაცმა არ იცოდა. შეიძლება ანტარამეჯშივე იყო სადმე ახლომახლო ან შორეულ ციმბირშიაც იყო გადაკარგული. ეგეც შესაძლებელია, გაღმა ტყეში რომელიმე მუხის უკან იდგა ან იწვა კიდეც, მაგრამ ეგ თვითონ იცოდა, ანტარამეჯმა არ იცოდა არაფერი. ასე გავიდა ოთხი წელი, შემდეგ ომი დაიწყო და ომმა აღმოაჩინა ჰაიკაზი: საველე ფოსტა №, ნაწილი №, ჰაიკაზ ესაიას ძე ოვანესიანს. „საველე ფოსტა №, ნაწილი №“ აგრეთვე გამოუცნობი იყო, მაგრამ იმის მიხვედრა მაინც შეიძლებოდა, რომ ეს იგივე მოზდოკ-ვოლგა-მოსკოვ-ლენინგრად-მურმანსკის ფრონტის ხაზი იყო. მერე საველე ფოსტის მისამართი შესაბამისად შეიცვალა, ალბათ, კიევით, კენიგსბერგით, შეიძლება ბულგარეთით, რუმინეთით, ჩეხოსლოვაკიით... გაიჭიმა, გაგრძელდა და მიადგა ბერლინს.

ასე აღმოჩნდა ლეიტენანტი ჰაიკაზი, რომელიც საველე ფოსტების

ცვლითა და ბერლინის მოვლით რვა წლის შემდეგ, როგორც იყო, სოფელს დაუბრუნდა.

ვინმე სხვაც — რომელიმე მუშელი, ერვანდი, აკოფი თუ ასატური — როცა შორეულ გზათა მტვერში ამოგანგლულნი სოფელს დაჰბრუნებიან, ანტარამეჯს სიხარულისაგან, მართალია, ბევრი უკივლუჟივლია, მაგრამ არცთუ მთლად გადარეულა. ანტარამეჯელებს მეორე წამშივე მოჰგონებიათ იმავე ერვანდის, აკოფის, ასატურის მეტსახელები, ისიც მოჰგონებიათ, რომ ერთ-ერთი მათგანი ნიღნიღით ლაპარაკობდა, მეორის პაპა მარცხენა ფეხით კოჭლი იყო, ხოლო ბებია — მარჯვენათი და კარაქის დღვებისას ორივენი ისე აქანავებდნენ სადღვებელს, გეგონება ცეკვავენო. სოფელი დიდიან-პატარიანად ქვევით ჩახროვილა, ტბად შეგუბებულა. იმავე ასატურს ყიჟინით შემოჰხვევია, ხმაურით უკოცნ-უპროშტია, მეტისმეტი სიხარულით სიტყვა სიტყვაზე ვერ მიუბია, სოფლური გაუთლელი ხუმრობით გული მოუოხებია, ბებრები, ბალღები, ძალის ლეკვები და მისთანა წვრილამალანი ფეხქვეშ დაუთქერ-დაუჩქლეთია, ცოტა ხნის წინ აშენებული ლობე-ყორე ისევ დაუნგრევ-დაუქცევია, წამოუყვანია ეს შენი ასატური, წამოუსვამს სუფრის თავში, უმზერია გაკვირვებითა და განცვიფრებით, მაგრამ მეორე დღესვე მაინც მეტსახელით მოუხსენებია: გომის კარებიდან რომელიმეს გადაუძახნია:

— კუტუზოვ!

ასატურ ხაჩატრიანს კი ყურიც არ შეუბერტყავს, თავაწეულსა და ჯარისკაცულად გაჭიმულს სამწყობრო ნაბიჯით სიარული გაუგრძელებია და თან გაჰკვირვებია, რომ სოფელში ერთსართულიანი სახლები იყო. „ბერლინში რომ სახლებია... ბერლინში რომ ქალებია... გენერალმა თქვა...“

— კუტუზოვ! ბიჭო, ასატურ, შენ გელაპარაკები. ეგ ვითომ რაო, რომ აინუნში არ მაგდებ. მე ვეძახი, კუტუზოვ-მეთქი და ეს კი ხმას არ იღებს, გეგონება კუტუზოვი სხვაც ვინმე იყოს ამის გარდა.

— რაო, რა გინდა? — მკვახედ შემდგარა კუტუზოვი.

დამძახებელს კი უბრალოდ ძველი მეტსახელის ახლებური ეშხი შეუმოწმებია, სხვა სათქმელი არა ჰქონია-რა და სიცილმოწოლილი შეჰკითხებია:

— გეუბნები, სად მიხვალ-მეთქი?

— ვსეირნობ, რაღა.

— ვაი, კუტუზოვ, კუტუზოვ... ვსეირნობო, კაცო!

ანტარამეჯი ამგვარად იგებს, ასატური მეცხვარედ წავა თუ სხვა რამ სამსახურს მოითხოვს. ანტარამეჯისთვის ორი დღეც კი საკმარისია, შენი მოწონებული ასატურ ხაჩატრიანი ისევ ძველ კუტუზოვად აქციოს, ფაფახიან კუტუზოვად — მთაზე რომ ცხვარი შეუფენია და კომბალზე ჩამოყრდნობილს ფეხთით ძაღლები უყრია.

მუშელი რომ ჩამოვიდა, იმას კი ორი დღეც აღარ მოუცადეს. ორი დღე კი არა, ერთი საათიც არ დაუცადეს. როგორც კი ფეხი შემოდგა სოფელში და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ზემოდან ერთმა, გომის კარებიდან თავგამოყოფილმა, ნიჩაბი რომ ეჭირა ხელში, გადმოსძახა:

— რატომ არ დაიქჩევა ეშ ანტარამეჯი... ამ დაქჩეულში კაჩი არ არის, რუშული ჭეშიერად იჩოდეშ, ელაპარაკოშ კაჩმა...

— მუშელი ჩამოვიდა? — ეაიცინა გომში იშხანმა, — „ბიჭებო, მარშალ-

მა ჟუკოვმა მიბრჯანა, მუშელ შანა-შარიანო ახლავე გაანადგურე გერ-მანელებიშ ტანკებიო! ვუთხარ, მეშ-მიშ მარშალო-მეთქი! დავუმიჟნე კაჭიუშა და — ტჟჟჟ... ჭჟჟჟ... — და იშხანმა შ-ჩ-ჭ-საგან გომში ისეთი ლაფი დააყენა, მუშელი მისდღეში ვერ ამოძვრებოდა იქიდან.

რაღა თქმა უნდა, მუშელიც ზარ-ზეიმითა და ლობეების ნგრევით შე-მოიყვანეს სოფელში, ზარ-ზეიმით-ვე დასვეს სუფრის თავში, ცრემლი-ანი თვალებით მოისურვილეს ცო-ცხლად გადარჩენილი თავიანთი შვი-ლი და მერე ხელადვე:

— დაიქეჩი, ანტარამეჯო, რო დაქჩეული ხარ მართლაჩ!.. ამ ოხერ შოფელში ერთი ჭეშიერი რუშულიშ მჩოდნე არავინ არიშ, კაჩი მივიდეშ და ელაპარაკოშ...

— აბა, როდიშა ვთქვი, — იტკ-ცა მუშელმა, — გავიფიქრე, მაგრამ არ მითქვამშ.

— შენ და ჟუკოვი ერთმანეთში როგორ იყავით, მუშელ, შენ ეგ გვი-თხარი.

— მე და ჟუკოვი, ბიჭებო... — დაიწყო მუშელმა და, ჯერ ისევა ჰყვება, რომ გარეთ, სოფელში უკვე ათასნაირად ატრიალებენ მის ნა-თქვამს.

და, აჰა, ჩამოვიდა ჰაიკაზიც. რვა წელიწადში ძალიან დატანჯულიყო საწყალი. სოფელს მისი მეტსახელი არ გაუხსენებია. მეტსახელი კი არა, ხალხს სიხარულით მუხლები მო-ეკვეთა. ვინც რას აკეთებდა ან რო-გორ იდგა თუ იჯდა, ისევე გახევდა. ერთი, ყორეს რომ აშენებდა, ყო-რესთანვე ჩაჯდა გაშტერებული; მეორეს გომის კარებთან ნიჩაბი შე-აცივდა ხელში, მესამეს სალეწ მან-ქანაში ძნის ჩაგდება დაავიწყდა; მე-ოთხეს, ტაფის ყურზე კალთაჩავლე-ბულს, ერბოკვერცხი დაეწვა; სხვას, პაპიროსის მოსაკიდებლად რომ ჯი-ბეში ასანთს ეძებდა, ხელი ჯიბეში-ვე დარჩა; ცხენით რომ შედმართზე ადიოდა, იმას კიდევ დეზი აღარ უკრავს ცხენისათვის, უცებ მოხა-რა და მკერდით მიეხალა უნაგირს; ხელებშემართულ ფრენბურთის მო-თამაშეს, უკან რომ უნდა გადაეწო-დებინა ბურთი, ხელები თავისთავად ჩამოეშვა, ბურთი კი წამოვიდა და — დუმფ! — თავში...

— ბიჭებო, ჰაიკაზი ჩამოსულა!

ბურთი მაღლა ავარდა, ცხენს დე-ზი ამოეკრა, ასანთის ალმა სიგარე-ტის ბოლო იპოვა, ცეცხლიდან გად-მოღებულმა ერბოკვერცხმა შიშხინი შეწყვიტა და სალეწმა მანქანამაც ხრჩობა-ხრჩობით გადაყლაპა ძნა.

ჰაიკაზმა ხეობიდან ნელ-ნელა ამოიმაღლაურა, ალმართს ამოსცდა და სოფელში შემოვიდა.

— გამარჯობა, ასატურ!

— გამარჯობა, მუშელ!

— როგორა ხარ, სტეფანე ძია?

— გამარჯობა, ძია აბგარ!

— უუ, ბასარ, ბასარ!.. ქს, ქს, ქს!.. არა! სალაყბოზე ათასის ფეხ-ქვეშ ნაგდები ძაღლია, არ დაიყე-ფებს!

— გამარჯობათ, ბალღებო!

ბავშვურად ენამოჩლექილმა, წკრი-ალა ხმებმა ერთხმად მიაგებეს პა-სუხი: — გამარჯობათ!...

— ეს, — თქვა ჰაიკაზმა, — ჩვენი ავაგის შვილიშვილია, მჰერის ბი-ჭი.

— ეს, — ახლა მეორე ბავშვზე გადაიტანა მზერა ჰაიკაზმა, — შენი უფროსი ბიჭისაა, აბგარ! თვალები გეტამეჯელისა აქვს, შენი რძალი, მგონი, გეტამეჯელი უნდა იყოს, არ-სენიანთი.

— ეს კიდევ, — მესამეს მიუბრუნ-და ჰაიკაზი, — ჩვენი ვაზგენის ბი-ჭია; ეს — ჩვენი ამოტისაა; ეს, ნალ-

დია, ჩვენი ვაჩესია; ეს — ჩვენი სეროფისაა; ეს — იშხოსია.

— ესენი ჩვენი... ესენი ჩვენი ბალდოს გოგოები არიან; საწყალს ბიჭი კიდევ არ ეყოლა?

— ეს კარგი ბიჭი, ჩვენი... — ჰაიკაზმა იცოდა, ვისიც იყო ბიჭი, მაგრამ მამამისის ნამდვილი სახელი კარგად არ ახსოვდა, მეტსახელით კი ვერ მოიხსენიებდა, რადგან შეიძლებოდა ომში დაღუპული ყოფილიყო, — მამაშენი რას აკეთებს, ბიჭო?

— მალაზიაში მუშაობს.

— ფეხი სტკივა, შიგ ნამსხვრევი აქვს ჩარჩენილი, — უთხრა აბგარმა, — მალაზიაში მოვაწყვეთ, წვალობს თავისთვის.

— კარგი. მაშასადამე, ეს ჩვენი „ცხენის“ ბიჭია.

მერე ჰაიკაზმა ერთ ჭორფლიან ბიჭს დაადო თავზე ხელი და, ცოტა არ იყოს, აირია: — ეს ჩვენი... — წამით შეყოვნდა და მერე თქვა, — ეს სააკის ბიჭია.

ხოლო, როცა უკვე საკმაოდ დაშორდნენ ბავშვებს, ჰაიკაზმა აბგარს უთხრა:

— მიმიფურთხებია სააკისთვის! რატომ ცოლს არ აგდებს, ბრმაც კი დაინახავს, რომ ბავშვი სანდროს გადანაჭერია.

— გააგდო. სხვა ცოლი მოიყვანა. ქორწილიც გადაიხადეს, ისეთი დაფა-ზურნა იყო გაჩაღებული, რომ!..

— ყოჩაღ!

მერე აბგარი ჰაიკაზს შეეკითხა, საცხოვრებლად ქალაქში წახვალ თუ სოფელში დარჩებიო. თუ ქალაქში არ წახვალ, მაშინ — მე თავმჯდომარეობა აღარ შემიძლია, დავბერდი, დავიღალე, რაიონთან ჩხუბი და დავა ყელში მაქვს ამოსული, შენ დადექი თავმჯდომარედაო, ჯერ კიდევ გადასახლებამდის შენს სიტყვას ანგარიშს უწევდნენო. — გეყოთ, რაც მოიციმბირე და მოიბერლინე, — დაამთავრა აბგარმა.

— არა, ვერა! — გადაჭრით იუარა ჰაიკაზმა.

ლეიტენანტს თავმჯდომარეობა არ უნდა, ლეიტენანტი არმიაში უნდა დარჩეს, ქრომის ჩექმები ჩაიცვას, პოლკოვნიკი, გენერალი და გენერალზეც დიდი კაცი გახდეს. თუმცა მის უნებურად, მაგრამ მაინც რვა წელია სოფელში არ ყოფილა, გაგადაეჩვია სოფელს, გამწყრალია სოფელზე. ბავშვები ხომ იცნო. ეგეც საკმარისია. ჰაიკაზს უფლება ჰქონდა, ამ სოფლის გზა სულაც დაევიწყებინა. ჰაიკაზს ქვეყანა შემოუვლია, თვალი დიდ სივრცეებზე აქვს შეჩვეული და სოფელი ასპარეზად ევიწროება.

ჰაიკაზი ბოლოს მაინც ფერმაში წავიდა. თქვეს, ის ამბავი განმეორდა, რაც მის მამას მოუვიდაო ერთხელ. პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ესაია სახბორეში შესულიყო და ოცდაორი ხბო თავთავადად ჩამოერიგებინა დედებისათვის: ეს ამისია, ეს — მაგისი, ეს კიდევ იმისი იქნებაო. „ოცდამეოთხე რაღა იქნა? აჰა! წაღიკა დაბერებულა და მომკვდარა, სურმა კი ისევ გაბერწებულა. გაყიდეთ, მოაშორეთ, მაგისი!..“

მაგრამ ჰაიკაზი ისევ წაიყვანეს. ამჯერად უგზო-უკვლოდ აღარ იყო დაკარგული, წერილებს იწერებოდა. ამანათებს უგზავნიდნენ: ვაშლს. ჩირს, წინდებს. სწერდათ, წინდა მსხვილად მომიქსოვეთ. დაფანჩულადო. ვაშლი ზამთრისა გამომიგზავნეთ, ზაფხულისა ფუჭდებაო. ქვემოთ რომ დგა, დაბალში, იმ ვაშლისა გამომიგზავნეთო. მერე და მერე იწერებოდა: ზამთრისასაც ნუ-

ლარ გამომიგზავნით, ველარც ის ატანს აქამდეო. ჩირი, არა უშავს. კარგად ჩამოდისო. ჩემზე ნუ იდარდებთ, კარგადა ვარ, კარგი სამუშაო მაქვს, კარგი ხელფასი, ბრიგადირი ვარო. მერე თავისი ოჯახის ჯგუფური სურათიც გამოგზავნა სოფელში, სახელებიც ეწერა: დუსია, სტეფანე, ანაჰიტი, მარიეტა („სოფელში რომ ჩამოვალთ, მარო დაუძახეთ").

„— ე, დაოჯახებულხარ. რაღას ჩამოხვალ!"

შვიდი წლის მერეღა ჩამოვიდა.

ჯერ ერთი პირობა იბურდღუნა. ბავშვები რუსულს დაივიწყებენო. მერე პირიქით, სომხურს ისწავლიანო, და წავიდა ფერმაში.

მრეტყველი ბიჭი იყო ჰაიკაზი. იმიტომაც ასახლებდნენ ხოლმე. ჩამოჯდებოდა ძროხებშუა და იმის მაგივრად, რომ ძროხებზე ელაპარაკა — არა მგონია, ტროცკი შემთხვევით მოეკლათო. თუ გერმანია დაგვესხა, ამერიკა, არა მგონია, დაგვეხმაროსო. კაცს ის თავისი ძროხა და საქონელი არა ჰყოფნიდა, ცდილობდა ეფიქრა კიდეც. მისი ეს ფიქრი და მსჯელობა არავისა და არაფერს ზიანს არ აყენებდა, მაგრამ ამის გამოისობით ჰაიკაზმა, კინალამ იყო, დაკარგა წინაპართაგან დანათლული ყველაზე დიდი ნიჭი. მისი მამა-პაპანი კარგი ცხენის მცნობები იყვნენ, ათას ხბოში ერთი თვალის გადავლებით ამოარჩევდნენ მომავალ ბულას.

თბილისში მცხოვრები ძველი ანტარამეჯელის, ავეტიქ მინასიანის მამა ოჰანესი დიდი ქარხნებისა და მამულების პატრონის — არტაშეს ადილხანიანის მეცხვარე იყო. ადილხანიანი ნახევარწლობით პარიზში იყო, ერთხელ ნიუ-იორკიც მოინახულა, წვეულებებს მართავდა მოსკოვსა და პეტერბურგში. ხუთ-წელიწადში ერთხელ თავის მამულებსაც ამოუვლიდა ხოლმე გუგარქში. ადილხანიანს ანტარამეჯშიცა ჰქონდა მამულები და, ორმოც წელიწადში ერთხელ მოხდა, რომ აქეთაც ჩამოიარა გზად. სოფელში მისი შემოსვლა და წვიმის დაშვება ერთი იყო. ხუთიოდე წუთით თავშესაფარებლად გადმოვიდა, მაგრამ წვიმამ უფრო დაუჟაჟუნა და ერთი კვირა, ათი დღე, თხუთმეტი დღე აღარ გადაიღო. ადილხანიანმა მოიწყინა, გულისგარეთ გაიკითხ-გამოიკითხა სოფლელების ცხოვრება, იძულებით თვალი გაუსწორა გლეხებს, „თქვენ პატიოსანი ხალხი ხართ, ბიჭებოო", უთხრა მოწყენილობისა გამო და მოწყენილობის გამოისობითვე შეიყვარა ისინი. წვიმა კი სცრიდა განუწყვეტლად. ადილხანიანის პაპისეული ცხვრის ძაღლი მთელი ღამე ყეფითა სკდებოდა. ოჰანესა მეცხვარე გარეთ გავიდა, ძაღლს შეშის ნაჩეხი ესროლა. და როცა არტაშეს ადილხანიანი სიზმარში ზღვას, ხომალდს, პარიზსა თუ მოსკოვსა ხედავდა, მისი პაპისეული გომის სახურავი დაქივდა. დამძიმდა და ჩაწვა, რვაას ორმოცი სული ცხვარი ქვეშ მოიყოლა. ძაღლი საწყალობლად ყმუოდა და ოჰანესმა გულში თავის თავს უსაყვედურა, ამ ძაღლს ტყუილად მივარტყიო. გავიდა გარეთ და, მისი გასვლისთანავე გომი მძიმედ და რბილად ჩამოაწვა რვაას ორმოც სულს. ოჰანესს თავზარი დაეცა, თმა ყალყზე დაუდგა. ცხვარი ერთმანეთში აირია, ცოტა ხანს იფხაკუნა და მერე გათავდა ყოველი. მთელი ფარიდან ერთი თავგატეხილი თხაღა გადარჩა. არტაშეს ადილხანიანი კი მხოლოდ ოლიმებოდა, ოლიმებოდა პაპის აშენებულ ამ უბრალო, მიამიტურ და

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სასაცილო გომზე, განსაკუთრებით კი იმაზე, რომ თხას კიკინის თავიც აღარა ჰქონდა. მეცხვარე ოჰანესს თმა თითო-თითოდ დაულაგდა თავზე, სახეზეც ფერი მიეცა და დადონდგოლდა. სოფლელები კავებს, ფიჩხსა თუ მიწას აქეთ-იქითა ჰყრიდნენ, დახოცილი ცხვარი ამოჰქონდათ და გროვა-გროვად აწყობდნენ. ძაღლი მძიმედ უვლიდა გარშემო ჩამოქცეულს, წელათრეული მივიდოდა, დასუნავდა ცხვრის გროვას და ისევე უხმოდ, საცოდავად განაგრძობდა ტრიალს ცხვრისა და გომის გარშემო, კუდი მიწაზე მისთრევდა. ადილხანიანი იმ დღისით უეჭველად უნდა გამგზავრებულიყო, მოროზოვები ელოდნენ, აგვისტო ერთად უნდა გაეტარებინათ მინერალურ წყლებზე. იმ გულწრფელი შეწუხებისათვის კი მეცხვარეს ასი მანეთი უბოძა ოქროთი და უთხრა, თუ ქალაქში გადმოსვლას იფიქრებ, ქარხანაში კარგ სამუშაო ადგილს მოგიძებნიო. დანარჩენი მეცხვარეები ოჰანესა პაპას შურით იხოცებოდნენ, ოჰანესა პაპას კი ხან უხაროდა, ხანაც ნაღვლი შემოაწვებოდა. ძაღლი წინანდებურად ზანტად, წყნარად, გაგიჟებული უვლიდა გომს გარშემო. იმ თხუთმეტ დღეში ერთხელ გამოიჭყიტა მზემ და ადილხანიანიც წასვლას დაადგა. ოჰანესა მეცხვარე ნებაუნებურად ბარგი-ბარხანას უმზადებდა ადილხანიანს, ძაღლი კი თავის დაღუპულ ფარასთან ერთად მომკვდარიყო თათებზე თავჩამოდებული.

იმ საცოდავისთვის მთელი ქვეყანა ის ერთი ფარა ცხვარი იყო.

მთელი ქვეყნიერება ერთი ფარა ცხვარი იყო ავრეთვე ოჰანესის ვაჟ ავეტიქ მინასიანისთვის, ვინც ადილხანიანის (შემდგომ — კეცხოველის სახელობის) ქარხანაში მუშაობდა და, მიუხედავად იმისა, რომ მთელ კავკასიაში სახელგანთქმული ოსტატი იყო, სიზმარშიაც კი ხედავდა ბალღობაში ნასათუთევ ბატკნებს, თიკნებს, მზეში გალურსულ ხასხასა მდელოსა და თვინიერ, ბებერ ქოფაკს.

თბილისში მცხოვრები ძველი ანტარამეჯელის — ავეტიქ მინასიანის უმცროსი ვაჟი ალექსანდრე თავზეხელაღებული მფრინავი იყო. მისი თვითმფრინავი ცაზე რომ გამოჩნდებოდა, გერმანელთა საჰაერო სარდლობა მაშინვე აცნობებდა დავალებაზე გაგზავნილ თავის ესკადრილიებს, თავზეხელაღებული გამანადგურებელი ალექსანდრე მინასიანი ამჟამად ცაშია და გაფრთხილდითო. „ახტუნგ! ახტუნგ. ახტუნგ!— ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!“ — ხავილით იჭაჭებოდა გერმანელთა სარდლობა. ალექსანდრე თავზარსა სცემდა მოწინააღმდეგის მფრინავებს. ამბობენ, იმათ, ვინც ჰაერში ალექსანდრეს შებრძოლებოდნენ და ცოცხალი გადარჩენილიყვნენ, გერმანელთა სარდლობა ორდენით აჯილდოებდაო. მაგრამ მეასე შეტაკებაში ველარც ალექსანდრეს თვითმფრინავი გამოვიდა „მკვდარი მარყუჟიდან“. შემდგომში ცალფეხა ალექსანდრე მძიმე მრეწველობის მინისტრის სამხედრო მრჩეველი იყო, მერე ერთი დიდი ქარხნის დირექტორი, ამის შემდეგ — ქეჩის სახელოსნოს გამგე, მერე ღვინის წერტი ჩააბარეს, ბაზრის ფარდულში დაუბეჭდავ ღვინოსა ჰყიდდა; მერე და მერე ხან შემკეთებელ სახელოსნოში ნავთქურებს აროემონტებდა, ხან სასურსათო მაღაზიის მუშა იყო, ერთხანს ფოსტალიონადაც იარა, რომ თვეში ერთხელ ფეხის ქირა მიეღო. ციური

ალექსანდრე დაითვრებოდა, ფართოდ ფეხებგადგმული დაეყუდებოდა ტროტუარზე და გაუგებარი მზერით მიაჩერდებოდა მიწიერ ადამიანებს. ქუდს მოიძრობდა, ორივე ხელით დაიჭერდა და თავაღრეცილი თვალს გააყოლებდა ცაზე მიმქროლავ რეაქტიულ თვითმფრინავს. მერე ფრენის მიმართულებით შეტრიალდებოდა, საღ ფეხს კი მოინაცვლებდა, მაგრამ რაკი ხის ფეხი ალარ მისდევდა, ციერი ალექსანდრე მიწიერი ხალხის ფეხებთან იშხლართებოდა. დასწვდებოდნენ ასაყენებლად და მკვდარივით უვარდებოდათ ხელიდან. წამოამუხლიკვერავებდნენ, ვნახოთ, მართლა მკვდარია თუ ცოცხალია, ის კი — უუუუუ! — ხმადაბლა ღმუოდა, თითქოს გამანადგურებელი თვითმფრინავის სირენა ყოფილიყოს, თან ღვინის სუნად ყარდა. ერთი დღეც დადგა, რომ ალარავის უნახავს, შეუმჩნევლად გაქრა ტროტუარზე მოსიარულეთა ფეხქვეშ. მისი თვითმფრინავი რომ პიკედან ვერ გამოვიდა, სამხედრო საჰაერო ძალების უმაღლესმა სარდლობამ იგი დაღუპულად გამოაცხადა და რადიოთიც გადმოსცა ეს ამბავი. ასე რომ ალექსანდრე მინასიანს ერთი სიკვდილი უკვე გამოვლილი ჰქონდა. მეორე სიკვდილი ხსნა იყო მისთვის, მიწაზე იგი თავის გულს ასკდებოდა.

მფრინავები მიწაზე ვერ ეტევიან, მიწაზე ადრე თუ გვიან თავს ამოიჭამენ. ეს ყველამ იცის და ამბობენ კიდეც, ძნელია კაცმა ერთსა და იმავე დროს გვერდიგვერდ წარმოიდგინოს მიწის მუშა და მფრინავი გამანადგურებელი. იმასაც იტყვიან, მფრინავის ხელობა ისეთია, თავისთავად გაგმსჭვალავს სიძულვილით მიწის მუშისა და მიწის მეურნეობის მიმართ. ღმერთმა ნუ ქნას, მართლაც ასე იყოს, თორემ იცით, რა მოხდებოდა? რა მოხდებოდა და, ანტარამეჯი ანტარამეჯელს ვეღარ მოურიგდებოდა; ანტარამეჯელი ვერ ინიშნებდა, დაავიწყდებოდა გაზაფხულის ის ჟამი, როცა წიწმატი უნდა დათესო; ის დრო, როცა სკებს შუბლი სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ უნდა შეუბრუნო; გამორჩებოდა ის დღე, თიბვის დასაწყისად რომ დასდებენ ხოლმე შუა ზაფხულში და ვეღარც იმას მიხვდებოდა, სანამყენე კალამი რა სიღრმეზე უნდა ჩაერგო ცხელ მიწაში. ესენი აგრონომიული მითითებებით არ გაკეთდებოდა, აქ თერმომეტრი საქმეს ვერ უშველიდა. არც ერთი თერმომეტრი არ აღნიშნავს იმ სიღრმეს, რომელიც ჩვეულებრივ კალამს ცოცხალ ნამყენად აქცევს. არც ერთი აგრონომიული სახელმძღვანელო არ აღნიშნავს იმ დღეს, ანტარამეჯის საფუტკრის სამხრეთით როდის ჩამოყრის მანანას ცაცხვი ან საფუტკრის აღმოსავლეთით როდის დაიძახებს ნექტრის ყვავილი.

ყველანი რომ მფრინავივით მხოლოდ ვარსკვლავებს მიჩერებულიყვნენ, მრწყველს ვერ მისწვდებოდა გამაძღარი მიწის მსუბუქი ამოსუნთქვა, მეფუტკრეს — შორეული მთის კალთებზე გაშლილი სათაფლე ყვავილის სურნელი (ო, რა მაცდურად და შემპარავად გიწვევს ეს სურნელი! ზოგს, ვინც მეფუტკრე არ არის, ამ ყვავილის მთელი თაიგული ზედ ცხვირზეც რომ მიადო, სუნს მაინც ვერ გაიგებს) და ქვეყანა იქნებოდა ერთი უგემური, უგემურზედაც უგემური რამ.

ანდა, მეფუტკრეს რომ ფუტკრისა არა სცოდნოდა რა და მხოლოდ იმიტომ ემუშავა საფუტკრეში, რაკი დამნიშნეს, უნდა ვიმუშაოო, ის ხომ კლდის ძირას წამოყუნტებულ

დათვს ვერ დაინახავდა. ვერ დაინახავდა, რადგან, მისი ფიქრით, ის მეფუტკრეა და არა დარაჯი; მისთვის თოფი კი არ მიუციათ, დათვები აფრთხეო, საბოლებელი და პირბადე მისცეს მხოლოდ. დათვი კიდევ სულ კლდის ძირას ხომ არ იჯდებოდა, შემოუვლიდა, ავიდოდა საფუტკრეში და სავსე ჩარჩოებს რომ ვერ იპოვიდა, სკებს ხევში გადაყრიდა. სავსე ჩარჩოებს კი იმიტომ ვერ იპოვიდა, რომ მეფუტკრეს სკები თავის დროზე არ ექნებოდა შებრუნებული პირით მთის კალთებისაკენ.

ერთხელ ანტარამეჯელი მწყემსი თავის ფარას გადაჰკიდეს, ფარა შეაძულეს. ეს ასე მოხდა. „მესაქონლეობის“ სახელმძღვანელოს მიხედვით ცხვარი უკვე გაპარსული უნდა ყოფილიყო და ანტარამეჯსაც მატყლის დამზადების გეგმა აქამდე შესრულებული უნდა ჰქონოდა. მაგრამ „ანტარამეჯში აგვიანებდნენ“, „დაპირებებს იძლეოდნენ, მატყლს კი — არა“, „გამაფრთხილებელ სიგნალებზე დუმილით პასუხობდნენ“. „ურემი ლაფში ჰქონდათ ჩაფლული“, „ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა“. მერე მიზეზების გასარკვევად ინსტრუქტორი გამოგზავნეს და გაირკვა, რომ... ანტარამეჯელი ხელმძღვანელები... მეოცე საუკუნეში... პარსვას აჭიანურებენ... წვიმების მიზეზით. სწორად კია შერჩეული აქ ხელმძღვანელი კადრები? პასუხი ორი არ შეიძლება იყოს: — არა!

— ჩემთვის სულ ერთია, — ამბობდა თავმჯდომარე, — ხელმძღვანელი არ ვიქნები, მპარსავად წავალ! კაცო, როგორ თუ სულ ერთია, — ყვიროდა მეორე წუთში, — მე უფლებას არ გაძლევთ. ცხვარი გაპარსოთ!

— ცხვარი ჩვენია და ჩვენვე ვიცით, გავპარსოთ თუ არა, — ამბობდა მწყემსიც, — ჩვენი თავის მტრები კი არა ვართ!

— თქვენი შეცდომაც სწორედ ეგ არის, — თქვა ინსტრუქტორმა, — საერთო საქმე პირად საქმედ გაგიხდიათ და ძაღლის თავიც სწორედ მანდ არის დამარხული!

თავმჯდომარე რაიონში გამოიძახეს, ხოლო მწყემსმა ინსტრუქტორის მითითებით განაგრძო პარსვა. ფარის ნახევარი მარტოკამ გაპარსა, დღე-ღამეში ხუთიოდე საათი თუ ეძინა მხოლოდ. „გავპარსოთ, ამხანაგო ინსტრუქტორო, მაგის დედაც ვატირე, გავპარსოთ, სულამც ამოწყვეტილან! სახელმწიფო იყოს თორემა, განა ეგ არი და ცხვარი გადაშენდა! აგე, ყაზახეთში სავსეა“.

მატყლის დამზადება შვიდადლიანი ნაბიჯით წავიდა, თავმჯდომარეს პარტიული საყვედური გამოუცხადეს პირად საქმეში შეტანით, ხოლო ბატკანი ერთიანად გაწყდა.

ამ შემთხვევის გამო ჩვენმა მწყემსურმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა დაკარგა. ცხვრის სულადობის აღსადგენად ათასნაირი წინადადება წამოაყენეს, მაგრამ მწყემსებმა თავი ვერ გაართვეს, ველარ ასწრებდნენ ამდენი წინადადების, მითითებისა თუ ბრძანების შესრულებას. ეს ყველაფერი მათ ჯერ გულდინჯად უნდა აეწონ-დაეწონათ, ყოველნაირად გაესიგრძეგანებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღოთ ან უარეყოთ, მაგრამ ზარალი იმდენად დიდი იყო, სულადობის აღსადგენად გამოყოფილი დროის მონაკვეთი კი იმდენად მცირე, რომ მათთვის იმ დროს ყოველგვარი რჩევა ჭკვიანური და გამოსაყენებელი ჩანდა.

— ო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება... ფეშქაშ ჩვენი ეს მთი-

ანეთი! როგორა ვართ, როგორა ვცხოვრობთ? როგორა და, კარგადა ვართ, კარგადა ვცხოვრობთ. თუ რევოლუციამდის ჩვენს სოფელში იყო... ახლა არის... აგრეთვე რადიო, გაზეთი, ელექტრონი...

მერე გავარჯიშებული ბავშვივით ფაფახს გვერდულად დაიხურავდნენ, ბინის ერთადერთ ნაბადს — ვანის ნაბადს წამოისხამდნენ, კომბალს იდაყვებით დაეყრდნობოდნენ და ჯერ-ჯერით ულიმოდნენ ფოტოობიექტივს. ამის შემდეგ კორესპონდენტს ეუბნებოდნენ:

— მოსულიყავი, მაწონი ვეჭამა! კარგი, ცივ-ცივი მაწონი გვაქვს.

ბოლოს კი აღმოჩნდებოდა, ბინაში მარტო მაწონი კი არა, თურმე თევზის კონსერვიცა აქვთ და მაწონზე ასჯერ უკეთესი რამეებიც. თურმე ყასიდად ისაწყლებდნენ თავს, მწყემსი ხალხი ვართ, მაწვნის მეტი სხვა რა გვექნებაო. მწყემსი ფხიანიც უნდა იყოს. ეს ახალგაზრდა, საკმაო განათლების მქონე, ხვალ რომ უცებ არმიაში გაეწვიათ, შეიძლება მფრინავ-გამომცდელი გამხდარიყო, შეიძლება უნივერსიტეტში შესულიყო და მეოცე საუკუნის მეცნიერებათა შიგ შუაგულში შეჭრილიყო. ის გუშინ-გუშინწინ სასკოლო მერხზე რომ თხზულებას წერდა, თავის ალერსიან და სტუმართმოყვარე პაპას გულში დასცინოდა, აქაოდა მე თხზულების წერა შემიძლიაო, დღეს კი თავად მიიწერდა ორიოდე სიბრძნისმაგვარ ანდაზას, „ძველებს უთქვამთ: ზაფხულში თუ გრილოში წამოწექი, ზამთარში ძროხები შიმშილით დაგიწყდებიანო“.

და რატომღაც მოგეჩვენება, რომ ქვეყანაზე ლიტონი მსჯელობის მოყვარულთა ლაშქარმა ერთი ათასით მაინც იმატა, ხოლო იმდენივეა შემცირდა იმათი რიცხვი, ვისთაც ეს ქვეყანა მართლა ქვეყანას არის დამგვანებული.

3

ძია ავაგი სიცხისგან დამურავებულ ცხვარსა თვლიდა, მეცხვარეულად — ათ-ათს ერთად. ერთ ცხვარს ძლივძლივობით გამოაცალკევებდა ფარისაგან, მოშორებით გააგდებდა, თან ბუღალტერს აგინებდა და ამბობდა:

— ეს ერთი!

რის ვაი-ვაგლახით აცალკევებდა ახლა მეორეს, კვლავ აგინებდა მუქთამჭამელ ბუღალტერს და ცხვრის ზურგზე კომბლით ხაზავდა ორიანს, რომელიც უფრო საბუღალტრო სამყაროსკენ იყო გაგზავნილი შეფასების ნიშნად.

— ეს ორი! — ვითომ, ამ უცოდველ ცხოველს რა ესაქმება „ორ“-თანო.

მესამე ცხვარი ერთი სულელი რამ არსება იყო და მათემატიკისა ინჩიბინჩიც არ უწყოდა.

— სამი! მოვიდნენ და დაგვითხუნეს ცხვარი ამ თავიანთი ნიშანწარწერებით.

— ოთხი! მგელსამც შეუჭამიხარ!

— ხუთი! ექვსი! შვიდი! რვა! ცხრა! ათი! „ეს ერთი ათეული“.

ცხვრები მრავალწერტილივით ჩაუდიოდა ძია ავაგს, ის კი კომბლის თავით სათითაოდ ყველას ზურგზე ხაზავდა ციფრნიშანს, რასაც ცხვართან არავითარი საერთო არა ჰქონდა.

— ერთი! ორი! სამი!.. ათი! „ეს ორი ათეული“.

ამხანაგები დასცინოდნენ ძია ავაგს და მასავით ცხვირში ნიღნიღებდნენ: „ეეეერთი! ოოორი! სა-

ფიმი!“ ავაგი გვერდზე გადგებოდა და გაჯავრებით იფურთხებოდა.

— ნუ მიშლით ამ ოხერ-ტიალს, ხალხნი არა ხართ!..

ისინიც ჩამოსხდებოდნენ და ავაგს თვლას უცდიდნენ.

— დათვალე, ავაგ?

— დავთვალე კი არა!.. — ვითომ — ის, სკოლაა თუ რაღაც დარდუბალა, იმაში მაინც მევლო ბოლომდეო.

— რამდენი იყო, ავაგ?

— ისევ იმდენი. ჯერ უნდა შეაჯამოს ბუღალტერმა.

— მაინც რამდენი?

— რამდენიცა სწერია. უნდა გაყოს, გაამრავლოს, გამოიყვანოს. ჭლიუს! — მთელ ქვეყნიერებას დასცინოდა ძია ავაგი.

სოფლის ბუღალტერმაც, რაიონის ბუღალტერმაც და იმათმა სამინისტრომაც — უკლებლად ყველამ იცის, რომ მწყემსი ავაგ ჰოვანისიანი უფლის შვიდას ხუთ სულ ცხვარს, ძია ავაგმა კი თავად არ იცის, რამდენი სული ცხვარი ჰყავს. მთებში თვლა არ უყვართ. თუ იკითხავთ, სოფელში რამდენი ხართო, გიპასუხებენ: ესენი და ესენი ასი წლის მოხუცები არიან, ყველა დანარჩენი — სოფლის გოგო-ბიჭობაა, სულ პატარა ბალღები კი ჯერ აკვანში არიან ჩაკრულებიო. საქონლის რაოდენობას ინებებთ, გეტყვიან: დანაკარგი არა გვქონია, რაც ნამატი მიემატა, ეგ არიო. თივაზე შეეკითხებით და — რაც იყო, გავთიბეთო. თაფლი კიდევ — ორჯერ ამოვიღეთო. ერთხელ კიდევ შეიძლებოდა ამოღება, მაგრამ ფუტკარს დავუტოვეთ, მაძღრად იყოს, ცოტაოდენიც მიუმატოს თაფლსაო.

თავმჯდომარე სწერს ფერმის გამგეს: „გამოუწერეთ მთიბავებს საზაფხულო ცხვარი“. ფერმის გამგე მთიბავთა ბრიგადირს ეკითხება: „ბევრნი ხართ?“ „ვართ, რაღა!“ მაშინ ფერმის გამგე ძია ავაგი დაასკვნის: „მიეცით, წაასხას“.

საღამოთი კი კანტორაში ცნობის წარსადგენად მისულ ბრიგადირს ბუღალტერი ეუბნება:

— შენს ბრიგადას ორი ცხვარი გამოვუწერე, შეჭამეთ?

— შევჭამეთ, მაგრამ აღარ მახსოვს, ოთხი იყო თუ ხუთი.

ანტარამეჯის საწყობის გამგე ქურდი გამოდგა, ჩუმ-ჩუმად გაცალა თურმე საწყობი. ქალაქში ხომ აიშენა ერთი სახლი, ხმა გავარდა, მეორესაც იშენებსო. ანტარამეჯი დაეჭვდა. თავმჯდომარემ ერთ თავის ქალაქელ ამხანაგსა სთხოვა, თუ ძმა ხარ, მიანგარიშე, სოფლის ყველაზე შემოსავლიანი ოჯახის ათი წლის დანაზოგი ქალაქში სახლის აშენებას თუ ეყოფა და თან ქალაქური სიძვირეც გაითვალისწინეო. ეს უკვე საწყობის გამგის საარგებლოდ იყო. სოფლის ყველაზე შემოსავლიანი ოჯახი ის იყო, რომელსაც სათიბად შვიდი ვაქკაცი მაინც გაუდიოდა და ეს შვიდნი, მამაშვილნი, მთვარის ამოსვლამდის კვნესითა პარსავდნენ შვიდ ჰექტარ მიწას. ჰექტარი კი ღირს თოთხმეტი მანეთი ფულად. ამას ემატება კიდევ სხვადასხვა პროდუქტი: კარაქი, ყველი, ხორბალი, თაფლი, ხილი, კომბოსტო, კარტოფილი, ხორცი, ღვინო...

— ეყოფა, როგორ არ ეყოფა, — იანგარიშა არქიტექტორმა, — ოღონდ სოროსავით რაღაცას თუ მოიქოხმახებს კაცი! იმ თქვენს ბიჭს კი, არც მეტი არც ნაკლები, ერთი მილიონი მაინც მოუპარავს.

ბევრს ეცადნენ და რაკი სოფლის საბუღალტრო ძალებით ვერ იპოვეს ის ხვრელი, საიდანაც მან ერთი მი-

ლიონი გაზიდა, უარესად გაცეცხლებულებმა სხვაგვარი დასჯა გადაუწყვიტეს. მთიბავების ბრიგადირმა, თავისი მთიბავებისათვის დღიურ ულუფა პურს რომ იღებდა, რაღაც ნახევარი გრამის დაკლებისთვის შარი მოსდო და მთელი სოფლის გასაგონად დედა შეაგინა საწყობის გამგეს. დედა შეაგინა, იქნებ გინებაზე გამარტყას და დავაჭერინოთო. გაარტყა კი არა და, პირიქით, ეხვეწებოდა მამაძაღლი, მუდარით ყელს უწევდა, ხალხს ნუ ასმენინებ, ჩუმად, რაც გინდა, ის მითხარიო. — ხმას დაუწიე! ჩუმად, ჩუმად! — ჩურჩულებდა საწყობის გამგე. — მე შენი დედა!.. მე შენი მკვდარი და ცოცხალი!.. — მთელი ხალხისა და სოფლის გასაგონად ყვიროდა ბრიგადირი, ის კი კვლავ იმუდარებოდა: „ძალიან კარგი, გავიგეთ, ეგრე იყოს, ოღონდ — ჩუმად, ჩუმად, თუ კაცი ხარ!..“ შემცბარსა და განცვიფრებულ ბრიგადირს ენა აერია, ბლუკუნი დაიწყო, ის კი კვლავ აწყნარებდა: „აი, ეგრე... ჩუმად, ჩუმად!.. ახლა, რაც გინდა, მითხარი...“ ბრიგადირს მოაგონდა თავისი მოვალეობა და, რაც კი ხელში ღონე ჰქონდა, ერთი მაგარი ჩასთხლიშა საწყობის გამგეს თავში: „მელავ, შენი!.. მაშასადამე, საქმე ისე გაქვს ჩასვრილ-ჩაბინძურებული, რომ ცოლ-დედასა გლანძლავ და შენ კი ცხვირ-პირს არ მიმტვრევ!“

— არა, ძმაო, ამ ნეხვთან არაფერი მესაქმება, ამ ნაგავს თავს ვერ გავუყადრებ! — საწყობიდან ყვირილით გამოვიდა მთიბელთუფროსი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე და ძველი პარტიული სარგისი საწყობში შეცვივდნენ. შიშისაგან მოკუნტულ საწყობის გამგეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხელებში ეცა:

— შენ აქ საწყობის გამგედ დაგაყენეს თუ იმისთვის, რომ მთიბავები მიცემო?..

— მე წესიერი კაცი მეგონე, შენ კი კაცისმკვლელი ყოფილხარ! — გაწითლდა სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, წითელმა პარტიზანმა სარგისმა კი ჯიბიდან ნამდვილი რევოლვერი ამოიღო.

— ცეცხლსასროლი იარაღიცა ჰქონია! ათი წელი ზედა გაქვს! ფშიუ-შვიტ!..

ჯერ ბრიგადირი ექიმთან წაიყვანეს, რომ სხეულის დაზიანებაზე ცნობა აეღო, მერე ახლომახლო კალოებიდან და სახლებიდან ოთხიხუთი კაცი მოკრიბეს მოწმედ, ცემის ოქმზე ხელი მოაწერინეს და საწყობის გამგე ოქმიან-ნივთმტკიცებიანად მილიციას გადასცეს.

სასამართლოზე საწყობის გამგე იფხრიწებოდა და იფიცებოდა, ყველაფერი მომიგონეს, მე არ გამირტყამს, პირიქით — მე მცემესო. მოსამართლე მოწმეს იძახებდა, მოწმე კი ამბობდა:

— ტყუილია, ჩემი თვალითა ვნახე!

— კაცო, შენ მაშინ სად იყავი, იმ დღეს ქალაქში ყველსა ჰყიდდი! — ცოფი ახრჩობდა საწყობის გამგეს.

— არც ქალაქში ვიყავი, არც იმ შენს მილიონიან სახლებში; სოფელში ჩემთვისა ვწვალობდი და ისიცა ვნახე, უდანაშაულო კაცს როგორ გაარტყი! — პირზე ადგებოდა მოწმე.

საწყობის გამგის სასამართლომ დედაქალაქში გადაინაცვლა. იქ საწყობის გამგეს ათასების ხარჯვა მოუხდა, რომ პატიმრობიდან როგორმე თავი დაეძვრინა. ოღონდ ის სახლები დაეკარგა და მერე თუნდაც

გათავისუფლებულიყო, ანტარამეჯი მაგაზე თანახმა იყო.

— აფსუსი კია, რა რევოლვერი დავკარგე! — წუხდა წითელი პარტიზანი სარგისი, — ოც წელში რევკომმა შამახიანმა მაჩუქა.

— აფერისტი მამაძაღლი! — ნელნელა მშვიდდებოდა თავმჯდომარე, — ჭამით, კი ბატონო, ჭამე, მაგრამ ეგრე გაღორება გაგონილა?!.

სოფელში ერთი ოჯახია, ოჯახში ათნი არიან: ბებია, შვილი, რძალი და შვილიშვილები, თერთმეტიდან ოცდახუთამდე წლისანი. ბებიას გარდა დილით ყველანი სამუშაოზე გადიან და შინ გვიან საღამოს ბრუნდებიან.

— ადექით, ბალღებო, ჩაი უკვე გაპარვაზეა! — თავს დაადგებათ სისხამზე ბებია.

— ბალღებო, სამუშაოზე გაგვიანდებათ! — შეახსენებთ ცოტა ხნის შემდეგ.

— დასხედით, პური ჭამეთ! — შეეგებებათ საღამოთი.

ბებია მაღვიძარა მამალია, ყივილიც თავის დროზე იცის. როცა პურის ჭამის დრო მოაწევს, ამბობს: „დასხედით!“ როცა ცელებს გაიდებენ, ეუბნებათ: „წადით!“ როცა ყველაზე უმცროსი, თერთმეტი წლისა, ცხენსა კაზმავს, **რომ** გეტამეჯიდან ფოსტა მოიტანოს, ბებია ეუბნება: „წადი, ოღონდ ფრთხილად იყავი, არ ჩამოგაგდოს“. ოჯახს არც ბებია ხელმძღვანელობს და არც მისი შვილი. შვილი, თუ რამეს იტყვის, ამას იტყვის: „ელიშიკა წავიდა, არა, ფოსტაზე? ჩვენც წავედით, თორემ მზე აგერ უკვე სად წამოსულა!..“

მზე ხელმძღვანელობს, მზე თავკაცობს მათ მუშაობას; მზე, ჩრდილოეთიდან დაძრული ღრუბლები და სახეზე ცივად გამკაწრავი ქარი.

ერთი სხვა თავისებურებაცა აქვს ამ ოჯახს: ბებია იტყვის, კრუხი დავსვიო, მაგრამ არ იტყვის, ამდენი და ამდენი კვერცხი დავუწყვეო, ამდენი წიწილა გამოჩეკა, ამდენი — გალაყაო. არც ოჯახის არც ერთი წევრი არ იტყვის მისდღეში, ესა და ეს საქმე ამდენი გავაკეთეო... სიტყვა არ დასცდებათ. უბრალოდ, თუ დაღლილები არიან, იძინებენ, თუ დაღლილები არ არიან — მუშაობენ. შემოდგომობით ბეღლები ხვავ-ბარაქითა აქვთ სავსე, კარზე კლიტე არ იციან, **რა არის, ვისაც** რა უნდა და რამდენი უნდა, იმდენს იღებს.

სოფელიც მათ ოჯახსა ჰგავს: შრომაში — დაუზარელი, ხარჯვაში — დაუდევარი, უცხოსთან ურთიერთობაში — უბრალო და თავისუფალი. აქაური კაცი თავს არ აიტკივებს იმაზე ფიქრით, ეს უცხო ადამიანი ჩვენს საქციელზე რას იტყვისო. თქმით კი ითქმება ხოლმე ხან ცუდი და ხანაც კარგი, მაგრამ სოფელს ერთიცა და მეორეც ფეხებზე ჰკიდია.

ომიანობისას — დიდი მწუხარების, დიდი სიხარულისა და დიდი აურზაურის წლებში თავმჯდომარე ბაგრატ დურმიშიანმა ერთ-ერთი საზამთრო საძოვარი მეზობელ გეტამეჯს ათიოდე ჰექტარში დაუთმო. ის ჰექტრები კი, როგორც ამბობენ, სამხედრო კომისარს მისცა, რომ მისი შვილი ხელმეორედ აღარ გაეგზავნა ჯარში. მაშინ დაპურებული ვაჟკაცი, თოთხმეტი წლის ყმაწვილი ბიჭი ან სამოცს გადაცილებული ბერიკაცი კი არა — საღად მოაროული, პაპიროსის მწეველი შავ თმა-წვერიანი ვაჟკაცი სოფლისთვის სიცოცხლე და სიხარული იყო. ამიტომ სოფელს იმ საზამთრო საძოვარზე ქრინტიც არ დაუძრავს.

— გევორქ ჯან!.. — ესიყვარულე-

ბოდნენ ბაგრატის ბიჭს და ამ ერთ სიტყვაში იგრძნობოდა დის დური დარდიც ძმაზე, დედის დედური თრთოლვაც შვილზე და პატარძლების შეფარული ოხვრაც ქმრებზე.

— გევორქ ჯან!

— მითხარი, რა გინდა, დაო.

— ახ, გევორქ ჯან!

ომი დამთავრდა და, ოთხი წლის წინ დანიშნული ქალ-ვაჟის ქორწილზე, თუმცა ჯერ კიდევ შეკავებულად, გაუბედავად, მაგრამ, როგორც იქნა, მაინც გატყდა ხუმრობის ნავსი. ნავსის გამტეხი ერთი შეზარხოშებული მწყემსი იყო.

— ბიჭებო, — თქვა მწყემსმა, — ერთი მგელი გადამეკიდა, ათასჯერ ვესროლე და ვერ მოვარტყი. ათასჯერ ძაღლები დავადევნე, მაგრამ ვერც ძაღლებმა დაიჭირეს. არადა, თითო გამოჩენაზე თითო ცხვარს მაინცა მტაცებდა. სულ პირველად რომ ვნახე, თან არც ძაღლი მყავდა, არც თოფი მქონდა, კომბლის ამარა ვიყავი. კბილები გამიღრჭიალა და გამიჩეხლა წინ. ვნახე, იმისი მომრევი არ ვიყავი და ერთი ქეციანი ბატკანი მივუგდე. შენც არ მომიკვდე, ზედაც არ მიხედა! ზათქით ეცა ფარას. ჭედილას ჩაურბინა და ჭედილა უდუმოდ დარჩა. ასე მაწვალებს კარგა ხანია, არც ისა მკლავს, ვერც მე ვკლავ და სხვა ჩარა რომ აღარა მაქვს. მხოლოდღა ვიცინი. სახელიც კი მოვუგონე, ბაგრატა დავარქვი.

— ეგ არ უნდა დაგერქმია, — უთხრა ძნელ დღეთა შინა თავმჯდომარედ ნამყოფმა ბაგრატმა, — კომისარი უნდა დაგერქმია. ჩემი დაჭრილი ბიჭი კანონით თავისუფალი იყო და მე უკანონოდ გავათავისუფლებინე. ორში ერთს უნდა ეზარალა და, კოლმეურნეობამ იზარალა.

— მგელს თუ მოეწონა შენი შერქმეული სახელი? — შეეკითხნენ მწყემსს.

— თქვენ რას იტყვით, ბიჭებო, კომისრით შევუცვალო, თუ ბაგრატასაც აბა უშავს რა?

სოფელს კომისრის სამართალში მიცემა უნდოდა, მაგრამ ის უკვე პენსიაზე გასულიყო, ღორებს ასუქებდა და ბაღში შესულ ბავშვებს უყვიროდა, რა აბის მისთვის სალაფავში თხუნვის სიამოვნება არ მოეშალათ.

იმ საზამთრო საძოვრის გამო მრავალი წლის განმავლობაში მაინც ცერად უყურებდნენ გეტამეჯს. ერთხელაც ველარ მოითმინეს, გათიბეს ის საძოვარი და ცხვარიც ჩარეკეს გამოსაზამთრებლად. სასამართლოს უწყება რომ მოუვიდათ, არ გამოცხადდნენ, ვითომდაც არ მიგვიღიაო; გზაში ათასი რამე ხდება, ვითომ გზაში დაიკარგაო. უწყების მერე ტელეფონზეც დაურეკეს რაიონიდან, მაგრამ ანტარამეჯი ყურმილში ისე ბურტყუნებდა, გეგონება, დათვიაო. ხელმეორედ დარეკეს. ანტარამეჯი პასუხობდა: „რააააა?..“ „სასამართლოზე ჩამოდით!“ — ეუბნებოდნენ ისინი. ანტარამეჯი წინანდებურად ყურს იდვრენდა: „რააააო?“ იფიქრეს, ანტარამეჯი დაყრუებულაო და სასამართლომ, მოვლენებს რომ არ ჩამორჩენოდა, იმ უკულმართი საძოვრის ისევ ანტარამეჯისთვის მიყიდვა გადაწყვიტა. სასამართლოს კი ანტარამეჯელთაგან ერთი კაციც არ დასწრებია, რომ გეტამეჯელთა წარმომადგენელს შერიგების ნიშნად მისთვის ხელი ჩამოერთმია. ამის გამო იყო, რომ სოფელსა და სოფლელებს მეტსახელად დათვი დაარქვეს. ეს ყველაფერი თვით ანტარამეჯის გარდა ყველამ იცის. ანტარამეჯელებს საჭორაოდ სადა სცალიათ, ისინი გეტამეჯელ-

ბისაგან გაფუჭებულ გომებს აკეთებენ, სათიბებს ჭიანჭველების ბუდეებისაგან სწმენდენ, წყაროებს გეჯანავებს უყენებენ და იმასაც კი ამბობენ, გეტამეჯიდან ქალებს აღარ ვითხოვთ, ოჯახის ქალად არ ვარგანო.

თავად სოფელშიაც ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი ორიოდე გოჯ მიწაზე, მაგრამ ეს დავა „ღობე შენსკენ მისწიეს“ არა სცილდება. ეს კი სასაცილო სულაც არაა, რადგან ერთ ჯამფილა მსხალზე კი არ დაობენ, არამედ ერთი მტკაველით მეტის დაბარვაზე, დათესვაზე და მოვლა-მოყვანაზე, ერთი ბეწოთი მეტ სიხარულზე. ღობე ვთქვით, თორემ ან ღობე სად არის ან მიჯნა! ეს მიჯნა მომიჯნე მეზობლების მეხსიერებაშია. თუ ორივე მეზობლის ფიქრში ნაგულვები მიჯნები ერთურთს ემთხვევიან, მაშინ წყნარად არიან, თუ არადა — დაობენ. ერთის მამულს მეორის თვალთაგან არავითარი ღობე არა ჰფარავს, ერთმანეთის ბალ-ბოსტანი თვალქვეშა აქვთ. ჯერ ახალგამონასკვულ ნაყოფს ორივეს ბავშვები ერთად ახრამუნებენ. კიტრის ბარდი ნახევარი ერთის ბოსტანშია გადაბარჯღული, ნახევარი — მეორისაში. ხანდახან მთოხნელი თოხნაში ფიქრს აჰყვება, საზღვარს გადადის და მერეღა შეამჩნევს, თავის კვალს რომ არ მისდევს.

— უყურე შენ, სად გადმოვსულვარ!..

— მე კიდევ წყალი გადმომეპარა შენს კვლებში, გახედე!..

— აბა, კაცო, მეც შენი წყალივით არ მომივიდა!..

სხვათა შორის, საზამთრო სადგომების გამო დავისას ანტარამეჯელმა გეტამეჯელს უთხრა:

— ჩვენ ბალახის დარდი კი არა გვაქვს, იმას ვფიქრობთ, დ ი დ მ ი ნ დ ო რ ს რომ მოვათავებთ, მერე სადღა გავთიბოთ.

სწორედ ამიტომ არ არის სასაცილო ორიოდე მტკაველ მიწაზე ჩხუბი.

4

სასამართლოსთან საქმის დაჭერა სოფელს ერთხელ კიდევ მოუხდა და წააგო ეს საქმეც. აღარც ყრუ იყო და აღარც დ ა თ ვ ი. ველარც გენერალმა უშველა და ველარც ღრიალბურდღუნმა. იყვირეს, იღრიალეს, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ვერც ტაბიკები დაამტვრიეს და ვერც აპეურები დაწყვიტეს.

ჩვენ ადრევე ვთქვით, რომ არსებობს მწყემსების რესპუბლიკა. ძველ ნათქვამს დავუმატებთ, რომ ამ რესპუბლიკას ხელმძღვანელობს ფერმის გამგე ზავენ ქოჩარიანი. მას ემორჩილება ცხრამეტი კაცი. რესპუბლიკის ქონებას შეადგენს ორმოცი ძაღლი, ოცი კომბალი, ათი თოფი, ოცი ნაბადი, ერთი სალამური და ათი-თერთმეტი ათასი ცხვარი. რესპუბლიკის სიმდიდრეს უნდა მივთვალოს აგრეთვე ნაკადულები, მთის მწვერვალები, მთის კალთები და ხეობები. ამათზეევა მისათვალი მაცოცხლებელი სიგრილის მომტანი ღრუბლები, თბილ ველ-მინდორთა არსებობის გამამართლებელი ცივი დღეები, ცადატყორცნილ მწვერვალთა სიგრილის ფასდამდები ცხელი დღეებიცა და ბოლოს ამ სიმდიდრის განუყრელ ნაწილადვე უნდა მივიჩნიოთ ჯაგნარში მოთარეშე მგლების თავისუფალი თემი ათი წლის ნაცნობ ბაგრატას წინამძღოლობით. ეს მტაცებლები ცხვრის ფარებს ამშვენებენ დიდებული ნაგაზებით, აზრს ანიჭებენ თოფებს,

ღამეულ კოცონებს, პაპათეულ ხრინწიან „ეჰეჰეის“ და რადგან მილიონი წლის განმავლობაში მგლებს ბუნება არ შესცვლიათ, თავისთავად იგულისხმება, რომ მწყემსებიც მწყემსებადვე რჩებიან. ამიტომ არც ის არის საკვირველი, რომ გუშინდელი სკოლის მოსწავლე როგორც კი მწყემსი გახდება, მეორე დღესვე სანაძლეოს დებს, ერთ ცხვარს მარტოკა შევჭამო, ხოლო ორი დღის შემდეგ სანაძლეოც აღარ უნდა, ისე უთევს ღამეს თავსხმა წვიმაში ელჭექისაგან გნიასშემდგარ ფარას და ის ერთი ღამე კი არა, შეიძლება სამი კვირა, ან მთელ ზაფხულსაც კი, წვიმების გადავლამდე, ვეღარ ეღირსოს ძილსა და მოსვენებას.

წვიმა ქალაქელებს უცებ უხელთებს ხოლმე. უცებ ფანჯრიდან გადაიხედავ და, ვინ საით გარბის, ვინ — საით. რა მოხდა ისეთი? თურმე წვიმა მოდის. ქალაქური წვიმა საწვიმარი მილების ხმაურია, მეტი არაფერი. ქალაქში წვიმა ტალახს არ აყენებს, უბრალოდ მიედინება და რეცხავს ქვაფენილს. ეგ არის და ეგა. ქალაქში წვიმა ისე როდი უხარიათ, როგორც სოფელში. გამხმარ-გადაყვითლებულ საძოვრებსა და დამსკდარ-დაშაშრულ მიწას წვიმა რომ დასცხებს უცებ, კაცმა სიხარულისაგან აღარ იცი, რა ქნა. მაგრამ ცა ფეხად რომ ჩამოვა, ზედიზედ ორ კვირას არ გადაიღებს, დამბალ-დაჭაობებული მიწა ფეხქვეშ გეცლება და მზემონატრებულზე ისევ ის ნაცნობი ღრუბლები გამოქუჩდებიან, მაშინ გულზე სკდები, ლამის გიჟდები კაცი. იგინები და რას იგინები! არც ერთ ქალაქელს თავის სიცოცხლეში ცა არ შეუგინებია. ან რისთვის უნდა შეაგინოს, რა ესაქმება. იგივე იქნებოდა, სადღაც აფრიკის ჯუნგლებში მიკარგული შავკანიანი ტომის ბელადი ანდა რომელიმე ამერიკელი ფერმერი შეეგინებინა. ამიტომ არც აგინებს. ერთმანეთი არ უნახავთ, ერთმანეთს არ იცნობენ, რა აქვთ გასაყოფი... ძია ავაგი კი ჩაქურუხებულ ცას რომ გახედავს, არც მეტი არც ნაკლები, ასე დაილოცება ხოლმე:

— ისევ ჩამოუშვა კალთა ამ ძაღლის ჯიშისამ, ამანა. ფუჰ, მე შენი!..

ასევე იგინება დანარჩენი ცხრამეტი მწყემსიც. ჰოდა, რაც ოთხ მწყემსს შეემთხვა, ის შეიძლებოდა შემთხვეოდა დანარჩენ თექვსმეტსაც. ოღონდ, ისინი ბინაში არ იყვნენ, სოფელში ჩასულიყვნენ. რა იცი კაცმა, იქნებ კინო მოენატრათ, იქნებ — თავიანთი ცოლები. კინოსა და ცოლების მოსურვილების შემდეგ შეიძლება მეზობლის ბაღში გადასულიყვნენ, ფეხაკრეფით მიჰპარვოდნენ და — ჰაფ, ჰაფ! — ძაღლური შეყეფებით შეეშინებინათ წაძინებული დარაჯი ძაღლი (ეს მწყემსები ხომ ძალიან ამასხარავებენ სოფლის ძაღლებს); ან შეიძლება ბინაში ოთხზე მეტნიც იყვნენ დარჩენილნი, თორემ ოთხივე ცხვარს რატომ დაკლავდნენ, მგლები ხომ არ იყვნენ! მაგრამ რადგანაც სასამართლოში ოცი კაცის გამოძახება სასაცილო იქნებოდა, ამიტომ მხოლოდ ოთხ მათგანს დასდეს ბრალი.

ერთი სიტყვით, ლაპარაკია იმაზე, თითქოს ოთხმა კაცმა ოთხი ცხვარი დაკლა.

ოთხთაგან ერთ-ერთი — ზავენ ქოჩარიანი ორი წლის წინ სასოფლო კლუბის გამგე იყო, თან სოფლის თეატრალურ დასში თამაშობდა და სცენაზე განასახიერებდა ძველი შეხედულებების მქონე მოხუცებს, ეჭვით რომ ეკიდებოდნენ კომკავშირულ სიახლეებს. მაგრამ ბოლოს მაინც რწმუნდებოდნენ

მათ აუცილებლობაში. ერთხელაც, როცა მთებში ბამბის მოყვანის ინიციატორი კომკავშირელი გოგონა ამ საქმის წარმატებაში დაეჭვებულ მოხუცს არწმუნებდა, ჰყვედრიდა, არცხვენდა და ეფერებოდა, მოხუცს ზავენს ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო: კარგი, რაღა, რა გული გამიწყალეო, უთხრა თავქარიან გოგოს, მერე დაიჭირა და სცენაზევე აკოცა. კულისებში კიდევ უფრო მაგრად ჩაკოცნა და სანამ გოგო ბამბის ზვინის წვერიდან წარმოსათქმელ მონოლოგსა ბუტბუტებდა, დაორსულდა კიდეც. კაცი იფიქრებდი, ბამბა მოუპარავსო. ზავენმა იგი სახლში წაიყვანა, ცოლად დაისვა, თავი ცეცხლში ჩაიგდო და ეგ იყო, კლუბის გამგეობასაც თავი დაანება, პირდაპირ ფერმაში წავიდა.

მეორე იშხან ანტონიანი იყო. იშხანს ალაპარაკებდნენ ხოლმე, მერე მიდიოდნენ, სხვას უყვებოდნენ და აცინებდნენ იშხანზე. არც იშხანი რჩებოდათ ვალში — ისიც მიდიოდა, ამათი ნალაპარაკევი, თავის მხრივ, სხვებთან მიჰქონდა, აცინებდა, მერე იმათ ნალაპარაკევს ისევ ამათთან მოიტანდა და ხარხარებდნენ გულიანად, მუცლები ხელით ეჭირათ. ასე რომ მთელი ქვეყანა იშხანს დასცინოდა, იშხანი კიდევ — მთელ ქვეყანას.

მესამე ძია ავაგი იყო, სამოცი წლის უდარდელა. ამ კაცმა სევდაწუხილი არ იცოდა და თმაშიც ერთი ღერი თეთრი არ ერია. ეუბნებიან, დედა მოგიკვდაო, ის კიდევ: „საწყალი დედაკაცი!.. საწყობიდან ძალლებისთვის ფქვილი გამოიტანე, ბიჭო?.. თქვენ არ გეცოდინებათ, ჯერ ისევ დედის მუცელში ვიყავი, მამა რომ მომიკვდა, ცხენმა ჰკრა წიხლი... ე-ეხ!.. ეს ცხოვრება გროშად აღარ ღირს!.. რისთვის ვიბადებით ან რისთვის ვიხოცებით?.. ბიჭო, შენს თხას, აგე, რქა თვალსა სთხრის, გაუღუნე, დაახერხე ან რაღაცა უყავი; აგე, თვალსა სთხრის“.

ძია ავაგი მუდამაც შავ თმა-წვერიან ძიად დარჩება, მისგან არასოდეს ულვაშებჩამოფანჩული მოჩალიჩე პაპა არ გამოვა.

მეოთხე პავლე იყო. მთელ ლორეში დადიოდა ამბავი, რომ პავლეს ერთხელ ათი კილო ყურძენი შეეჭამა. ჯარში რომ იყო, იმ დროს, ათას ცხრაას ორმოცდაოთხში, საქართველოს დიდ სომხურ სოფელ შაუმიანში წასულან ჯარისკაცები ყურძნის საჭმელად. ვენახის ყარაული დიდი მასხარა ვინმე ყოფილა, ჯარისკაცებისთვის უთქვამს: რამდენიც გენებოთ, იმდენი ჭამეთ, მაგრამ შესვლისასაც უნდა აგწონოთ და გამოსვლისასაც. მართლაც შესულებიც აუწონია და გამოსულებიც, პავლეს ზუსტად ერთი ფუთი ჰქონია მომატებული.

— შენი სასწორი ტყუის!

ხელახლა აუწონიათ. დანიელს — სამი, სერაპიონს — ორნახევარი, გარნიკს — სამი, პავლეს კი ისევ და ისევ თექვსმეტი კილო ჰქონია მომატებული.

— კარგი და, თუ მაგდენი შევჭამე; მაშ სად არის?.. — უჩვენებს თურმე მობოშებულ ქამარს.

— ომია, რა ვიცი, ალბათ ჭამისას საწუხ-სანაღვლო ამბებზე ფიქრობდი და იმიტომაც არ გეტყობა.

— მართალია, — დათანხმებია ცოტა არ იყოს მიუხვედრელი პავლე: — რა ვიცი, გამიგონია კი, თქვენებური ხალხი ხელგაშლილიაო და... რომელი ხელგაშლილი. ვენახშიაც კი სასწორი დაგიდგამთ, თქვე ოჯახაშენებულებო! — სწყენია პავლეს.

ეს ის პავლეა, რომელიც ომ ან

გააღვიძე, არ გაიღვიძებს და თუ არ უთხარ, დაიძინეო, არ დაიძინებს. მისი სიტყვა სიტყვაა, იტყვის: აღარ მოვწევ დღეიდანო და მართლაც თავს ანებებს პაპიროსს. მან მარტოდ-მარტოკამ, სხვათა დაუხმარებლად და შეუშველებლად, მარტო თავის მკლავზე დანდობილმა, ჯერ მზითვითა და პატივით დაათხოვა ოთხი რძალი — ომში დაღუპულ ძმათა ცოლები, მერე რიგიან-პირიანად დაასაფლავა დედა და მარტო რომ დარჩა, მალევე თვითონაც დაქორწინდა.

— თქვენს ლუსიკას, მგონი, სკოლა დამთავრებული უნდა ჰქონდეს?

— კი, მგონი, დამთავრებული უნდა ჰქონდეს, — უთხრა ლუსიკას მამამ, — დედაკაცო... ლუსიკამ სკოლა დაამთავრა?

— მაშასადამე. ჩემი აზრით, დროა.

— ჰო, ედროვება, მაშა.

— თქვენს თვალწინ გავიზარდე, ჩემზე ცუდი არა გაგიგიათრა, მგონი.

— არ გაგვიგია.

— ყურძენზე გექნებათ გაგონილი, თქვენებიანთ სერაპიონმა მომიგონა.

— არ კი მოუგონია, მართალია, მაგრამ სხვა ვინღა ვერ შეჭამს მაგდენს? — უთხრა ლუსიკას მამამ.

სიძე-სიმამრი შესანიშნავად შეეწყვნენ ერთმანეთს. მთელი საღამოობით ჩუმად სხედან გვერდიგვერდ და ერთმანეთს სიტყვას არ გადაუგდებენ. ეს კაი დარში. ხოლო თუ წვიმები წაება, ოთხ-ხუთ დღეს თავქვეშხელებამოდებულები მიწვებიან წყნარად. ზოგჯერ სიმამრი შეეხმიანება: — სხვა, რა ამბავია? — მშვიდობა, — თიბვაში რომ იცის, ისე ხვნეშით პასუხობს პავლე.

— არა, სიძე ძალიან კარგი შემხვდა, აი! — შეაქებს ხოლმე სიმამრი ხალხში.

თავის ქორწილზე პავლე სიძეც იყო, სიძის მამაც, დედაც და ძმაც, ხოლო თუ საქმეს დასჭირდებოდა, მზარეულიც. თამადა რომ „წყვილი ყვავილის“ სადღეგრძელოს ამბობდა, პატარძლის გვერდით თავდახრით მდგარმა პავლემ პატივცემულ თამადას სიტყვა შეაწყვეტინა, რათა მზარეულისთვის ეთქვა:

— ძალო, ერბო თუ დაგჭირდეს, ქვევით ჩადი, ყველის დერგთანა დგას ქილა.

ერთხელ კიდევ მაგიდებს ქვეშიდან გამოძვრა და ორიოდე სილაქი აჭამა მეზობლის ბიჭს, რომელსაც ეზარებოდა სტუმრების ცხენები შორეულ საძოვარზე წაესხა და დაედუშაყებინა.

— ხომ ხედავ, საქმეში ვიხრჩობი, თუნდა შენც ცხენით წადი, არადა — განა ფეხი მოგტყდება! — სილაქს დაურთო პავლემ.

პავლესთანა მშრომელი ბევრი არ იყო სოფელში და ოჯახიც მალე დააყენა ფეხზე. ბავშვებიც ბევრი ეყოლა და ისევ ახმაურდა ეზო-ყურე. იმ ბედუკულმართი პარსვის შემდეგ კი, როცა უამრავი ცხვარი გაწყდა, პავლე ფერმაში გაგზავნეს.

მეოთხე ქურდი პავლე იყო.

იყო, რაღა თქმა უნდა, მეხუთეც, მეათეცა და მეოცეც. მერე ცხვრის პატრონმაც მოაკითხათ. პატრონსაც აჭამეს მწვადი და იმ ოცს ოცდაერთედ ისიც დაემატა, მაგრამ ოთხი ცხვრის გულისათვის ოცდაერთ კაცს ხომ არ დასჯიდნენ. ბოლოს მწყემსებმა მგლისთვის ქეციანი ცხვრის მიგდების მამაპაპური ჩვეულება გაიხსენეს, რათა ზავნი და პავლე როგორმე გადაერჩინათ, მათ ნაცვლად კი უფრო მოზრდილი შვილების პატრონები გა-

ერიათ საქმეში, მაგრამ ყველაფერი უკვე გვიან იყო.

ცხვარი რომ ცხვარს ეძებს და ცოტა ცხვარი ბევრთან მიდის, ეს ყველასათვის ცნობილია. ერთხელ გეტამეჯელ რევაზ მოვსისიანის ცხვრები დაიკარგნენ. დაკარგვა დაკარგვაა, მაგრამ მიწა ხომ არ უზამდა პირს, უბრალოდ კარმიდამოზე და გასადევარზე რომ აღარ მოჩანდნენ, ცოლმა რევაზი საძებნელად გამოაგდო (ერთი ღვთის გარეგანიც რევაზის ცოლი იყო!), რევაზიც კვალს ჩაუდგა და ანტარამეჯის მინდვრებზე გამოვიდა. რევაზს ჯერჯერობით თავი დავანებოთ, ეძებოს თავისი ცხვარი, იხეტიალოს ხევ-ხუვებში და იაროს, სანამ ბოლოს იშხანთან არ მივა...

ჩვენ კი მანამდე ვეწვიოთ იშხან ანტონიანს, რომელიც ბინაზე უპატრონო ცხვრების გამოჩენამ ფრიად გააბრაზა. — ფუი, ეშმაკს! განვედ ჩემგან, სატანავ! — მიაწყევლა იშხანმა მაცდურს, მაგრამ ხელადვე თავი დაიმშვიდა: „ცხვარი ცხვარია, რაღა, შვიდასი იქნება თუ შვიდას ოთხი, რა მნიშვნელობა აქვს“. რა იშხანის ბრალი იყო, თავისი ფეხით მივიდნენ იშხანის დანასთან. მერე დანა მაინც ყოფილიყო მართლა, ეშმაკი იყო და დანის სახე მიეღო, ჩამოკიდებულიყო იშხანის ქამარზე და ქანაობდა; ერთხელ თავისითაც კი გაიხსნა და ბზინავდა და როგორა ბზინავდა ის ოხერი!..

ცოტა ხანში დაღამდა კიდეც. სანამ ჯერ დღე იყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა. დღისით, მოგეხსენებათ, სინათლეა, მზეა. იყურები გარშემო და ფიქრობ, რომ შენი პაპის პაპაც ერთ დროს ამ ქვაზე მჯდარა; იმ წყაროს წყალი დაულევია; აი, იქ გაუშლია სველი ნაბადი, მისი ძაღლი კი, სანამ ყინვა ძვლებში არ გაუჯდებოდა, მანამდე წოლილა თეოზე. ჰეი გიდი, ჰა! ქვაც ისევ არის, წყაროც ისევ მოლიკლიკებს, გარეთ ტახტზე იმ ნაბდის ნაფლეთებიც კია ისევ, პაპა კი აღარსად არის, წასულა; მის ადგილას ახლა იშხანიზის, პატივცემული და დაფასებული კაცი, ოთხი შვილი რომ გაუზრდია, სახლში რკინის საწოლები უდგას, ხოლო მის ვაჟს, ქალაქის პროფკავშირში რომ მუშაობს, ვაზგენ იშხანიჩად მოიხსენიებენ... ჰოდა, ამ დროს რისი ქურდობა და მამაძაღლობა, ფიქრითაც კი არ იფიქრებ იმ ოთხ უპატრონო ცხვარზე.

ეს დღისით. მაგრამ დაღამდება თუ არა, ეს ოხერი ქურდობის ფიქრიც თავისთავად შემოგიჩნდება. ისე, კარგად რომ განვსაჯოთ, არც ღამეა მაინცდამაინც საშიში. იშხანი თავს როგორმე აიძულებს და ქურდობის სურვილსაც დაითრგუნავს; ფიქრი რომ სხვა რამეზე გადაიტანოს, ავაგს ამღერებს, მის სიმღერაზე ქვეშქვეშ იხითხითებს, ხმამაღლა კი გაამხნევებს: „ჯაან, ავაგ!“ ზავენი გულს გადაიღელს და დაიწყებს: „ერთხელ ალეპოში... ალეპოში?.. ალეპო, ალეპო!.. ერთმა ძაღლმა თურქმა აუგად მოიხსენია ჩემი გვარ-ტომი. მე წავწვდი იმ წინადაცვეთილ ძაღლს ყელში...“ ავაგი სიმღერას წამით შეწყვეტს და იტყვის: „ეგ ოვანეს თუმანიანის დაწერილი იქნება, აი!“ პავლე კი ზანტად გაიბრუნებს ქედს: — „ბიჭებო, ვაითუ ძილის დროა და არაფერს მეუბნებით!“ იმ ორ შავსა და ორ თეთრ ცხვარზე კი, სიტყვა რა არის, სიტყვას არ იღებს არავინ. ცხვრები ამასობაში ბალახსა სძოვენ. მერე დაინერბებიან, დაბატკნიანდებიან, დამრავლდებიან. ერთ მშვენიერ დღეს პატრონიც მოაკითხავს

და სიხარულისგან სამადლობელ სიტყვასაც ვეღარ მოახერხებს, თვალზე ცრემლი მოადგება. ეგ კი არა და, ცასა და ქვეყანას მოსდებს, იშხანს მწვადი უნდოდა, დანაცა ჰქონდა, საკლავიცა ჰყავდა, მაგრამ არ დაკლაო; ცხვარი შემინახა და ოთხი თოთხმეტად მიქციაო. ეგეც შეიძლება, მისი გოგო იშხანმა თავის უმცროს ბიჭს უთხოვოს და დამძახლდნენ კიდეც. უნდა დამოყვრდნენ და დანათესავდნენ, მაშა! განა სხვა რიღასთვის ცხოვრობს კაცი ამ ქვეყანაზე.

მაგრამ... ავაგის ბრალია, აგრემც ამოწყვეტილა ისა! საღამოთი, როგორც კი შეიკრიბნენ და ერთად თავი მოიყარეს, სწორედ მაშინ მოიგონა — ერთხელ ბიძაჩემმა თომამ სანაძლეოზე ერთი ცხვარი შეჭამა და მერე ჭალაში ერთი დღიური ახო გაჭრაო. პავლემ კიდევ ჩაიბურტყუნა, თომა კი არა, ერთ ცხვარს ყველაც შესჭამს, თუ ძალიან მსუქანი არ იქნება, ახოს გაჭრისა კი რა მოგახსენოთ, ახლა, პირიქით, ხეებსა რგავენ, ტყეები შემცირდაო. აქ იშხანი აღშფოთდა და პავლეს მოაგონა, შენი სულგანათლებული პაპაცა და მამა-ბიძებიც დიდი მკვეხარა ხალხი იყოო; ისინი ხომ იყვნენ და, ეტყობა, არც ნაყოფი ეცემა ხისგან შორსაო. პავლეს ეძინებოდა და სანამ დაიძინებდა, იშხანმა კიდევ მოაგონა, შენს ცხონებულ მამა-პაპას ის კარგი მაინცა სჭირდა, სიტყვას იტყოდნენ და აღარ გადათქვამდნენო.

— მაგით რა გინდა თქვა? — შუა სიმღერაში შეეკითხა ავაგი.

— ახლა შენ, მაგალითად, ერთ ცხვარს შესჭამ?

პავლემ ზანტად გააახილა თვალები და წამოიწია, მთელი ცხვარი არც შემიჭამია და იქნებ ვერც შევჭამო, მაგრამ ხორცი თუ იქნება, ერთ-ორ შამფურ მწვადს დიდი სიამოვნებით გეახლებოდი ცხელ-ცხელს, ჯერ ისევ სისხლის ცვარი რომ გახდისო...

— ერთ დროს ძია თომას თუ მთელი ერთი ცხვარი შეუჭამია, იშხან, — უთხრა ზავენმაც, — ალბათ იმიტომ, რომ ტყე ჰქონდა გასაჩეხი. ახლა გასაჩეხი აღარაფერია. თუ მარტო სჭამ და არ იმუშავებ, თვითონვე აიჩეხები, ჭამა მოგკლავს. ხოლო პავლეს თუ ერთხელ ორიოდე კილო ყურძენი შეუჭამია, ალბათ იმიტომ, რომ ომიანობა იყო, ვინ იცის, ყურძენს კიდევ ნახავდა თუ ვერა.

ფილოსოფია იშხანის სუსტი ადგილია, გაჩუმდა. ასე რომ საქმე ჯერჯეობით კარგად მიდიოდა, ცხვრები მრავლდებოდნენ, ცხვრის პატრონის ქალიშვილიც იზრდებოდა, იშხანის ბიჭიც იზრდებოდა და ორივენი, ის ძაღლის ლეკვები, პირდაპირ ფერიფერნი იყვნენ ერთმანეთისა.

— მერინოსისა მატყლი, მართალია, კარგია, მაგრამ იმისი ხორცი არ იჭმება. ევროპაში, ამბობენ, მერინოსის ხორცს არა სჭამენო, — უკვე თითქმის მძინარემ წაიბურტყუნა ზავენმა.

— ეს ოხერი, აღარ დაგვაძინებთ, კაცო?! ხორცი და ხორცი, ტვინი წაიღეთ, რაღა!

ძია ავაგმაც კი გასცინა იშხანს: — ვაი, მიწამ შეგჭამოს შენ, იშხან!..

აი, სწორედ მაშინ მოხდა უბედურება, მაშინ იყო, რომ იშხანის ძალი დაპატარავდა, ისევ აკვან-ატარებებში გაიკოჭა და იშხანის დამოყვრების ამბავი ცხვრის პატრონთან შარშანდელი თოვლივით გაქრა, მაშინ იყო, რომ იშხანი ციხეში წავიდა.

— ჩემ ცხვარს უპატრონო ცხვარი

შეერია, ადგილობრივი ჯიშისა, ნამდვილი სამწვადე, ჰოდა, მიწამ, გაუშვი, ისევ შენ შეგჭამოს, ავაგ!

თქმა იყო და, სიბნელეში ხელადვე გაისმა, თუ რა სისწრაფით ჩაიცვა ზავენმა ჩექმები, ჩაცმის უმალ წამოხტა და მოკლე-მოკლე ბრძანებანი დაარიგა: — ავაგ, შამფურები დათალე! იშხან, ცეცხლი გააჩაღე! პავლე, წყალი შემოდგი! — მერე კი, ალბათ ოვანეს თუმანიანიდან, ხმამაღლა, არტისტულად წარმოთქვა: „მე მივწვდი იმ წინადაცვეთილ ძაღლს ყელში და დავახრჩე, აი, ასე...“ წარმოთქვა ესა და შევიდა ფარაში.

საქმის ასე შეტრიალებამ იშხანი გამოაცოცხლა.

— რეები არ იცის ჩვენმა ზავენმა, კაცო! ათ უმაღლეს დამთავრებულს ერთად ჩაისვამს ჯიბეში! „ერთმა ძაღლმა თურქმა შეურაცხყო ჩემი ერი... მე ვტაცე...“ ხოლო მერე როგორღაა, როგორ ამბობს ზავენი? ჰო, „მოკვდი, კეისარო!..“

დანარჩენი თვალის დახამხამებაში მოხდა, როგორღაც აგზნებულად და ამავე დროს ყუჩად. მხოლოდ იშხანი თუ გაიმეორებდა ხანდახან აკვიატებულ ფრაზას: „ერთხელ ალეპოში იმ წინადაცვეთილ ძაღლს ყელში ვტაცე ხელი...“ (შემდგომ, დაკითხვაზე, საწყალმა იშხანმა ვერა და ვერ მოიგონა ალეპოს სახელი; აგინა თავისი მამა, რომელმაც იმდენი განათლება არ მიაღებინა იშხანს, რომ წესიერი პასუხის გაცემაც შესძლებოდა და გამომძიებლისთვის ჩვენება არ მიეცა, თითქოს ზავენს ასე ეთქვას: „ერთ დროს კატა ჭონი იყო, ძაღლს კი ქუდი არა ჰქონდა... საქმე მიდის მდივანბეგთან“)[1].

[1] ო. თუმანიანის ლექსიდან „ძაღლი და კატა.“

სანამ პირველი შამფური მთლიანად არ შეჭამეს, მანამდე ხმა არავის ამოუღია. მერე ზავენმა დაილაპარაკა: „მე ჩემ სიტყვაზე ვდგავარ. ადგილობრივი ცხვრის ხორცი მეორენოსისას სჯობია“. მთელი მათი ლაპარაკი ეს იყო. მერე ძაღლებმა საკაცო ყეფა ატეხეს. ძაღლების მოუსვენრობა ამათაც გადაედოთ და ახლალა ჩახვდნენ, რომ, რაც ჩაიდინეს, სხვა არაფერი იყო, თუ არა ქურდობა. უდარდელმა ავაგმა გაკვირვებით დაუსტვინა, ხოლო მძახალ იშხანს მწვადი პირზე შეაცივდა.

— იაგო, იაგო, ახ, იაგო! — განაგრძო ლეჭვა ზავენმა, როცა ბნელში მოახლოებული მწყემსის ხმა გაირჩა და კაციც გამოჩნდა.

— ოჰო, ბიჭებს ქეიფი გაუმართავთ, — ცეცხლთან მოვიდა ტელეფონ-საქო, — მოდით, ბიჭებო, მოდით, დიდი ჭამა-ყლაპვაა აქა, — გაეხმიანა უკან მომავალ მწყემსებს, — ერთი, მეც მომაწოდეთ, ვნახო, რა არის, რა არა!

იშხანი არ დაიბნა, ყველაზე საუკეთესო ნაჭერი ამოურჩია და ზედ ცხვირთან მიუტანა საქოს: „ჭამე, საქო, ჭეშმარიტად ნაქურდალია“. შამფურისკენ გაწვდილი ხელი საქომ უკანვე წაიღო... „არც სირცხვილი გაწუხებთ და არც შიში, ეგ არის, რაღა... მაშ, არა ჰფიქრობთ, რომ?..“ იშხანმა შამფური თვალებთან შეუთამაშა. „არა, არ გამოვა, ე, არ გამოვა ეგა!“ — გაბრაზდა საქო.

— „მე, ეე, საქო ვარ, — იქით გამოცოცხლდა ძია ავაგი, — დღიუნზე შეხვენნილი ხობლის ბურთი თუ მექნა, შევჭამ, ის არ მექნება და, ძაღლის მძონს შევჭამ, რადგან მე, ეე, საქო ვარ, საქო!“

— მაგ შენი წვეულებანდ ბიწამ გი-

ყოს პირი, მიწამ! — ცეცხლთან წამოყუნტდა საქო.

— შეი წვეიანად მიწამ გიყოს პირი, მიწამ... ამბენი ვჭამო, რო გახენქვაზე ვიყო... — კიდევ უკბინა ძია ავაგმა.

მერე ცეცხლს სხვებიც შემოეხვივნენ.

— ამათ მარილა ღრეობა ჰქონიათ!

— ოლონდ... ენა რა მუცელში ჩაგვარდნიათ?

— ქურდობაა.

— თუ ქურდობაა, ბარემ რიგიანი ქურდობა იყოს!

ბევრს, ოც კაცს ერთად, სხვა როდის რა უფიქრია ჭკვიანური, რომ ახლა ეფიქრათ. როცა ბევრნი ყრილობენ, ბევრის ერთობლივ ხმაურში იკარგება ქურდობა, სირცხვილი და მსგავსი თაქიზი ცნებანი. ასე რომ ეს ჩვენი მწყემსების რესპუბლიკა კარგა მაგრად გამოძღა ცხვრის ხორცით. დანარჩენი ცხვრები ვინღა დაკლა, ეგეც ვერ გაიგეს. ოთხივე დაკლეს თუ ორი, მაგის გამგებიც არავინ იყო. ერთი სიტყვით, რჯულზე დაძღნენ.

შუალამისას ძაღლებმა ისევ ატეხეს საკაცო ყეფა.

— მშიერი გვესტუმრებოდა ვინმე, მოვიდეს, ჭამოს იმანაც!

გეტამეჯელი რევაზ მოვსისიანი იყო. ისიც გამოაძღეს და გაგზავნეს. შორს რომ გავიდა, მაშინღა დაიძახა:

— ბიჭებო, მანდ დამავიწყდა მეთქვა, ცხვარი დავკარგე, ხომ არ გინახავთ? ორი შავია, ორი თეთრი. — რევაზი საკმაოდ შორს იყო, მწყემსებს უფლება ჰქონდათ მისი ნათქვამი არ გაეგონათ ან ვერ გაეგონათ, ან თუ გაიგებდნენ, კარგად არ გაეგონათ და ამ უფლებითაც მთლიანად ისარგებლეს, რადგან არ იცოდნენ, რა ეპასუხათ. ჯერ კი შორიდან შეეკითხნენ:

— რააა?..

— ცხვარი დავკარგე-მეთქი, ცხვარი, ხომ არ გინახავთ? ორი შავია, ორი — თეთრი.

— ჰამე?..

— ცხვარი დავკარგე, ცხვარი, თვალი ხომ არ დაგიკრავთ სადმე?

— კაცო, არ ისმის, არა!

— ცხვარი, ცხვარი!

— ცხვარი?

— ჰო!

— რა ცხვარი?

— დავკარგე, არ გინახავთ?

— ხმამაღლა თქვი, ხმამაღლა!

— ... მეთქი, გაიგე?

— გავიგე.

— ცხვარი... გაიგე?

— გავიგე.

— დავკარგე... გაიგე?

— გავიგე.

— არ გინახავთ?

— ცოტა ხმამაღლა!..

— არ გინახავთ?

— რააა?

— ცხვარი! ცხვარი! ცხვარი!

— ცხვარი რაო?..

— დავკარგე, დავკარგე!

ასე კითხვა-მიგებით თანდათან ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. ბოლოს ათი ნაბიჯიღა დარჩა მათ შორის და ახლა უკვე სირცხვილი იყო ყვირილიცა და „ვერ გავიგეც“.

— ცხვარი დავკარგე, კაცო, ის უპატრონო! ოთხნი არიან, ორი შავი, ორი — თეთრი. აქეთ ხომ არ წამოვიდნენ-მეთქი, აგრემც ოხრად დარჩომილან ისინიცა და იმათი ნარჩენ-ურგებიც, ყელი გავიხიე კაცმა!

— რად გინდა, ცხვარს რომ ინახავ?

— ორი დღეა, ჩამოვწყდი კაცი!

— მოდი, დაისვენე, სადღა მი-

ხვალ? — მერე უთხრეს, ცხვარი ახლა რომც იპოვო სულ ერთია, ხვალ მაინც დაკარგავო. რად გინდა, რომ ინახავ, ისეთ რამეზე უნდა გადაცვალო, სადაც დატოვებ, იქავე დაგხვდესო. ძროხას, კამეჩსა თუ ცხვარს რას აქნევთ, რატომა ჰყოლილობთ, მეტი საქმე არა გაქვთ, კაცო? თიბვა არ გეყოფათო? აგერ, ოცი ვაჟკაცი ვართ, ორმოცი კიდევ ძალი გვყავს, ეს ამოდენანი ორი ათასი ცხვრის მოვლას ვერ ავუდიგართ, შენ კიდევ, ეს ერთი კაცი, თანაც ასეთი კეთილსინდისიერი კაცი... ეეჰო! ორიოდე დღე ვცოცხლობთ ამ ქვეყანაზე, თავს რაზე იტანჯავ... ეგეთი კარგი და მაინც არა გყავდესო. გარე სოფლებიდან მოყვანილი რამდენი რძალი გვყავს ანტარამეჯში, მაგრამ შენი დისთანა მეოჯახე ერთიც არ არისო. ისიც მოაგონეს, რევაზის ბებიამ რომ ანტარამეჯის ეკლესიაში ერთხელ ერთი მამალი მოიყვანა შესაწირავად, მაგრამ საწყალმა არ იცოდა, ვისთვის დაეკვლევინებინა. ბოლოს ავაგი მიეშვა და დედაბერს მამალი დაუკლა. კაი დედაკაცი იყო, რევაზ, დედაშენი, რა ერქვაო?.. ლუსერესი? მართლაც რომ პირნათელი[1] იყო ცხონებულიო. რისგან მოკვდა? აფსუს! შერე, ექიმებმა ვერაფერი უშველეს? ეგრეა, კარგები უწინა კვდებიანო. ბოლოს შეეკითხნენ, შენი მეზობელი როგორ არის, ავეტიქაო. რევაზმა: ეგეთი მეზობელი მე არა მყავსო. როგორაო? ჩვენ კარგად ვიცნობთ და დანამდვილებით ვიცით, ავეტიქა ჰქვიაო.

— იქნებ ავანესზე ამბობთ?

— ავანესზე, კაცო, ავანესზე, მაშა! ჩვენც ავიხირეთ, ავეტიქა და ავეტიქაო! ავანესი, აბა, კაცო, ავანესი!..

იმისი ფული გვმართებს, იმ დღეს რაიონში დაგვჭირდა და ვესესხეთო. თუ არ შეწუხდები, რევაზ, მოდი, ეს ფული...

— ჰაი, ძაღლიშვილებო, ვაითუ ჩემი ცხვრის ხორცით გამაძღეთ?!

— გაძეხი კი, რევაზ?

— ძალიან!

— ეგეც შენი საოგებელი, რევაზ! ქალაქში რომ წაგესხა გასაყიდად, მწვადს ვინღა გაჭმევდა? ასე არა სჯობია, აქავე დაჰყიდე და მოიშორე, რევაზ?

— ჰაი, თქვე ქურდო მამაძაღლებო თქვენა, მე ჯანი გამვარდეს და, ჩემმა ცოლმა რომ ჰაი-ჰუი ატეხოს, მაშინ რაღა ვქნა?

— ერთი-ორი სიფათში და იმისი ჯანი!

5

ანტარამეჯში ასეთი რამე ადრეც მომხდარა. თვრამეტ-ოციან წლებში საოგისსა და ეგორს მინდორში ასატურის ხარი დაეკლათ. „თუ ძმა ხარ, დაოვები ხომ არ იყავით, მთელი ხარი შეგეჭამათ“, — იცინოდნენ სოფელში ხუთიოდე წლის შემდეგ. „განა საჭმელად დავკალით? გავიგეთ, ასატური დაშნაკცაკანიაო და იმიტომ დავუკალით“, — თავს იმართლებდნენ ისინი ხუთი წლის შემდეგ, როცა ერთი უკვე სოფლსაბჭოს თავმჯდომარე იყო, მეორე კი — ფინაგენტი. მართალს ამბობდნენ, რაღა თქმა უნდა — დაკლეს, რადგან უნდოდათ დაეკლათ.

— მგონი, კოჭლობდა კიდეც ის უპატრონო, — ლაპარაკში ეთქვა ერთხელ ეგორს.

აი, მართალი თუ გინდათ, ეს არის.

[1] ლუსერეს — სიტყვასიტყვით თარგმნი: პირნათელი.

ხარის დაკვლა სდომებიათ და სოფელში, გუთანზე გაზრდილ ბიჭებს მისი სიკოჭლე მოუმიზეზებიათ, ეს რაღა კვალის გადამბრუნებლად გამოდგებაო, ხორცად თუ ივარგებსო. ასე იყო თუ ისე, დაუკლავთ და კაი ცეცხლშიც ჩაცვივნილან. დაბნეულებსა და აღელვებულებს თურმე აქნილი ხარი ეგორის მამის გომში დაუკიდიათ, აქ ვერავინა ნახავს და გადავრჩებითო, მაგრამ როცა ხელპირი დაუბანიათ, დანაშაულის კვალი მოურეცხიათ და თავ-თავის სახლებში წასულან, აი, მაშინ მომხდარა, რაც მომხდარა.

იმ გომში, სადაც აქნილი ხარი ეკიდა, თავი მოუყრიათ მთელი ანტარამეჯის კატებს, ისე რომ კატების რაოდენობით დაადგენდი, თუ რამდენი კომლი ჰყავდა მრევლში ანტარამეჯელ ტერტერას. ამტყდარა ერთი კნავილი, ერთი ჭყავილი და ჩხუბი კატებისა. ბოლოს და ბოლოს ეგორისა და სარგისისათვის ციხეში უკრავთ თავი, ციხიდან ყარსის ფრონტზე გაუგზავნიათ, საიდანაც როგორლაც მოუხერხებიათ და მთებში გაქცეულან.

ეგორი და სარგისი დღესაც ცოცხლები არიან, პენსიას იღებენ, მოუსვენარ ბავშვებს ყურებს უწევენ და თან ასე არიგებენ: — შენი მამაპაპა, გაიგე, იმისთვის კი არა ღვრიდა, გაიგე, სისხლსა, რომ შენ მოსდგე და სკოლის ფანჯრები ამტვრიო; მასწავლებელი რომ გეუბნება. წესიერად მოიქეცი. წესიერად უნდა მოიქცე, გაიგე?

სოფელს გადავიწყებულიც კი ჰქონდა ეს ამბავი, მაგრამ ახლა, როცა მწყემსების რესპუბლიკა სამართალს ჩაუვარდა ხელში, ეგორისა და სარგისის ძველი ცოდვებიც იმიტომ გაიხსენეს.

— ერთი სიტყვით, იმ კატების ბრალი ყოფილა, თორემ დაშნაკები ვერ დაგიჭერდნენ, არა, ამხანაგო ეგორ?

— აბა, კაცო!

*

მეორე დღეს, სოფელში რომ ჩამოვიდა, იშხანმა ცოლს ხორცი ჩამოუტანა. ერთი ბრიყვი დედაკაცი კიდევ იმასა ჰყავდა, აიღო და ხორცი მეზობელს მისცა. მეზობლის ვაჟი, მილიციელი არშო, ის-ის იყო ქალაქიდან ჩამოსულიყო. ხმა დადიოდა, არშო სამსახურიდან მოუხსნიათო. ქრთამი აეღო თუ რა ეშმაკი ექნა, რაღაცეებს ლაპარაკობდნენ სოფელში.

— რად მინდა, — ამბობდა არშო, — დავრჩები სოფელში, გავალ ნახირში, ვიქნები ლამაზად სუფთა ჰაერზე. აქაურები ჩემზე უარესი რით არიან ვითომ?! — თან ჩექმის წვერებზე დაიცქირებოდა. — ახლა ერთი კაი მწვადს შევწვავთ და ახალ ცხოვრებას შევუდგებით. ერთი ეგ არის, ხორცი გვაქვს ცოტა.

იშხანმა უთხრა, მეტი აღარ დაგვრჩა, თორემ, რომ გვცოდნოდა, შევინახავდით ხორცსაო. ხორცზე მეტი რა გვქონდა, ტელეფონ-საქმე იმდენი ჭამა, მთელი დღე ლოდებს უკანიდან არ გამოდიოდაო.

— მაშ, საქოს ექნება სახლში.

— არა, არა აქვს. აბა, სახლისთვის რომ შემოენახა, ქვა-ლოდებს უკან რაღა ესაქმებოდა.

— მაშ, იმას ექნება, ვინც დაკლა.

— ბიჭო, არავისაც არ დაუკლავს, მე დავკალი და ისიც შეცდომით, რევაზისა ყოფილიყო... კინალამ შევრცხვით, მაგრამ კაი კაცი გამოდგა, ფული მივეცით და წავიდა თავისთვის. ეგ კი არა და, მაღლობელიც დაგვრჩა.

არშო ილიმებოდა. მერე უცებ ღიმილი მოისხიპა და გაფაციცებით მიუგდო ყური. წამის შემდეგ კვლავ გაიღიმა, მაგრამ ეგ ღიმილი უკვე ალარ მოეწონა იშხანს.

— მაშასადამე, რევაზის ცხვრები შენ დაკალი, საქომ კი იმდენი ჭამა, რომ მთელი დღე ქვას მოფარებული იჯდა, ჰა? — და მხარზე გადაგდებული ქურთუკი ჩაიცვა.

— ჰო, რა... — იშხანს ცუდად დაუწყო გულმა ძგერა. — შემოდი, შეჭამე რამე, არშო-ჯან, ქალაქიდან ჩამოსული კაცი ხარ, სოფლურ რამეებს დანატრებული იქნები, ცხვრის მაწონი გვაქვს.

არშოს თავპატიჟი არ დაუწყია. შინ რომ შედიოდა, ძაღლი ფეხებზე მოეხვია, მიელაქუცა. არშომ ძაღლს სახელით დაუძახა, თითქოს დაიხარა კიდეც, მიეფერა და შევიდა სახლში. შინ შესულმა აკვანში ჩაკრულ ჩვილს უჩქმიტა და სათამაშო ცხვირის პირდაპირ ჩამოუკიდა აკვნის ხიდზე: კუკუ! — ბალლს ნიკაპზე თითი დააჭირა და... — ჭიტა, კოკოჭინავ, ჭიტა!.. მაშ, ჯერ ითხნი იყავით: შენ, ავაგი, პავლე, ზავენი. მერე დანარჩენი თექვსმეტნიც მოვიდნენ?.. აფსუს. რომ მე ვერ შემოგესწარით იმ დროს! ალბათ არიფანაში მწვადი უფრო გემრიელია. არა?... ჰა-ჰა-ჰა-ჰა, მაშ, იმდენი ჭამა, რომ ქვის უკანიდან ალარ გამოდიოდა, ჰა?.. ერთი სიტყვით, საქოს კუჭის საქმე კარგად ვერა ჰქონია, ჰა, ძია იშხან? — სერიოზულად დაინტერესდა არშო.

სიტყვა-ლაპარაკიც ანტარამეჯელისა ჰქონდა, ძაღლსაც ანტარამეჯელივით მიეფერა: წყალი რომ დალია, პირიც ნალდი ანტარამეჯელივით — ხელისგულით მოიწმინდა, მაგრამ მისი სიცილი კი იშხანს მაინც არ მოეწონა. ის ანტარამეჯელი კაცის სიცილი არ იყო. ანტარამეჯელი, ჯერ სიტყვა არ დაგიმთავრებია და უკვე ხარხარებს, რადგან მისი აზრი ხელად იჭერს სიტყვის საბოლოო დასასრულს, უფრო სასაცილოსაც კი, ვიდრე სინამდვილეში შეიძლება ჰქონდეს.

ხუთი წუთის შემდეგ არშო უკვე რაიცენტრში ურეკავდა, სასოფელ-შორისო სატელეფონო სადგურის მორიგე ტელეფონისტ ქალს აჩქარებდა, თავზე ცეცხლს აყრიდა.

— იცოდე, ფელეტონში გამოგაჭენებ, შე ბრიყვო, შენა! ლუკმაპურს გავაწყვეტინებ შენთვის, შე შტერო, შენა! არ გაბედო გათიშვა, არ დაიდო, თორემ... რისი გამკეთებელი ხარ, ოცი წელია ერთ ადგილზე დევხარ და მაგისთვის მედალი გინდა?..

და უცებ სახე, ხმა, გამომეტყველება ისეთი რბილი, მორჩილი გაუხდა არშოს, იფიქრებდით, აგერ, ახლა რომ გამოთათხა, ეს ქალი შემთხვევით ბიცოლამისი ხომ არ არისო.

— ნება მომეცით, ამხანაგო მაიორო...

ვითომ — როგორ გაბედა არშომ და სოფლიდან, ანტარამეჯიდან, ცუდად მომუშავე ტელეფონით... თანაც, წინასწარი ნებართვის აუღებლად, კაბინეტში დაურეკა მას — ამხანაგ მაიორს...

— ნება მომეცით, ამხანაგო მაიორო, მოგახსენოთ...

*

ეს იყო ნამდვილი დევნა დევნის ყველანაირი კანონებით. ასე სდევნიდნენ ძველად წითელი მილიციის რაზმები კულაკთა შვილებს და თავადაც იდევნებოდნენ დევნილთა

ყველა კანონით. მაგალითად, ცხენებს უკულმა ნალავდნენ.

მილიცია რაიცენტრიდან გამოვიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ეძება და ბოლოს იპოვა სოფელი გეტამეჯი; რუკაზე შეამოწმა, რომ ნაპოვნი სოფელი მხოლოდ გეტამეჯი ყოფილიყო და არა სხვა რომელიმე; მერე დიდის ძიებით დაადგინა, იმავე გეტამეჯში რა ადგილას იდგა რევაზ მოვსისიანის სახლი, გომი და გომს რომელ მხარეს ება კარი. რევაზისა (დაკარგულად მიჩნეული ცხვრების პატრონმა რევაზ მოვსისიანმა გადაჭრით განაცხადა, კარგად არ მახსოვს, საერთოდ ცხვარი თუ მყოლია ოდესმეო) და განსაკუთრებით მისი ცოლის დაწვრილებითი დაკითხვით გაარკვია, რომ ორი დღის წინ, ა/წ. აგვისტოს 27-ს, დაახლოებით ხუთ საათზე, ყოველ შემთხვევაში — არა უადრეს ხუთის ნახევრისა და არა უგვიანეს ექვსის ნახევრისა, დაიკარგა სოფ. გეტამეჯის მცხოვრებ მოქალაქე რევაზ გევორქის ძე მოვსისიანის ოთხი ცხვარი: ორი — ოთხი წლისა, ერთი — სამისა, ერთიც — ორისა; ორი — თეთრი და ორიც შავი, ადგილობრივი ჯიშისანი; ერთი — ორი წლისა — მფრთხალი, სამნი კი — წყნარი ბუნებისანი (სწორედ პირველის მიზეზით, — მხედველობაში ვიღებთ რა დაკარგული ცხვრების პატრონის, დიასახლისის, თაგუჰი მამის გვარით კარაპეტიანის მოსაზრებას, — დაიკარგა ზემოთხსენებული ოთხი ცხვარი პატრონის ეზოდან).

ამის შემდეგ მაძებარ ძაღლს გომში ცხვრის სუნი ააღებინეს და კვალს დაადგნენ. ძაღლი კვალს მიჰყვა. ჯერ გომს შემოტრბინა გარშემო. მერე მივიდა და სახლის კარი დასუნა (ოქმში აღინიშნა, რომ ცხვრებს გომისთვის გარშემო შემოუვლიათ), მერე ტაშტი დასუნა, („ცხვრებს საოჯახო ტაშტიდან წყალი დაულევიათ") და ისევ გომთან დაბრუნდა. აქედან გაითრია თავისი მწვრთნელი სერჟანტი და შუა სოფელში კანტორის კარებთან ვაიყვანა, იქ ფრენბურთის მოთამაშე ბიჭების ბურთს დასცა პირი და დაიყეფა. ძაღლის წამყვანმა სერჟანტმა ძაღლი დაარწმუნა, ბურთი პატრონებისთვის დაებრუნებინა და ძაღლიც დარწმუნდა. მერე ძაღლმა სერჟანტი კლუბისაკენ გაქაჩა, ღია კარებში შევიდა, დასუნა „შერლოკ ჰოლმსის ჩანაწერები", ისევ გარეთ გამოვიდა და მესაჭე სერჟანტი ახლა თხევადი საწვავის საწყობებისაკენ გაიყოლია, იქიდან კი რაიცენტრში მიმავალ შარაზე გაიყვანა. ერთი სიტყვით, მისი ნება რომ ყოფილიყო, ბენზინის სუნზე ქვალაღებული პირდაპირ რაიონის ცენტრში, სადგურის ცისტერნებთან ჩაგიყვანდათ და იქნებ იქ ათასი და მეტი დეკალიტრი დანაკლისიც აღმოეჩინათ, მაგრამ სერჟანტმა ასეთი სისულელის ჩადენა არ დაანება. ისევ ანტარამეჯის გზას დაადგნენ. სერჟანტი წინ მიდიოდა, ძაღლს ეჭაჩებოდა და ძალით მიითრევდა. ძაღლის უკან გეტამეჯელი ბავშვები, ბავშვების უკან კი გამომძიებელი ლეიტენანტი მიდიოდა. სერჟანტი და საგამომძიებლო ჯგუფოფილების გამომძიებელი აკოფიანი ასე, ერთმანეთის მიყოლებით ბოლოს, როგორც იქნა, ავიდნენ ანტარამეჯის მთებში. ავიდნენ და, რაკი უკულმა დაჭედილი ცხენებით გამჭცევი არავინ ჩანდა. შედგნენ ცეცხლის ნანთებთან, სადაც იშხანი სწორედ იმჟამს ერთი საოცარი საქმით იყო გართული — ცდილობდა როგორმე წამოეჭცია ერთი უზარმაზარი ხარი.

— გამარჯობათ.

— სწორედ დროზე მოხვედით, თორემ უკვე იმედი გადამიწყდა, ამ ხარს მარტოკაც მოვერევი-მეთქი, — თქვა თავის საქმეზე თავჩაღუნულმა იშხანმა. მას არც კი დაუნახავს ვინ მოვიდა, მაგრამ რაკი ხმა კაცისა იყო, მაშასადამე, კაცი მოვიდოდა ვინმე. იშხანს კი სწორედ კაცი სჭირდებოდა ახლა მშველელად. სულ იმ ძაღლისლეკვი სანოს ბრალია ყველაფერი, იშხანმა უთხრა: — სანოჯან, მოდი, ეს ერთი დღე ცხვარს მიმიხედე, საქმეზე ვარ წასასვლელი. წავალ, მოვითავებ და მოვალო. კიო. შენ წადი, მამი. ნურაფრის ჯავრი ნუ გექნება, ცხვარს მე მოვუვლიო. ეს არის შენი მოვლილი, შე მამაძაღლო? ცხვარი, კი ბატონო, არაფერი მეთქმის, კარგად დამახვედრა. მაგრამ ეს ხარები — დუმბო და მახნო?.. ჩაურეკავს დაბლა ახოიანში, ტყისმცველის კარტოფილში და დაუძღია ერთი მაგრად. „მამი, გახსოვს, სახლს რომ ვაშენებდით, სამასალე კავ-კოჭი დავჭერით ტყეში, ტყისმცველმა კი მასალაც თავისთვის წაიღო და თან დიდი გულითაც იყო? უხ, მე მაგისი ლოთი... ვისაც არა მგონია, ხელებში შეჰყურებს, იქნებ ერთ ლიტრა არაყს გამოვრჩეო. ის არ უჯობს, თავის კარტოფილს მიხედოს, რომ გადალალანებულს სულ ორთქლი აყრია?“ აი, შენ აორთქლდი, სანო, აგრემც!.. თუმცა კი, რაღა თქმა უნდა, ჩემი შვილი ხარ, მაგრამ მაინც ნაბიჭვარი ხარ და მეტი არაფერი. შენს ასაკში მე როგორ გავბედავდი, ტყისმცველისთვის ქეშად შემეხედა. იმ ტყისმცველს რა ენაღვლება, კარტოფილი ოთხმოცდაათგან უთესია, ხარები კი, აი, დაიბერნენ და გასკდომაზე **არიან.**

— მოდით, თქვენცა ნახეთ, რას ვაკეთებ, — თქვა იშხანმა. იგი მარტოდმარტო ცდილობდა მთასავით ხარის წამოქცევას და გადაბრუნებას, რომელიც ტონაზე მეტი თუ არა, ნაკლები აღარ იქნებოდა.

სანამ ლეიტენანტში მიხმარების სურვილი დაიბადებოდა, ჯერ ჩევრი რამ უნდა დაეძლია. ერთი რომ, იგი კანონის დამცველი იყო, იშხანი კი— კანონის დამრღვევი, ხოლო კანონის დამრღვევიც რომ არ ყოფილიყო, ეს მაინც ლეიტენანტი იყო, იშხანს კი სამხრეები არა ჰქონდა, იმით მაინც მიხვედრილიყავი, რა იყო და რას წარმოადგენდა; ყოველ შემთხვევაში, ლეიტენანტი არ იყო. მეორე კიდევ, ლეიტენანტს ჯერ უნდა ეფიქრა, რომ ეს ფეხის ფრჩხილებამდის დაძაგრული კაცი ცოდოა, რადგან ეჭიდება თავისზე ოცჯერ მეტ სიმძიმეს, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს ხარის გაძალიანება. მესამეც, ლეიტენანტს უნდა ეფიქრა ისიც, რომ ეს ხარი მხოლოდ ცარიელი ხორცი კი არ არის, არამედ ხარია, ძალაა, სილამაზეა და აგერ, ეს სილამაზე მახინჯდება, იღუპება, გაბერილობისაგან სკდება. ამის გარდა, მეოთხეც, ლეიტენანტს უნდა ეფიქრა, რომ თუ ეს ხარი მოკვდება, ამ მელოტმა, საფეთქლებგაჭალარავებულმა და გაუპარსავმა კაცმა ისეთივე მძიმე საზღაურით უნდა ზღას, რა სიმძიმისაც ეს ხარია. არადა, ლეიტენანტს უნდა დაეძლია მიხმარების სურვილი ამხანაგ უფროსის შესაბამის გადაწყვეტილებამდე. ისე კი მისთვის ნათელი იყო: ახლა საჭირო იყო ხარის წაქცევა, დანარჩენი მერე გაირკვეოდა. იშხანს, რაც ჭკუასთან ახლო იყო, ყველაფერი უკვე გაეკეთებინა — რქებში თოკი ჩაება, პირ-ცხვირი ამოეკრა, ხარის უკანა მარცხენა ფეხზე შემოეტარებინა და ახლა

თოკს მარჯვენა მხარეს ექაჩებოდა. დანარჩენი ღონეზე იყო დამოკიდებული, აქ ღონე იყო გადამწონი. თუ არ ღონე, აქ სხვა ვერაფერი გამოგადგებოდა. ვერც ის, რომ, ვთქვათ, შენ იშხანი ხარ, გაქვს დაწყებითი განათლება, იცი, **რა არის** რუკა და რუკაზე კიდევ სსრკ-ს პოვნა შეგიძლია; ვერც ის, რომ მეტ-ნაკლებად გარკვეული ხარ საერთაშორისო მდგომარეობაში და, არცთუ მთლად კარგად, მაგრამ ასე თუ ისე მაინც იცი, ვინ არის ოვანეს თუმანიანი. აქ, სულ ცოტა, ხუთი წუთით, იქნებ ათი წუთით, თუ მარტოდმარტო შენი თავის ამარა იქნები, შეიძლება ერთი საათითაც, შენ უთანაბრდები ხარს, იზომები მისი საზომებით. და თუ გატეხე მისი წინააღმდეგობა, თუ დაამარცხე, მხოლოდ მაშინ იქცევი კაცად, იშხან, შენი ოვანეს თუმანიანითა და რუკიანად. ეს — როცა მარტო ხარ, ხოლო სამნი თუ ხართ, წუთის საქმეა.

— სხვა, მაგაზე უფრო ადვილი ხერხი არ იცი?

— როგორ არა, — ამოიხვნეშა იშხანმა, — მოდი, მიშველე, ორნი ვიქნებით და უფრო ადვილი იქნება.

ლეიტენანტი მოწყვეტით მივარდა და წამში მხარზე მოიგდო თოკი. მას ჯერ ცხოვრებაში თოკი არ გაეწია და არცთუ ვინმეს ესწავლებინა, ღონივრად რომ დაქაჩო, ბეჭზე მოგდება უმჯობესიაო, მაგრამ თოკს მაინც წელი მიუმარჯვა. ეს ალბათ ღონივრად გაწევის ერთ-ერთი ხერხია და კაცსაც თავისთავად მოგივა აზრად, სხვანაირად კი არა, სწორედ ასე გაქაჩო.

— გავწიეთ!

— შენ კისერი, კისერი... კისერი მოუგრიხე... დაუღუნე! დააწექ!.. ჰოპ!.. დაიჭი!.. იცოცხლე!.. უუუპ!..

ერთ წამს გაქვავდნენ და ხარიც ამოტრიალდა.

— მორჩა! — ლეიტენანტი გვერდზე გადგა, რომ კარგად დაჰკვირვებოდა იმ საქმეს, რისგან მონიჭებული თავისებური სიმძიმე, სიამოვნება, განსაკუთრებულობა და გარკვეულობაც მანამდე არც ერთი საქმისგან არ უგრძვნია.

— თითქმის... მორჩა! — ამოიხვნეშა იშხანმა, — მაგრად დაიჭი! — მან თოკის ბოლო სერჟანტს მისცა ხელში, — ამას დაეხმარე, მარტო გაუძნელდება! — მერე ხარს უკანა ფეხები შეუკრა და თოკის წვერი ლეიტენანტს დააჭერინა, — არ გაუშვა, რაც უნდა იქნიოს, არ გაუშვა! — თვითონ კი გახსნა დანა, მჯილზე გაისვ-გამოისვა, ხარს მუცელზე ის ადგილი უპოვა სადაც ძარღვშეყრილობა თხელია, და უცებ ტარამდი ჩასცა, — მაგრად დაიჭი, არ გაუშვა.

ხარის პირველმა შეტოკებამ ლეიტენანტს მკლავი მოაგლიჯა. მეორე შეტოკებამ დაარწმუნა, რომ მკლავი კი არ მოჰგლეჯია, ისევ მხარზე აქვს მიბმული, მაგრამ სტკივა. ლეიტენანტი გაიჭიფხა და ფეხები ისე მიაბჯინა მიწას, გეგონება, ბადეს ეზიდებაო. იშხანმა დანა ნელა-ნელა გამოაძრო და ხარს ჭრილობაში ლერწმის ღერი შეუყვანა. თითქოს ბურთი იჩუტებაო, ისეთი შუილით დაიწყო გამოდენა ჰაერმა. იშხანმა გაიღიმა: — კარგი რამე მოვიგონე არა? მარტო ერთხელა მაქვს გაგონილი, ნახვით კი არ მინახავს. როგორ გამოდის, კაცო!..

ლეიტენანტს ეგონა, თითქოს ხარი იშხანისთვის იგივე იყო, რაც დურგლისთვის ფიცარი; თითქოს იშხანს, რაკი თავი ჰქონდა ჩაღუნული და ხარს მთლიანად ვერა ხედავდა, დაავიწყდა ხარის ხაროობა, როგორც

მიწაზე მოსიარულე ადამიანები ვერ ხედავენ მთელ დედამიწას, თუმცა ზედ კი დადიან. და ახლა უფრო მეტად, ვიდრე მანამდე, ლეიტენანტს ხარი ტონა ან ტონაზე ცოტა უფრო ნაკლებ ხორცად ეჩვენებოდა.

— აბა, აბა, უპატრონო, იმის მაგივრად, რომ მადლობელი იყო, წიხლსაც იკვრევინები? სიცოცხლე შეგინარჩუნე, შე ხარბო და გაუგებელო, შე გაბერილო, შე გუდასტვირო შენა!.. აბა, ახლა კი წამოდექი, ხაროჯან!.. მახნო! — იშხანმა თვალები მოუსრისა, — ადექი. ასე!.. ყოჩაღ!.. ნახეთ, რა რქები აქვს... ახლა მომეხმარეთ, მეორეც წავაქციოთ და — კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!

— უშველის კი რამეს ეგა? — შეეკითხა ლეიტენანტი.

— არც მე ვიცი კარგად, უშველის თუ არა, მაგრამ რაღაცა ხომ უნდა ვიღონოთ. შეიძლება არც ეს იყოს დიდი რამე, მაგრამ სულ რომ გულზე ხელები დავიკრიბოთ, მაშინ სულ აღარაფერი გამოვა.

— მაშინ წავაქციოთ, — თქვა ლეიტენანტმა და თოკი აკრიფა.

— ეს დუმბოა, ცოტა არ იყოს გიჟია და მახნოზეც უფრო ღონიერია.

ხარს რომ კისერს ულრეცდნენ, ლეიტენანტმა თვალი ჰკიდა იშხანის გადმოცვივნულ თვალებსა და გალურჯებულ პირისახეს, დაწყვეტაზე მისულ ძარღვებსა და წელში ჩამჯდარ-ჩაჭერილ თოკს, თვალი ჰკიდა, მოაგონდა, რა საქმეზეც იყო ამოსული მთებში და შერცხვა იმ საქმისა.

— ჰუ!..

— დაქაჩე, დაქაჩე, დაქა!.. მოჩა!..

ლეიტენანტს უკვე ეჩვენებოდა, თითქოს ამ მთებში მხოლოდ ემისთვის იყვნენ ამოსულნი, ხენეშით ემუშავათ, კმაყოფილებით ეცქირათ ირგვლივ და დასასვენებლად ჩამომსხდართ მადიანად ებოლებინათ პაპიროსი; დასასვენებლად ჩამოჯდომას ვამბობ, თორემ. აი, რა ჰქვია, საამოდ მოქანცულს რომ არც გედგომება, არც გეჯდომება, გინდა გულაღმა გადაიშხლართო, წამოწვე და არც გეწოლება, წოლაც უადგილო გგონია.

— ყოველდღე ხარებს აქცევთ ხოლმე? — იკითხა ლეიტენანტმა და კითხვაც უადგილო იყო.

მერე ცხვრის მაწონი ჭამეს. ამის შემდეგ კი უყურებდნენ, როგორ ნელ-ნელა ეჩუტებოდათ ხარებს მუცლები და მთებზე როგორ ეშვებოდა ერთი ლამაზი, წყნარი საღამო.

— მგელი-რამე არის ხოლმე? — იკითხა ლეიტენანტმა.

მერე თანდათან დანარჩენმა მწყემსებმაც მოიყარეს თავი და გახდნენ ოცდაორნი. ასე რომ შეგროვდა მთელი საზოგადოება. მაძებარი ძაღლი, დახრჩობისაგან რომ ეხსნათ, გომში ჩაკეტეს. „ესეც კარგი ცხვარი ყოფილა“, — თქვა იმ მეცხვარემ, რომელმაც კარი მიუკეტა ძაღლს. ზავენმა ერთ-ერთ მეცხვარეს რაღაც დაავალა, რითაც გამოჩნდა, რომ იგი ფერმის გამგე იყო; და... ქვეყანა ხელად დაიყო მბრძანებლებად და აღმსრულებლებად. ლეიტენანტებად და არალეიტენანტებად, დამნაშავეებად და კანონის დამცველებად. თვითონ, ანუშავან ჰაკოფიანი, ლეიტენანტია და ამჟამად მწყემსებში, რაღა თქმა უნდა, სამსახურებრივი მოვალეობის გამო იმყოფება... იგი კარგა ხანს უხერხულად

იშმუშნებოდა, მერე კი, როგორც იყო, ამოღერღა:

— რატომ არ მეკითხებით, რაზე ვარ ამოსული?

— რამე სასიკეთო საქმეზე იქნები ამოსული, რაღა? — გაიცინა ზავენმა.

ძნელი ეს იყო, დაწყება იყო ძნელი. ამის შემდეგ ქვეყანა გაიყო დამკითხველებად და დასაკითხველებად.

— თქვენი სახელი და გვარი?

— ვითომ არ იცი! — ეწყინა იშხანს, — ვითომ არ მიცნობდე!

— გიცნობ, მაგრამ კანონი მოითხოვს, დაკითხვა გვარ-სახელის შეკითხვით დავიწყო.

— ანტონიანი იშხანი. ჩემი მძახლის ცხვრები იყო და შევჭამეთ. მერე ფული მივეცით და მორჩა. ჩაწერე!

— ცალ-ცალკე, იშხან!..

— სირცხვილია, ბიჭო! — გაწითლდა იშხანი.

— სახელმწიფო საქმეა, მძახალ-მძუხალი და სირცხვილ-მირცხვილი რას მიქვია?!

— მე შენი თავი არა მაქვს! — ხელი ჩაიქნია იშხანმა და გაბრუნდა.

— სერჟანტო სარჭისიანო, მოიყვანეთ უკან!

კიტელის ჯიბის უძირო სიღრმეში, ერთმანეთში არეულ ათასგვარ ხარახურაში: სიგარეტის კოლოფსა, ასანთსა, სახლის გასაღებსა, ნამლევა ფანქარსა, უბის წიგნაკსა, ღილსა, ძაღლის ჯაჭვის ბოქლომსა და სასტვენში სერჟანტი გამალებით ეძებდა სასტვენს. როცა იპოვა, ამოიღო, იკრა პირში და დაუსტვინა. მეცხვარეებში ხარხარმა იფეთქა.

— შესდექ!

იშხანი, როგორც ჩანდა, იქავე ახლოს ქვაზე ჩამოსაჯდომად მიდიოდა.

— დადექი, გესვრი! — იშხანი არ შემდგარა, — გაფრთხილებ, გესვრი!

ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ არ ისვრიან. ასეთ შემთხვევაში მილიციელი დგება და ბუდიდან იარაღის ამოუღებლად მიირბენს დასაპატიმრებელთან. ასე რომ არც ამ ჩვენს მილიციელს უსროლია როდისმე; რაკი არ უსროლია, არც ჩვეულებად ჰქცევია, უჩვევ-უცადი რაიმე კი კაცს ხელად აბნევს და აშეშმიშებს. ან იქნებ კარგიც არის, რომ სროლამდის რამდენიმე საქმის შესრულება გიხდება: ჯერ ხელი უკან უნდა წაიღო... ბუდე გახსნა... რევოლვერი ამოიღო... ჩახმახი შეაყენო... მანამდის შეიძლება რამე მოხდეს და დამშვიდდეს კიდეც კაცი.

იშხანი ქვაზე ჩამოჯდა. რაღაც წამიერი ქვეშეცნებით მილიციელმა წარმოიდგინა, რომ ეს დაჯდომა „შესდექ“ ბრძანების შესრულება იყო. ამის შემდეგ უკვე იცი, რაც უნდა გააკეთო. მიირბენ მასთან, ხელებს გადაუგრეხ და მილიციის განყოფილებაში მიიყვან. ეს — ქალაქში, მაგრამ მთაში როგორღა უნდა მოიქცე? ინსტრუქციის არც ერთი მუხლი ამაზე არაფერს ამბობს და, აჰა, ჩვენმა მილიციელმა ღირსეულად შეიტანა ეს ახალი მუხლიც — დაჭერილს ხელი მოჰკიდა და მის პირვანდელ ადგილზე, ცეცხლთან დააბრუნა. აი, სწორედ აქ მოხდა ერთი ისეთი ამბავი, რასთანაც ლეიტენანტი კი არა, მაიორიც რომ იყო, ვერაფერს გააწყობ — მილიციელს ქუდი დაუგორდა. ქუდი მრგვალი იყო, შიგნით კიდევ ფოლადის ფურცლის რკალი ჰქონდა და ფერდაც დაქანებული იყო, ნაღდი ქუდის დასაგორებელი ადგილი. ასე რომ ქუდი დაგორდა. ხტომა-ხტომით წავიდა, იხტუნავა, იხტუნავა,

მერე შედგა, ცოტა დაფიქრდა და ყლდიდან გადაფრინდა.

— დაუსტვინე, დაუსტვინე! — ჩაიქირქილა ძია ავაგმა.

ყველანი უკან გაეკიდნენ. ქუდიშუა კლდეზე ასკილის ტოტზე ჩამოკონწიალებულიყო. ერთი სიტყვით, ჯერ იქიდან ხევში უნდა ჩაეგდოთ და მერე ხევიდან ამოეტანათ, რომ თავზე დაეხურა. ხევში რიღათი უნდა ჩაეგდოთ? ცხადია, რაიმე ბლავი საგანი უნდა მოერტყათ, ამ შემთხვევაში — ქვა. აი, აქ იყო, რომ ყველაზე ღორმუცელა მწყემსი პავლე წამში პავლე მაიორად იქცა.

— სერჟანტო სარქისიანო, მანძილი — ხუთასი მეტრი, კუთხე — ოცდათხუთმეტი გრადუსი, ცეცხლი — ორი საკონტროლო გასროლით! ცეცხლი! გაიმეორეთ!

— პლიუს! — თქვა ძია ავაგმა.

ჯერ რიგ-რიგად ესროდნენ, მერე ყველანი ერთად, ლეიტენანტიც, სერჟანტიც, მაიორი პავლეცა და ყველა მწყემსიც ერთად. ქუდი შეტოკდა, მაგრამ ასკილს მაგრად ეჭირა და ძალიანაც უხდებოდა. თავი მოიკლა და არ დათმო ასკილმა ქუდი.

ის ქუდი დღესაც იმ ასკილზე ჰკიდია, გახუნებული და დახეულ-დაბღრენძილი. ხანდახან მწყემსები თუ ჩავლენ საყურებლად და მაშინ რომელიმე ძველი მწყემსი ახლებს უყვება იმ მხიარული საღამოს ამბავს. (ქუდის შესახებ ოქმში ასეა ჩაწერილი: „მოქალაქე იშხან ანტონიანმა, როცა იგი სერჟანტ სარქისიანს აჰყავდა, მკვეთრი მოძრაობა გააკეთა, რის შედეგადაც სერჟანტ სარქისიანის ქუდი იმავე სერჟანტ სარქისიანს თავიდან მოსძვრა და ხევში დაგორდა. მისი პოვნის ყოველი ჩვენი ცდა უშედეგოდ დამთავრდა“).

ბოლოს, როგორც იქნა, ისევ დაბრუნდნენ „განყოფილებაში“ და დაკითხვაც გაგრძელდა.

— ცხვრები აქედან აოსადაც არ წასულან! — ადვილად რომ ვერ გაიცურებ, იმ კაცის ღიმილით თქვა ლეიტენანტმა.

— თავს რასაც დააჭრი, ის ველარსადაც ვერ წავა! — მიუგო მისი ულოგიკობით განცვიფრებულმა იშხანმა, — მაგას ლაპარაკი უნდა?!

— შენ მხოლოდ კითხვაზე უნდა მიპასუხო.

— ჩვენი რევაზის ცხვრები იყო.

— კითხვაზე მიპასუხე.

— კაცო, ძალიან აჭიანურებ, აი, ამხანაგო ლეიტენანტო. დავკალით და შევჭამეთ, მორჩა, გათავდა. ის კაცი ჩვენ არ გვიჩივის, ჩვენ — იმას. ასაკოვანი კაცი ხარ, ბავშვურ რაღაცეებს კი გამოჰკიდებიხარ.

— ეს კაცის ქუდსაც აოცხვენს, — დაუმატა პავლემ.

ძია ავაგმა თავისი ფაფახი ჩამოარქვა მილიციელს, უფრო სწორად — მილიციელის თავი დაიმალა ფაფახში, — ჩვენს მთებში ცივა, ბიჭო, თუ ერთი გასცივდი, მერე შენი გამობრუნება აღარ იქნება.

— თავს პატივი ეცი, ძიაკაცო, — გაწითლდა მილიციონერი.

— დაუსტვინე, დაუსტვინე. — მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდით მჯდომარე ჩუმჩუმელა ვანიმ.

— მართლა, რა იქნება, ბიჭო, ეგ სასტვენი ჩვენ გვაჩუქო? — უთხრა ძია ავაგმა.

— სასტვენი კი არა, ნაგანი, ნაგანი! — მწყემსები მისწი-მოსწია საქმომ, — ნაგანი სთხოვეთ!

— დაიშალენით! — იღრიალა ერთიანად გაწითლებულმა ლეიტენანტმა, რამდენიმე ნაბიჯით უკან მიდგა და ხელი რევოლვერისკენ წაიღო.

— მე არ გეხუმრებით, ამხანაგო ლეიტენანტო. თუნდაც რამდენიმე დღით გვათხოვე. ბაგრატა, იცი თუ არა შენა, რომ თოფს იცნობს და გაურბის, კომბლისაგან ანსხვავებს. მარტო ბაგრატა კი არა, ჩვენი მგლები ყველანიც კარგადა სცნობენ თოფსა, — და მწყემსები გარს შემოერტყნენ ლეიტენანტს: — ნაგანი! ნაგანი!.. ბაგრატა მგელმა ოთხასი ცხვარი შეგვიჭამა... ნაგანი, ამხანაგო ლეიტენანტო!

— ცხადია, თქვენ რევოლვერს ვერ მიიღებთ, ასეთი ბრძანება არა მაქვს!— თქვა ლეიტენანტმა,— ოფიციალური დაკითხვა გრძელდება, ზედმეტი ხალხი დაიშალოს!

— აქ ზედმეტი ხალხი არავინ არის, — თქვა ზავენმა. სიტყვამ მოიტანა და, მან თავი ველარ შეიკავა: — ზედმეტი შენა ხარ. შენ კაი კაცი არა ხარ, ცუდი კაცი ხარ და მოდი, წადი აქედან. გზა ხსნილი გაქვს. წადი. მიხედეთ თქვენს საქმეს, აქ არავინ დარჩეს! — მიუბრუნდა მწყემსებს.

— შენ, მოიცა... შენ ვის ელაპარაკები ეგრე? — მიუახლოვდა მას ლეიტენანტი, — იცი თუ არა...

— ნუ მიშლი, — ზავენმა მხრით მოიშორა იგი და მარილის ტომარას შეუჯდა, — ერთი, აკიდება მიშველე! — მიმართა იმდენ ხალხში რომელიღაცას. ლეიტენანტი ყველაზე ახლოს იყო, დაიხარა და უშველა. ტომარა მძიმე იყო და ორივეს კისრის ძარღვები დაებერა.

— იცოცხლე! — თქვა ზავენმა და ცხრადმოხრილი, მუხლებგადრეკილი, გეგონება, უკანიდან საცემრად მისდევენო, თითქმის გაიქცასავით გომებისაკენ. —საქო!—ტომარა აკიდებულმა გასძახა საქოს, — ძაღლების სალაფავი ერთ საათში მზად იყოს!— და ალბათ იგრძნო, ეს რაღაც ბრძანებასავით გამომივიდაო, ტვირთიანად ერთხელ კიდევ მიუბრუნდა მოხუც მეცხვარეს: — მარილი—თავის ალაგას, ქონი — თავის ალაგას! ისეთი სალაფავი გაუკეთე, თუ დაგვჭირდა, ჩვენცა ვჭამოთ... —დანარჩენი რუტუნითა თქვა და რაღაც უხილავი ძალით დევნილი მძიმე ტვირთიანად კვლავ გომისაკენ წაძუნძულდა.

ეს წამი შენიშვნდა და სამარადისოდ დარჩა ლეიტენანტის ცნობიერებაში. „ტვირთაკიდებული ხუმრობდა“...

— ასეა საქმე, სერჟანტო სარქისიანო, — სიგარეტს მოუკიდა ლეიტენანტმა, — ერთი გახედე, რა საძოვრები აქვთ, რა ცხვარი ჰყავთ!

— ჰაერი, ამხანაგო ლეიტენანტო, ჰაერი?..

— ჰაერიც, წყალიც... ყველაფერი! ფუჰ, ჭუჭყიან ქალაქში, ქარხნების ბოლში, პირში პაპიროსგაჩრილი... ფუჰ!.. სხვამ ცხვარი ჭამოს, და შენ წადი, ამოწმე, ცხვარი რამდენი წლისა იყო, რამდენმა შეჭამა, პირველი მწვადი ვინ ჩაიდო... ჯანდაბას, შეჭამეს თუ არ შეჭამეს! თვითონ გამოზარდეს და თვითონვე შეჭამეს, შენ აქ ვისი ტიკი-ტომარა ხარ?!. ძნელია, სერჟანტო სარქისიანო, ლეიტენანტის საქმე, ძნელი... ნახე, რამდენი მარილი აიკიდა? შენ აიკიდებ მაგდენს?

სერჟანტი კი გზადაგზა ფიქრობდა, თუ ვინ და რატომ მოიგონა ეს სერჟანტობა და ლეიტენანტობა... ალბათ იმიტომ მოიგონეს, რომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი ერქვას, ერთმანეთში გარჩევა იყოს. მაგრამ რატომ არის, მილიციელს რომ ქუდი ახურავს, მწყემსს კი — ფაფახი; რატომ არის, რომ მილიციელს თუ მწყემსის ფაფახს დაახურავ, ყველანი ახარხარდებიან და, პირიქით, მწყემსს თუ მილიციელის

ქუდს დაახურავ, მაინც ხარხარებენ.

— ამხანაგო ლეიტენანტო, რასაც ამბობთ, ეგ მართალია, მაგრამ თქვენ თვითონ მწყემსი თუ ყოფილხართ, ამხანაგო ლეიტენანტო?

— იქნებ ვყოფილვარ კიდეც, არ მახსოვს. ბავშვობა, მწყემსობა, ასეთი რამეები არ მახსოვს. ერთს უთქვამს, სჯობს ხვალისათვის ვიფიქროთ, ვიდრე წამდაუწუმ ვიხსენოთ, ბავშვობაში რომ საჯდომგამოხეულებს გვიტანტალიაო. წაგიკითხავს ასეთი რამე, სერჟანტო სარჭისიანო? არ წაგიკითხავს. ეს კი ნამდვილად ასეა. შენ თუ შენს გასაკეთებელს გააკეთებ, ის — თავისას, მე კი—ჩემსას, არც ერთის უბანში ქურდობა აღარ იქნება. ხოლო შენ რომ შენი ბავშვობის დღეები იხსენო, მე—ჩემი და იმან კიდევ — თავისი, მაშინ მთებში ხვნეშა-ქოშინით სიარული და იქიდან კიდევ დაუმთავრებელი ოქმით წამოსვლა მოგიწევს.

— ასეა, ამხანაგო ლეიტენანტო. აი, მე კი ვყოფილვარ მწყემსი, ამხანაგო ლეიტენანტო. შეერეოდა ბატკანი ცხვარსა და — მეე! მეე!.. იყო ერთი ამბავი!.. ახლა რომ ვიგონებ, ამხანაგო ლეიტენანტო, როგორლაც მენატრება და მედარდება ხოლმე.

ორი დღის შემდეგ ანტაარამეჯში ტელეფონმა დარეკა. ყურმილში რომ ზედმეტი ხმა და ხმაური არ ისმოდა, ეს დარეკვის ოფიციალურობას მოწმობდა. არადა სულაც არ კითხულობდნენ რაიმე ოფიციალურს.

— ხარები როგორ არიან, მახნო და დუმბო?

თავმჯდომარე დაიბნა: — ალო, ვინ კითხულობს?

— აკოფიანი, ლეიტენანტი აკოფიანი!

— ალო, ანაჰიტ, გეტამეჯო, ხაზი აირია, მეკითხებიან და არ მესმის!

— ალო, ანტაარამეჯო, ხაზები არ არეულან, მე მესმის, შენ არ გესმის?

— გისმენთ, გისმენთ, ილაპარაკეთ!

— ხარები როგორ არიან, მახნო და დუმბო?

— ალო, გეტამეჯო. ანაჰიტ, ხაზები აირია!

— არ არეულან, არა, კითხვაზე მიპასუხე!

— რას ამბობს, რა ვუპასუხო, ანაჰიტ?

— გეკითხება, ხარები როგორ არიანო.

— ხარები კარგად არიან. ალო... ვინ კითხულობს?

— ლეიტენანტი აკოფიანი. ორი დღის წინ თქვენს მთებში ვიყავი, დაბერილიყვნენ, შემეცოდა.

თავმჯდომარეს მოეჩვენა, ეს ლეიტენანტი კი არა, მეურმე არისო; ურმით ფქვილი თუ მიაქვს შორეულ სოფელში და, ალბათ, ურემს თვალი გამოუძვრაო.

— ალო, აკოფიან, გისმენ: ერთი ხარი გამოკეთდა, მეორის მორჩენის იმედი აღარა გვქონდა და დავკალით.

— აფსუს, აფსუს, რა ხარი იყო?! იშხანი როგორლაა. რას აკეთებს? ცოდოა იშხანი, ასეთი მძიმე ზარალი რომ... ზღავს კი? ცოდოა, რამე უშველეთ.

— შენ იშხანის ნათესავი ხარ?

— არა, ნათესავი არა ვარ, ორი დღის წინ მთაში გავიცანი და ეგ არის. დიდი ოჯახი აქვს ალბათ, არა?

— არა, არც ოჯახი აქვს დიდი და არც უქონელია. ზარალი კი სათქმელადაც არა ღირს. ხორცი ხორცად გაიყიდა და რაღაც ორიოდე ქაბიკი განსხვავება იყო, ისიც ამხანაგურად დაფარეს ერთობლივ.

— ერთი სიტყვით, კარგად ყოფილა. მწყემსებს სალამი გადაეცი ჩემგან, უთხარ, ლეიტენანტმა აკო-

ფიანმა ძალიან მოგიკითხათ-თქო. არშო, თქვენსოფლელი, ჭორსა ჰყრის, თითქოს იმ ცხვრების მწვადი მეჭამოს. რა ვუყოთ, კუზიანს სამარე გაასწორებს. უფროსი კარგი კაცია, იქნებ საქმე დახუროს კიდეც. ჩემი აზრით კი, ასე მგონია, დაიხურება თუ არ დაიხურება, იქ საქმე არა არის რა. იშხანი მომიკითხე! უთხარ, ლეიტენანტმა აკოფიანმა რაიონიდან საკუთრად დაგირეკა და მოგიკითხა-თქო. ჰო, თუ კიდევ მოვიდეს ვინმე ცხვრების საქმეზე, მთაში გაგზავნეთ და ხარები წააქცევინეთ... ჰე-ჰე-ჰე... გაიგე? გაგზავნე და ეჭიდაონ ხარებს, ნახონ, როგორია... წელი, ჰე-ჰე-ჰე-ჰე-ჰე, ჯერ ისევა მტკივა...

„ჰე-ჰე-ჰე-ჰე. გესმით? გაგზავნეთ, წავიდეს. ხარები აქციოს“, მაგრამ მოწმენდილზე დაიქუხა და ანტარამეჯში ჩამოვიდა იგივე ანუშავან აკოფიანი.

— მოდი, მოდი, — თავისი კლდის ქიმიდან თაფლზე დაჰპატიჟა ცხვირზე სათვალეწამოდებულმა მოხუცმა მეფუტკრემ.

ის ვილაცასა თუ რაღაცაზე იყო ნაწყენი, მოხუცისთვის ყურიც არ უთხოვებია, პირდაპირ სოფლსაბჭოსკენ გასწია. რა მისი ბრალია. არშომ უფროსთან, ვინ იცის, რაები არ მოუგონა, თითქოს აკოფიანს ქრთამი აელოს და მწყემსებთან ერთად ხარი დაეკლას. უფროსმა კიდევ: „აკოფიან, თუ ამ საქმეში სუფთა ხარ, დამიმტკიცე“. — „ამხანაგო მაიორო, ეგ ქურდობა არ არის. მეც არ ვიცი, რა ჯანაბაა, მაგრამ ქურდობად მაინც არ ჩაითვლება“. — „თქვენ ხარი დაგიკლავთ, ლეიტენანტი აკოფიანო, თითქოსდა კარტოფილისგან გაბერილი ხარი“. — „ვინ მოიგონა, რომელი ხარი, რას ამბობთ?“... — „ყოველ შემთხვევაში, რაღაცას მაინც დაჰკლავდით. ეს რა მთვრალის დაწერილი ოქმია! შენ წაგიკითხავს შენი შედგენილი ოქმი? ლეიტენანტო აკოფიანო, წადი და დაამტკიცე, რომ ლეიტენანტი ხარ!“

— ასეა, — სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა ლეიტენანტმა, — დავამტკიცებ, რომ თქვენებმა ქურდობა ჩაიდინეს. დაიბარეთ იშხანი. მე ველოდები.

ლეიტენანტს არ შია და, თუ მოშივდა, სასადილოშიც კარგად ისადილებს. ლეიტენანტს ფულიც საკმაო აქვს ჯიბეში და თუ გნებავთ, თქვენც გაგიმასპინძლდებათ... ისე კი, საერთოდ, ნუ ეთამაშებით ლეიტენანტის სახელსა და ლუკმაპურს. თუ რაიმეთი უკმაყოფილონი ხართ, ისევ თქვენი თავით იყავით უკმაყოფილონი, რომ საკუთარი ღირსების დაცვა არ შეგიძლიათ, თორემ რამდენადაც ლეიტენანტისთვის ცნობილია, არსად წერია, დანაშაული არ უნდა დაისაჯოსო.

და გავარდა მეხი ცამოწმენდილზე.

— კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში! — თქვა იშხანმა სოფლსაბჭოში შესვლისას.

— დაჯექი.

— მორცხვი არა ვარ, დავჯდები. ბიჭო, თავმჯდომარევ, ეს შენი საბჭო ძალიან მეფურად მოგიწყვია... სკამები დილიჯნისა გაქვს? თუ დილიჯნისა ეგრე რიგად არ მოგწონს?

— თქვენ გარეთ არაფერი საქმე არა გაქვთ? — შეეკითხა ლეიტენანტი სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს.

— მაქვს, — წამოდგა თავმჯდომარე და გაწითლდა.

— ბიჭო, შენი წასვლის შემდეგ...

— მხოლოდ შეკითხვებზე მიპასუხე, — მოუჭრა ლეიტენანტმა, — მე სულაც არა მსურს, ექვსი დღე ვიყიალო აქ.

— რათა, ჩვენი სოფელი არ მოგწონს? — შეეკითხა იშხანი.

— მხოლოდ და მხოლოდ კითხვებზე მიპასუხეთ.

— ჰო, მთავრობასთან პირისპირ დავრჩენილვარ.

— ქურდობის საქმეზე გამოგიძახე, იშხან.

ლეიტენანტის სამხრეებიანი კაცისაგან თავისი სახელის მოსმენა იშხანს ესიამოვნა. ის იღიმებოდა, მაგრამ უცებ შეცბუნდა.

— რომელი ქურდობა, რას ამბობ?

— რომელი და — ცხვრებისა.

— შეურაცხყოფას ნუ მაყენებ.

— შეურაცხყოფას შენ თვითონ აყენებ საკუთარ თავს.

— მე ჩემი თავის მტერი არა ვარ.

— ქურდობა კი ჩაიდინე და!

— ქურდები სხვები არიან.

— ხომ შენ დაკალი?

— უარს არ ვამბობ.

— მაშ, ქურდიც შენა ხარ.

— შეურაცხყოფას ნუ მაყენებ.

— მაშინ თუ უფრთხილდებოდი თავშოყვარეობას, იშხან ანტონიანო, სხვის ცხვრებს როცა კლავდი?

— თვითონაც იცი, ამხანაგო ლეიტენანტო, მართალია, იმ ცხვრებს თავდაპირველად სხვისობა ეთქმოდა, მაგრამ მერე პატრონიც მოვიდა, ვილაპარაკეთ და გავათავეთ. ეგ საქმე გაირკვა და მორჩა უკვე.

— პირიქით, ახლა იწყება, იშხან.

— თუ მოინდომებთ, არ დაიწყებთ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— ჩემს ნდომაზე აღარ არის, კანონზეა, იშხან.

მისი პირიდან თავისი სახელის გაგონება იშხანს ისევ ესიამოვნა და ღირსეულადვე მიაგო:

— ამხანაგო ლეიტენანტო, კანონი შენს ხელშია, ამხანაგო აკოფიანო.

სიამოვნებამ წამით ლეიტენანტსაც შეუღიტინა, მაგრამ მეორე წამშივე მოაგონდა ის „მთავრალის ოქმი“, თვალები დახუჭა და ყოველგვარი მოფერების გარეშე უპასუხა:

— მეც კანონის ხელში ვარ, იშხან ჯან, შენც კანონის ხელში ხარ, ყველანი კანონის ხელში ვართ. კანო-ნის! მე რომ არ ვიყო და შენ რომ არ იყო, კანონი მაინც იქნება, კა-ნო-ნი! დანაშაულს თუ ჩადიხარ, პასუხიც უნდა აგო! ასეა, კანონის მომგონიც კი აგებს თავისი მონაგონის წინაშე პასუხს, კანონი ყველაზე უმაღლესია.

ლოგიკური ჩამოყალიბება კარგად გამოსდიოდა და მას თანდათან თავისი ხმაც მოსწონდა. ისე რომ მან თავი დიდად წარმოიდგინა, იშხანი კი თითქოს ბავშვი იყო მის წინაშე.

— ასეა, გაიგე, იშხან ანტონიანო!

ერთხანს ჩუმად იყვნენ, მერე იშხანმა ამოიოხრა და თქვა:

— ეჰ, შენი საქმეც ძნელია, ამხანაგო ლეიტენანტო.

— მაშასადამე, მარტო არ ყოფილხარ.

— მარტო არ ვყოფილვარ.

— ვინ იყვნენ შენთან?

იშხანმა საწყლად გაიღიმა და მოსინჯა: — ყველანი!

— ვინ ყველანი?

— კაცო... — ვთქვა თუ არა ვთქვაო, სკამზე ირწეოდა და უცებ ლეიტენანტის შუბლზე ნაჭრილობევი შენიშნა. ნაჭრილობევმა სტეფანეძიას მელოტი თავი მოაგონა, ხოლო მსგავსებამ იშხანის პირდაპირ მჯდარი ლეიტენანტი იშხანის მსგავს კაცად აქცია, — სახელებს არ გეტყვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწერე, იშხანმა დაკლა და ყველამ ერთად ჭამეს-თქო.

— ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს გავუგეთ. აი, იშხან!

— სახელები რომ გითხრა, ცუდ საქმეში გავეხვევი, ამხანაგო ლეიტენანტო.

— ნუ გეშინია, იშხან, მოსამართლე ჩემი ნაცნობია, ველაპარაკები. იქნებ გიშველოს რამე.

— ე. თუ მოსამართლემდის მივა საქმე, მაშინ... არა, სახელებს არ ვიტყვი. მე დავკალი, ბიჭებმა ჭამეს. მეცა ვჭამე, რევაზმაც ჭამა, ყველამ ვჭამეთ.

— კაცო, მაგ ყველას სახელები არა ჰქვიათ?

— კარგი. ე. ამხანაგო ლეიტენანტო, ნუ მაიძულებ, როგორ არა ჰქვიათ, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ჩემგან გინდა გაიგო? ხომ გაგიგია,— ვითომ დააშინა იშხანმა, — ხალხს უთქვამს: „მწყემსის სიტყვა სიტყვაა, თუ ერთი თქვა, სახელებს არ ვიტყვი, არასდიდებით აღარ იტყვისო“.

— იტყვის, იშხან, იტყვის.

— ანდაზა კი ეგრე ამბობს და!

— ეგ ანდაზა შენი მოგონილია, იშხან!

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა... მიმიხვდი? მე მეგონა, ვერ მიმიხვდებოდი, პატიოსნად გეუბნები, კაი კაცი ხარ, აი, ამხანაგო ლეიტენანტო!.. როგორ მიმიხვდა, კაცო?!.. — ისევ გაიცინა იშხანმა, — ანდაზა შენ მოიგონეო... ვაი, ამხანაგო ლეიტენანტო, ამხანაგო ლეიტენანტო!.. მეუბნება... მოდი, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგ სახელებს მოეშვი.

— ღობე-ყორეს ნუ ედები, იშხან.

— არაფერსაც არ ვედები, ამხანაგო, ლეიტენანტო, კაცურად გეუბნები, სახელებს არ გეტყვი.

— მეტყვი.

— თუკი მაიძულებ, გეტყვი. მაგრამ შენ კაი კაცი ხარ და არ მაიძულებ.

— არ გაიძულებ. შენ შენი ნებით მეტყვი.

— თუ ნებაზე მიდგა, ჩემი ნებით არ გეტყვი.

— ნებით არი და ნებით იტყვი, იშხან.

— რაც არ უნდა მოხდეს, არ ვიტყვი და არა. ჩემგან ვერ გაიგებთ.

იშხანი გრძნობდა, რომ ამ ვითომცდა ჯიუტობით მხოლოდ ორიოდე წუთით თუ იგრძელებდა სათქმელს; გრძნობდა, რომ ახლა ლეიტენანტი ღიმილს მოისხეპდა და ისიც იმავე წუთში ჩამოფქვავდა ყველაფერს.

— კაცო, აკოფიან-ჯან... კაცს სინდისი უნდა ჰქონდეს, თორემ...

— იშხან! — ლეიტენანტი ადგა, პაპიროსს მოუკიდა და საწერ მაგიდას მოუარა: — აბა, გვარებითა და სახელებით!...

— კაცო, ნუ მაიძულებ, რაღა!..

ერთ წელიწადს, ორმოცდარვაში თუ ორმოცდაცხრაში, გომიდან დაიკარგა ავაგის ფაშატი. ეგონათ, არ დაიკარგებოდა, სადმე ახლომახლოს იქნება და გამოჩნდებაო, რომ სასაფლაოზე დაბმული თავმჯდომარის საჯდომი ულაყიც გაქრა. ჯერ ხალხს ესეც არ შეეტყო ხეირიანად და, ახლა კიდევ ჰერიქნაზ ბებიას კამეჩი დაიკარგა. ორი დღის შემდეგ გეტამეჯელთა ფარებს სამასი სული ცხვარი დასხლიტეს. ხალხი ერთმანეთს ეცა. ერთი თვის მერე ხმა გავარდა, ქურდი შეიპყრესო — ცნობილი ქურდი, სახელად მიკო, სამჯერ თუ ოთხჯერ ციხეში ნაჯდომი.

როცა ამ ამბავს ჰყვებოდნენ, საღამო იყო, წვრილი წვიმა სცრიდა,

მთელ თვეს რომ აღარ გადაიღებს, სანამ მიწას ჭაობის სუნი არ დაჰკრავს, ნაბადი ქვასავით არ დამძიმდება და ძაღლებიც არ დაიყინებიან — ისეთი. ცეცხლს მიფიცხებული იშხანი ფეხებს ერთმანეთზე უსვამდა და უსმენდა; მთხრობელი კი ჰყვებოდა, იმ ქურდს ფეხის კოჭები აღარა აქვს, გამომძიებელს დაკითხვისას დაუმტვრევიაო. გამომძიებელს უბრძანებია, ადექი, ფეხები გან-გან გადგი, ხელები საწერ მაგიდას ჩაავლე და არ გაინძრეო. მერე მისდგომია და იმ ხმელ კოჭებში ჩექმის წვერით იმდენი ურტყამს, ტყავქვეშ ბურღულივით ჩაუშლიაო კოჭები.

— ვაააა!

— ტო, იმის დედაც!... — ცხენის ჯავრი არ ასვენებდა ავაგს და ლანძღვით გულს ვერ იოხებდა.

იშხანს ფეხები სტკიოდა, რევმატიზმი აღონებდა. კოჭებიდან ზევით ასდევდა ძვლებსა და ისევ კოჭებში ჩამოუცოცდებოდა. იშხანი სანაძლეოს დებდა, სახსრების რევმატიზმი ავადმყოფობა არ არის, ცოცხალი არსებაა, გველივით ცივი და გველივით ძარღვიანიო. დაცოცავს ის ოხერი. შენს კანქვეშ, ავა და ჩავა; შეგიძლია ხელიც დაიდო იმ ადგილას, სადაცა გხრავს და თითებით იგრძნო მისი ძარღვიანი გამყინავობაო. და იშხანს ეძალებოდა დაუძლეველი სურვილი დანა აეღო, იმ ადგილას კანი გაეფატრა და გარეთ გამოეთრია ის მცოცავი საშინელება.

საწყალი კაცი გამწარებით იზელდა ფეხებს და ოხრავდა.

— უუუ... ფეხის ტკივილი სხვა ყოფილა, ძმაო... — ტკივილი კი არა, მკვლელია პირდაპირ... მომკლა კაცი... მკლავები რომ მოეჭრია, კიდევ აიტანდა კაცი. მაგრამ ფეხის გამხმარ ძვლებს რომ ამტვრევდა... უუუ... კოჭებიიი!..

— ისიც ნუ იქურდებდა, — ამბობდა ავაგი, — არა, შვიდ წელიწადს იმისთვის ვინახე ის ფამატი, რომ იმას კიდევ... ტო, მოწყდეს, იმისი!..

ლეიტენანტი ღიმილით დაჯდა. იშხანი მადლობელი იყო იმ ღიმილისათვისაც და დაჯდომისათვისაც.

— ჰოდა, ეგრე იყო: მოვიდნენ, შეერივნენ, ცხვარს მოჰყვნენ ფარეხში. ბიჭებისთვის არაფერი გამიგებინებია. ვფიქრობ, სანამ დავიძინებ, კრინტს არ დავძრავ და ოღაცა დამეძინება, მაშინ ხომ სულ აღარას ვიტყვი-მეთქი. ასე რომ, სანამ გამეღვიძება, დრო გაივლის და ამასობაში პატრონიც მოაკითხავს-მეთქი. მე ამ ფიქრებში ვარ და, გავიხედოთ, ეს ჩვენი ჰერცოგი ქვაზე არ წამოპოლორჭიკებულა: „ჰაი, იაგო, მე შენი ასე და ისეო; ჰაი, შე თხაწვეოავ, შე ეშმაკის ნასხლეტო, იაგოო!“ ერთი სიტყვით, აღარ მაძინებს, რაღა...

— ჰერცოგი ვინღაა?

— ვინა და, ზავენი. მარილი რომ აიკიდა, ისა. ვენეციელ ჰერცოგს ვეძახით. ...ასულა იმ ლოდზე და წარმოთქვამს... რას ამბობდა, ბიჭო, დაიცა, გავიხსენო!.. ეჰ, გადამავიწყდა...

— იაგო ვინღაა?

— რა ვიცი, ჩვენში ეგეთი არაერთ არის.

— მაშ, ზავენი ვისზე ამბობდა, იაგო. შე თხაწვერაო?

— ეგ წარმოთქმაშია. რას წარმოთქვამდა. კაცო, რომ ვერა და ვერ მოვიგონე!

— ეგ არაფერი, — უთხრა ლეი-

ტენანტმა, — მაშასადამე, გადმომდგარა ქვაზე და წარმოთქვამს, არა? მერედა რა არის მაგაში ცუდი?

— არა, პირიქით, — მოწყალედ გაიღიმა იშხანმა, — ძალიან კარგი რამეა. მახსოვს კიდეც, მარტო ქალაქის სახელი დამავიწყდა, სადაც ამბობს, სტაცა ყანყრატოში ხელი იმ წინადაცვეთილ ძაღლს და დაახრჩო აააასეეეო! მე იმასავით კარგად ვერ ვამბობ, ზავენი ძალიან კარგად წარმოთქვამს. ქალაქი კი ის ქალაქია, საიდანაც სომხები მოდიან ხოლმე.

— პარიზი.

— არა, პარიზი ბევრჯერ გამიგია.

— ლონდონი, — ღიმილით შეახსენა ლეიტენანტმა.

— არა, დამაცა, მე თვითონ მოვიგონებ.

— მაშ, ნიუ-იორკი იქნება.

— ააარა.

— მოსკოვი.

— ე, სირცხვილი არ არის, მოსკოვი დამავიწყდეს?! აი, საიდანაც სომხები მოდიან, სომხები, სამშობლოში დაბრუნებულნი!

— ნამდვილად, ბერლინი იქნება.

— არც ბერლინი. ვიცი ეგეც. აბრაჰამი და ჰამო ომში ნამყოფები არიან, ბერლინიც უნახავთ და ბევრი რამეც მოუყოლიათ.

— აბრაჰამიც თქვენთან იყო?

— არა, აბრაჰამი გონებრივ შრომას ეწევა. ინვალიდია, კლუბში მუშაობს.

— ჰამოც გონებრივ შრომას ეწევა? — ჩუმად ჩაიცინა ლეიტენანტმა.

— არა, პარტიულს. ეგ ფერმაში არ მუშაობს. ერთიცა და მეორეც ფერმაში არ მუშაობენ.

— კარგი, ფერმაში ვინლა მუშაობს?

— იმას ვამბობდი... შემდგარა ეს ზავენი ქვაზე და წარმოთქვამს...

— კი, კი, მანდ გავჩერდით. ზავენი წარმოთქვამდა და... ის დანარჩენები ვინ იყვნენ, ვინც უსმენდნენ?

— ქალაქის სახელზე შევჩერდით.

— ქალაქს თავი დავანებოთ.

— ეხლავე მოვიგონებ და მერე დავანებოთ.

— მოსკოვი გითხარი?

— კაცო, გეუბნები, ის ქალაქი, საიდანაც სომხები მოდიან-მეთქი.

— ეგ რომელი იქნება? — ლეიტენანტის მარაგი უკვე ამოწურვაზე იყო და მან ფრთხილად, თითქოს იზოგავსო, ისე შეახსენა: — იქნებ რომია?

— არა, რომს კი ჰგავს როგორლაც, მაგრამ რომი არ არის.

— რა უშავს, იშხან, ვერ იხსენებ და რა მოხდა, მაგითი არაფერი დაშავდება. ვთქვათ, გინდაც, თბილისია ზავენის ის ქალაქი...

— თბილისი?... ჰოი... თბილისი... მაშ, ამბობთ, რომ თბილისში... ფხ-ფხ-ჰხ--ჰხ... ერთმა ლეიტენანტმა... ხიჰ... სტაცა ყელში ხელი იმ წინადაცვეთილ ძაღლს და დაახრჩო... სტეფანე ძია დაახრჩოს მაგივრად დაახჩოს ამბობს... მან შეაგინა ჩემი ერი... და დავახრჩე, თბილისში, აი, ასეეეეე!... ხი-ხი-ხი, ჰხ-ჰხ-ჰხ... მე კაცო, თბილისში მოთალსა ვყიდი ყოველ წელსა და ესა... ვაი, ამხანაგო ლეიტენანტო, ამხანაგო ლეიტენანტო... ამბობს, თბილისიო, კაცო!..

რისი ამხანაგი ლეიტენანტი, სადღა იყო ამხანაგი ლეიტენანტი! დარჩენილიყო მხოლოდ კაცი, რომელიც სირცხვილით მიწაში ძვრებოდა; კაცი, რომლის გოგო მუსიკალურზე სწავლობს, ბიჭი კი ჭადრაკს თამაშობს და ყამლაყამ იტყვის ხოლმე.

ბოტვინიკი დაბერდაო; კაცი, რომელსაც სახლში ლამაზად ჩამწკრივებულ თაროებზე სულ ცოტა ხუთასი წიგნი მაინც უწყვია და მისდღეში ერთიც კი არ გადაუშლია; არადა იმ ხუთასი წიგნიდან ერთ-ერთში უეჭველადა სწერია, ვინ ვისა სტაცა ყელში ხელი, რისთვისა სტაცა, ვინ იყო დამნაშავე და ვინც ყელში სტაცა, დასაჯეს თუ არა... თფუ, ეს ოხერი, რაზეც არ უნდა იფიქრო, სულ: დამნაშავე — უდანაშაულო, დამნაშავე—უდანაშაულო... არა, საქმე — ხელობა უნდა გამოიცვალოს, მეტი გზა არ არის... მაგრამ ორმოცდაათი წლისანი ხელობას რომ აღარ იცვლიან!

— კარგი, იშხან, — თავი ასწია მან, — ის ზავენი ხომ მაგის გარდა სხვა რამესაც წარმოთქვამს. ჩვენ იმას სადა ვდიოთ, სად რას იტყვის, ჩვენც ხომ იმასავით მცოდნეები არა ვართ. ჩვენ ჩვენი გავიხსენოთ, რაც ვიცით.

იშხანმა დაიწყო „ძაღლი და კატა“. ლეიტენანტმა მოიწონა, ამითაც ოოლას გავა კაცი; აქაც ბოლოს და ბოლოს ვიღაცა ვიღაცას ახრჩობსო. ერთმანეთის წახმარებითა და შეხსენებით, როგორც იყო, ჩავიდნენ ბოლომდის. არავის არავინ არ დაუხრჩვია, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ეს ორი კაცი აღარც დაჰბრუნებია ამ ამბავს. მერე და მერე, შუა ლაპარაკში, ავაგისა და პავლეს სახელებიც გაისმა და ლეიტენანტისთვის იშხანი უკვე უინტერესოდ იქცა.

ამით დამთავრდა იშხანის დაკითხვაც და დაიწყო ნამდვილი ჭექა-ქუხილი. სოფლსაბჭოს აღმასრულებელი პავლეს, ავაგისა და ზავენის დასაძახებლად გაგზავნეს, იშხანს კი ებრძანა, შესაბამის განკარგულებამდე სოფელს არ გაშორებოდა. იშხანმა ეს ხუმრობად მიიღო და ხუმრობითვე უპასუხა:

— შენ თუ გგონია, შინიდან გასვლა ძალიან მეხალისება?! სახლში ყოფნას რა სჯობია: თავზე ჭერი გაფარია, ფეხები მშრალი გაქვს, არც წვიმა ჩაგდის კისერში, არც რევმატიზმით იკრუნჩხები, მაგრამ... იქ ცხვარი უპატრონოდ მიყრია, ძმაო.

— არაფერია, — უთხრა გამომძიებელმა, — თავმჯდომარეს ვეტყვი, შენ მაგივრად ორიოდე დღით ვინმე სხვა გაგზავნოს.

— ბიჭოს, მაშ, მართლა გაძაღლებულა საქმე!— ზღურბლიდან შემობრუნდა შეგანგაშებული იშხანი და ცალ-ცალკე, მაგრამ თითქმის ერთად და ერთსა და იმავე დროს, როგორც ბალახ-ბულახში ჩასაფრებულები წამოჰყოფენ ხოლმე თავებს ქურდის გარშემო, იშხანსაც ისე ანაზდად და ერთმანეთის მიყოლებით შემოესივნენ უსიამო გრძნობა-სურვილები. უნდოდა შეხვეწნოდა ლეიტენანტს, უნდოდა ეგინებინა გააფთრებით და ერთი მწყემსური ალიყურიც ეჭმივნა; უნდოდა, წამის წინ ნათქვამ-განაგონი მხოლოდ ხუმრობა ყოფილიყო და მეტი არაფერი, მაგრამ... ამ სურვილებმა ისევე ერთმანეთის მიყოლებით ჩამალეს თავები და დარჩა მხოლოდ-ღა შიში.

შიში!... ბეითალი ჰყვებოდა ერთხელ ასეთ ამბავს: თურმე ღამეა, ერთი ბნელი და შავკუპრი. ორნი მიმავალან ცხენებით. იმ კურუმ-კუნაპეტში თურმე ცხენების თავებსაც ვერა ხედავენ. ცხენების თავებს კი არა, თვალთან მიტანილ თითს ვერა ხედავენ. ჰოდა, უცებ შემდგარან ცხენები. სცემენ მათრახს, მაგრამ, შენც არ მომიკვდე — ცხენები წინ არ იძვრიან, უკან-უკან იწევენ. კლუბის გამგეს გაზეთის კო-

რესპონდენტისთვის ეთქვა, ერთი ჩამოვალ, ვნახავ, რა არისო. ამისი თქმა ყოფილა და დაუკივლია ერთი. დაუკივლია და მორჩა, მეტი აღარაფერი ხმა და ჩქამი, ირგვლივ მხოლოდ დუმილი და სიბნელე. კორესპონდენტი გათენებამდის გაუნძრევლად მჯდარა შიშისაგან მასზე არანაკლებ ზარცემულ და თვალნაკრავივით აკანკალებულ ცხენზე. გათენებისასღა დაუნახავს — ერთი თვალჩაუწვდენი უფსკრულის პირას არ დგას! მეორის ცხენი ხომ ზედ უფსკრულის წკიპზე მდგარა და თურმე ცალი უზანგიღა ჰკიდებია, მეორე უზანგი იმ საცოდავს მოუწყვეტია და თან წაუღია. არადა, უფსკრულია, ისეთი ჩაყუდებული უფსკრული, ჩაიხედავ და თვალი გიჭრელდება, შიგ გიტყუებს ის ოხერი (მაღალი ხრამები ხომ თავისკენ იზიდავენ ადამიანს!). უფსკრულის ძირას თურმე თითისტოლად მოჩანს გვამი.

იშხანს სიმაღლისა ეშინოდა. სიზმარში ბევრჯერ მოსჩვენებია, ვითომ უფსკრულში ვარდებოდა. ვარდებოდა, ეჭიდებოდა კბოდეზე ამოსულ ბუჩქებს, ბუჩქები კი იგლიჯებოდა... აააა!... გაელვიძებოდა, წამოხტებოდა ზარდაცემული და გულს კიდევ დიდხანს გაუდიოდა ბაგაბუგი.

— ბიჭო, რუბიკ, ეგ რა დგილას მოხდა, რომ არ გითქვამს? — ეკითხებოდა იშხანი ვეტექიმს. ვეტექიმი რომელიღაც გაურკვეველი მიმართულებით უჩვენებდა. იშხანი თუ მიუხვდებოდა, სად იყო ის ადგილი, მაშინ აღარ შეეშინდებოდა. ბალღობისას ხშირად აშინებდნენ ხოლმე დალისტნელი მგელკაცებით, ბავშვებს რომ იტაცებდნენ და ჰყიდდნენ. ომის დროს აბრაჰამმა ჯარიდან წერილი გამოუგზავნა ამხანაგებს, მახაჩყალაში ვარ, დალისტნის ავტონომიურ რესპუბლიკაშიო. იმ წერილის შემდეგ ბავშვებს მტაცებელი ლეკები უკვალოდ გაქრნენ, დარჩა მხოლოდ: „დალისტანსკაია ასსრ, გოროდ მახაჩკალა, პალუჩიტ აბრამუ ოგანისიანუ“. რაიმე სახით— წერილით, მონათხრობით, თუ გნებავთ, რუკით გაცნობიერებული „დალისტანსკაია ასსრ, გოროდ მახაჩკალა“ უკვე აღარ იყო საშიში. აღარ იყო იმ შიშის ტოლფარდი. იშხანი რომ გრძნობდა ბნელი. თვალჩაუწვდენი ხრამის წინაშე. ჩაიყურები, თავი გიბრუის, თვალი გიჭრელდება და მიფრინავ უფსკრულში მოგლეჯილი ჯაგებიანად...

იშხანს ახლაც ისე მოეჩვენა, თითქოს სიზმარში იყო და ჯაგმაგების გლეჯით მიფრინავდა უფსკრულში.

— ამხანაგო ლეიტენანტო...

— წადი... წადი...

იშხანს ცხვარი კი არ დაუკლავს, კაცი დაკლა იშხანმა, მიწაში ჩაფლა და მაღლიდან საგულისგულოდ მოასწორა, რომ კვალი წაეშალა, მაგრამ, აგერ, წაასწრეს, დაადგნენ თავზე და ეუბნებიან, ამოთხარეო.

— რა ვთქვა, დამნაშავენი ვართ, ამხანაგო ლეიტენანტო. არ უნდა გვექნა ეს საქმე, მაგრამ...

— მე მოვრჩი!

იშხანი ოთახიდან გამოვიდა და კუნაპეტ შუალამეს ანაზდად მზე რომ გამოჩახჩახდეს და ნათელი მოჰფინოს ყოველს, უცებ ისეთი სახილველი ქვეყანა წარმოუდგა გარეთ. ეს ხილვა წამიერი იყო, მაგრამ თითქოს დასაწყისიც ჰქონდა და დასასრულიც. დასაწყისი სკოლის ზარის რეკვა იყო, რომელმაც ბნელს გამოსტაცა სახურავების მიმქრალი სიწითლე, ყვითელი გოგრები გომის თავზე, ლარზე ასხმული წითელი წიწაკა, ფრთების ფათქუნი და — ყიყლი... — მამლის ყივილი მაშინვე

გაეხვია ყროყინის სქელ ნაბადში. სახურავებზე დილმა დაგორებული ყროყინი შორს გაიტყორცნა მინდვრებისაკენ.

— პირველი საათია, — თქვა იშხანმა. — ეს უპატრონო ვირი კი არა, ქარხანაა, ზუსტად წამი-წამში ურტყამს, — და რაღაც განზრახვით უკანვე შებრუნდა. გონებაში მხოლოდ იმსალამოინდელი მწვადის ჭამა უტრიალებდა, იმსალამოინდელი ხმები ჩაესმოდა მხოლოდ. „ცხვარი დავკარგე, არ გინახავთ?“— „არ მესმის, ხმამაღლა დაიძახე!“..

— ამხანაგო გენერალო... — კარები შეანგრია იშხანმა, — ნებას მაძლევთ, ამხანაგო გენერალო, შინ ვიჯდე თქვენს ახალ განკარგულებამდე? მერე ქუდთან ხელი აუღო და ჩექმა ჩექმაზე ქუსლით მიიტყაპუნა: — მესმის! — მაგრამ ფეხის კოჭები ერთმანეთს მოუხვდა და მოქმედების მთელი ლაზათი დაიკარგა.

— უუჰ, ამხანაგო გენერალო, ფეხების ტკივილი მაინც სხვა ყოფილა! — შუბლზე ნოჭები დაისხა იშხანმა და კოჭლობით გატრიალდა.

ძია ავაგმა სოფელში გამოძახება ისე მიიღო, თითქოს თავის დასაბანად ეძახოდნენ. — თმა ერთმანეთზე მიმეწება, — თქვა მან, — იქნებ ვიბანაო კიდეც. სათო მაინც დამხვდეს სახლში! ჰა, არ იცი, სათო შინ არის თუ სამუშაოზეა? — შეეკითხა იგი ალმასრულებელს.

სოფელში ჩასულს იშხანმა კარგი არაფერი უთხრა.

— გიჭურდნიათო, ეგრე ამბობს.

— ეგ ხომ ჩვენც ვიცოდით.

— სასამართლოს სუნი უდის.

— არა ერთი!

— მისი ნათქვამიდან ეგრე ჩანდა.

— ვისი ნათქვამიდან, ლეიტენანტისა?

— ლეიტენანტისა. დიდი ქვეშქვეშა ვინმეა.

— ვინა, ლეიტენანტი?

— ვერც კი გავიგე, რა როგორ გამომტყუა.

— ვინ გამოგტყუა, ლეიტენანტმა?

— ლეიტენანტმა. ძალიან კულტურული კია. შეხედავ, გამომძიებელი არც კი გეგონება, მაგრამ სიცილ-საუბარს მორჩებით თუ არა, მაშინლა მიხვდები, რომ გამომძიებელიც არის და ერთით მეტიც.

— მაშ, როგორ იქნება ჩვენი საქმე? — ფეხი შეინაცვლა ავაგმა და ღობეზე მოატარა თვალები.

— რა ვიცი, აბა! — იშხანი ისე შესცქეროდა ავაგს, თითქოს რაიმე ჭკვიანურს ელოდა და არც ელოდა მისგან. არადა, მაინც ელოდა რჩევასა თუ დარიგებას რასმე, რადგანაც ავაგი იშხანის გარეშე არსება იყო— თავისი ფაფახი ეხურა, თავისი კომბალი ეჭირა, თავისი ფარა ჰყავდა და მდგომარეობაც შეიძლება სულ სხვაგვარად, სულ სხვანაირად აეწონგაეზომა. მაგრამ ავაგი მისდღეში ავაგი იყო და ამ სიბერეში როგორღა შეიცვლებოდა! არა, სჯობს ღობესა ჰკითხო რჩევა, ვიდრე ავაგს!

— ავაგ, — უთხრა იშხანმა, — ჩემზე ათი წლით უფროსი კი ხარ, მაგრამ თავზე ერთი თეთრიც არ გეტყობა.

— გეეჩო, საღ მიხვალ შე უპატრონო! — ბალში შესულ ხბოს დაუცაცხანა ავაგმა, — ბიჭო, ერთი მოუბრბინე. გამოაგდე, თორემ ნამყენებს მომიმტვრევს. — გასძახა მან

ბავშვს, რომელიც, მისი აზრით, უეჭველად უნდა ყოფილიყო სადმე ახლომახლო. მაგრამ, რაკი ავაგის ბრძანების მიუხედავად, ბავშვი არავინ გამოჩნდა, ხბოს გამოსაგდებად ძია თვითონ გადავიდა ბაღში; მერე ავაგმა ქუდი მოიხადა, კომბალი დადო და გადაჭეჭყილი ღობის გასწორებას შეუდგა. — ეს საქმეა, ბიჭო?.. — და მერე რომ ნახა, თავისი კი არა, თურმე სხვისი ღობე უკეთებია, ბაღის პატრონს ფანჯარაზე დაუკაკუნა: — დიასახლისო, გამოიხედე, ძია ავაგს მადლობა გადაუხადე!

— შინ არ არის, სამუშაოზეა, ყველანი სამუშაოზე არიან, — ჩაინიღნიღა ძია ავაგმა... — მე რა მესაქმება, ნეტა ვიცოდე!

— ამ უსაქმურს დამიხედე შენა! — თავის თავს შესწყრა ძია ავაგი, — თავზე ერთი თეთრი თმაც კი... — აქ უცებ მოაგონდა, ნამდვილი უსაქმური ვინც იყო და უკვე მისი მისამართით განაგრძო: — წლის ამ დროს, პარსვა რომ არ დამთავრებულა, თიბვა რომ არ დამთავრებულა და კარტოფილიც ამოსაღებია, დაგვდგომია თავზე და — ცხვარიო, კაცო!... შენ რომელი ცხვრის პატრონი ხარ? რევაზი შენა ხარ?.. შენ რო საქმე გამოგლევია, ჩვენ რაღაზე გვაცდენ?.. მე დავკალი, სწორედ მე დავკალი და მაგასაც ვნახავ, რას მეტყვი!...

— წავალ, ჩემს შვილიშვილს დავხედავ, აგრემც იმას შევუჭამე ის ალუხ-მალუხი! — თქვა ძია ავაგმა, როცა მახლობელ ეზოში სარეცხის თოკზე გამოფენილი ბავშვის ჩვრები მოხვდა თვალში.

— რძალო, — უთხრა ძია ავაგმა თავის რძალს, — ერთი, წყალი დამიდგი, თავი უნდა დავიბანო.

დასაძახებლად მოსული საბჭოს აღმასრულებელს კი ასე დააბარა: — უთხარ, თავს იბანს, მოვა-თქო.

თავიც დაიბანა, ფეხებიც, პუერცა ჭამა, ეზო-ყურესაც დახედა და დასაძინებლად მიწვა. — ეჰ, ჩემო რძალო, სოფელში მუშაობასაც თავისი გემო ჰქონია; მეც არა ვთქვი, ფერმას ნაკლებად რად ეტანებიან-მეთქი!

ავაგი მეორედ გამოიძახეს საბჭოში.

— წადი, უთხარი, მოცლილი კი არ არის, ცხვარი ჰყავს გასაპარსი-თქო, — უთხრა ძია ავაგმა აღმასრულებელს, მაგრამ მაინც გაჰყვა თან, — ცოდოა, ავადმყოფი ქალია, არ გავყვე — ისევ გამოგზავნის. თურქს უთქვამს: როგორც მბრძანებელი ბრძანებების გაცემით არ დაიღლება, ისე კიდევ — ვინაო და რითაო, რძალო?... აბა, როგორა ვთქვა, სირცხვილია. ეეჰ, ვბერდები ნამდვილად, ჩექმები მიმძიმდება.

— მითხარი, ძილი დაგაკლდა და ფეხები იმიტომ დაგიმძიმდა-თქო, — თავისი აზრი შეახსენა რძალს ძია ავაგმა.

გამოსვლისას ძია ავაგმა რძალს ორივე თვალი ჩაუკრა, რაც ამას ნიშნავდა: ას ოც წლამდე ჯანმრთელად და უტკივრად ვიქნები და იმის შემდეგაც, ვნახოთ, მგონი, ისევე ჯანმრთელადო.

ერთი თვის წინ ავაგს დედის ძმა გარდაეცვალა, რომელსაც თავის მხრივ ოცი დღის წინ ცოლი გარდაცვლოდა. დაცემულიყო ბერიკაცი მეუღლის საფლავზე, გულში იკრავდა საფლავის ჯოჯოლას და აღარა სწყდებოდა. ეწეოდნენ, აყენებდნენ, ვერ ააგლიჯეს თურმე — თქვენ წადით, ჩემს წამოსვლას რაღა აზრი აქვსო. საღლა წამოვიდე, ვისთანლა წამოვიდეო, იმდუღრებოდა თურმე საწყალი. მოხუცებულს ამქვეყნად

ჯერ კიდევ ოცი ხეთა ყვავილობა, ოცი თიბვა, ოცი ხილმწიფობა მაინც უნდა მოელია; სახლების სახურავებზე, ტყეზე, მდინარესა და მთებზე ჩამოქათქათებული მბრწყინავი თოვლისათვის — თეთრი, მდუმარე და ბრძენი თოვლისათვის ოცჯერ მაინც უნდა მოეფუტა თვალები; გუგულს ჯერ კიდევ ოცჯერ მაინც უნდა ეხარებინა მისთვის სისხლისა და ნაკადულების ამქუხარება, მაგრამ იმ სულელმა პაპილომ არც აიღო, არც დაიღო და თურმე იმ საფლავს, იმ ცარიელ მიწას ასე დაჰპირდა: მარტოს არ შეგეშინდეს, ორიოდე დღეც დამიცადე და მეც შენთან მოვალო. არადა, ეს დაჩამიჩებული, გადაღწეული მოხუცები, როცა ჯერ ისევ წყვილად იყვნენ, შვილიშვილების თანდასწრებითაც კი ერთმანეთს ზებერ ცხენსა და ჭკუანაღრძობს უწოდებდნენ. ჰოდა, ადგა ეს ბერიკაცი და ოცი დღის შემდეგ უკან გამოუდგა თავის ცოლს, აღარ იცოცხლა ოცი წელი. თუ ოცი არა, ოთხი მაინც, ერთი მაინც, ნახევარი წელი მაინც ეცოცხლა... კაცო, კარგი, ვთქვათ, ოცი დღის შემდეგ უკან გაყოლას დაჰპირდი, მაგრამ განა არ ემჯობინება, ოცდაერთი დღის შემდეგ, ოცდაორი, ოცდასამი, ოცდათხი დღის შემდეგ მიუხვიდე?... ეგ ამბავი რაც გვიან იქნება, უკეთესია.

ერთხელ მთაში მწყემსები შეეკითხნენ ძია ავაგს:

— სათო რომ მოგიკვდეს, რას იზამ?

— სათო რატომ უნდა მოკვდეს, შენი აშხენა მოკვდეს, თუ კარგია.

— ეგ ისე გამიგე, ავაგ, თითქოს ჩემს თავსაც ვეკითხებოდე.

— სათოს აშოროს სიკვდილი, — უთხრა ძია ავაგმა, — ცოდოა, მაგრამ თუ, ღმერთმა ნუ ქნას და, აღარ მეყოლება, ქვეყანა სათოზე ხომ არ არის ჩამოწყვეტილი?!... ქვეყანა დიდია... — ძია ავაგმა კომბალი მოატარა სივრცეს და რაც კი კომბალსაწიერში მოჰყვა — ფთილალოუბლიანიცის ნაჭერი, წყარომოლიკლიკე მთების ნახევარი, ჩიტმოჟივჟივე ტყეთა ქოჩრები, მთის კალთაზე ღრუბელივით მოცურავე ფარა, მწვანე სათიბებში გაფანტული მთიბავები და — ჰე-ჰე-ჰე! — დარიჩინისფერ ხეობებში გაბნეული მფოცხავი დედაკაცების თეთრი ხილაბანდები — ყველაფერი ერთად შეაგროვა, — თუ სათო, ღმერთმა ნუ ქნას და... — აქ ძია ავაგმა დედაკაცები ხელმეორედ მოაქცია ჩარჩოში (მერე და მერე, უკვე დაპატიმრების შემდეგ, ისე მოხდა, რომ ძიას დედაკაცების ირგვლივ სამმაგი ჩარჩოს მოვლება მოუხდა. იმ უღმერთო სათომ უღმერთოდ მიატოვა ძია ავაგი, გარდაიცვალა. გლოვა-მწუხარება თავის ადგილას, მაგრამ ძიამ მალე სხვა ცოლი მოიყვანა, ერთი გაჩხინკული, კაწაწა, ანჩხლი და აფთარი დედაკაცი. ერთიორი წელი კი გაუძლო ძია ავაგმა, მაგრამ თმა რომ სანახევროდ გაუჭაღარავდა, მაშინ კი მიაკითხა საბჭოს თავმჯდომარეს, ცოლთან გამყარეო. ოთახი — იმას, ტანსაცმლის კარადა — იმას, ერთი საწოლი — იმას. ერთი ბარი — იმას, „წაიღოს და თვალში ჩაითხაროს!“ ხუთი ცხვრიდან სამი — იმას, ჭურჭელ-მურჭელიც, კი ბატონო, იმას — მაგაზე არ დავობდა ძია — ქალია, თვალი ქონებაზე უჭირავს, გაუშვი, თვალი გაუძღესო; მაგრამ, აი, დაღამდა და მოხდა მოულოდნელი: ქალმა, როგორც გაყრილს შეეფერებოდა, საბჭოს მიერ მისთვის მიკუთვნებული საწოლი თავის ოთახში გაიტანა და ლოგინი იქ გაიშალა. აი, ეს კი ვეღარ მოითმინა ავაგმა, — კარადა წა-

ილე, კაი ბატონო, ყაბულსა ვარ; ძროხაც ალალი და უსაყვედურო იყოს; ბარია და — არც ბარზე დამიძრავს კრინტი. საბჭო ჩაერია, ყველაფერი კანონიერად გაიყო — ძალიან კარგი, მაგრამ... ეგ ცალკე დაწოლა რაღაა, სურდო ხომ არა გვჭირს?!). ყველაფერი, რაც კი ძია ავაგის კომბლის მოსადევარში მოჰყვა, არცთუ ძალიან ბევრი იყო — ანტარამეჯის ნახევარიც კი არ გამოვიდოდა, მაგრამ თუნდაც იმ ნახევრისთვის ღირდა ასი წელი სიცოცხლე. ეგ კი არადა, კიდევ ერთ ას წელზე არ იტყოდა უარს კაცი... ასი და ასი კიდევ ხომ ორასია, ეს ოხერი!.. ეჰ, ვინ მოაქცია დრო ამ ზახრუმალა რიცხვებში! ვინ უკულმართმა შემოფარგლა ჩვენი ცხოვრება ამ დარდუბალა დრო-ჟამით?!

სკოლას რომ ჩაუარა, ძია ავაგი შედგა. ფანჯრიდან ხელი გადაყო, რომ ერთი დიდთვალება ბავშვისათვის ეჩქმიტა ლოყაზე. მსხვილი, უხეში თითები ჰქონდა და ბავშვის ცხვირი ვერა და ვერ მოჰყვა თითებში. — არ იზარმაცო, კარგად ისწავლე, ჰამაიაკის ბიჭო. ჰამაიაკისა არა ხარ შენა?

მასწავლებელს კი ფანჯრიდან ასე უთხრა: — ბიჭო, ზარი დაირეკა, ეს ბალღები დროზე გამოუშვი, ცოდონი არიან, — და ძია ავაგი კლასების გასწვრივ დაუყვა. ბოლო ოთახში მეათეკლასელებს ფიზკულტურის გაკვეთილი ჰქონდათ, კრივში მეცადინეობდნენ. ორი ყმაწვილი ერთმანეთს ხტომით უვლიდა გარშემო.

— მოხვდა, მოხვდა! — გაიღიმა ძია ავაგმა, — ყვინჩილებივით კი ძიძგილაობენ, აი! არა, — დაიძახა ძია, — იმ მეორეს ნალდად ესა სჯობია. ჰეი, ბალღო, ერვანდის შვილიშვილო, შენ გეუბნები: ცოტა ნელა დაარტყი!

— ეგ ხელთათმანები რბილია? — იკითხა რაფაზე იდაყვებით დაყრდნობილმა ძია ავაგმა, — რა ვი, ამბობენ, შიგ ტყვიასა სდებენო. უჯეროა, ეგ უჯეროა! — შეშფოთდა ძია.

ერვანდის შვილიშვილს ნიკაპში ამოჰკრეს. — ყოჩაღ, — შეაქო ძიამ, — იცოცხლე! ასე. ჯერ-ჯერით მიარტყით ხოლმე ერთმანეთს, — დაუკვეთა ძიამ, — ჯერ ერთმა დაარტყით, მერე — მეორემ, რიგრიგობით.

ხოლო იმას, რომელიც სინამდვილეში წესიერი კაცი იყო, თავს კი გამომძიებლად ასაღებდა, ძიამ უთხრა: — ცხვრების საქმეზე დამიბარე?

— ცხვრებისა.

— იშხანი ხომ გელაპარაკა უკვე.

— იშხანი სხვაა, შენ — სხვა.

— შენი ნებაა. შენი საქმე კიდევ ეგ არის. აბა მითხარ, რა გინდა.

— ამა წლის ოც აგვისტოს, საღამოთი...

ძია ავაგმა ბეჭების ჭრაჭუნით დაამთქნარა და ისე გემრიელად დაამთქნარა, სოფლსაბჭოს ოთახი რბილი თვლემით გაივსო.

— რევაზ მოვსისიანის ცხვრები, ოთხი სული!... — გამაფრთხილებელი მახვილით ხმას აუწია გამომძიებელმა.

— თქვი, გისმენ. — და ძია ავაგმა ისევ დაამთქნარა, — ა-ა-ა-ა.

— ჩვენი ცნობებით, ცხვრები თქვენთან მოვიდნენ თუ წამოყვანილ იქნენ, ეს ჯერ გარკვევას მოითხოვს.

— არა, მოვიი... — ძიამ კვლავ დაამთქნარა, — მოვიდნენ; თვითონ, თავისი ფეხით მოვიდნენ. არ გეწყინოს, ღამე არა მძინებია. ეგეც არ იყოს, კანტორაში როგორც კი შევალ, ძილი მერევა.

— არა უშავს, ახლავ მოვრჩებით.

— აბა, მითხარ და გიპასუხებ. ااااჰ... — ძია ავაგმა კიდევ დაამთქნარა, — ეე, ტვინი წაილო, რაღა! — თავისივე მთქნარებაზე გული მოუვიდა და ფეხზე წამოდგა. — ცხვრები თავისი ფეხით მოვიდნენ, დაკვლით — მე დავკალი. აბა, მოიტა, ხელი სად უნდა მოვაწეროთ?

— ვინ და ვინ იყავით?

— მე, რაღა, ავაგი, ოვანესიანი ავაგი, საქო, ვანი, ასატური, პავლე, იშხანი, ელამი ელიში... დაიცა, კიდევ ვინ იყო, ბიჭო, — დაიბნასავით ავაგი, — ჰო! პავლე, ზავენი... ჩვენი სია ბუღალტერს ექნება, გამოართვი, რაღა. ოლონდ, თუ მაგ საქმეს კეთილი ბოლო არ ექნება, პავლეს სახელი არ ჩასწეროთ, ერთი-ერთმანეთზე უსუსური ხუთი აკვნის ბალღი ჰყავს. ზავენიც არ ჩასწეროთ, სიცოცხვილია. იტყვიან, ამის წაკითხულ წიგნებს დამიხედეთ და ამის ჩადენილ საქმეებსაო, — ძია ავაგმა ფიქრიანად გადაალაგა საწერ მაგიდაზე სამელნე, ფანქრები, წებოს შუშა, კალამი კი ისე დადო თავის ადგილას, რომ მუშამბაზე მელანი არ დაღვრილიყო, და დაუმატა: — ნურც იშხანს ჩაწერ, თორემ ცოლი სიცოცხლეს გაუმწარებს.

გარეთ რომ გამოდიოდა, ძია ავაგი კიდევ მიუბრუნდა გამომძიებელს

— საცაა ზამთარიც მოგვიკაკუნებს, ხალხს ნუ მოგვიცდენ. — ზამთრით რომელ გამომძიებელს შეაშინებ, რომ ჩვენს გამომძიებელს გახეთქოდა გული. ძველებურად მშვიდად იჯდა და ილიმებოდა. ძია ავაგმა ცოტა ხანს იფიქრა და თავისი ჭკუით ვითომ გამომძიებლის დასაშინებელსაც მიაგნო: — თუ თავმჯდომარემ სოფელში მოგვასწროს, შენც ვაი და ჩვენცა! ცოფიანი ძაღლივით იცის დატაკება!

გამომძიებელმა ჩაიცინა. ძია ავაგმა კიდევ იფიქრა ცოტა და თქვა:

— დედიჩემის ძმისშვილი მთავარი ბუღალტერია, გარეგინი. იცნობ? გარეგინ დანიელოვიჩი.

გამომძიებელმა ისევ ჩაიცინა. ძია ავაგმა კარის რაზა გადაატრიალა და:

— ჩემი უფროსი ბიჭი ერევანში მილიციის სამმართველოს უფროსია, არც იმას იცნობ? ოვანესიან აშოტ ავაგოვიჩი.

ახლა ლეიტენანტი აღარ ილიმებოდა. ახლა უკვე ძია ავაგი ილიმებოდა. კარის სახელურისთვის ხელი გაეშვა და ილიმებოდა.

— არა, არ ვიცნობ, — თქვა ლეიტენანტმა, — ის ჩვენს მაიორს ეცნობება.

— ჩემი ბიჭი პოლკოვნიკია, — თქვა ძია ავაგმა.

— მაინც რა გინდა, — გაბრაზდა ლეიტენანტი, — შენთან დავამთავრე და წადი ახლა!

— კარგი, არ გეწყინოს, რაზე გწყინს, — ძია ავაგმა ერთ წამს კიდევ იფიქრა და წასვლის წინ უთხრა: — გატყუებ, რისი პოლკოვნიკი, რომელი პოლკოვნიკი! ჩემთან ერთად მეცხვარეობს, მაგრამ არც მისი სახელი ჩასწეროთ, ერთი სახლიდან ორი კაცი უკვე არ ივარგებს. ისე კი ერთი ბავშვობის ამხანაგი მყავს, გენერალია. ამას უკვე ტყუილს კი არა, მართალს გეუბნები, მაგრამ იმას თქვენთან საერთო არა აქვს რა. ჯარის გენერალია უფრო დიდი თუ მილიციის მაიორი, ეს არ ვიცი და იმიტომ გეკითხები.

8

— გამარჯობათ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— გამარჯობათ.

— როგორ შეიძლება, ამხანაგო ლეიტენანტო, მე შექსპირი დამავიწყდეს. მითხარი და შენთვის წავიკითხავ, რომელსაც გინდა: ჰამლეტი? მეფე ლირი? ოტელო?... — ზავენმა ფარულ ალმოჩენაზე გაიღიმა: — პეპო?..

მისი ლაპარაკის კილოზე, განსაკუთრებით ოტელოსა და კიდევ უფრო განსაკუთრებით პეპოს ხსენებაზე, ლეიტენანტი მიხვდა, რომ ზავენი არტისტია. არტისტი — კი ბატონო, მაგრამ პროფესორი ხომ არ არის. არტისტი არტისტია. ჰოდა, ამ არტისტს მწყემსებში თავი პროფესორად გაუსაღებია და ასე ჰგონია, ლეიტენანტსაც გავაცურებო. არადა, ჩვეულებრივი ქურდია.

— თქვი· აბა, წაიკითხე, ვნახოთ, — ლეიტენანტი სკამზე გადაწვა. ის მართლა ლეიტენანტი კი არ არის, დესპანია, ხოლო ზავენი, არც მეტი, არც ნაკლები, მაიმუნია, რომელმაც პრანჭვა-გრეხისა და სასაცილო ოინების მეტი არაფერი იცის და ვალდებულია როგორმე გააცინოს ნაირ-ნაირი საქმეებით გადაღლილი დესპანი.

— რომელი წავიკითხო?

— რომელიმე.

— მითხარით, თქვენს გემოვნებაზე იყოს, ამხანაგო ლეიტენანტო.

— რაიმე.

— არა, მაინც მითხარით, რომელი?

— შენს არჩევანზე იყოს.

— ევროპული, რუსული თუ სომხური? რომელი გსურთ?... რაღა თქმა უნდა, თქვენ ევროპულს მიანიჭებდით უპირატესობას.

— ძალიან კარგი, ევროპული იყოს.

— ევროპული, რომელი?

— ეევროპული! — ევროპის რომელიღაც მხარეს ხელი გაიქნია ლეიტენანტმა.

— კაცო, რომელი, ამხანაგო ლეიტენანტო?

„გორკი ყველასათვის ცნობილია“, — რაფი შეგიძლიათ?

— შემიძლია.

— აბა, თუ შეგიძლია, — თავისუფლად ამოისუნთქა ლეიტენანტმა, — თუ შეგიძლია, წამიკითხე.

— რაფი რომ პოეტი არ არის, ამხანაგო ლეიტენანტო?

— შენ პოეტი გინდოდა? მე არ მიყვარს პოეტები,— გადაჭრით წარმოთქვა ლეიტენანტმა, — აფრენენ, რაღაც სულელურ რამეებს წერენ. აგე, რაიონშიც გვყავს ერთი, როცა კი მიხვალ, ერთთავად სასადილოში ზის...

— მართალია, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგრამ მე რა წავიკითხო?

— ჭკუა მაგათ არ ეკითხებათ... რეებს წერენ, რეებს არა. ან ამდენს რასა წერენ, კაცი ვერ გაიგებს. იმის მაგივრად, რომ ყველასთვის სასარგებლო საქმეს მოჰკიდონ ხელი, აუღიათ თავი და რაღაც ლანდებს დასდევენ.

— ეგ კი, მაგრამ მე რა წაგიკითხო?

— კარგი, ალარ გვინდა. ჩანს, რომ ნაკითხი ხარ, — მფარველური კილოთი უთხრა ლეიტენანტმა, — მხოლოდ დასანანი ის არის, რომ ასეთმა ნაკითხობამ ხელი არ შეგიშალა საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

— კაცო, უთქმელი გვრჩება, ე. ამხანაგო ლეიტენანტო, — ზავენის მთელი არსება, უკანასკნელ უჯრედამდის, მოკუმული ტუჩების გადაღმა ხარხარებდა და უკვე სადაცაა, ველარც ტუჩები შეიკავებდნენ.

— რა ვიცი, რაფიდან არა თქვი და არა!

— მხატვრული უნდა იყოს, ე. ამხანაგო ლეიტენანტო.

— მაგალითად, როგორ თუ მხატვრული?

— მაგალითად, აი, „თაგვების თათბირი“ რომაა.

— კარგი, თაგვების თათბირივით იყოს. „ძაღლი და კატა“ წაიკითხე, ოლონდ, თუ იცი, რაღა თქმა უნდა.

— რაღა თქმა უნდა, იყოს „ძაღლი და კატა“... რაღა თქმა... ჰა-ჰა- ჰა... „ძაღლი და კატა“... კა... ჰა- ჰა... არგი!

მაგიდიდან ოქმის ქაღალდები და გაზეთები გადმოფრიალდა, კალენდარი გადაიშალა, გრაფინში წყალმა გრაფინის კედლები ალოკა და ფანჯრის მინებიც ისე ზრიალებდნენ ხუთიოდე წუთს, თითქოს მცირე მიწისძვრა მომხდარიყოს; სოფლის თავში მამალმა „ყიყლიყო“ შუაზე გაწყვიტა და ღობიდან ჩამოფრინდა, ხოლო ქვემოთ, ხევის წისქვილში ცალი ყურით ყრუ მეწისქვილემ ჩაილაპარაკა:

— ზავენი იცინის. ნეტავ რა მოხდა... აქ რას გაიგებ, რა მოხდა! ხევში, წისქვილში, კაცი რომ ცალი ყურით ყრუ იქნები, მეორით კიდევ ყურმძიმე. რაღა თქმა უნდა, ვერაფერსაც ვერ გაიგებ!

ზემოთ კი, ზედ სოფლის შუაგულში, სოფლსაბჭოს შენობაში, აი, რა მოხდა! ჯერ არშოზე აღრენილი და მერე კიდევ მაიორის უნდობლობით გაცოფებული ლეიტენანტი გულს ასკდებოდა. იმ წუთში მას ყველა და ყველაფერი ეზიზღებოდა. ეზიზღებოდა თავისი თავიც, იმოდენა წიგნებიდან „ძაღლი და კატას“ მეტი რომ არაფერი ჰქონდა წაკითხული; უნდოდა ხმამაღლა ეგინებინა თავისი ქალიშვილის მუსიკის მასწავლებელიც, წარბებს რომ აიპრეხს ხოლმე და მოვყვება ლრიალს: „დო-რე-მი... დო-რე-მი... რე-რე-რე...“ სძაგდა ის პროფესორიც, ფულის დაუთვლელად რომ უხდიდა ჯარიმას, თან კიდევ გრამატიკულ შეცდომებს უსწორებდა; ეზიზღებოდა ეს... ეს... ეს... ზავენიც, მარილის ტომრებს რომ ეზიდება, თავი კი პროფესორად მოაქვს; გული მოსდიოდა იმის გამოც, რომ დილას აქეთ პირში ხემსი არ ჩაედო, არადა, იძულებული იყო მთელი დღის განმავლობაში ეკითხა, ვინ შეწვა მწვადი, ხორცი ლურთი იყო თუ მჭლე, შამფურები ვინ დათალა და მისთანანი. ერთი სიტყვით, ყველასი და ყველაფრის, ყველა ძველი და ახალი ჯავრი ლეიტენანტმა ზავენზე იყარა.

— რაო, პირუტყვო, ეგ მე დამცინი?... ხმა, კრინტი, თორემ!... ვითომ ვინა მყევხარ, — მარილის მწიკავი!... მაშ, სხვა რისი მაქნისი ხარ... ხმა-მეთქი, თორემ!

და ისეთი რამეები დაანთხია თავზე და ისეთნაირად, რომ შეიძლება მიხვედრილიყავ, წარმოშობით რომელი სოფლიდან იყო; სამსახურის დაწყებამდე მამა ვინა ჰყავდა—მეურმე თუ მენახირე; რამდენი წელია, რაც ლეიტენანტია, საზღვარგარეთ ნათესავები ჰყავს თუ არა და სხვ. ერთი სიტყვით, შეიძლებოდა მისი ანკეტა ყოველგვარი წერილმანით შეგევსო.

ზავენმა ხმა ველარ ამოიღო. ის კი არა, ბოდიშიც ველარ მოიხადა. ეს წიგნის მოყვარული ხალხი ყველა ასეთია. ორიოდე სიტყვას წაიკითხავენ და ქვეყანას ტრაბახით აიკლებენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ენა მუცელში ჩაუვარდებათ ხოლმე.

— რაც წაუკითხავი დაგრჩა, ცი-

ხელში წაიკითხავ. იქ არც პარსვა შეგიშლის ხელსა და არც დროის ნაკლებობა. პირიქით, იმდენი დროა ექნებაა... პროფესორო! წადი, მადლობელი იყავი, რომ ახლავე არ გაპატიმრებ. წადი, წადი!.. პროფესორ! ჩუმად-მეთქი! თავხედო შენა!.. ამათ ცოტა თუ აღვირი მიუშვი, მაშინვე გაგთელავენ და თვალს არც კი დაახამხამებენ. ერთი თვალებში შეხედეთ — ვითომ უცოდველია, მამა აბრამის ბატკანია. ვაჩუმდი-მეთქი!.. ბატკანია, ცხვარია, რალა, ეს ცხვარს როგორ დაკლავდა!.. წადი, წადი... „ერთმა ძალმა თურქმა შეურაცხყო... ერთ ძალს ყელში ხელი ვტაცე“, წადი, წადი! პროფესორი ცოტაა, წადი, დოქტორი გამოდი... ქეციანო შენა!

9

„ეჰ, ძნელია, ძნელი იმ კაცის საქმე, ვისაც დასცინიან, თავად სიცილი არ შეუძლია, თანაც ეჭვიანია და თანამდებობა-სამსახურითაც გაამაყებული. ე-ე, გოგრაა, გოგრა! არა უშავს, ბრიყვები სასაცილოდ საყვარლები არიან, მაგრამ როცა თან ბრიყვებიც არიან და თანაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, ასეთები უკვე სიძულვილის მეტს არაფერს იმსახურებენ. ეგეც არ იყოს, მან მე დედა შემაგინა და პასუხის გაცემაც არ დამანება. ესეც სიძულვილის ღირსია, მაგრამ მძულს კი მე იგი?“

სიძულვილი დიდი გრძნობაა. ნახევარ საათში შეძულებას ვერ მოახერხებ. რომც გინდოდეს შეიძულო, სულ ერთია, ან ფანჯრის გადალმა ბელურებს მოგიხვდება თვალი. ან მესერს, ან კალენდარს შეხვდავ, ან რაიმე სურათს თუ ლოზუნგს და სიძულვილიც ხელად გადაგივარდება. ნახევარ საათში შეიძლება, დიდიდიდი, ერთი წამით შეიძულო კაცი. წამი კიდევ რა არის, წამის მონიჭებული გრძნობა რა იყოს, წლებია საჭირო, კარგა გრძელი წლები. ის წლები უნდა დაყო ნახევარ საათებად, ყოველი ნახევარი საათიდან აიღო თითო წამი, შეკრიბო და ალბათ ერთი დღე ან ერთი კვირა გამოგივა. აი, ეს უკვე რაღაცას დამგვანებოდა.

1941 წელსა თუ წინარე მრავალი წლის განმავლობაში სოფელს არავინ არ სძულდა. არ სძულდა დავითის ბიჭი ანტონიც, რომელიც ციმბირში გადაასახლეს და როცა ყველას ეგონა, ციმბირის ცივ მიწაში ლპებაო, ერთხელაც ნახეს, მოპირდაპირე ტყის პირას გამომდგარიყო და იცინოდა. არ შეიძულებ ის, ვინც ცხენებს უკულმა ნალავდა და მდევარ რაზმს ისე ქანცავდა. როგორც მელა მწევარს. ხანდახან თავს ისე მოაჩვენებდა, მდევრებს ეგონათ, ეგ არის, ხელთა გვყავსო. მაგრამ მალევე სადღაც შორს დალანდავდნენ სულ სხვა ცხენზე ამხედრებულს და ის მხედარი კვლავ მაგნიტივით იზიდავდა მდევარს. ზოგჯერ ანტონი რომელიმე გლეხის მოზვერს დაკლავდა, ცოტაოდენ მწვადს შეიწვავდა, დანარჩენს კი ხეზე ჩამოკიდებდა და წერილსაც დატოვებდა: „ანაჰიტ ძალო, საკლავიდან რაც მეკუთვნოდა, მარტო იმდენი ვჭამე. მისავალი იყოს ჩემთვის!“. ანაჰიტ ძალოს წყევლა კი მოადგებოდა პირზე, მაგრამ სინამდვილეში იცინოდა. მერე კი წამოსცრემლავდა კიდეც: „ეგ საცოდავი. ეგ დედამკვდარი ეგა! ნეტა, მაძღრისად თუ ჭამა მაინც?!... ეგ სითბოსა და საპნის დანატრული, ეგა!“... ერ-

თხელ მეგუთნეებმა წერილი იპოვეს, იმავე დავითის ბიჭს ანტონს დაეწერა და კოლექტივის ხარისთვის რქაზე ჩამოეცვა. მოაძრეს, წაიკითხეს: „ეს არის ხარის მოვლა? ეს რომელმა პირუტყვმა ამოჰკრა ჭიაში, რომ ასე დასიებია?! მეორედ თუ ვნახე, კიდევ სახრე დაგიკრავთ, ამის მაგივრად ჩაგაყენებთ კვალში!“ ანტონისგან ასეთი რამეები არა სჯეროდათ, რადგან მისი სიტყვის ნახევარი მაინც ყოველთვის ხუმრობა იყო ხოლმე. აჰა, იმავე დღეს ცხვარი დაეკლა და წარწერაც დაეტოვებინა: „ეგ როგორ მოგიხდა, ძია ადამ, ცხვარს რომ კარგად არ უვლი?! გაბერილიყო და, რომ არ დამეკლა, მურდლადა კვდებოდა საწყალი. ყურადღებით იყავით, ნუ ხართ დაუდევრები!..“ ამის მიუხედავად მან ხარი მაინც დაუკლა და მხვნელებს კვალის ხარი აღარ დარჩათ. დამწუხრებულებს ანტონმა ტყისპირიდან გამოსძახათ: „რას დაბნეულხართ... ჩ ვ ე ნ ი კ ო მ უ ნ ა მ ო ხ ნ ა ვ ს ო[1]... ჰოდა, მოხანით, ტრაქტორით მოხანით...“ გუთნისდედა, ანტონიანთ ძველი მოჯამაგირე, მუქელაანთ ანდრო, ფეხზე წამოვარდა და ტყეს მუშტი მოუღერა: „უხ, მე. შენი...“ მერე ანდრომ უღელში ცალი ხარი შეაბა, კვალის მხარეს თვითონ ჩადგა, უღლის მეორე ფრთა მკერდზე მიიკრა და—მადით, გაუჯავრდით, მე მაგისიო... ანდრომ შეა ნახნაგამდის კი შეუძლია ხარსა და უღელს, მაგრამ ერთ ადგილას გუთნის ფრთა ქვას წამოედო, მისმა უღლისცალმა ღონივრად გაჰკრა და ეს ჩვენი ანდრო დიდი თვლის ქვეშ ჩაჩხრიკა. მაშინვე გამოძვრა, უღელი ისევ მკერდზე მიიდო. მორგვივით კისერი ტყისკენ ვაიბრუნა და

[1] სიტყვები ხალხური ლექსიდან.

გასძახა: „მოგწონს, არა?... თვალებს დაგჩიჩქნი და მაინც მოვხნავ!..“ ანდრო გულუბრყვილო იყო, ეგონა, ანტონს სინდისზე შევაგდებო, ანტონს კი მუცელი ხელში ეჭირა და სიცილითა კვდებოდა. მერე, როგორც იყო, სული მოითქვა და ამოიხროტინა: „ჰეეი! თუ ჭიას ქვემოთ სახრე დაგიკრავთ, მაგასაც დავკლავ!“ ამ დროს ანდრო უღლიდან გამოეშვა და ნახნავებზე ბარგანაობით გასწია ტყისაკენ.

— არ დავკლავ, არა, ტყუილად ნუღარ მოდიხარ!... — ანტონმა ტყეს მისცა თავი. მეორე დღეს მეხრე-მეგუთნეებმა თავიანთ ხარებში შერეული ორი უცხო ხარიცა ნახეს. სადილობა იყო მოტანებული, რომ გეტამეჯიდან დარეკეს, ხარები დაგვეკარგაო. მოვიდნენ, წაასხეს თავიანთი ხარები და მხვნელები ისევ კვალზე ჩამოსხდნენ. ორიოდე დღის შემდეგ გუთანში კამეჩები ნახეს შებმული. ორი შებმული იდგა, ერთი კიდევ იქავე წამოწოლილი იცოხნებოდა. ირგვლივ არც ერთ მომიჯნე კოლმეურნეობას კამეჩი არა ჰყავდა — ძაღლიშვილს ყაზახიდან წამოესხა. — ამუშავეთ, სანამ ყაზახელები გაგვიგებენ! — გასცა განკოგულება აბგარმა. მხვნელებს კამეჩი მისდღეში არ ემუშავებინათ და არც მისი ავ-კარგი იცოდნენ. ცხელოდა, კამეჩებს ქაფი გასდიოდათ და ენაგადმოგდებულები კვალში იჩოქებდნენ. — ჰეი! — ტყიდან გამოვიდა ანტონი, — ფეხებში სცემეთ, ფეხებში! კვალში რომ დგას, მაგას ლაჩინა ჰქვია, ველისას კი — ყარა. იმ მესამის სახელი არ ვიცი, თქვენ დაარქვით!

ანტონი ერთი-ორ თვეს თავისთვის იყო, არავის აწუხებდა, ხანდახან თუ გამოჩნდებოდა დასახმაურებლად: — ჰეი, მეც დამიწერეთ

შრომადღე! — და მისთვის დასაწერ შრომადღის რაოდენობას ხელით თავადვე ხაზავდა ჰაერში: „0...0... 0“. ერთხელ თავმჯდომარეს ერთი რამ ქაღალდი მიუტანეს. კედლის გაზეთზე ვნახე გაკრულიო, განმარტა მომტანმა. ქაღალდში ეწერა: „თავმჯდომარე აბგარს. შენმა საწყობის გამგემ მთელი ხორბალი ზურგით გაზიდა სახლში. რომ ნახა, მეძინა — ცხენით ეზიდა, რომ ნახა, გეძინათ — ურმით. მოწმე ვარ ამისი, ჩემმა მზემ!“.

ეს სინამდვილეში ასე იყო და დადასტურდა კიდეც. საწყობის გამგე დააპატიმრეს, ხოლო პარტუჯრედმა რაიკომსა სთხოვა, ანტონისთვის ეპატიებინათ. უჯრედის მდივანი და ბიუროს წევრები, მათ შორის თავმჯდომარე აბგარი, რაიონში გამოიძახეს და კარგად შეახურეს. უჯრედის მდივანი მოხსნეს, დანარჩენებს კი საყვედური აკმარეს. დაძმარებულნი და მხრებჩამოყრილნი სოფელში ბრუნდებოდნენ და ის იყო ანტარამეჯის გზაზე გავიდნენ, რომ ტყიდან ანტონიც გამოეცხადათ. გამოვიდა და გადაუდგათ წინ.

— თანამდებობას გულწრფელად მოგილოცავ, ანდრო. რაც შენ ჩვენს მოჯამაგირობაში დატანჯულხარ, ზოგი ღვთით მაგდენსაც ვერ ელირსება ხოლმე. მაინც ახალი ხარ და წინ იარე, რა ვიცი, იქნებ ხელი წაგიცდეს და მესროლო, — ანტონი დანარჩენებს საუბრით მიჰყვა სოფლის ბოლომდის: — ეგ მიხსნამოხსნაა თუ საყვედურები, დიდი არაფერია, — თქვა ანტონმა, — უვნებელი რამეა ეგ საყვედურები, არ ლირს მაგაზე დარდი და წუხილი. ნურც ჩემზე იფიქრებთ, მე ერთი კაცი ვარ. ერთი კიდევ თუნდა აქეთ იყოს, თუნდა იქით, მაგით არაფერი შეიცვლება. თქვენთვისვე ვამბობ, დამიჯერეთ. შენ გეუბნები, აბგარ, და გამიგონე: აი, გულზე ხელი დამიდვია და მითქვამს: მართალი საქმეა თქვენი საქმე. მე სემინარიაში სოციალისტი ვიყავი, თითქმის კომუნისტი და ვიცი მე ეგ. ხედავ, არც კი ვჩივი, უსამართლოდ მდევნიანმეთქი. მე ერთი ვარ. გარდა მაგისა, ჩემი ამბავი პრინციპულია. კულაკია? გათავებული ამბავია! ჰოდა, ხომ ხედავ, ამაზე არაფერს ვამბობ. ჩემ გამო თქვენ არაფერს გავნებენ, მაგრამ შენი საწყობის გამგეს რომ მხოლოდ სამი თვის პატიმრობა მიუსაჯეს, აი, რამ უნდა მოგწყვიტოთ წელი. თუ იცი, რატომ მისცეს მხოლოდ სამი თვე? იმიტომ, რომ მოსამართლის ლიკპუნქტელი ძმაკაცია, ერთად მუშაობდნენ სალიკვიდაციო პუნქტში და კიდევ იმიტომ, რომ გამომძიებელს ფული მისცეს, მოქრთამეს. ქრთამი! — აი, რა იქნება თქვენი წამხდენი, თორემ ჩემგან თქვენ რა გევნებათ. ერთ ხარს თუ დაგიკლავთ, მერე რის ვაივაგლახითა და ძალლუმადურობით ყაზახიდან კამეჩები მომიდის თქვენთვის. ორიოდე ყაჩაღ-ყუჩული ვართ, დღეს არა — ხვალ აქა-იქ ჩავძაღლდებით, ჩვენ რისი წამხდენები ვართ?! ისევ და ისევ გეუბნები, აბგარ, თქვენი დამაქცეველი ქრთამი იქნება!

ამ ლაპარაკში ახალარჩეულმა მდივანმა უცებ ცხენი შემოაბრუნა და რევოლვერი შემართა, მაგრამ ააცდინა. იმავე წამში, სანამ მეორეს მოასწრებდა, ანტონს უკვე ზედ თვალებზე მიებჯინა მისთვის მაუზერი და სულმოუთქმელად აყრიდა სიტყვებს:

— რად გინდა ჩემი მოკვლა, შე ვირიშვილო!... ცუდი რა მიქნია შენთვის, შე საქონლის ჭირო, შენა!... ღამე თბილად წევხარ, არა?... გსიამოვნებს, არა?... მარილის, მარი-

ლის, იმ კაპიკიანი მარილის საქმე როგორლა გაქვს, შენი!.. თუ ცოტა დაგიმლაშა საჭმელი, დაჰყვირი ცოლსა, არა?... აბა, ერთი უმარილოცა ჭამე, როგორია!... წადით, მადლობლები იყავით, რომ თქვენი გვამებით არ მოვფინე აქაურობა... იცით, არა, რომ ურუტელი აღასი ანტონს არა ჰგავს?.. რომ შესულა კანტორაში და... გაგიგიათ, არა? მთელი უჯრედი რომ ამოწყვიტა, ათი სული რომ დააწვინა იქვე!.. სოციალიზმისა ფრჩხილის ტოლა თუ გესმის რამე, შე ლიკპუნქტელო ბრიყვო, ვირისთავო შენა!.. წადით, წადით, მიწა ხანით!

დაფიქრებული დაშორდნენ. მერე აბგარმა დაილაპარაკა: — ცოდოა, სემინარია დააძთავრა და ტყეღრეებში კი სძინავს. არადა, სკოლაში ერთი ხეირიანი მასწავლებელი არა გვყავს.

პარტორგანიზაციის მდივანმა თავმჯდომარეს თვალები დაუბრიალა.

— მდიდრის ნასხლეტი იყო და ხალხის ფულებით ისწავლა. დიდი ამბავი, ტერტერების სკოლა თუ აქვს დამთავრებული!

იმავე დღეს მან მილიციის რაზმი გამოიძახა და ანტონის საძებნელად წაუძღვა. ანტონი ვერსად იპოვეს, მაგრამ სამაგიეროდ ნახევარი ფარა ცხვარი ამოწყდა. ძიებამ დაადგინა, რომ საქონლის სარწყულებელ ჭაში სპილენძის ოქსიდი ჩაეყარათ. ამის საპასუხოდ „ორგანიზებულ იქნა“ ანტონის შეყვარებული ქალიშვილის ქორწილი მედოლეზე. პასუხის პასუხად ანტონმა კოლმეურნეობას ორმოცდაათივე ხარი ამოუწყვიტა. ამის გარდა, მეორე დღეს, მილიციის პატრულს თითქმის ცხვირწინ ააცალა რუსული ენის მასწავლებელი ქალი, რომელიც გვიან ღამით კრებიდან სახლში ბრუნდებოდა... „მდადეც გაუხდა!... ჩემს მდადეს დამიხედეთ!.. ტამიი-ჰ!.. აბა, ტამი!.. ახლა წადი. იმ შენმა მედოლემ დიმპიდარო-დამპიდარო უკრას. შენ კიდევ — ტამი!.. კარგი ერთი, რა გაღრიალებს, მამა გიცხონდა! თუ მთხოვნელი არა გყავდა, ახლა მე გითხოვ. სპარსეთში წამომყვები?“. იმავე ღამეს მან პარტორგს ესროლა. პარტორგს ტყვია ასცდა, ანტონი კი არ იყო ამცდენი; უბრალოდ, სინდისმა დაუშალა — მას ჯერ კაცი არ მოეკლა.

ერთხელ, მალევე ამის შემდეგ, მარმარა კარზე გამომდგარიყო და თავისი მედოლე ქმრის ქურთუკსა ბერტყავდა, რომ გადალმა ტყეში თოფი გავარდა. ტყვიამ მარმარას ყურთან გაუწივლა და კედელს მიეტყაპა. ძაღლებმა ყეფა იტეხეს. მილიციის რაზმი ჯაგნარს შეერია და ბუჩქების ფარებ-ფარებით ტყისკენ წავიდა. **მუქელაანთ ანდროც** გამოვარდა, ბარს დასცა ხელი და ღიად, პირდაპირ ნახნავებით გაიქცა ტყისაკენ, რომ ან ჩაეძაღლებინა ანტონი, ან კიდევ თვითონ ჩაძაღლებულიყო. ტყიდან გამოვარდნილმა ტყვიამ ანდროს ქუდი გადააძრო და ბარის ტარიც გადაუტეხა. სოფელში მისმა ცოლმა იწივლა და გული წაუვიდა. თავმჯდომარე აბგარი გაგიჟებას იყო: „ბოლოს და ბოლოს გადაამლაშე, რაღა!.. თუ ჰბარდები — ჩაბარდი, თუ არა, აიკრიფე გუდა-ნაბადი და მოგვშორდი!“... ანტონი ვერ დაიჭირეს, წაუვიდათ და აღარც გამოჩენილა მეტად. რუსული ენის მასწავლებელს გული შევარდნოდა ანტონზე, მისი სურათი ეშოვა და ძალიანაც ესურვილებოდა. უნდოდა მოსკოვის საშუალებით როგორმე გაეთავისუფლებინა იგი და მასთან ერთად ეცხოვრა სოფელ ანტარა-

მეჯში, მაგრამ ანტონის ლანდიც კი აღარსად იყო. ფიქრობდნენ, იქნებ ტიფმა მოინარეკლა სადმე, რომელიმე ჯაგის ძირასო, მაგრამ ომის დროს სპარსეთში ჯართან ერთად ჩასულ ერთ გეტამეჯელ ჯარისკაცს ენახა თურმე თავრიზში: „თავისი დუქანი ჰქონდა. იჯდა დუქანში რბილ სკამზე, ტკბილ თუთუნს ეწეოდა და თვლემდა. ფერი, ტანსაცმელი, თვალები, კაცო, თვალებიც კი სულ შესცვლოდა, თითქოს ჩემი ძველი ნაცნობი ანტარამეჯელი კაცი არ ყოფილიყოს. თან ისეთი მაძღარი გამომეტყველება ჰქონდა, რომა!...“ ჰა, როგორ არის საქმე, ანტარამეჯი ისევ არის ამქვეყნადო, შეჰკითხოდა ანტონი გეტამეჯელს და თან აბოყინებდა თურმე.

იმას ვამბობდი — ვინც უნდა სძულებოდათ, ესე იგი, დავითის ბიჭი ანტონი, ის არ შეიძულეს. ან როგორ შეიძულებდნენ, როცა სიძულვილი რა არის, ეგეც არ იცოდნენ. სანამ იმ ხანებში დაწყებულმა ომმა სოფლიდან არ გაზიდა ათას ცხრაას ერთიდან ვიდრე ათას ცხრაას ოცდაექვს წლამდე დაბადებული ყველა მამაკაცი, ვისაც ცოტად თუ ბევრად ვაჟკაცობა-მამაკაცობა ეთქმოდა. მაგრამ ისინი, ის ცხრაას ერთში დაბადებულები, აბა, რა ვაჟკაცები იყვნენ. ისინი, უბრალოდ, ოჯახის პატრონები იყვნენ, საფეთქლებშეეერცხლილნი და თმაშეთხელებულნი. შეთხელებული კი არა, ზოგს თმაც აღარა ჰქონდა თავზე. ბევრნი, ვისაც ყარაქილისას ბრძოლის შემდეგ ბრძოლა აღარ ენახა, ბარს ისე შესჩვეოდნენ, თოფი ბარივით ეჭირათ. ან, კაცმა რომ თქვას, ის ოცდახუთ-ოცდაექვსში დაბადებულები რა ვაჟკაცები იყვნენ. ხორენი, მაგალითად, ჯარში გაწვევამდე ერთი კვირით ადრე ურმით კარტოფილს ეზიდებოდა, ხარები ქედუროობდნენ, არ ეწეოდნენ, ის კი სახრესა სცემდა და თან ტიროდა. ვაშლა ხარს კუდი ამოეკრა მისთვის თვალში და ტირილშიგდაშიგ ღმუოდა გამწარებული. ისინი იმისთვის დაიბადნენ ცხრაას ერთიდან ცხრაას ოცდაექვს წლამდე, რომ სხვადასხვა დროში ეცხოვრათ, ჯერ-ჯერით დაბერებულიყვნენ და ერთიმეორეს მიყოლებით ოცდაექვსი წლის შემდეგ მომკვდარიყვნენ, მაგრამ ომმა ისინი ან ერთად დაასაფლავა, ან ერთად დააბერა, ანდა ერთად დაახეიბრა. ვინ — ხალათის სახელოჩამოკონწიალებული დაბრუნდა, ვინ — ხისფეხიანი, ვინ კი სამუდამოდ მომლოდინე დარჩა თავისი თუნდაც უხელო, თუნდაც უფეხო შვილისა, ქმრისა თუ ძმისა. ანტარამეჯმა ომში ასი ვაჟკაცი გაგზავნა, ომს კი ანტარამეჯისთვის ღილი რა არის, ერთი ღილი ან თუნდაც ხბოს დასაბმელი ერთი თოკიც არ გაუმეტებია.

თუმცა, ჰო! ჰამომ ბერლინიდან ერთი ამანათი გამოგზავნა სოფელში. სოფლელებმა იცოდნენ, რა იყო ამანათი, თვითონაც ბევრჯერ გაუგზავნიათ: ჩააწყობდნენ ყუთში წინდებს, მატყლისგან ნაქსოვ ტანსაცმელს, მატყლის ხელთათმანებს, მურაბას, კაკალს, თუთუნს, ბავშვის თითების მონახაზსა თუ სხვა რამეს, დალუსმავდნენ, საველე ფოსტის მისამართს აწერდნენ და გზავნიდნენ. იმდენს გზავნიდნენ, რომ საერთოდ აღარაფერი რჩებოდა გასაგზავნი, არამცთუ საჩჩევად ჰქონოდათ საქმე (ერთხელ ჰამოს ცოლმა, როცა ამანათის ყუთს ავსებდნენ, აღარ იცოდა, სხვა რაღა ჩაედო შიგ და ბოლოს ერთი მსხვილი კარტოფილი ჩადო. თან იღიმებოდა, გეგონებოდა, აი, ახლა გაიცინებსო და უცებ კი ატირდა. სულელო, რა გა-

ტირებსო, დაამშვიდეს იგი და ჰამოს კარტოფილთან ერთად წერილიც გაუგზავნეს, ვითომც, ნახე, რა კარგადა ვართ, კარტოფილის დათესვაც კი არ დაგვიწყებიაო. მაამ.). მოკლედ, სოფელს „საველე ფოსტის“ მისამართზე გაგზავნილი ამანათები ბევრი ენახა, მაგრამ სოფლის მისამართზე რომ ამანათი მოსულიყოს, ამას კი პირველად ხედავდნენ. მიიღეს, შეიკრიბნენ და წაიღეს გასახსნელად. გახსნეს და რას ხედავენ: ჰამოს თურმე ბუმბულიანი ლეიბი არ გამოეგზავნია?... ვაი, რატომ ეგ თავი არ მოგიკვდება, ჰამო!

— ის აქაც ვერ იყო მთლად დაწყობილ ჭკვაზე!...

ჰოდა, იმ დღეებში, როცა ხალხი რადაც საშინელის ნახვას ელოდა, მაგალითად — გენერლის გახვრეტილი ქუდისა, გატეხილი ჯვრიანი მუზარადისა ან თუნდაც ჰიტლერისა. რომელიც მაიმუნივით გალიაში იჯდებოდა და მზესუმზირასაც აკნატუნებდა — სწორედ იმ დღეებში სოფელმა ერთი ფაშატი მიიღო, ფეხწვრილი გრძელკისერა და ადგილობრივ ცხენებზე ორჯერ მაღალი, უზანგამდე ფეხს ვერ ჩააწვდენდი. სტეფანე ძიას, რომელმაც ახლოს ჩაუარა, ფაშატმა წიხლი გაუქნია. სტეფანე ძია განზე მიდგა: — ორორ, გერმანელო!...

— ძიაკაცო, ცოტა იქით გაიწიე. კბენანაა...

— მე ნუ მასწავლი. რაკი გერმანელია, კბენანა იქნება, მაშ რა იქნება.

— შენ რა იცი, რომ გერმანელია.

— ვიცი, მაშ მეტი რაღა ვიცი. მე რომ რუსეთ-იაპონიის ომში ვიყავი, მამაშენი მაშინ თითებს იწუწნიდა.

ერთმა მეოთხეკლასელმა ბიჭმა შორიდან ქვა მიარტყა ცხენს.

— ჰიტლერ!

ქერჩიდან ცალი ფეხით დაბრუნებულმა ნიკალამ კი დაუმატა:

— ფრაუ ჰიტლერ!

— ფრაუ-ბრაუ ჰიტლერ, — ემოსავით გამოსცა მეოთხეკლასელმა.

ცხენს შორიშორ შემოხვეოდა ათიოდე კაცი და ყველანი ფრაუ ჰიტლერს ეძახდნენ. მერე ერთი, სხვებზე უფრო გაბმელავი, ნელა-ნელა, ნელა-ნელა მიუახლოვდა და — ჰოპ, სტაცა ხელი აღვირში, — ფრაუ!.. — მივიდნენ სხვებიც, იმათაც ჩაავლეს აღვირში და ათიოდე წუთს ასე იდგნენ, ცხენს იჩვევდნენ. მერე იმავე გამბედავმა ხელი ფრთხილად გასწია და უზანგი გაამაგრა, — ფრაუ... ცხენი შეტოკდა. ათივე კაცმა მაშინვე მაგრად დაჭიმა აღვირი. შემდეგ ის მეოთხეკლასელი გაგზავნეს და სახლიდან სხვა აღვირი მოატანინეს. როცა მან ქაქანით მოირბინა, გამოართვეს და ცხენს მეორე აღვირიც ჩამოაცვეს. მერე ჯამბაზივით მსუბუქი ბალიში ცხენზე დააბეს, დაამაგრეს, აღვირები ხელში ააკრეფინეს და — ჰაიდა! — სტვენით, ქვის სროლითა და ყაყანით გაუშვეს ნახნავებზე.

— ნუ გეშინია, აღვირები მაგრად გეჭიროს.

— უნაგირს მიეკარ, უნაგირს!

— წაიღუნე, ბალიშ, წინ წაიღუნე!

ბალიშს ცხენი ჯერ ნახნავებით მიჰყავდა, იქიდან კალოებზე გადაიყვანა, მერე მიჯნებზე არბენინა, მთა გადაიარა, გადაჰფარდა და დაიკარგა. ეგონათ, ვინ იცის, დაამტვრია კიდეც ცხენმაო, რომ გეტამეჯის გზაზე შემოჩნდა, კამსარის სახლის ბილიკით ალმაროს ამოჰყვა და სოფელში ამოვიდა.

ბალიში ჩამოსვეს. ახლა სხვა შესვეს.

— ნახნავზე არ გინდა, გზაზე გაიყვანე, გზაზე. გზაზე სწრაფად წავა.

ნახნავებზეც არბენინა და გზაზეც, არხზედაც გადააჯტუნა, ლობეზეც აქლეტინა მუცელი, მოსწყინდა და უკანვე მოიყვანა. მერე მოსწავლე შესვეს: — მაგრად დაეკარ, არ გადმოვარდე! — გადმოვარდა კი არა, და, ყველაზე მეტი არბენინა და ისე შეუბრალებლადაც სცემა, კინაღამ მოკლა ცხენი. მოსწავლის შემდეგ ცალფეხა ნიკალა შეჯდა, — ფრაუ... ჰუ!... აბა, დაიძარ, შე ძაღლის გაგდებულო. ფეხი მომაჭამე და ახლა სირბილიც აღარ გინდა?! ჰაა!..

ცხენი ხვნეშოდა. გაოფლიანებულიყო, თითქოს წყლიდან ამოსულაო. თავი ისე მაღლა აღარ ეჭირა, უკვე ბავშვიც კი ხელს მიაწვდენდა დრუნჩზე.

სალაყბოზე თავშეყრილებს ბერლინელი ჰამოც შეუერთდათ.

— ველურები ხომ არა ხართ, აბა, რას აკეთებთ?!

— ეგ შენს ლეიბსა ჰკითხე, ვინც არის ველური!

— ჰამო, შენი ლეიბი რბილია?

— ჰამო, ჰიტლერის ცოლს რა ერქვა?

— ჩასულიყავი ბერლინში, ერთი ლეიბი კიდევ შენ წამოგეღო და გაიგებდი, რბილია თუ მაგარი. ჰიტლერის ცოლს ევა ერქვა, ცხენიდან კი ჩამოდით, ცოდოა!

— ეს ევა ბრაუნ — ჰამო ნაღდი ლეიბის პროფესორია, რაღა!

— ჰაჩუ, ევა ბრაუნ!..

— გააჭენე, მაგისი ევაც!...

— ყური დამიგდე, პირუტყვო, შენთვის ეგ ევა ბრაუნი არ არის. ევას გამჭენებელი რომ ყოფილიყავი, მკლავს ტყვიას კი არ მიუშვერდი!...

და ჰამომ აუხსნა, რომ ეს ნამდვილი, ჯიშიანი სამხედრო ცხენია, მაგრამ ამის შემდეგ ცხენს მაინც ევა ბრაუნი დარჩა სახელად. ვინც ვის მოასწრებდა, ზედ ისა ჯდებოდა, რამდენიც კი შეეძლოთ, ბარგსა ჰკიდებდნენ, ბალახს არ უყურიდნენ, ყინვა-ავდარში თავლაში არ შეჰყავდათ, ავტომანქანას უჯიბრებდნენ, მთელი ოჯახობით — ცოლითა და სამ-სამი ბავშვით ზედა სხდებოდნენ და მთაში ადიოდნენ; ამათ გარდა კიდევ ხურჯინიც ეკიდა, ღუმელიც, ღუმლის მილებიც, თან კიდევ სკინტლიანი ქათმები და მიდიოდა, მიეზანყებოდა მთისაკენ კრიახითა და ჩხარა-ჩხურით. ამგვარ უბედურებაში ჰყავდათ და ველარც დიდხანს გასტანა, ერთ წელში შემოაკვდათ.

გერმანიასა და გერმანელებზე სოფლელთა წარმოდგენა ომის დროინდელი ცნობებით იყო ნასაზრდოები. სოფელმა იცოდა, რომ ზოია კოსმოდემიანსკაია ჩამოახრჩეს, რომ გმირი ახალგაზრდა გვარდიელები ცოცხლად ჩაყარეს მაღაროს თხრილში; რომ მათი მწვალებელი გესტაპოელი, როცა ახლომახლო არავინ ეგულებოდა, მყრალ სუნს უშვებდა და კისერზე ჩამოკიდებულ ტოპრაკში მის მიერ დახოცილი ურიების ოქროს კბილებს ითვლიდა; რომ გერმანელი ოფიცერი ტყვე პარტიზანს ნაშენობაში წიხლს ურტყამდა, ჩექმის წვერს ცხვირსახოცით ისუფთავებდა და მერე იმ ცხვირსახოცს აგდებდა; რომ გერმანელს ეშინია ჩვენი ხიშტისა, თავქუდმოგლეჯილი გარბის თავის გერმანიაში და სხვა.

ასე იყო კარგა დიდხანს, სანამ ის მეოთხეკლასელი ჯარისკაცი არ გახდა, სადღაც შორეულში არ იმსახურა და იქიდან ნახევრად რუსი, ნახევრად გერმანელი ცოლი არ ჩამოიყვანა.

— ოი, ფრაუ ბრაუნ!...

— გლეწო რო — კბილები ჩამო-

გაყრეევინო!—წაუსისინა იმ მეოთხეკლასელმა.

ასე იყო მანამ, სანამ ფრაუ ბრაუნი ანტარამეჯულმა მზემ, ქარმა, წყალმა, ძროხებმა, ცხენებმა, ქათმებმა, თოვლმა, ტყემ, მამლების ყიყლიყოებმა, ხალხის ერთურთგადაძახებამ, ნეხვმა, პილპილმა თუ ათასმა სხვა რამემ მთლიანად არ გაანტარამეჯელა და თავისი რუსულ-გერმანული ენაც ანტარამეჯულით არ შეიცვალა:

— გული მწვადსა მთხოვს, მამა;

— საპონი არა გაქვთ, საპონი მომეცით, საპნით დავიბანო; — თივასა ვფოცხავდი და იმიტომაც დამიბებრდა ხელები; — ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს, ვინც მუშაობს, ის — ჭამს; და ანტარამეჯულად წაოხუნჯებაც კი სცადა: — ვინც მუშაობს, დრო არა აქვს, ვინც არ მუშაობს, დრო აქვს, ჭამოს.

ხელები კი მართლაც გაუხეშებოდა. თავად პატარა გოგო იყო, მუშაობისას რომ გენახა, იტყოდი, ცოდოა ეს ბავშვი და ხელები კი გაუხეშებოდა.

...ჰოდა, ახლა როგორ უნდა შეიძულო კაცი, რომელსაც, როცა დასცინი, იგინება, მაგრამ აღელვება რომ მოერევა, რაიონიდან სოფელში რეკავს და ხარებსა კითხულობს, როგორ არიანო. ეჰ, არა, ძმაო, სიძულვილი ოქროს ზოდია და იმ ზოდს ყველანაირი ღილისთვის ვერ დააქუცმაცებ. განა ისეთი რა მოხდა? ცხვარი სხვისი იყო და, რაღა თქმა უნდა, ამას დავა-ლაპარაკიც მოჰყვებოდა, ჩხუბიცა და ციხეც. დიდი ამბავი!

10

კოკა მძიმე იყო და ცოლიც მძიმედ ამოდიოდა წყაროს ბილიკზე; მავის გარდა, კიდევ ფუთიანი ვედროც ეჭირა მეორე ხელში და ისიც მხარსა სწყვეტდა; გზის მტვერ-ვაგლახში მისი - ბავშვი ჩამჯდარიყო, იფხლიკებოდა და დედას ღრიალით მოსტიროდა, ამიყვანეო; იქავე ბალში, თხა გადასულიყო და ერთი წლის ვაშლის ნამყენს გემრიელად ახრამუნებდა. რა იხილა ეს ყველაფერი, ზავენს გული მოუვიდა თავის თავზე: ეს რა ბავშვურ რამეებს ჩავდივარ, რა თავქარიანი ქალივით ვიქცევი, რომ ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობაც დავკარგე და თავმოყვარეობასაც ხელი ავუქნიე. ეს კარგად არ დამიჯდებაო, გაიფიქრა ზავენმა და პავლეს უთხრა:

— იქ ბალღური რამეები არ დამიწყო, პავლე, რიგიანად გეჭიროს თავი!

— შენ რა უთხარი?

— რა ვიცი, — ხელი ჩაიქნია ზავენმა, — შენ მაინც ჭკვიანად იყავი.

— არც წავალ და არც ჭკვიანად ვიქნები, — მძიმედ თქვა პავლემ.

— აი, მაგიტომ გეუბნები სწორედ. ასე რომ, წახვალ კიდეც და ჭკვიანადაც იქნები!

„ამ ამბავს კეთილი ბოლო არ უჩანს, — გაიფიქრა ზავენმა. ყველაფერი კი იშხანის ყბალიაობის მიზეზით მოხდა. თუმცა, იშხანი რა შუაშია, ჩემი ბრალია ყველაფერი. ან არადა, კაცო, მართლა ჭურდობა ხომ არ ჩაგვიდენია, რომ იშხანს დაემალნა?! მაშასადამე, არშოა დამნაშავე... არშოსთან კიდევ რა მესაქმება — არშო მაზუთია, რასაც წაუსვამ, ზედ მიეკვრის. ჰოდა, მიჰკვრია კიდეც თავის შესაფერ ადგილს. კაცო, როგორ თუ თავის შესაფერ ადგილს მიჰკვრია, — თავს გაუბრაზდა ზავენი — არშო აქ რა შუაშია, ან გამომძიებელი რა შუაშია. აქ შენა ხარ! შენი შრომა! შენი მთები! შენი რევაზი!

შენი ცხვარი და შენი გეტამეჯი!

ერთხელა თუ ორჯერ ყოფილა. გეტამეჯელებს ჩვენი ჯოგი მოუპარავთ?

აქეთ ჯოგი, იქით — ჯოგი, სად არის ჯოგი?! ხუთი დღე, ექვსი დღე. ერთი კვირა გვიძებნია და ვერ გვიპოვნია! მერე გაიხედავ და, ვიღაცა რეკავს ტელეფონზე: „ეგ რა კარგი ცხენები გყოლიათ, კაცო!... სათიბ მანქანას ისე ეწევიან, თქვენც გაგიკვირდებათ; ის კი არა, იტყვით კიდეც: „მაშ, დავიჯეროთ, ესენი ჩვენი ცხენები არიანო?“ და — წკატ! — უცებ ითიშება ტელეფონი. კანტორაში მყოფნი ჯერ შტერდებიან, მერე როგელიმე ცოტა უფრო საზრიანი ყურმილს იღებს და სასოფელ-შორისო სატელეფონო სადგურში რეკავს: „ალო, ამ ცოტა ხნის წინ რომელი სოფელი ლაპარაკობდა ანტარამეჯთან?—ეგ სახელმწიფო საიდუმლოებაა! — ალო, ანიკ, გთხოვთ, შენი ჭირიმე, ცხენები ძალიან გვჭირდება. — ნუ მაცდენთ, მე სახელმწიფო მოსამსახურე ვარ.—ანიკ...— კარგი, თუ ერთ წყვილ წინდას დამპირდებით! — ანიკ, თუ ქალი ხარ, ჯერ ჩემი ცოლისთვისაც არ მიყიდია წინდები...“. ტელეფონი ითიშება. იგივე ყველაზე უფრო საზრიანი კვლავ იღებს ყურმილს, განრისხებული რეკავს და მორიგეს ემუქრება, წინდას გიყიდი კი არა, მოვალ, რაც ზედ გაცვია, იმ წინდებსაც გაგხდიო. — როგორც გენებოთ! -- პასუხობს ანიკა და კვლავ უთიშავს ტელეფონს. ტუ, ტუ, ტუ, ტუ...

ახლა თავმჯდომარე რეკავს: — ანიკ, მე ვარ. ერთი რამ უნდა შეგეკითხო, ანიკ... — წინ-დე-ბი! — ეუბნება ანიკა. — კაი, ბატონო, ალალი იყოს... — ერთი წყვილი იმიტომ, რომ გატყობინებთ; ერთი წყვილიც ჩემს დედამთილს უნდა უყიდოთ, შეურაცხყოფა რომ მომაყენეთ, ამიტომ. — კარგი, — ეუბნება თავმჯდომარე, — ორთავეს გიყიდით. შენს დედამთილს კიდევ სართულ სხვა რამესაც გამოვუგზავნით. მოხუცებულია. ჩაიცვას, არ გაცივდეს. შენ ეგ მითხარი, სხვა ვინმე — დედა, ბებია ან დედამთილის დედამთილი აღარა გყავს, რომ თითო წყვილიც იმათ... — სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, გეტამეჯი იყო, — ამბობს ანიკა, — წინდები არ დაგაიწყდეთ, ოღონ ერთხელაც მოგიხდებათ რამე.

ერთხელ კი არა და, ბევრჯერაც მომხდარა, მაგრამ კაცი რომ მოებარეთ, ეგ კი ერთადერთხელ მოხდა.

პავლე დაიკარგა. შვიდი დღე ზედიზედ არ გამოჩენილა. ხუთი დღე დაკარგულად არცა სთვლიდნენ. რადგან ანტარამეჯი მხოლოდ ორასი სახურავით არ შემოიფარგლება, სოფელს დიდი მისადევარ-მოსადევარი აქვს და ხალხი ტყე-მინდორშია გაშლილი. თუ მზე და სითბოა, მთელ იმ მოსადევრობაზე ერთი ამბავია: სიცილი, ტირილი, განკარგულება. ყლარუნ-ჩხარუნი, ორსულის მიზანტებული ღიმილი, ვედროდან ამავალი ორთქლი, საპნის ქაფი, კოცნა, ამბორი, ჭორი, გაჭრილი თითი, ტკივილისგან შეჭმუხნული შუბლი თუ ჭრილობის სახვევი. მოკლედ, სოფელი ამ დროს მინდვრებში უფროა. ვიდრე თავად სოფელ ანტარამეჯში, სადაც თაფლივით ზანტად იღვენთება მამლის ყიყლიყო, ბანზე გაფენილი ჩირი ხმება, ხოლო ჩირისა და მამლის პატრონი დედაბერი შვიდი თვის ჩვილს ასე ეუბნება: — დედილომ ძუძუ მინდორში წაიღო, გენაცვალე? უძუძურად დარჩი. შემოგევლე?...

ერთი სიტყვით, პავლე დაიკარგა. ხუთი დღე დაკარგულად არცა

სთვლიდნენ, რადგან ასეთ დროს, როგორცა ვთქვით, მთელი ანტარამეჯი მინდორშია და ცდილობს მინდორიც ისევე დამთავრებულ ნივთად გაიცხადოს, როგორც თავის სახლში ელექტრონათურა, სუფრაგადაფარებული მაგიდა ან კიდევ ჩაიდანი. საცა სამუშაოა, კაცი იქ არის. სახლში საქმეს რა უნდა, სახლში უნდა დაისვენო. ზაფხულობით კი ან სახლში როგორ დაისვენებ?

ასე რომ, ხუთი დღის განმავლობაში დაკარგული არ ეგონათ. მეექვსე დღეს, შესვენება რომ მოჩჩა, მთიბავთა ბრიგადირმა დაიძახა: — ადექი, პავლე!

მაგრამ პასუხად მხოლოდ ზავენის ხმა გაისმა ღარტაფში:—ნეტავ მსოფლიო კომუნიზმი როდის მოვა, რომ აღარაფერი ვაკეთოთ და მარტო გვეძინოს და გვეძინოს, ჰა, პავლე?

— ეი, ძმისწულო, ადექი, — იმხანმა ქუდი ესროლა მის პირდაპირ დაყუდებულ, თავისი აზრით, პავლეს ზურგს, მაგრამ გაირკვა, რომ ის ზურგი იმხანისავე ვირის ფალანი იყო მხოლოდ.

— იმდენი სძინებია, რომ უგრძნობელი გამხდარა, ვირის ფალნად გადაქცეულა, — ეს ზავენი იყო. იგი უცებ შედგა და, თითქოს რაღაცას მიხვდაო, დაუსტვინა, — დღეს პავლე არ მინ ხავს, ბიჭებო. გუშინაც არსად დამიკრავს თვალი, ეჰიჰა!... ხუთი დღეა, არა ჩანს. მეც არ გამიკვირდა, ჩვენი ნათიბი რა ცოტა გამოვიდა-მეთქი. პავლე არ არის და იმიტომაც გამოვიდა ცოტა.

მიაყითხეს ხელმძღვანელობას. არც იმათ იცოდნენ რაზე, არაფერი დაგვივალებია და არსად გაგვიგზავნიაო.

— არა, ყველის გასასყიდად არ წასულა, — თქვა ცოლმაც.

მერე დაბლა საძოვრებიდან ბინაში ბებიას ასძახეს:

— ჰეი, ანუშ ბებო, ანუშ ბებო!.. პავლეს უთხარი, ჩამოვიდეს, მაწონი ჩამოგვიტანოს და ჩამოვიდეს...

ანუშ ბებომ კი მთიდან ჩამოსძახათ:

— პავლე გამოგზავნეთ, მოვიდეს, მაწონი ჭამოს, მაწონი, მაწონიიი...

— ვგზავნით, ვგზავნიიით,—უპასუხეს მთიბავებმა ანუშ ბებოს და ერთმანეთს შეეკითხნენ: — სად იქნება?

ძია ავაგმა თქვა: — მე ადრევე მოვისაკლისე, მაგრამ ეს უპატრონო დღეები აღარ დამითვლია.

— ბიჭებო, გახსოვთ, ტიგრანი ერთ თვეს რომ იყო დაკარგული და მერე მკვდარი იპოვეს ცოცხით ხელში? ცოცხის კვრისას მომკვდარიყო.

— კაცო, ნუ მიედ-მოედები რაღაცას!

მაგრამ, რადგან კაცის ეს იდუმალი გაქრობა დამაფიქრებელი იყო, ათასი მიზეზი და ვარაუდი ჩხრიკეს. იმხანი კარგა ხანს ყელს იწმენდდა და წრიალებდა, რაღაც სათქმელი აწუხებდა. ყველა მას მიაჩერდა. შეშინებულმა და უცნაური ფიქრით დაძალულმა იმხანმა ველარ შეიკავა ტვინის მხურვალე ჩარხიტრიალი.

— ღმერთმა ნუ ქნას, ხალხო, მართლა ასე იყოს და... მაგალითად ვამბობ, რა ვიცი... აი... ვაითუ, მისი ბიძა რომ მთვარეული იყო...

— მერე?

— ღამ-ღამობით მძინარი დადიოდა.

„მემკვიდრეობითია“, დაასკვნა ყველამ ერთფიქრად. აფრენილიყო (ასე ჰყვებოდნენ) მისი ბიძა ჰაერში, მიფრინავს თურმე დუბეებსა და ხეებზე მთვარის სხივებში გახვეული. თან ჩრდილი მისდევს თურმე.

გადადის ეს ჩრდილი ლრანტეებზე და მთვლემარე ფარეხებზე. აყმუვლებულან ჩრდილისაგან შეშინებული ძაღლები. იმ მწყემსსაც მერე თავი დაუნებებია ცხვრისთვის და ქალაქში გადასახლებულა. იმასაც ამბობენ, ბიძა ჰყვებოდა, ერთხელ ზღვაზეც გადავფრინდიო; რუკის მცოდნეებმა გადაწყვიტეს, ეგ კასპიის ზღვა იქნებოდაო. მოკლედ, კაცს გაგბურძგლავდა ტანში იმ უცნობი უფსკრულების, მოჩვენებებით სავსე ჭაბნაკებისა და იმ ცივბნელი ზღვის წარმოდგენაზე... „ცხენსა სცემს და ცხენი უკან-უკან იწევს... კლუბის გამგე კორესპონდენტს ეუბნება: ერთი, ჩავალ, ვნახავ, რა ამბავიაო... არადა, ბნელა, ბნელა რომ თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავ... უთქვამს, ჩავალ, ვნახავ, რა მოხდაო... ეს სიტყვა ყოფილა და, მერე — კივილი და დუმილი მხოლოდ! დუმილი!.. კარგა ხნის შემდეგ კი ყრუ რაღაც ბათქვანი გაუგია და ისევ — დუმილი და სიბნელე ირგვლივ!“.

მერე ერთმა გული მოიცა და დაილაპარაკა:

— კაცო, რამდენადაც მე ვიცი, ბიძამისი მთვარეული არ ყოფილა,— ეს თვითონ პავლეს ბიძა იყო, იგი ცელის გამოსაწკეპად ჩამჯდარიყო და ეგრევე ხელში ჩაქეჩმოღერებული გაშეშებულიყო, — ბიძა მე ვარ. მე კიდევ, რაც თავი მახსოვს, არ მაგონდება მაგნაირი რამე მომსვლოდეს. არ გავფრენილვარ, ღმერთი-რჯული!.. ზოგჯერ სიზმარში და ისიც, ბალღობისას, კი მომხდენია ეგეთი რამე, მაგრამ ეგ არის და ეგა, მეტი არ მიფრენია. თქვენ ნამდვილად, გიქორში გერევით. გიქორი გაამპარტავნებული იყო და ფრინავდა. მერე ნახა, ფრენას რომ ისევ მიწაზე სიარული სჯობნებია, იწამლა და განიკურნა. გიქორი მეზობელია, ბიძა კი არ არის მისი. ბიძა მე ვარ,— და შემოკრებილთათვის რომ ეჩვენებინა, სრულიად ჯანმრთელი ვარო, მაშინვე განავრძო ცელზე ჩაქუჩის ძანგა-ძუნგი.

— ვერ უყურებ შენა?!..

— ბიჭო, სად პავლე და სად — მფრინავი. ადგილიდან დაძვრა ეზარება, რისი ფრინვა, რა ფრინვა!..

— ნეტავი პავლეს! საცა არუნდა იყოს, კარგა გამომცხვარი იქნება ძილით.

თავის ფიქრში ყველამ თითქოს ხელახლად აღმოაჩინა პავლე, მხიარულად უსტვენდნენ და ფალანს ქუდებს ესროდნენ. ფალანი კი მართლაც რომ ბალახებში მძინარე კაცის გავა-ზურგივით ამოზნექილიყო და თითქოს ფშვინვით ადი-ჩადიოდა კიდეც.

ნამდვილი პავლე კი ორი დღის შემდეგ გამოეცხადათ — კუნძივით მსხვილი, მკვრივი და უძრავი, მხარზე ცელგადებული.

— უ! უუუუ...

— კასპიის ზღვა გაუთიბავს...

— რამდენ ძაღლს გაუხეთქე გული?...

— „მთებსა და ფართო ველებზე მიჰქრის...“ პავლე.

— პავლე — პრჟევალსკი — კასპიისკი!

— ეგოროვია!

— კინოა, კინო. კინო — პავლე. პრჟევალსკი რა კინო იყო. დედამიწის ზომებს ადგენს პავლე.

— რა მოგივიდა, პავლე?

პავლე გეტამეჯელ მთიბავებს მოეპარათ.

— სოფლიდან გამოვედი, ხევში ჩავედი და ის იყო, გორაკისკენ შევუხვიე, რომ ვიღაცამ თავზე ტომარა ჩამომაცვა. ხელფეხი გამიკრეს და შემაგდეს ცხენზე. „ჰაიდა, წავე-

დით!“ ვიარეთ, ვიარეთ — რას ვიზამდი; **სული მეხუთებოდა, იმ ოხრებმა**, მუცლით გადამკიდეს ცხენზე, ხურჯინივით. ჩემივე სუნთქვისგან პირისახე გამიცხელდა, მეწვება და თვალები ბუდიდან მიცვივა. უხერხულადა ვარ გადაკიდებული-მეთქი, ვაგრძნობინებ. არაფერიც არა გიშავს, ძალიან კარგადა ხარო და, მიდიან სიმღერით. ვტოკავ, ვფხაკურობ რაც შემიძლია, მაგრამ ტომარა არ მიშვებს. ძალიშვილებმა ისე მაგრად გამომინასკვეს, გეგონება თივა ვიყო ან ნამჯა რამე. თოკები კიდევ დაგრეხილი ბამბისა იყო, მაგარი. ერთი ეუბნება მეორეს: — გაბრიელ მთავარანგელოზო, რაკი ეს ამხანაგი აფხლაკუნებს, ეტყობა, ადგილი ევიწროება. მე წინანდელზე მეტად ვაფხლაკუნებ და თან ყურს ვუგდებ. — ჩემო ანგელოზებო, — ამბობს ჩემი მთავარანგელოზი, — სამოთხის გზა ძნელია, მაგრამ მაინც სამოთხის გზაა. ჩვენ კი, თქმა არ უნდა, ჯოჯოხეთი შევუქმენით ამხანაგს. ტომარა მოხადეთ, მაგრამ თვალახვეული დატოვეთ, თორემ მაგათ ძალიან მალიმალ მოაგონდებათ ხოლმე თავიანთი ცოლები.

თვალებს მიხვევენ, ფეხებს მითავისუფლებენ, მსვამენ ცხენზე და — ჰაიდა! ხელები, მართალია, ზურგსუკან მაქვს გაკრული, ფეხები კიდევ — ცხენის მუცელქვეშ, მაგრამ ახლა შედარებით ამოვისუნთქე, გერმანელი გენერალივით აღარა მაქვს საქმე. ასე ცოტა უფრო მოსვენებული ვარ, თავისუფლად ვსუნთქავ და პირის გაღებაც შემიძლია... პირველ რიგში, გასაგებია, ღმერთს შევუკურთხე წვერ-ულვაში, მერე ჩემს მთავარანგელოზსა და ანგელოზებს. ის კი არა, იმათ ცოლ-ანგელოზებსაც გადავწვდი. ვიკურთხები ეგრე და ჩემივე ხმას ყურს ვუგდებ. ცოდვა გამხელილი სჯობს და ქალ-ანგელოზებს რომ ეევუკურთხე, — ეგ განსაკუთრებით მომეწონა და ერთხელ კიდევ ჩავიტკბარუნე პირი.

ამაზე ძია გაბრიელი ეუბნება დანარჩენებს: — პავლეს ცოლი ფეხმძიმედ არის, მაშასადამე, ამ მხრივ ხელს არ გვაძლევს. პავლე უშრომელი კაცია, **თავშენახული, ქალ-ანგელოზებს** იმიტომაც შეაგინა ორჯერ. ჩვენ პავლეს ვამუშავებთ, ვირს ბატონს დაუძახებს და ქალ-ანგელოზებსაც ბოდიშს მოუხდის.

— რომელ მუშაობაზე ლაპარაკობთ-მეთქი, ვეკითხები.

— თიბვაზეო, მეუბნება. გაგონილი გვაქვს, კარგი მთიბავი ყოფილხარ, მაგრამ ჯერ ნახვით არ გვინახავსო. დამცინის ძალიშვილი, ქაჯ-ნაზარასა[1] ჰგევხარო, მეუბნება.

— როდის იყო, მთიბავს ხელებს უკრავდნენ-მეთქი, ვეუბნები. მონებს უკრავდნენ და იმიტომაც იმათი საქმე წინ არ მიდიოდა, საქონელი მშიერი ურჩებოდათ-მეთქი.

— ეტყობა, ესმის მეურნეობაო, მაქებს. ბავშვებიცა ჰყოლია. რამდენი ბავშვი გყავსო, პავლე? თან სამამულო ომის მონაწილეა, სკოლაც დაუმთავრებლად მიუტოვებია, განთქმული მთიბავია და როგორც ხედავთ, ჭკვიანიც არისო, მიჰქარავს რაღაცეებს.

აქ კი მივხვდი, რომ ეს ჩემი მთავარანგელოზი გეტამეჯელი ბეითალია. ვეუბნები: — რაღა თქმა უნდა, კაცმა კარგი თიბვაც უნდა იცოდე, ბავშვებიც კარგად შეინახო და არც მეურნეობას აუქნიო ხელი. მე ხომ გეტამეჯელი ბეითალი არა ვარ, ბრიყვი და უმეცარი, უნივერსიტეტის

[1] სომხური ხალხური ზღაპრის (ეს ზღაპარი თუმანიანმაც დაამუშავა) გმირი, ქართული ნაცარქექიას წყვილისცალი.

დიპლომით მივიდე და ფერმაში საქონელი ამოვწყვიტო. იქნებ იცნობდეთ კიდეც იმ კაცს, გაბრიელ მთავარანგელოზო-მეთქი?

— არა, არ ვიცნობო. ცაში მარტო კარგ მთიბავებს ვიცნობთო.

— დიდი პირუტყვი ვინმეა-მეთქი, ვეუბნები.

— რას ნიშნავს პირუტყვი, ანგელოზებო, მითარგმნეთ ამ კაცის ენაო.

— ვირს, ცხენს, ძროხას, ხარს, პავლეს, კამეჩს... რა ვიცი, — ხმამაღლა თვლის ერთი და ისიც არ იტყვი, ვინ? მუკუჩის დიდი რადიო[1].

— მაშ, შენ ამბობ, რომ დიდი პირუტყვი ვინმეა, არა, პავლე? — მეკითხება მთავარანგელოზი.

— ნამდვილად! ისეთი კაცია, თავზე ტომარა უნდა ჩამოაცვა და ფერდებში მაგრად მისცხო-მეთქი.

მუკუჩაანთ დიდი რადიო მეკითხება.

— პირადად თუ იცნობ იმას, პავლე?

— როგორ არა-მეთქი, ვეუბნები, იმის ცოლსაც კი ვიცნობ, ერთი გავარდნილი ქალია, იმდღეს მთის გზაზე გადამეკიდა, ვერა და ველარ მოვიშორე; ვუთხარ, თავი დამანებე, შენმა ქმარმა რომ გამიგოს, საქონლის ჯანმრთელობის ცნობას აღარ მომცემს და ველარ დავყიდი-მეთქი.

— კი მაგრამ, იმას რომ ცოლი არა ჰყავს, პავლე?!

— შენ რაღას გვეჩხირები, იქნებ შენი დეიდა იყო-მეთქი.

მერე მეუბნებიან: — ჩვენ მხოლოდ ერთი დღე უნდა გვემუშავებინე, ისიც ისე — საცდელად. ახლა რაკი ჭორიკანაცა ყოფილხარ, ორ დღეს გამუშავებთო.

ვუთხარი, ეგ არაფერია, ვიმუშავებ, მუშაობას კი არ გავურბი, მაგრამ ხელები შემეხსენით, თავი-მგფეხანება და ნასკვებიც კიდევ მიჭერს-მეთქი.

გამიხსნეს ხელები და ერთი მაგარი ტალამაშიც ვაჭამე გამხსნელს...

— ვაჰ, — მეუბნება, — რა მძიმე ხელი გქონია, შენამდე ცხენს რომ არ ჩაემტვრია ჩემთვის კბილები, უეჭველად შენ ჩამამტვრევდი, ცხენის წიხლის ძალა გაქვსო.

მთავარანგელოზმა კი ხელად ბრძანება გამოუანკლა:

— ხულიგნობისათვის — სამი დღე!

— მთავარანგელოზო-ჯან, — ვეუბნები, — მოდი, ერთი ყბაში გხეთქავ და ბარემ ოთხი დღე გამიხადეთ-მეთქი.

— კარგიო, მეუბნება, აჰა, დამარტყიო.

გავაქანე და ფიცარივით რაღაცას კი წავაჯახე მუშტი. ატეხეს ერთი ხორხოცი. ჩექმა მოეშვირნა მამაძაღლს.

— რეგვენო, — ვეუბნები, — თვალახვეულის, ბრმის მოტყუება როგორ შეიძლება. მოტყუებისათვის არც ერთი დღე-მეთქი!

ამაზე დამეთანხმნენ, მაგრამ შეცბუნდნენ კი ცოტა. ბოლოს მივედით ადგილზე. ძალლების ყეფა ისმის აქა-იქ. მოვიდნენ, ჩამომსვეს ცხენიდან და მომხსნეს თვალბანდი.

მომხსნეს თვალბანდი და რას ვხედავ: გეტამეჯის საძოვრებში არა ვარ! მიდის და მოდის, ბიჭებო, შიგნიავი რომა — შენი მოწონებული! ერთიანად მწვაანე, მწვაანე... და კურდღლაობს საყვარლად, ირწევა ხლვაზე გემივით. მეც თითქოს გემზე ვიდგე და მარწევდეს, ისე მსუბუქად მიბრუის თავი...

სათიბებს თვალში ვიძვრენ, ვუყურებ და ვეუბნები ამათ:

---

1 კაცის მეტსახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხლის ლანგარი

ფიგნის ჭდის მოჭედილობანი. ვერცხლი.
ტიხრული მინანქარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაჭავლეანი

ნ. ბარათაშვილი. მერანი. ყდის ძოწქედილობა. ვერცხლი. მინანქარი



ბულაჰიდი. ჭედვა. მინანქარი

ალბრეხტ დიურერის პორტრეტი



Ս. Ղ. ԱՎԱԳԵՍՅԱՆ

«Սիրելիս ամենուրեք»

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, ბიჭებო, ჩემთვის სულერთია, აქა ვთიბავ თუ ჩვენთან, შრომადღე ხომ აქაც არის-მეთქი.

ბევრი კარგი მთიბავი ჰყავთ. ზოოტექნიკოსი თითქოს მისწრებდა კიდეც, მაგრამ მერე დაიღალა. პირველ დღეს ერთმახეთის ჯობნაზე ვიყავით, მაგრამ მერე დავწყნარდით, ნება-ნება მივყევით საქმეს. გასწრებაზე თიბვა არ შეიძლება. კარგი ბიჭები არიან. შუაში ჩამიყენეს, ფხაჭა არსაითა ქნასო. თან თოფიცა ჰქონდათ მარილით გატენილი. ვინც ისვენებდა, იღლიაში თოფამოჩრილი მზად მედგა, ვითომდაც მართლა ტყვე ვყოფილიყავი. მოსაშარდავადაც რომ გავსულიყავი, ერთი თოფიანი თან მომდევდა, მოშორებითა დგებოდა და მალიმალ გამომძახებდა: — ჰა, არ მორჩი?

ჰო, მართლა! ეგრე თქვეს, თქვენი თავმჯდომარეც უნდა მოვიპაროთ, ერთი ათი დღე მაინც გვიხელმძღვანელოსო. მე ვუთხარ, არ გეშინიათ, რომ იმ ათ დღეში ბრძანოს და გეტამეჯის საძოვარ-სათიბები ანტარამეჯს გადასცეს-მეთქი? რატომ უნდა გვეშინოდესო, მეუბნებიან. სათიბები გადასცეს, მაგრამ ვეტყვით, რომ ისიცა ბრძანოს, იმ საძოვრების სულადობრივი შესაბამისობით ჩვენი ცხვარ-საქონელიც გადასცეს ანტარამეჯსაო.

ხელმძღვანელებს უყვართ ბრძანებების გაცემა, შეუძლია ასეთი რამ მართლაც ბრძანოს, მაგრამ საძოვრები გადასცე და ცხვრის ფარებიც თან დაადევნო, ეს იგივეა. ვითომც არ გადაგიცია.

— ამ დროს სოფელში რა გინდა, ზავენ? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ცხვრების საკითხზე გამოგვიძახა.

— არა, ერთი?!..

ზავენი მხრებში მეტყველად შეიჩმუჩნა.

— შენ შენი მწყემსები მოკრიბე და წადით მთაში. მაგ ცხვრების საკითხს მე მოვუვლი.

— როგორ, ერთი წყვილი წინდით?

— ზავენ, რა მოვივიდა, ზავენ?

— ზახრუმალა მომივიდა დაჯანდაბა მომივიდა, დაუსწრებელზე რომ მინდოდა უმაღლესში, რატომ არ გამიშვი?

— მოიცა, მოიცა, ზავენ. თუ რევაზი არ ჩივის, განა საკითხი გადაწყვეტილი არ არის?

— რევაზს ვინ რასა ჰკითხავს. რევაზი თუ არ ჩივის, პირიქით, პასუხს აგებს სწორედ იმიტომ, რომ არ ჩივის.

— ვერაფერი გამიგია. აქ ჩვენა ვართ და ჩვენი სოფლები. მე რევაზი ვარ, ცხვარი დავკარგე, ვისი რა საქმეა? ნუ გეშინია, სოფლეურად წამოვდგებით და ერთ ამბავს ავტეხთ.

— ერთ ამბავს ასტეხთ და სასამართლოს დარბაზიდანაც გამოგყრიან.

— კაცო, დარბაზიც მე ვარ და სასამართლოც, ბრალმდებელიცა და ბრალდებულიც, ცხვრის პატრონიცა და ცხვრის შემჭმელიც, შენ ვინა ხარ?

ზავენი წამით თითქოს დაიბნა, — მე, — მერე შეიძგიბა და თავის თავზე აიღო ვიღაცის როლი, — მე კაცი ვარ, რომელიც მანქანებისთვის ქუჩას განვაჩინებ, ფეხით მოსიარულეთათვის კი — ტროტუარს; ფეხით მოსიარულეთათვის ქუჩაზე გადასასვლელ ხაზებს ვავლებ, მანქანისთვის კი ვაწესებ ნებადართულ სიჩქარეს.

ხაზს გადასცდები — დაჯარიმდები, სიჩქარეს გადაამეტებ და — დაჯარიმდები, მე მაქვს არქივი, მე ვაწესრიგებ ყველაფერს, მე თვით წესრიგი ვარ, გაიგე? მე ასფალტივით ვათანასწორებ ყველაფერს, გაიგე? ეს მე ვასწავლი შეჯამება-გაყოფას, გაიგე?... ანგარიშით არის ყველაფერი, გესმის? ანგარიში ისწავლე. თვლა ისწავლე!

— მოიცა, მოიცა! ახლა ანგარიში არამცთუ მე უნდა ვისწავლო, პირიქით, ამ შემთხვევაში, შენც უნდა ჩამოგართვა მაგისი ნიჭი. მისმინე: მე სახლში, ჩემს ოჯახში, ცხვარი დავკალი. მაგიდაზე ღვინოც შემოვდგი და დაგპატიჟე შენ. დაგპატიჟე და ყოველი ჭიქით ვსვამ მხოლოდ შენს სადღეგრძელოს, ხოლო თუ ჩემს სადღეგრძელოსაც დავლევ, ეს ისევ შენი სადღეგრძელოა, რადგან, შენ რომ წ ე ს რ ი გ ი, ხარ, სწორედ შენის გამოისობით ვართ ასე. შენ ეს არ გაღელვებს? ტირილი არ მოგდის?

— მე შენს სახლში არ მოვალ, არ დაგეპატიჟები, რადგან ჩემი ოქმი ოქმს უნდა ჰგავდეს. ჩემი ქალიშვილი მუსიკალურზე სწავლობს, მეორე სართულზე ვცხოვრობ და არც სამსახური მაქვს ცუდი. მინდა, ჩემმა ქალიშვილმა კარგი მუსიკალური განათლება მიიღოს, ბინით ცოტა გავფართოვდე და სამსახურშიც თანამდებობა მომიმატონ.

— მაგრამ თუ გშია?

— თუ მშია — მაღაზიაში ძეხვი იყიდება.

— სირცხვილი არ არის, ბიჭო, სოფელში მაღაზიის ძეხვი სჭამო?

— სწორი საქციელი ეს არის.

— კი მაგრამ, ეგ რაღა სომხობა გამოვიდა?

— რად მინდა შენი სომხობა? ამ ქვეყნად ყველაზე მძიმე იცი, რა არის?

— როგორ თუ, ყველაზე მძიმე?

— ისე, რაღა, მძიმე.

— ტყვიაა, სხვა რა უნდა იყოს.

— მაგ ტყვიაზე მძიმე — სიკეთეა. სიკეთის სიმძიმე უმეტესია. მე შენს ოჯახში ცხვრის ორი ჩიჩქნა ხორცი შევჭამე, ორი ჭიქა ღვინო დავაყოლე და წავედი. მივდივარ და ვფიქრობ, რომ შენს ოჯახში ორი ჩიჩქნა ხორცი ვჭამე და ორი ჭიქა ღვინო დავლიე. ვმუშაობ და კიდევა ვფიქრობ, რომ შენს სუფრაზე ორი ჩიჩქნა ხორცი ვჭამე და ორი ჭიქაც ღვინო დავლიე. აბანოში ვარ და ამაზე ვფიქრობ, დასაძინებლად ვწვები და ისევ ამაზე. ცხვარსა ვხედავ — ის ხორცი მაგონდება, ხორცსა ვხედავ — ის ხორცი მაგონდება, მწყემსსა ვხედავ — მაგონდება, ყურძენსა ვხედავ — მაგონდება, მთვრალსა ვხედავ და — მაგონდება. მახსოვს და მახსოვს. მძიმეა პურმარილის მადლი. რამდენჯერ გაგიგონია: „ეგეც ჩემი სიკეთე!“ ან შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს! ასეა, მადლი და უმადურობა სულ ერთად არიან. ტყვია ამათთან როგორ მოვა სიმძიმით. ამიტომ მე მირჩევნია ჩემი კაპიკებით მაღაზიის ძეხვი ვიყიდო და ისა ვჭამო. „მოვიდა, ჩემი პურმარილი ჭამა და მერე სასამართლოს მიგვცა პირში!“, ჰა, რა აზრისა ხარ ამაზე? — ჩაიცინა ზავენმა.

— არა მგონია, თვითონ ასე გაართულოს. ეგ, შენ ართულებ, ზავენ.

— შენა სთქვი და მეც — გითხარი.

— მე ვარ მართალი, ეს — ერთი. მეორე კიდევ — ჩვენ გენერალი გვყავს.

— წოდებით — კია გენერალი.

— როგორ თუ წოდებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ და — ისე: წოდებით, ვარსკვლავით, ლამპასით.

— მაშ, სხვარიგად როგორ იქნებოდა?

— სხვარიგად, ნაღდი გენერალი უნდა იყოს კაცი. გენერლის აზრი, გენერლის გული და გენერლის სიცილი უნდა ჰქონდეს. აი, მაშინ იქნებოდა დიდი. ის კი, აბა, რა გენერალია! რაკი გენერალია, ნამდვილი გენერალი გგონია? ხომ გახსოვს, როგორ დაატყაპუნებდა. სულიმწარედ ელოდებოდა, ნეტა ამ წელს მომცემენ გენერლის წოდებას თუ მომავალი წლის დღესასწაულამდის გადასწევენო!

— ისევ ართულებ, ზავენ. იმან ჩვენი გულისთვის ტელეფონზე უნდა დარეკოს მხოლოდ. ჰოდა, ვისაც ის დაელაპარაკება, იმასთან რა ისეთი აზრი, გული, სიდიადე თუ მოხერხება დასჭირდება. უბრალოდ ეტყვის, გაწუხებთ გენერალი ესა და ესაო და ისიც ოთხად მოიკუნტება. „გისმენთ, ამხანაგო გენერალო!“ მორჩა და გათავდა! რამდენიც უნდა უმტკიცონ, მწყემსების გამართლება შეუძლებელიაო, არ იქნებაო და ასე შემდეგ, გენერალი. მართალია, მოუსმენს კი, მაგრამ მოსმენილს ბაიბურშიც არ გაიტარებს. ის გენერალია და ასეთი წვრილმანი რალაცეებით ტვინს არ გამოიტენის. ეს ამბავი იმასაც ჰგავს, გონებას რომ კევი მისცე საღეჭად; მოკლედ, ტვინის ჭყლეტაა, რალა. ჰოდა, აბა, შენვე თქვი. გენერალს ძალიან ეხალისება ტვინის ჭყლეტა? იმათ რამდენიც უნდათ უხსნან და უმტკიცონ, პატიმრობიდან ვერ გავათავისუფლებთო, ის მაინც თავისას ეტყვის: „როდისთვის მპირდებით საქმის გათავებას? ორ დღეს გაძლევთ ვადას. შეასრულეთ და მომახსენეთ!“. აი, სულ ეს არის, ზავენ. შენ ჭკვიანი ხარ, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ.

— ე-ე, — თქვა ზავენმა, — კარგია, მაგარი ბიძა თუ გყავს კაცსა. მაგრამ ბიძასაც ბიძის შესაფერი ძღვენი უნდა. არ მიუტანდა — უკვირს, იცი როგორ უკვირს? მეფეს რომ უბრალო კაცი თავს არ მოუხრის, მეფეს გაუკვირდება, ის კაცი ქანდაკება ეგონება. ასევე გაუკვირდება იმ ბიძასაც. თავმჯდომარე აბგარმა ბალობაში ერთხელ წვინტლი მომწმინდა და, რამდენიც დამინახავს, მაგას მეუბნება. ერთი სიტყვით, მე არ მინდა გენერლის მადლი ფალნად დავიდგა.

— დღეს რა ფილოსოფოსობა დამიწყე, — გაბრაზდა თავმჯდომარე, — ახლა ენაჭიკჭიკობ და ცხვარი რომ დაინახე, მაშინ ფილოსოფია დაგავიწყდა, მგლად იქეცი, არა? უმად მიირთმევდი, არა? თქვენ მარტო ლაპარაკში ხართ მაგრები!

— აჰა, შენც უკვე მსაჯულად იქეცი, — გაიღიმა ზავენმა, — მსაჯულად ყოფნა ადვილია, მაგრამ მთაში რომ შენც შეგვსწრებოდი იმ დროს, რევაზის ცხვრები ვითომ უკეთეს დღეში ჩაცვივდებოდნენ?

— არა, არა მგონია, — ფიქრიანად გაეხმიანა თავმჯდომარე, — მაგრამ თუ იპარავდით, წესიერად მაინც მოგეპარათ... — მერე უცებ დაუმატა: — მთელი სოფელი მივადგებით, — ეგ ერთი; გენერალიც — ეგ ორი! მე წავედი ქალაქში!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— ვითომ რატომ არ უნდა მომიმართოს.

— რა ვიცი, აბა?

ზავენს გაახსენდა ერვანდ წარუკიანი — ცოლის შორეული ნათესავი, რაიბანკის თანამშრომელი, სამოცი წლის კაცი. მრგვალი თვალები

აქვს, თვალები — ცალკე, წარბები კიდევ — ცალკე, ზედ შუბლის თავზე. უკან გადაქანებულ შუბლს ერთი ბეწო სიმაღლე არ ეტყობა, გვგონება კეფიდან ირიბად ჩამოათალესო. წარბის ძვლები მაღლა ამოსჩრია და ისეთი ძვალპიტალო შეუკრავს, სატეხითაც ვერ გაიტან. ზავენს კოლმეურნეობის ფული უნდა გაეტანა ბანკიდან და უნდა მიეღო სწორედ ამ წარუკიანისგან. წარუკიანი დიდხანს სინჯავდა მიმართვას და მერე თქვა, ბეჭედი კარგად არ ეტყობაო.

— ანტარამეჯში მელანი არა გაქვთ? — თავისი ჭკვით ვითომ იხუმრა მან.

— გვაქვს.

— ვიცი, რომ გექნებათ. მელანზე იაფი რა არის, ბოთლი რვა კაპიკი ღირს. მაგრამ თქვენებურებს, ვინც ეს ქაღალდი გამოგატანეს, კარგად არ სცოდნიათ, როგორ უნდა შეადგინონ საქმიანი ქაღალდი. ეს ხომ საბუთია, ეს საქმეში ეკერება. ამით შენ ფულს გაძლევთ, სახელმწიფო ნაღდ ფულს. ეს რომ რევიზორმა საქმეში მინახოს, ყოფას არ მიტირებს? მიტირებს! ჰოდა, შენ მაშინ აქ იქნები, რომ რევიზიას პასუხი გასცე? აქ არ იქნები. მელანი და ბეჭედი იმისთვის არის. შვილო, რომ ფარატინა ქაღალდი საბუთად აქციოს.

მისი ჩაკირკიტებული საუბარი რომ ესმინა, ყველაზე უსაქმურ კაცსაც კი მოიჩენებოდა, რომ გადაუდებელი საქმე აქვს და აგვიანდება. სახეშეჭმუხვნილი ზავენი წამოაუწუმ ფეხს ინაცვლებდა და წრიალებდა.

— რამეს რომ გეუბნებიან კიდე, არ უნდა გეწყინოს. საბუთის რიგიანი მოპყრობა არც შენა გცოდნია: აი, ნახე, რამდენჯერ გაგიკეცია.

— მაგვიანდება, გთხოვთ, ამხანაგო წარუკიან.

— გაგვიანდება და, წადი, ხვალ მოდი.

— დღესვე სოფელში უნდა ვიყო, ამხანაგო წარუკიან.

— საქმეს მორჩი და წადი, ძალით ვინ გაჩერებს? თუ ამას შენს საქმედ არა თვლი, წადი, უთხარი. სხვა ისეთი ვინმე გამოგზავნონ, ვისაც არც აგვიანდება და საბუთის შენახვის წესიც იცის; დიახ, საბუთის შენახვის წესიც იცის.

— თქვენც მორჩით, რომ წავიდე.

— აქ უკვე ბოდიში, აქ უკვე ბოდიში მოიხადე, ყმაწვილო, მე ჩემი საქმე ვიცი. მე ვიცი ჩემი საქმისა, როდისაც მოვრჩები. ჩემ საქმეს შენ როგორ მასწავლი. აქ მე ათას ცხრაას ოცდაერთი წლის ივლისის ცამეტიდან ვმუშაობ და ჩემთვის ჩემი საქმე ჯერ არავის უსწავლებია.

და როგორც კი დაინახა, სიწითლე მოაწვაო, ზავენმა ენის გასატეხივით ერთბაშად მიაყარა:

— კარგი, კარგი, კარგი... მე — ბოდიში. მე — ბოდიში!..

— მაგნაირი ბოდიში მე არა მჭირდება, ხელებს ნუ იქნევ, „კარგი კარგი, კარგი“... რაჰეს რომ გეუბნებიან, ყური კარგად დაუგდე. შიგ შეცდომაც არის, ბეჭედიც ბეჭედს არა ჰგავს, საბუთიც დაჭმუჭნულია და თანაც სწყინს — „კარგი, კარგი, კარგი“... ჩემს ადგილას რომ სხვა ყოფილიყო, იტყოდა, საბუთი ყალბიაო; მილიციას დაუძახებდა. სახელმწიფო საქმეა, სახელმწიფო მოსამსახურენი ვართ, მამაჩემისა და მამაშენის საქმე კი არ არის, რომ გწყინს კიდეც. ორი შენოდენა ასაკის ნამსახურობა მაქვს და დარიგების უფლებაც არა მაქვს?!

როცა საქმე თითქოსდა მორჩენილი იყო, წარუკიანმა ის ავბედითი ქალალდი ბანკის დირექტორთან წაიღო. — ეს ნაღდი ფულია, გესმის? ეს უბრალო ქალალდი კი არ არის, რომ როგორც გინდოდეს, ისე დაკეცო, — წაღების წინ აუხსნა ზავენს. დირექტორმა ნება დართო, ხელის აქნევით პირდაპირ მოიშორა იგი. მხრებაჩეჩილი წარუკიანი იღიმებოდა, როგორღაც დაბნეული იყო. მერე მკაფიოდ წარმოთქვა: — თქვენ იცით, მერე შემოწმებაზე თუ რამე მოხდა, არ დაგავიწყდეთ. მე ხელი დამიბანია. რა ვქნა, წესრიგის მოყვარული კაცი ვარ.

რაღაც რამდენიმე მანეთი იყო, ზავენს ოთხმოცდაათგან მოაწერინა ხელი, — კარგად არ გამოვიდა, კალამი ისევ გასვარე. მანდ არა, ცოტა ქვემოთ, უყურე, გარკვევით წერია — „ქოჩარიანი“. სწორედ პირდაპირ. მოაწერე ისე, როგორი ხელწერითაც პასპორტში გაქვს მოწერილი. ჰო, ჰგავს. თავისუფალი ხარ. დაითვალე და მერე წადი. რამეს რომ გეუბნებიან კიდევ, ნუ გწყინს. ჩვენც გვაქვს გრძნობა. შენ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ მამაშენი ნამდვილად კაი კაცი იყო. მეც მამაშენის ტოლა კაცი ვარ და თუ სიფრთხილეს ვიჩენთ, მაშასადამე, რაღაც მეტი გვინახავს... დაითვალე, დაითვალე. ასე. მაშასადამე, მორჩა, მეტი ერთმანეთში ვალ-სესხი არა გვაქვს. ჩვენს გოგოს მოკითხვა და, მშვიდობით.

ქსოვილების მაღაზიასთან ჩავლისას ზავენს მოაგონდა, ცოლმა რომ წერილი გამოატანა წარუკიანის ცოლთან. „ნარმა უნდა ეყიდათ ჩემთვის, წადი, გამოართვი: თუ დარჩენა მოგიხდეს, მათთან გაათიე, სასტუმროებში ფული არ დახარჯო“.

„ველარ იხილე ის შენი ნარმა, ქალო! — გაიფიქრა ზავენმა, — სასტუმროშიც ფული დავხარჯე-და. შენ რომ იტყვი, ოჯახიც დავანგრიე“.

მთავარ ქუჩაზე მაღაზიების დათვალიერებას რომ მორჩა, ზავენმა იმედმიხდილად გაიცინა:

— ჩემმა ცოლმა პირდაპირ სამოთხეში გამომგზავნა.

„ოტელოს“ შუადღის წარმოდგენიდან გამოსვლის მერე ზავენმა კითხვა-კითხვით იპოვა წარუკიანების სახლი. წითლად შეღებილ ჭიშკარზე ჩაქუჩი და ფილა იყო მიმაგრებული. ქალაქში ზარს უყენებენ ხოლმე და ამათ რატომ აღარ დაუყენებიათო, გაიფიქრა ზავენმა და იქვე დაჯერებით უპასუხა თავის თავს: — იმიტომ, რომ ზარი ელექტროდენია, ელექტროდენი — ფულია. ფული — სული, სულის შებერვა და განიავება კი არ შეიძლება. ამ წუთში ზავენი ამაყობდა თავისი მთიელობით. პირველივე დარაკუნებაზე მეორე სართულის ფანჯარაში ფარდები გადაიწია, მინაზე ცხვირმიჭყლეტილმა გოგომ კითხვის ნიშნად ქვედა ტუჩი ჩამოაგდო და ფარდები ისევ შეერთდნენ. ზავენი კარის გაღებას დაელოდა, მაგრამ ფეხისხმა არა და არ ისმოდა. მეორე დარაკუნებაზე ფარდების ღრიჭოში ახლა სხვა გოგომ გამოიხედა. ისიც პირველივით განურჩევლად იყურებოდა, თითქოს ვერ ხედავდა ზავენს. მაშინ ზავენმა წერილი დაანახვა. გოგომ თავი დაუქნია, მესმისო, და ხელით აჩვენა, წერილი ფოსტაში ჩააგდეო. ზავენს ახლა უკვე დიდხანს მოუხდა ჩაქუჩის რაკუნი. „ყოველ ჩამოსვლაზე თითო ცხვარს გიკლავთ, ასე თითო-თითოობით მთელ ფარასა სჭამთ; პატივს იკემთ, პატივს შეიშვნევთ, ქალაქში ჩამობრძანდებით და სახლებში იკეტე-

ბით, მე თქვენი...“ მეორე ფანჯრის ფარდიდან ახლა კიდევ სულ სხვა გოგომ გამოიხედა, ხოლო პირველი ფანჯრიდან მზირალმა საკეტი გადასწია და ფანჯარა გამოაღო. ასე კანკალისა და შიშის გარეშე ფანჯრის გახსნისთვის ზავენმა იგი ქებითაც კი დააჯილდოვა.

— ყოჩაღ!

— ვინ გნებავთ?

— წარუკიანი.

— ეს წარუკიანების სახლი გახლავთ.

— ვიცი, რომ წარუკიანებისაა,— უთხრა ზავენმა. — „წარუკიანებისა!“.

— რა გნებავთ?

— ხუთ კაპიკს არ მომცემ? — ზავენმა ყელი გადაიგდო.

წარუკიანი ბაღში ქვას ამტვრევდა. ტონიანი ლოდი იყო და გვერდებზე როგორც თაგვისგან შაქარი, ისე იყო მოფხვნილი.

— აა, შენა ხარ, ყმაწვილო? მშვიდობა შენს მობრძანებას. კიდევ საქმეა რამე?

ზავენი ბაღსა და სახლს ათვალიერებდა. ერთიცა და მეორეც უნაკლო იყო.

— მე თვითონ ავაშენე, აი, ამ ხელებით. ოსტატმა მარტო კედლები ამოიყვანა და მაშინაც კი ოსტატის ტოლას ვმუშაობდი. აი, ნახე!— წარუკიანმა ხელის გულები უჩვენა.

ხელები მართლაც ნამდვილი ქვისმთლელისა ჰქონდა, უხეში და ფრჩხილებდამტვრეული.

— ამ ქვას რომ უყურებ, ამოდენა კი არ ყოფილა, დიდი იყო, სახლისოდენა, მაგრამ მე ამოდენა გავხადე, ნელა-ნელაობით ამოდენა გავხადე. ჯანმრთელობასაც არგებს და ფულიც ტყუილად არ დაიხარჯება. უყურე! — ბაღის გალავანი უჩვენა ზავენს, — ეს თავის დროზე ძველი სახლის კედლები იყო, დავშალე და ყორედ გაძოვიყენე. ყველაფერი კი იმ ერთი უზარმაზარი ქვისაგან არის, მისგან ესლა დარჩა.

ბაღი ისე იყო დაკვარკვარებული, ხორბლის მარცვლისოდენა ქვის ნაფშვნიც კი არ ეგდო არსად.

— მიწა გავცერი და სულ ისე ვასუფთავე. აი, აქ კი დიდი სალია ჩაგდებული. ვნახე, ძირი ღრმადა ჰქონდა, ვერ ამოვიღებდი და, მალლიდან მიწა გადავაყარე, ცოტა კი არა, ორმოცდაათი ტონა მაინც. არ გეგონოს, მანქანით მოვაზიდინე ის მიწა. ხელით ვეზიდე, ვედროთი. ბულდოზერებით ქუჩას თხრიდნენ, კარგი, შავი მიწა ამოდიოდა და მეც ვეზიდებოდი. აბა, ახლა გახედე, როგორი ქინძი მითესია. მოწყვიტე, ნუ გრცხვენია, მოწყვიტე ერთი ღერი, ერთადერთი ღერი, გასინჯე, — წარუკიანი თვითონ დაიხარა, ქინძი მზრუნველობით გადასწია, თითებით ძირი მოუფხვიერა, ამოსწია და ერთი ცალი ძირიანად ამოგლიჯა, — აბა, შეჭამე, ნახე ეს ერთი ცალი... მაგით კი არ გამალარიბებ, ნუ გეშინია. კაცი ძუნწი არ უნდა იყოს. სიძუნწეც არა, მაგრამ არც ძალიან ხელგაშლილი უნდა იყო. ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ. თავადები ხომ არა ვართ. მე, მაგალითად, ხელფასი ასი მანეთი მაქვს, ოცდაათიც პენსიად მეძლევა... ხომ იცი, ძველი პარტიზანი ვარ... ჰოდა, ის მინდოდა მეთქვა, რომ თუ კაპიკი კაპიკს არ დაადე და არ შეინახე, მაშინ მშრომელი კაცი კი არა, ასე გამოდის, თავადი ხარ და ეგ არის...

ის ადამიანთა იმ ჯგუფს განეკუთვნებოდა. ათწლეულების უღელს ქედს რომ ნებით წაუღუნავენ, მაგრამ მაინც ჯანდაზოგვით ეწევიან. მათ ერთი ან ორი ღერი თმა თუ გასცვივათ წელიწადში და მაინც

წუწუნებენ, „თავზე თმა აღარ შემრჩაო“. კედელზე მრგვალ ჩარჩოდან გამომზირალი ყმაწვილკაცობის დროინდელი სურათები კარგად წარმოგვიდგენენ მათ ფიზიონომიას — ზემოთ აცქვეტილ მოკლე ულვაშებს, მრგვალსა და წარბებიდან საკმაო დაშორებით ჩამსხდარ თვალებს, ამოჩრილ წარბისძვლებს ანუ ზემოდან ტყავგადაკრულ რკინას და პირში გაჩრილ აუნთებელ სიგარეტს.

— ერთ დროს ვეწეოდი. მერე თავი დავანებე. ჩემი ჯანმრთელობისა და ჯიბის მტერი ხომ არა ვარ.

ამნაირ ხალხს პალტოს სასყიდლად ათი მანეთი რომ ესესხო ერთი დღით, ჯერ დაფიქრდებიან და მერე დაგარიგებენ:

— ფულს ტყუილუბრალოდ ნუ ფლანგავ.

— პალტოს ვყიდულობ, ოთხმოცი მაქვს და ათიღა მაკლია.

— ესე იგი, პალტო ოთხმოცდაათმანეთიანია.

— დიახ, ოთხმოცი მაქვს და, გთხოვთ, ათი მანეთიც მასესხოთ ხვალამდე.

— ის პალტო უკვე გაგიცვდა?

— გამიცვდა.

— რამდენ წელიწადში გაცვითე.

— ხუთ წელიწადში. ახლა ახალი მინდა ვიყიდო.

— ძალიან გიცვეთნია. არ გაფრთხილებიხარ.

— გასაცვეთი იყო და გაცვდა.

— კარგია, ოთხმოცი მანეთი რომ გქონია. მე მეგონა შენ ჩემზე უარესად გიჭირდა. კარგია, რალა, ოთხმოცი მანეთი რომ გქონია. მე მოხარული ვარ, მაგალითად. დაე, ყველასა ჰქონდეს მაგდენი, რა უშავს, მე თუ არ მექნება.

ჰოდა, კარგსაც აკეთებენ, რომ არ გასესხებენ. თუ ისეთი საცოდავი ხარ, ათი მანეთი არა გაქვს, ღმერთმა იცის, ვალს დაუბრუნებ კი საერთოდ?

რაიმე არეულ-საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაზე ისინი უფრო მეტს ფიქრობენ, სანამ თავად პრეზიდენტი. ფიქრობენ და თან მალ-მალ ჩახედავენ სარდაფის კუთხეში მიდგმულ სკივრს, რაშიც შავი დღისათვის საპონსა და ასანთს ინახავენ. ასეთი საშავდღეო სკივრები ბევრია და შიგ კიდევ, რა გინდა რომ არ იყოს: ცხვრის ყაურმა, ყველი, ერბო, ფქვილი, ხმელი პური, ხმელი ხილი, ხმელი კომპოტი, ხმელი ლუდი და ათასგვარი ხმელი ნაგავი. ფულის გამოცვლისას ისინი ერთმანეთის ჯგლეთით ყიდულობენ მაღაზიებში რაც კი მოხვდებათ, რაზეც კი ფასია აღნიშნული.

თავიანთი უახლოესი ნათესავის საცოლედ მოყრილ ბიჭს ისინი ასე ეკითხებიან:

— ბინა გაქვს?

— ჯერ არა, მაგრამ მივიღებ.

— მიღებაც არ არის ცუდი, მიიღე, მაგრამ ის ბინა რა ბინა იქნება. ისევ, აი, რა სჯობს: ქალაქის საბჭოში განცხადება შეიტანე, ქალაქის განაპირას ერთი ნაკვეთი აიღე, იმ ნაკვეთში ხუხულა რამ მოიქოხმახე და შედი შიგ. სამსახურიდან რომ დაბრუნდები, ბარი აიღე და ყოველდღე ერთი-ორჯერ ჩაჰკარი მიწას. ერთი-ორჯერ. მერე თავისთავად გაშენდება ყველაფერი. საკუთარი სარდაფი გექნება, საკუთარი ეზო, ეზოში კიდევ — თუთის ხე. რა ბევრი ეს არის, მაგრამ — შენი იქნება. დაბლა — კარგი სარდაფი, მაღლა — ოთახები. ეზოს გარშემო — გალავანი და, მორჩა, სხვასთან ალარაფერი გესაქმება.

ძალიანაც კარგად იქცევიან, თავიანთ ჭიშკრებში რომ იკეტებიან. ის მათი სახლია, იქ მარტო არიან საკუთარ თავთან.

ახლა ვნახოთ რას ჭამენ, რით იკვებებიან ისინი. თუ ახლა ორმოცდარვა წელია, ჭამენ ოცდათვრამეტი წლის დროინდელ სანოვაგეს, თუ ორმოცდათვრამეტი წელია — ორმოცდარვა წლისას. ასევე, სამოცდარვა წელს იხარჯება და ცვდება ორმოცდათვრამეტ წელს ნაყიდი კარაქი, საპონი და ტანსაცმელი. აი, დარდი! თუ ახლა ათას ცხრაას სამოცდაორი წელია, დაე, ათას შვიდას სამოცდაორის ფქვილი გამოიცხონ, რა მენალვლება. მაგრამ, საქმე ის არის, რომ მათ მუდამ წესიერ ადამიანებად იცნობენ. თამბაქოს არ ეწევიან, რომ ქუჩაში ნამწვის გადაგდებაში შენიშნო; დიდ ქურდობას არ ჩაიდენენ, რომ დასაჭერად გაუხდეთ საქმე და არცა სვამენ, რომ საზოგადოებრივი სიმშვიდე დაარღვიონ. პატიოსანი ხალხია, იცვამენ არც ისე ძველ, არც ისე ახალ ტანსაცმელს, ბაზრიდან ბადესავსედ მომავალნი ღიმილით ესალმებიან ნაცნობებს და თითქმის ყოველთვის საბინაო რწმუნებულნი არიან საზოგადოებრივ საწყისებზე. ჯანდაბას, იყვნენ, ძალიანაც არ მეხარბება! მე, უბრალოდ, ის მაბრაზებს, რომ კაციშვილს აზრად არ მოსდის ცოტაოლენი ბენზინი იმოდის, სწორედ წლევანდელი ბენზინი. მიასხას და ამობუგოს თავისი სახლიანად, თავისი ჩანაფტალინებული ქსოვილებითა და ორმოცდარვა წლის ყველით, თავისი ოცდახუთი წლის ნავთითა და ათასნაირი ნაგავით.

წარუკიანს თავისი ხუთიოდე მტკაველი მიწა პატარ-პატარა კვლებად დაეყო. თითო კვალი. ასე, ნარდის დაფის ტოლა თუ იქნებოდა. კვლებში ცალ-ცალკე ეთესა წიწმატი. ეს, ტარხუნა თუ სხვა მწვანილეული. ის ბეყეკიტრი, როგორც კიტრსა სჩვევია, მეზობელ ეკალშიც გაცაცბარულიყო. მაგრამ ბატრონის ხელს მისთვის მალევე ეჩვენებინა თავისი ადგილი, „შენი ადგილი იცოდე, კიტრუნავ. შენი ადგილი.“. მოკლედ, ამ ბოსტნის შემხედვარე კაცი დაიდასტურებდა, როგორ შესძლებიათ სანტიმეტრებს ჰექტრად გადაქცევა.

სახლში, კედლის ღუმლიდან ჩამოსაკიდებელ პირსაბანამდე, ყველაფერი შელებილი იყო. ის საღებავი ამბობდა: „თქვენ: სინოტივევ, ბალინჯოებო თუ დროჟამო, აბა, აბა! ციც! რასაც კი ფასი და ღირებულება აქვს, თქვენ ყველაფრის გაფუჭება გინდათ, მაგრამ მე საღებავი ვარ და მაგის ნებას არ მოგცემთ...“ და საღებავი სასტიკი მეთვალყურე დარაჯივით უარის ნიშნად თავს იქნევდა.

ამ ნივთებისა და საგნების გარემოცვაში, წარუკიანის მუშტისტოლა თავისა, გალიაში ჩასმული კარმიდამოსი, იმ საღებავისა და უნაკეცო ფარდების შემხედვარეს არაარაობის განცდა დაგეუფლებოდა. თავი შეგეზიზღებოდა, გაგიკვირდებოდა, რომ საჭირას უდაბნო სადღაც თავის საზღვარ-ფარგალს ითმენდა, არ გადმოემთხვეოდა და მთელ დანარჩენ ქვეყნიერებასაც უდაბნოდ არ აქცევდა. არადა, გრცხვენოდა ოაზისების არსებობა; არადა, გინდოდა, საკუთარი თავი გეცემა. „ავსტრალიის კონტინენტზე ასოცი მილიონი ცხვარია. ეს პირდაპირ საოცრებაა!...“ სირცხვილია, სირცხვილი! რომ სთვლით — ის არაფერი, და თან გაკვირვებასაც გამოთქვამთ? ეს შემაძრწუნებელი სიკნინეა! ისეთი სიკნინე-სიპატარაეე, როგორც ზოგნი

ჰყოფენ მიწის ამ სილრმე-სიგანით თვალმოუდევარ სიმდიდრეს ციცქნა-ციცქნა ნაკვეთებად; აქ — წიწმატია, იქ — კამა. „იქით წაიღე შენი ცაცები, კიტრუნავ, ნუ ეხახუნები პატარა კამას!“, ხალხო ხვთისნიერო, ეს მიწაა თუ მიწის მაკეტი!

აი, ახლა, სწორედ ამ მაკეტური ქვეყნის მფლობელი, სარაიონო ბანკის თანამშრომელი, ცოტაოდენი — დიდი-დიდი, ორას ჩვიდმეტი გრამი ტვინის პატრონი, სიცოცხლეში ოთხიოდე რჩევა-დარიგების, ცოტაოდენი დამსახურებისა და ცოტაოდენი პატივის თავისმომყრელი ევანდ წარუკიანი მივიდა და კარადიდან ლიმონი გამოიღო, ერთი ცალი ლიმონი. საგულისგულოდ ამოაჭრა ლიმონს გამომპალი ადგილი („გუშინ სალი იყო. თვალს მოაცილებ თუ არა, ფუჭდება!“) და მერე შვეულად ჩამოაჭრა ორი თხელი ფენა.

— ჩაი დავლიოთ.

უფალო ღმერთო ჩემო, ლოდი — ლოდი იყო, უხეირხულად იდო, არ შეგეძლო დინამიტით აგეფეთქებინა — ეგ გასაგებია; ლოდი მაინც ქვაა, მაგარია და კაცი ქვასთან ისეთივე მლრღნელი ყოფილა, როგორც თაგვი შაქართან... მაგრამ ლიმონი?

— ასეთი რამეები თუ ხდება ხოლმე მართლა? — ჭოჭმანით დაიწყო ზავენმა, — გაძიგია, ბანკებში ბევრი ყალთაბანდობა ხდებაო. ვითომც მსხვილი ფულის დასტაში შიგადაშიგ მანეთიანებს ურევენ და ხალხს ატყუებენო. თანაც ხშირად ხდება, ყველამაც იცის, მაგრამ მაინც ტყუვდებიანო. მართალია? მე, მაგალითად, არა მჯერა. მაგრამ...: — ზავენი სავარძელზე გადაწვა. საზუროგეზე ხელი გადაჰკიდა და თან იმ გამარჯვებული კაცის ლიმილით იღიმებოდა, რომლის ხაფანგში შეტყუებაც არ გამოუვიდათ. „შვიდას სულ ცხვარს ვუვლი, ყოველ ზაფხულს ოთხმოც ჰექტარ ბალახსა ვთიბავდა, ამის დედა ვატირე, იმის მაგივრად, რომ ამერიკის პრეზიდენტი მე ვყოფილიყავი, ეს კაცთუმსგავსი, ეს ცხვარია ამერიკის პრეზიდენტი!“ — ჰა, აკეთებენ ასეთ რამეს? თუ ისე, შემთხვევით მოხდება ხოლმე? თქვენ, მაგალითად, ასეთ რამეს არ იკადრებდით, მაგრამ სხვები... — ზავენი ვერც კი მიხვდა, როგორ გამოივონა ტყუილი: — თქვენ ვთქვათ, მოგიხდათ და შეცდით ამჯერად... — და სკამის საზურგეზე გადმოხრილი ისე იღიმებოდა, ვითარცა უშიშარი მოყმე. მერე თვალები გაუუფერულდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ კაცი პირისახეზე ხელების აფარებით თუ დაიცავდა თავს მისგან.

— ყალთაბანდობთ! დასტებში აქეთ-იქიდან მსხვილ ფულს უდებთ, შუაში კი მანეთიანებით ავსებთ. თქვენ ისეთი კაცი არა ხართ, რომ შეცდეთ, მაშასადამე, შემთხვევითობა გამორიცხულია! ასე რომ, თქვენც ატყუებთ! ხმას ვეღარ იღებთ? ვეღარაფერს ამბობთ? ნუ იტყვით!...

— ბოდიში, ბოდიში!..

— ა-ლა-რა-ფე-რი! ალა-რა-ფერი მი-თხრათ! — პირის ღმეჭით თვალები დახუჭა ზავენმა.

— აქ სახლის პატრონი მე ვარ... მე ვარ, გაიგე? შენ კი არა!..

— მორჩა! — ყელში ხელი იტაცა და დაილრიალა ზავენმა. ამის შემდეგ ლაპარაკის უნარიც დაკარგა და მხოლოდ ლუღლუღებდა. ეძალებოდა ამ კაცისთვის გარტყმის სურვილი და ჯიბეებში მუშტებს კუმშავდა.

მერე, როგორც შეუჩვეველმა ყალმა იცის თიბვის შაბაშზე, ზავენმა ვეღარც კი გაიგო, სად დაჯდა და

თავდაკარგული მხოლოდ ამას იმეორებდა:

— მომატყუეთ... მომატყუეთ!... თუნდა ორდენოსანიც იყოთ, მომატყუეთ!.. მართლა სრულადაც რომ მოგეცათ, მაინც მომატყუეთ!...

წარუკიანმა ფრიად თავაზიანად აუხსნა:

— აქ უკვე ბოდიში, მე შენ სრულად მოგეცი! შენ რომ გსმენია, მე იმათგანი არა ვარ. ვინ იცის, გამოიბრუჟა სადმე, ახლა მომდგომია და — მომატყუეო!.. მე დავთვალე და მერე შენ მოგითვალე. გითხარი კიდეც, თავადაც დაითვალე და მერე წადი-მეთქი. ხომ დაითვალე ჩემს თვალწინ? მაშ, რაღაა გაურკვეველი? არაფერი! მე შენ არ გიცნობ, შენ — მე არ მიცნობ! სახლში მესტუმრე? კეთილი იყოს შენი მოსვლა. გითხრა ვინმემ, რად მოხვედიო! არ უთქვამს. პირიქით, შენი გულისთვის საქმეს თავი მივანებე და, აგერ, ჩაითაც გიმასპინძლდები. ესეც — ლიმონი! მოხუცი კაცი ვარ, ჩემთვის ვკუკუნებ ჩემს ბალჩაში, არავის არაფერსა ვთხოვ და არავის ზიანს არ ვაყენებ.

სანამ მოკუნტული და თვალდახუჭული ზავენი აბნეულად იმეორებდა, მომატყუეთო, წარუკიანმა ამასობაში მილიციაში დარეკა. როცა ლეიტენანტი მოვიდა, წარუკიანი ენად გაიკრიფა: ეს ლოდიო, ის — ლიმონიო, ჩემი სამსახურებრივი დამსახურებაო... მეზობლები ჩემით კმაყოფილნი არიანო, საბჭოთა ხელმწიფო და მისი ახლანდელი ხელმძღვანელობაც ხომ ძალიან მადასებსო... ერთი სიტყვით, რა ალარ ეტარტარა ლეიტენანტს და ბოლოს მაგიდაზე შემოდო კარადის ერთ-ერთი უჯრა.

— ესეც ჩემი შრომის წიგნაკი! ნახეთ, ჯერ კიდევ ათას ცხრაას ოცდაერთი წლის ძნელი დროიდან ვმუშაობ, როცა ეს ამხანაგი ჯერ დაბადებულიც არ იყო. ეგ მაშინ სად იყო, მე რომ ტროცკისტებსა და კულაკებს ვებრძოდი!

მერე მედალიც უჩვენა, გერმანიაზე გამარჯვების ალსანიშნავად ომის შემდეგ ყველას რომ ურიგებდნენ ხოლმე — ისეთი.

(ერთხელ მამაჩემის ხუთი, დედაჩემის — ორი, ბიძაჩემის — სამი და ერთიც ჩემი მედალი გულზე გამოვიმწკრივე და სოფელში გავედი. იმათი სიმძიმით პერანგი ჩამოხევაზე მქონდა. სალაყბოზე ერთი ამბავი ატყდა: „ბიჭებო, გახედეთ, იგნატიოსის კუტუზოვი მოდის! ეი, კუტუზოვ, მაგეების თრევას ბარემ თქვენს ვირს მიხედო, რომ მთელი ყანები გადაძოვა!..“ იმ ზაფხულს სოფელში, სულ ცოტა, ასოცდაათი კუტუზოვი ვიყავით).

ცალ-ცალკე აღებული, რაღა თქმა უნდა, სასაცილო იყო წიგნაკის ქნევაცა და მედლის ჩვენებაც, იმ ლიმონისა და ლოდის ამბავიც, მაგრამ მერე, ერთი ნახევარი საათის შემდეგ, ისეთი რამეები უჩვენათ, რომ ლეიტენანტიცა და ზავენიც მისდამი პატივისცემით განიმსჭვალნენ. ესენი გახლდათ ქების სიგელი, რომელიღაც ძველი გაზეთის სტატია, სადაც წითელი ფანქრით იყო ხაზგასმული. **ე. წარუკიანი;** ცნობა იმის შესახებ, რომ მის შვილს სამუშაო დროს ფოლადის ნაგლინისაგან ქუთუთო დაზიანებოდა; ქალიშვილის ქების სიგელი და ხუთიანებჩაწიკწიკებული მესამე კლასში გადასვლის მოწმობა; საწევრო შესატანებით შევსებული პროფკავშირის წიგნაკი; პროფკავშირის კიდევ სხვა წიგნაკი და ოთხიც სხვა რაღაც ბილეთი — თავიდან ბოლომდე ბეჭდებდარტყმული და მარკებით აჭრელებული;

დაბადებისა და მოღვაწეობის რომელიღაც წლისთავზე პროფკავშირისგან ნაჩუქარი ჩაიდახი და წარწერიანი უთო; წარუკიანი კიდევ რომელიღაც ქვის გამხეთქ საბუთს ეძებდა და გზადაგზა არც ტელეფონისა თუ წყლის საგადასახადო ქვითრების ჩვენება ავიწყდებოდა.

— ნახეთ, გასინჯეთ, ერთი თვით, თუნდაც ერთი დღით მაინც დამიგვიანებია გადასახადის შეტანა? ვალი ვალია და ვალს ყოველთვის პატიოსნად ვიხდიდი. საბინაო დავთარს კიდევ რაღა ჩვენება უნდა, ათასჯერ არის შემოწმებული. უნდა ნახოთ, მილიციის რწმუნებულმა რამდენჯერ ჩაწერა: „შემოწმებულია, ყველაფერი რიგზეა“.

მერე ცოლს დაუძახა.

— ერანუჰი, გენერალზე წიგნი აქედან ვინ აიღო?

წიგნი არავისაც არ აეღო, ადგილზევე იდო, ზედ მის ცხვირწინ, მაგრამ თვითონ იყო დაბნეული და ვერ ამჩნევდა. იმ წიგნის ერთ ფურცელზე გვერდიგვერდ დაბეჭდილი სამი ფოტოსურათიდან გამოიმზირებოდნენ დონცხო ბავშვი — გენერალი, აგრეთვე გენერალი—გენერალი და მოსწავლე გენერალი კლასთან ერთად.

— ჩემი კლასელია, ჩემი ახლო მეგობარი. ვეუბნებოდი, საშა-მეთქი და — რა გინდაო, ერვანდ-ჯან!... მაშა!.. ეს — ამხანაგი გენერალია, ესეც კიდევ, მის გვერდით მე ვარ...

ბოლოს ზავენ ქოჩარიანმა ბოდიში მოუხადა ერვანდ წარუკიანს, წარუკიანმა კი დამოძღვრა, სახალხო დოვლათს არასდროს ცერად არ შეხედოო და გამოისტუმრა. ზავენმა ნელა ჩაიარა საღებავის სქელი წითელი ფენით დაფარული ვიწრო, დაბალსაფეხურიანი კიბე. საფეხურები ისე იყო გალიპული, არამც თუ წვეთ წყალს არ შეიწოვდა, ფეხსაცმელსაც კი ვერ მოჰკიდებდი. უნდოდა, ორ-ორ საფეხურზე ერთად ჩამოედგა ფეხი, მაგრამ — ფრთხილობდა — ფეხი უცურავდა; არადა, თითო საფეხურით ჩამოსვლა ცოცვას უფრო ჰგავდა — ფეხს ფეხის წვერზე იდგამდა.

იმ წამს საოცრად მოეძალა მთების სურვილი, მთების სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა მის გულში; მთები! ისევ და ისევ მთები — ცადაზიდულნი და პირშეჭმუხნილნი, ხევებში უცაბედად ჩაჭრილი უფსკრულებითა და უცაბედადვე ატყორცნილი ფრიალოებით, უცაბედად წამოშენილი წვიმითა და ელვასავით უცაბედადვე გამოჩახჩახებული მზით.

— აბა, ჩამოკაკლე, საყვარელო მეუღლევ, ის როგორ იყო, გეტამეჯელ კახპასთან — ნუ, ნუ გრცხვენია — კახპასთან ერთად რომ მოგრძანდებოდი მთიდან?... — გულხელდაკრეფილი ზარიკა ისეთი ღიმილით იღიმებოდა, რომელიც ზავენს საპასუხო ღიმილის უფლებას უსპობდა, — ჰა, როგორ იყო?

— მაგისი თავი არა მაქვს.

— რაღა თქმა უნდა, ჩემს არტისტს, რაც არ ეპრიანება, იმისი თავი არა აქვს! ეგ გვიბრძანე, თავი როდის გექნება?

— არ მესმის, რა გინდა?!

— დღეს მორჩა შენი არტისტობა, ხომ იცი! — ღიმილი და ღიმილთან ერთად გულხელიცა და თავშეკავებაც აიკრიფა ცოლმა, — მთიდან დღეს ვისთან ერთად ჩამოხვედი?

— ა! — წარბი ასწია ზავენმა.

— ჰო, ჰო! — დამცინავად დაუბეჭდა ცოლმა, — მოგაგონდა შენი კახპა?

— რაო?

— რაო და, შენი ჩანადენი მე უნდა მოგიყვე?

მე რა ჩავიდინე, რომ არ ვიცი.

— ამ შენს ლეკვს რომ მოგაგდებ და წავალ, მაშინ კარგად გაიგებ!

— მორჩი, ზარიკ, გულწრფელად გეუბნები, მაგეების ხასიათზე არა ვარ.

— მთიდან ვისთან ერთად მოდიოდი? არ მომატყუო.

— მწველავი ქალია ერთი, გეტამეჯელი.

— ვინ ქალი? სახელი არა აქვს?

— სახელი არ ვიცი, ზარიკ.

— არ იცი? ვითომ არ იცი? სხვა რამე თუ იცი, ნეტა?

— ნუ ყვირი, გთხოვ, ზარიკ.

— მაშ, პაიწარის სახელი არ იცი? არ იცი, რომ პაიწარი ჰქვია?

— მართალია, პაიწარი იყო.

— მერე?

— მერე რა, ზარიკ?

— მერე — შენ იცი, რაღა. მე რად მეკითხები? მე შინა ვზივარ, პატიმარი ვარ და შენი ლაწირაკის ფალას-ფულასებსა ვრეცხავ. მე ცოლი ხომ არა ვარ, მონა ვარ!..

— გცემ, ზარიკ.

— შენ მეტი რა შეგიძლია!

— არაფერი შემიძლია. კაციც არა ვარ, პირუტყვი ვარ, ფრთხილად იყავი — გაგთელავ, ზარიკ.

— პაიწარი კახპაა.

— მართალია, დღემუდამ ყამს და დღეყოველწამს კახპაა.

— ენა თუ გქონდა, გამომძიებელს უპასუხებდი.

— თავი დამანებე.

— მთიდან ერთად ჩამოხვედით, არა? თან ცხენზეც შესვი, არა?

— ჰო, ცხენზე რომ ზის, მაშინაც კახპაა ისა. უხერხული იყო, ქალო, ქალი ფეხით მეტარებინა და მე ცხენით მევლო?

— მერე, ის ქალია?

— კახპაა, მაგრამ იმ კახპას ფეხი სტკიოდა, მე კი არა მტკიოდა. შევსვი და, ის ცხენით ჩამოვიდა, მე — ფეხით, განა რა მოხდა?

— ფუ, შე უსირცხვილო!..

— გცემ, ზარიკ!.. — აცახცახდა ზავენი.

— მცემე, ეგლა დაგრჩა, რალა! მცემე, რატომ არა მცემ? აჰა, გინდა ერთხელაც — ფუ!..

— ფეხქვეშ წაგიგდებ, ზარიკ! — და რომ მართლა არ ეცემნა, ზავენი გარეთ გამოვიდა. ფეხში მოდებული ძაღლი წიხლისკვრით მოისროლა აივნიდან, — ეს რა ქვეყანაა, ეს რა ბუღალტერიაა!. — მერე შედგა და ცოლს მიუბრუნდა — ზარიკ, გეუბნები, ერთი სიტყვა, ერთი ხმა-გლიმი, ერთი წმუკუნი მაინც თუ დაგცდენია, იცოდე, მართლაც რომ ძაღლივითა გცემ!..

მაგრამ თვითონვე ამოუჯდა გული და ყელში მოწოლილი ბოლმა ყვირილად ამოსკდა:

— ვინა ხართ, კაცო, თქვენა? ხალხნი არა ხართ, კაცო?.. რა არის, ბოლოსდაბოლოს, ადამიანები არა ხართ?.. თუ ხართ, მაშ, იყავით, რაღა!.. განა მე თქვენთვის რა მიქნია!.. წელიწადი-თორმეტი თვე ხარივით უღელში ვარ შებმული, სხვა რა გინდათ, რაღა შემიძლია, რა ვალი მადევს, წაიღეთ, მე თქვენი!.. — ზავენს გინების თავიც აღარ ჰქონდა. მერე კი ლაპარაკის უნარიც წაერთვა და მხოლოდ ტიროდა, — ხუთი თვეა ტანი არ დამიბანია, ხუთი თვეა არ დამიბანია, ხუთი თვეა არ დამიბანია!..

ამ კაცების ტირილი პირდაპირ სასაცილო სანახავია. ამათ ხომ ხეირიანად არც კი იციან ტირილი. ამა-

თი ხვრიპინი ქალის რბილად ჩამდინარ ცრემლებთან სად მოვა, რომ მათსავით თანაგრძნობა დაიმსახუროს; არც ბავშვის გულამოხვინჩული ტირილია, რომ მიხვიდე და სველ ლოყაზე აკოცო; არც ქვითინია, არც სლუკუნი, მარტო ცოტათი თვალები ემღვრევა, ხანდახან ისეთ ხმას ამოუშვებს, თითქოს ამოიყეფაო, ეგ არის. მერე უთანაბროდ ამავალ-ჩამავალი მკერდი დაუწყნარდება, ტვინი გამოუცარიელდება, თვალებს ჭერს მიაპყრობს და დახუჭავს. მერე ჩაეძინება. უხეში წვერი ჯაგარივით დასდებია, სუნთქვისას თუთუნის მძიმე სუნი ასდის, ფართო მკერდი მშვიდად აუდ-ჩაუდის და, საერთოდ, არ გააჩნია ის სიფაქიზე, სილამაზე, რაც თანაგრძნობას გამოიწვევდა ადამიანში. ეგ კი არა, ისიც არ მოგაფიქრდება, რამე წაახურო, ეს მძინარი კაცი არ გაცივდეს. ნადირივით ტყე-მთაში გამოჯაგული, გაციება რას მიქვია! ისე კი კარგია, პაიწარისა და ამისი ამბავი რომ ტყუილი გამოდგა, მადლობა ღმერთს!

— ადექი, ზავენ, პავლესა სცემა.

— ვინა სცემა.

— გამომძიებელმა.

— ვინ გამომძიებელმა.

— გამომძიებელმა.

— ა!.. მეც არა ვთქვი... ჩოკინის ცემა ახალი ხილი არ არის.

12

სცემა და—სცემა, რა მოხდა. დღეს ცემა აღარავის უკვირს. ბევრი ბევრსა სცემს. ასე რომ ცემა ტრაგედია არ არის. მაგრამ პავლე რომ წამოდგა, ტანში გასწორდა და ზედ მის მკერდზე მომდგარი ლეიტენანტი იხილა, ატირდა. დიახ, ბევრი სცემს ბევრსა, მაგრამ როცა სუსტი ძლიერსა სცემს, ეგ უკვე ტრაგედიასა ჰგავს.

ყველამ ვიცით და ყველასათვის ცხადია, ცხვრის დაკვლა დანაშაული არ არის. პირიქით. თუ გნებავთ იცოდეთ, ცხვარი სწორედ დასაკლავად არის გაჩენილი. მაგრამ თუ კლავ ცხვარს, რომელიც კანონით შენ არ გეკუთვნის, მანდ უკვე — ბოდიში! მე, ძმაო, გამომძიებელი ვარ, მე გამოვააშკარავე ქურდობა. ახლა ისლა რჩება, შეკითხვები მოგცე, შენ კი მიპასუხო: „დიახ!“, მორჩა და გათავდა!

არა, არც მორჩა და არც გათავდა. საქმე ის არის, რომ ხუთი წელი ჯარში ვიყავი და იმ ხუთ წელში მუხლები დამაწყდა. უბრძანებიათ, დაწექიო, — დავწოლილვარ, უბრძანებიათ — ადექიო, ფეხი გადაადგიო, ნაბიჯი ფართოო და, ყველაფერი შემისრულებია. ამ ხანმოკლე ცხოვრებაში კაცს თავისი წილი სიმწარეც ერგება და სიხარულიც. როგორც ვაჟკაცს შეეფერება, მე ჩემი წილი სიმწარე უდრტვინველად გადამიტანია. არავისთვის დამიძალებია, არავისთვის მითხოვნია იმ ჩემი სიმწარის თუნდაც ერთი ნამცეცი მაინც ეგემა. ახლა, ასე მგონია, ჩემი წილი სიხარულის დროა დამდგარი და, ღმერთი-რჯული, აღარ მეხალისება ის ტანჯვა-სიმწარე ხელახლა დავიჭამნიკო. ეგ კი არადა, ჩემ სიხარულსაც ვერავის გავუყოფ, ერთ გრამსაც ვერავის მივცემ. ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ შენცა, იმ შენს რევაზსაც და იმის ცხვრებსაც კიდევ... მე პავლე არა ვარ და არც ცხვრისა ვიცი რამე. ცხვარი რასა ჰქვია, რა სულიერია, არც ეგ ვიცი. წადი, გზას ბარაქა დააყარე, შენს საქმეს მიხედე, თორემ... ამ სოფლსაბჭოს კედლები პავლეს აშენებულია. თუ არა გჯერა, გარედანაც

ეტყობა, შუბლის ქვაზე აწერია — „პ ა ვ ლ ე“. კარის დაბლა რომ სკამია, იმ სკამზეც ნახავ პავლეს დანის წვერით ამოღარულ — „პ ა ვ ლ ე ს“. იმის ქვემოთ იმავე დანის წვერით ამოღარულია — „ი შ ხ ა ნ ი“. ვილაცას (მრგვალ ასოწერილობაზე ზავენის ხელწერა გამოიცნობა) „პავლეს“ პირდაპირ ამოუკაწრავს „მაიორი“. იმ სკამის მოლაღლაღებულმა ლურსმანმა ერთხელ პავლეს პოლკოვნიკის შარვალი დაუხია. პავლემ ქვით ღრმად ჩააჭედა ლურსმანი და ლურსმნის ირგვლივ სკამს ახლაც ეტყობა ქვისგან დაჩნეული ფოსოები. ეს ანტარამეჯია — პავლეს მშობლიური სოფელი, პავლეს სახლი და ოჯახი; ასე რომ, მაგ თქვენი დაკითხვებიანად მიბრძანდით თქვენს სახლში და იქ დაჰკითხეთ, ვინც გნებავთ.

— მე ცხვრისა არა ვიცი-რა.

— არ იცი?

— არ ვიცი. ვის აშინებ?!

— მაშ, არ იცი?

— ხმას ნუ აუწიე, არ ვიცი.

— ადექი!..

— ადექიო? შენ რომელი ჩემი გენერალი ხარ! „ადექი!..“

იცოდნენ გამომძიებელს შიოდა. პირდაპირ სული სძვრებოდა შიმშილისაგან, მაგრამ პურის საჭმელად არავის დაუპატიჟია, რომ უხერხულად არ ეგრძნო თავი. ის ჩუმად გაიპარა სოფლიდაან.

სოფელ ანტარამეჯში ერთი სტეფანე ძიაა. ეს სტეფანე ძია, აგერ ოცი წელი იქნება, სულ სამოცდაათი წლისაა, არც ემატება და არც აკლდება. ადვილი წარმოსადგენია, ოდესღაც იგი ორმოცდაათი წლისა უნდა ყოფილიყო, იმაზე წინ — ორმოცისა და იმაზე უფრო წინ — ჰეი გიდი, ჰა! — ოცდაათისა... თავისი თქმით, ერთ დროს ღონიერი და გულადი ყოფილა, დათვს კომბლით შებმია, ქეციანი ძაღლივით უცემია და გაუქცევია. მერე შუბლზე ოფლი მოუწურავს და დაუცინია კიდეც, რა მიგარბენინებს, დაგეცადა, გვესაუბრა ცოტაო. სოფლელებს ეს ამბავი არა სჯერათ, სტეფანე ძია ჯეილი როდისა ყოფილა, რომ დათვთან კომბლით ეჩხუბაო. მათი წარმოდგენით, სტეფანე ძია იმთავიდანვე სამოცდაათი წლისაა, მკვეხარა და ცოტა მატყუარა, ხოლო თუ საქმე საქმეზე მიდგა — ძალიან მატყუარაც. მატყუარაა თუ არ არის მატყუარა, სტეფანე ძიამ ხანდახან კაი გემრიელი ამბების მოყოლაც იცის.

— სომეხ-თურქის ჩხუბი რომ ჩამოვარდა, ოვანეს თუმანიანის დროს, მაშინ ჩვენი მთების მომიჯნე აზერბაიჯანელები გვმეგობრობდნენ. ომამდის ხილი და ფქვილი ამოჰქონდათ ხოლმე თავიანთი ყაზახიდან, ჩვენ კიდევ თაფლზე და კარტოფილზე ვუცვლიდით. ჰოდა, ამ ჩხუბის დროსაც, ჩვენთვის მაინც ამოჰქონდათ ფქვილი და ბოლწეული, ჩვენც ისევ თაფლსა და კარტოფილს ვატანდით. მაგრამ ერთხელაც, ვნახოთ და, მამაჩემს იმათ ფქვილში ხელი ჩაუყვია და ურევს, დაეჭვებულა როგორღაც. ბოლოს დედაჩემს ეუბნება: დედაკაცო, ამისი პური ბალღებს არ აჭამო, სანამ მე არა ვჭამო.

სინამდვილეში კი ჯერ თვითონ არ უჭამია, ძაღლს მიუგდო და კაი სამი დღეც უცადა, მოკვდება თუ არაო. ვხედავთ, აღარც იმ აზერბაიჯანელს უნდა ჩვენი თაფლი, გვეუბნება:

— ასე მირჩევნია, მარტო კარტოფილს წავიღებო. ასე, რომ სა-

ლამ-გამარჯვება კი იყო, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ერთმანეთის გვეშინოდა. ჰოდა, ერთხელაც მთაში იმათი მებატკნე და მე (მე კიდევ ჩვენი მებატკნე ვარ) დანასობიას ვთამაშობთ. ვხედავ, იმათ მებატკნეს ხელი უკანკალებს. მაშინვე თითზე ვიკბინე, ამას უეჭველად, ისა, რალა, აი, კულტურულად რომა ვთქვა — შარდი სხვანაირად ამღვრევია-მეთქი და მეც ამემღვრა. ვიფიქრე, თამაშს მე ვიგებ, ეს — აგებს, წამგებმა კი მიწიდან კბილებით პალო უნდა ამოაძროს; ჰოდა, თავს რომ წაიშვერს პალოს ამოსაძრობად, აი, მაშინ ხანჯლით... მეთქი. ერთი სიტყვით, გადაწყვეტილი მაქვს, არ დავინდო. თურმე ისიც იმასვე ფიქრობს, იმასაც ეგ აწუხებს და — ჯერ თამაში არ დაგვამთავრებია, რომ პალო უკვე მიწაში ჩაასო და მეუბნება, ამოიღეო. ვეუბნები, ჯერ თამაში მოიგე და პალო მერე ჩაასვი-მეთქი. ხომ მოვიგეო? არ მოგიგია-მეთქი. რომელზე გავჩერდიო? თვითონ იცი, რომელზეც გაჩერდი-მეთქი. მეუბნება — „გადატრიალაზეო". „გადატრიალა" კიდევ, ხომ იცით, ისეთია, შეუძლია ხანჯალი ვითომდა მიწაში ჩასასობად გადმოიქნიოს, ნამდვილად კი სტეფანეს შეესოს მუცელში.

ვეუბნები, არა „შეტრიალაზე" გაჩერდი-მეთქი. გესმით? შეტრიალაზე-მეთქი. ხანჯალი მძიმეა, მერე მაშინდელი ხანჯლები, ხომ იცით! ეს მძიმე ხანჯალი ორი თითით უნდა შევისროლოთ და, შეიძლება, ისეც მოხდეს — მსროლელმა თავი დაიზიანოს. ამიტომ ეშინია და ამბობს, „გადატრიალაზე" ვიყავიო. „შეტრიალა"-მეთქი. „გადატრიალაო". მე მართალი ვიყავი და გავიმარჯვე. შეაგდო „შეტრიალაზე" და შუბლი გაიხეთქა. ახლა, თითებით უჭირავს შუბლი და საწყლად მეკითხება, შენ რალაზე იყავ გაჩერებულიო. მე უკვე ბოლო გდებაზე ვიყავი, ვამთავრებდი, მაგრამ სისხლი რომ დავინახე, შემეცოდა: მეც „შეტრიალაზე" ვარ-მეთქი; ის თავის მაოცხზეა გაგულისებული, ჯავრი მოსდის, მეუბნება: შენ „შეტრიალას", რამდენი ხანია, გასცდიო. ვეუბნები: არა, ძმაო, ჩვენ უთქვენფქვილოდ ვერ ვიცხოვრებთ, თქვენ კიდევ უჩვეხკარტოფილოდ, ასე რომ „შეტრიალაზე" გავჩერდი-მეთქი. ბუტბუტებს: თაფლი, თაფლიო... ეს აზერბაიჯანელები, კაცო, ძალიან თაფლის მოყვარული ხალხია, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ფუტკრის მოვლა არ იციან. რალა თავი შეგაწყინოთ, ხანჯალი „შეტრიალაზე" შევისროლე და მეც გავიხეთქე შუბლი. იმას რომ მოერტყა ჩემთვის, იქნებ ასე ძალიან არც კი გამჭროდა.

ამ ბოლო ხანებში ვირით თაფლი მიმქონდა ყაზახში ბროწეულზე გადასაცვლელად. გზაში ერთი აზერბაიჯანელი შემხვდა. მისასალმებლად ქუდი მოვუხადე. იმანაც ფაფახი მომიხადა. ორივენი მელოტები ვართ და ორივეს თავზე თითის სისქე ნაჭრილობევი გვეტყობა. ის ძველი მებატკნე იყო, ვირით ბროწეული მოჰქონდა თაფლზე გადასაცვლელად. ვეუბნები: ჰა, „გადატრიალაა" თუ „შეტრიალა"-მეთქი? „შეტრიალაო". ვეკითხები, თმა რა უყავი-მეთქი? შენ რალა უყავიო? ვეუბნები, ჩემი დროს წაიღო-მეთქი და — ეგ დრო ჩვენთანაც მუშაობსო. ვეუბნები, ნაჭრილობევი დაგრჩენია-მეთქი. შენც დაგრჩენიაო. ნუ გეშინიან, ეგ უბრალო ნაწიბური რას გიზამს-მეთქი. მეუბნება: ალაჰის მადლით, კაცს ოლონდ თავი ებას, თორემ თუნდაც ქაჩალი იყოს და ზედაც ნაჭრილობევი ეტყობოდეს, რა ბედენაა. მეც

ვეუბნები: მართალია, არც მე ვარ უკმაყოფილო ჩემი ქაჩალი და ნაჭრილობევი თავით, ცუდად არ მემსახურება-მეთქი.

აქეთური, იქითური, ვილაპარაკეთ, გავიხსენეთ ძველი ამბები, ვინალვლეთ, ვიდარდეთ და დავშორდით. ჩემი ვირი ჩემივე თაფლიანად იმან გაიგდო წინ, მისი ვირი მისივე ბროწეულიანად მე გამოვიგდე და გამოვბრუნდი სახლში; იმისი ვირიცა და ჩემიც, ორივენი ულაყები იყვნენ, შავები და დრუნჩითეთრები, ერთი წლოვანებისა და ერთი აღნაგობისა. ისე კი გამომივიდა, თითქოს არც ჩვენ შევცვლილიყვნეთ და ჩემი მონათხრობიც ტყუილსა ჰგავდეს, მაგრამ, დამიჯერეთ, ტყუილი არ არის. სტეფანე ძია ტყუილს თავისდღეში არ იტყვის...

— კოლექტივი რომ შემოვიდა, ერთი-ორი დღე მეც გავედი, ხალხთან ერთად ვიმუშავე. გავიხედე და, ეს აბგარა თავმჯდომარე არ დამადგა! მთელი დღე ღლეტულაობო, არც შენა მუშაობ, მაგ ტყუილების ყბედობით ხალხსაც მიცდენ და შრომადღესაც ტყუილად მაწერინებო. ვუთხარი, ამის შემდეგ აღარც სამუშაოდ გამოვალ და აღარც ვიყბედებმეთქი. მერე გავჩუმდი, ხან ეს ვიფიქრე, ხან ისა, და უცებ ვხედავ, ჩვენს ძველ სათიბს არა ვთიბავ! ვთიბავ და ახლა როგორა ვთიბავ! სადილად დავჯექი, ცოტა დავისვენო და ფერდიც ამოვიღო-მეთქი და ვხედავ, ეს აბგარი ცხენს მოაქანაქანებს, ჩემკენ მოდის. თან შორიდანვე ყინჩად მელაპარაკება, მბრძანებლობს, რაღა. სხვანაირად ვითომ, როგორ ეკადრება, კალოს ყარაული ხომ არ არის, თავმჯდომარეა კაცი!

მეც ვუყვირი, აბგარ, ახლო არ მომიდგე-მეთქი. მაინც მოდის, თითქოს მას არ ეუბნებოდნენ ან სისხლის გიჟი სტეფანე არ ეუბნებოდეს. ცელი მიჭირავს და ვუყვირი: „აბგარ, არ მომეკარო, თორემ, კისერს წაგასხლავ, აბგარ! ცხრა შვილი მყავს, სისხლში ნუ გამხვევ, ბალღები ობლად არ დამაყრევინო, აბგარ! საციმბიროდ ნუ მიხდი საქმეს, თავი დამანებე, გეხვეწები, აბგარ!.. იცოდე, თავს გაგაგდებინებ, სოფელი უხელმძღვანელოდ დარჩება, აბგარ! შენი ოჯახი დაიქცეს, მაშ, ნამუსი არა გაქვს, სისხლში რომ მაგდებ, აბგარ! არ დაგიშლია და, მოდი, გაჭრა კიდევ ამ ცელსა ვკითხოთ... აჰა, წაგასხალი თავი და მორჩა-მეთქი... უჰჰ-მეთქი“. და, ცელი მზად მეჭირა, მაგრამ სიკვდილმა თვალი აუბა, არაფრად ჩაგდო სიკვდილი და მოვიდა, ცელი გავარიდე, ვეუბნები: შენ გინდა, ციმბირში გადამაკარგონ, მაგრამ სტეფანე ციმბირში წამსვლელი არ არის-მეთქი. გადმოვიღე ცხენიდან ეს შენი აბგარი, დავიდე, დავაჭირე მუხლისკვერი, ამ წუთში დაგახრჩობ-მეთქი და, მართლაც, წავუჭირე ყელში... ვახრჩობ, რაღა, ნაღდად ვახრჩობ. ვისმე რომ საათზე ეყურნა, საათზე მეტს ვახრჩობდი. მოკლედ, გავგუდე ერთი კარგად; მოეშვა ეს შენი აბგარი ახალდაბადებულ ხბოსავით. ვეუბნები, ეგ გინდოდა, აბგარჯან, თავმჯდომარე იყავი და ახალდაბადებულ ხბოდ იქეცი-მეთქი. ახლა, ვაზივარ ზედა და ვისვენებ. ერთიც ვნახოთ, წითელ რაღაცას მოვკარი თვალი. კარგად დავაკვირდი და რას ვხედავ — ამ ჩვენი აბგარის წითელი წიგნაკი არ არის! აქ კი მომეკვეთა მუხლი. ეხ, სტეფანე, სტეფანე, ციმბირს გაურბოდი და შენი ფეხით კი მიხვალ ციმბირში-

მეთქი. მაგრამ, როდის იყო, სტეფანეს საძრომი ვერ ეპოვოს — გადმოვიტრიალე ეს აბგარი, ქვეშ მოვექეცი, თან ხელებიც ყელში წავავლებინე: დამახრჩე აბგარ-ჯან, დამახრჩე... ღირსი ვარ და დამახრჩე, ოღონდ სოფელში არაფერი წამოგცდეს-მეთქი. არ დამზოგა, მართლა მაგრად წამიჭირა ყელში, უკვე ენა გადმოვაგდე. ვიფიქრე, ეს მამაძალი ნამდვილად მკლავს და აღარა ხუმრობს, რა ვქნა, რა ვუყო-მეთქი. ჯერ არ ყოფილა, სტეფანე დაბნეულიყოს — ჰოდა, მეც დავუწყე ხრჩობა. ოღონდ ქვეშიდან ვერ გამოვდივარ, ქვეშიდან ვახრჩობ. ვფიქრობ, გაუშვი, ეგონოს, ვითომ თვითონ მახრჩობს-მეთქი. ასე და ამგვარად, ამ ჩვენმა აბგარმა თან ცემა შეიტყაპუნა, თანაც ეგონა, ვცემეო. სოფელში კი, ნამუსი შეინახა და მართლაც არაფერი უთქვამს. მერე, რომ ნახა, მე და კოლხოზი ერთად ვერ ვივარგებდით, მითხრა, ისევ კერძო ცხვარში იარეო. მართალია, აბგარ?

სოფლის თავდაპირველი თავმჯდომარე, ჩიტებისა და ბატების ქალოების ახლანდელი ყარაული, რბილად იღიმება.

— მართალი არ არის, აბგარ-ჯან?

— ფაქტიურად მართალია, — კვლავ რბილად იღიმება ყარაული, — მაგრამ სინამდვილეში ტყუილია.

— „ფაქტიურად მართალია, სინამდვილეში — არა“—მხრებს იჩეჩს სტეფანე ძია,—მაშინაც ეგეთი რთული და გაუგებარი ლაპარაკი იცოდი; იფიქრეს, ჭკვიანი კაციაო და იმიტომ დაგნიშნეს თავმჯდომარედ.

— ამისი გაგება რა შენი ჭკუის საქმეა, სტეფანე. შენი საქმე ქვეშიდან დახრჩობაა და ხომ დამახრჩე კიდეც. ნამდვილი ის არის, — მსმენელებს მიუბრუნდა აბგარი, — რომ იმ დროს მე ორმოცი წლისა ვიყავი, სტეფანე კი, ეხლანდელივით, საოცდაათისა იყო. ცხადია, ორმოცი წლისა, ვინც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა იყოს, სამოცდაათისას მოერევა, როცა უნდა. მაგრამ მე რომ ამისთვის მეცემა, არ ივარგებდა, სირცხვილი იქნებოდა. იმიტომ, რომ სირცხვილია საოცდაათი წლის კაცის არა მარტო ცემა, არამედ სიტყვის შებრუნებაც კი. ეგეც არ იყოს, ბერიკაცის გვერდით ისიც შეგრცხვება, რომ ორმოცი წლისა ხარ, როგორც შეგრცხვებოდა, მაგალითად, თავად მაძღარი იყო და შენი მეზობელი მშიერი კვდებოდეს. მოკლედ, ასე იყო.

მერე აბგარმა სიგარეტი მოქაჩა და განაგრძო:

— მოიცა, ე, მოიცა. ეს ერთი. მერე: მე პარტიული ვიყავი, სტეფანე — არა. მე მთავრობა ვიყავი, სტეფანე — არა. სტეფანესთან შედარებით, მე უპირატესობა მქონდა და სტეფანე დაიჩაგრებოდა, რადგან მას არ გააჩნდა ეს უპირატესობა. აბა, ახლა თქვენ იანგარიშეთ: თუ მე, ორმოცი წლისა და პარტიული, დავახრჩობდი, როგორც სტეფანე ამბობს, სამოცდაათი წლისას და უპარტიოს, ისიც თავიანთსავე სათიბში, თავიანთ გუშინდელ მამულში, სტეფანეს გული არ გაუსკდებოდა? გაუსკდებოდა, რაღა თქმა უნდა. მეც თავი გავანებე, გამარტყა ორიოდე და წამოვედით სახლში. გზაში დავარწმუნე, სჯობია ისევ კერძო ცხვარი მწყემსო-მეთქი.

— ფაქტიურადაც სწორია და ნამდვილადაც. მართალი ხარ, აბგარ! — თქვა სტეფანემ.

13

არაფერს ანგარიში არ გაუწიეს და იმ გახურებულ პარსვაში ბიჭები პატიმრობაში აიყვანეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დედაქალაქში წავიდა, იქნებ გენერლის, სოფლის მეურნეობის მინისტრის, საბჭოს თავმჯდომარის ან მილიციის უფროსის შემწეობით ამ საქმეს რაიმე ვუშველოო. წავიდა და... შერცხვა, რომ მასაც თავმჯდომარე ერქვა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესაც. შერცხვა, რომ ქურდობის წვრილმანი საკითხით დროს ართმევდა იმნაირ ხალხს, როგორებიც ისინი იყვნენ.

— დაურეკე, ბიჭები გაანთავისუფლონ, ამხანაგო გენერალო, ტყუილუბრალოდ არიან დაპატიმრებულნი, — ანტარამეჯული შინაურულობით უთხრა თავმჯდომარემ.

— სოფელში რა არის ახალი?— შეეკითხა გენერალი.

— ბიჭები დააპატიმრეს, ოთხნი ერთბაშად, ეგ არის ახალი. სხვა გამოსავალი არ არის, უნდა დარეკო, ამხანაგო გენერალო.

— დაა,—გაიღიმა გენერალმა,— გახსოვს, ერთხელ მე და შენ რომ კიტრის მოსაპარად წავედით. გახსოვს?... — გენერალმა სასაცილო მოგონებაზე გადაიხარხარა, — ყარაულმა რომ მარილიანი თოფი გვესროლა და საჯდომი ამიწვა... კაცო,— მიუბრუნდა გენერალი ცოლს, — მე გენერალი ვარ და ყარაული კი მესროდა... საკვირველი ქვეყანაა, არა?.: ის რომ გენერალი ყოფილიყო, უარესს არ იზამდა? მაშინ ხომ სულ ქვეყანას გაანადგურებდა... როგორ იგინებოდა!.. შარვალი უკან სულ დაცხრილული მქონდა, გახსოვს? შინ კიდევ დედაჩემმა მცემა მაგის გულისთვის. ეგეც შენი კიტრი! — გენერალი კიტრისა და დედის ამბავს მოუყვა ცოლს.

— კარგი ქალი იყო,— თქვა თავმჯდომარემ, — ნათელი ედგეს. ამხანაგო გენერალო, ბიჭები ტყუილ-უბრალოდ...

— გახსოვს? — გაიღიმა გენერალმა, — მე და შენ ჩანჩქერშიც რომ შევედით საბანაოდ... გლეხურად რას ეძახით ჩანჩქერს? ჰო! ჩახრ... ჩახრიალა, ჩახრიალა! არ გახსოვს? მე და შენ გვინდოდა იმ ჩახრიალას ქვეშ ბანაობა, წყალი აქაფებული იყო, სულ თეთრი, არც ფსკერი უჩანდა და გვეგონა ძალიან ღრმა იქნებოდა, შიშით, კანკალით შევედით და აღმოჩნდა კი, რომ მუხლამდეც ძლივს იყო... ვაი, ჩახრიალა, ჩახრიალა! ახლა როგორღაა ის ჩახრიალა?

— ის ჩახრიალა, — დაფიქრდა თავმჯდომარე, — მწყემსებმა, მგონი, გაალრმავეს. ცხვარს აბანავებენ ხოლმე შიგა. მოხერხებული ადგილია და, მგონი, არც იმღვრევა. იმ ბანაობაზე რომ ამბობ, ამხანაგო გენერალო, მე ძლივს მახსოვს და შენ როგორღა გახსოვს, ამხანაგო გენერალო? ამხანაგო გენერალო,— თქვა თავმჯდომარემ,—ბიჭებიდან ოთხნი...

— ერთხელ კიდევ,— მოიგონა გენერალმა, — ტყეში რომ წავედით, საჭმელი რომ არაფერი გვქონდა, გოჭი რომ დავკალით და ვჭამეთ, ის თუ გახსოვს? ალარც კი მახსოვს, ვისი გოჭი დავკალით. ვისი გოჭი იყო? უმარილოდ, წარმოგიდგენია?—ცოლს მიუბრუნდა გენერალი, — მარილი არა გვქონია, გოჭი უმარილოდ შევჭამეთ.

— ჰო, ჰო, — წარბები აზიდა თავმჯდომარემ,—ახლაც ბიჭები მშივრები ყოფილიყვნენ და ცხვარი დაკლათ. სწორედ ამისთვის ისინი...

— ვინ იყო? ჰო! — გაიხსენა გე-

ნერალმა, — ავაგი იყო. ერთი ტახი ჰყავდა, მგლებს არ უშინდებოდა, ის ტახი როგორ არის?

— ის ტახი არ მახსოვს, — თქვა თავმჯდომარემ, — იქნებ ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. ტახს, ცხადია, დაკლავდნენ, ამხანაგო გენერალო, ავაგი კი დააპატიმრეს.

— რისთვის დააპატიმრეს?

— ცხვარი დაკლეს. მარტო ავაგი კი არა, ოთხნი არიან. პატრონს არ უჩივლია. ფაქტიურად, ქურდობა არ გამოდის, მაგრამ ბიჭები პატიმრობაში აიყვანეს ამ გახურებული მუშაობის დროს. ხომ გახსოვს, ამხანაგო გენერალო, ჩვენთან ამ დროს როგორი მუშაობაა ხოლმე. ბიჭებიდან ერთ-ერთს კი გამომძიებელმა სცემა კიდეც. ვიარე, ვიჩივლე, არავინ ყური არ მიგდო, მეუბნებიან, დანაშაულს სასჯელი მოსდევსო. დანაშაულს რომ სასჯელი მოსდევს, ეგ ვიცი, მაგრამ ჯერ ხომ დანაშაული უნდა იყოს და მერე — სასჯელი. ასე არაა, ამხანაგო გენერალო?

— ცუდი ამბავი მომხდარა, — თქვა გენერალმა და თან ტელეფონს უყურებდა, ტელეფონისკენ გადახრილს ხელი ტელეფონისკენ მიჰქონდა. ყურმილი უკვე აღებული ჰქონდა. რომ მოაგონდა, — შარვალი აქვს ავაგს? იმას გეუბნები, რა შარვალი აცვია-მეთქი ავაგს?

— რა ვიცი, შარვალია, რალა, ამხანაგო გენერალო, ჩვეულებრივი შარვალი.

— მაშასადამე, ჩემი ნაჩუქარი გაუცვეთია, — და გენერალმა ცოლსა და თავმჯდომარეს მოუყვა, იმის შემდეგ ავაგს შარვალი არა ჰქონდა და ჩემი ერთი შარვალი ვაჩუქეო. ის ჩემი ნაჩუქარი რომ არა, ავაგი უშარვლოდ რჩებოდაო. შშშ, — ყურში უშრაშუნებდა ეს სიტყვა თავმჯდომარეს.

— მაშასადამე, გაუცვეთია ჩემი შარვალი.

— არა, ვერ მთასწორო გაცვეთა. ბიჭი დააქორწინა თუ არა, რძალმა ახალი შარვალი შეუკერა. შენი შარვალი, ამხანაგო გენერალო, ავაგმა პავლეს მისცა. პავლემ როგორც კი, ჩაიცვა, სახელი გამოუცვალეს, მაიორი დაარქვეს და ახლა პავლე, შენი შარვლიანად, ამხანაგო გენერალო, პატიმრობაშია აყვანილი.

— დაიცა, მე ხომ უკვე გენერალი ვიყავი, როცა ის შარვალი მივეცი, მაიორი რალა შუაშია.

„ყველაზე მძიმე რა არის?

„როგორ თუ ყველაზე მძიმე, მეტალებში?

„თუნდაც მეტალებში.

„ტყვია, რალა.

„აი, იმ ტყვიაზე მძიმე მადლიერებაა.

„— ყველაზე მძიმე, ზავენ-ჯან, მეტალებშიც და საერთოდაც, გენერლის შარვალია“.

— რაზე ვლაპარაკობდით? — ჩაფიქრდა გენერალი, — ჰო! ავაგის ტახზე. მაშ, მეუბნები, დაკლესო? აფსუს, ტახო! ისეთი ტახები არ უნდა დაკლა, უნდა გყავდეს. უნდა განსაკუთრებულად კვებო და გაუშვა ხოლმე მგლებთან საჩხუბრად. მე რომ იქა ვყოფილიყავი, არ დავაკვლევინებდი. ეშვები, აი, ამოდენა ჰქონდა, აი, — გენერალმა ქალბატონ გენერალს სუფრის დანა უჩვენა, — თურქული იატაგანივით მრუდე.

„ამის ლმერთი არ იყოს, მაშ, ვერასგზით სიკეთე ვერ უნდა ჩაგადენინო?“ და თავმჯდომარემ გენერლის მეუღლეს უთხრა: — მართალია, ეშვები სწორედ მაგ დანის ტოლა ექნებოდა და წარმოიდგინეთ, რომ ისეთი ტახის პატრონი სხვა მწყემსებთან ერთად დააპატიმრეს.

— საინტერესოა, — გაიღიმა ქალ-

ბატონმა გენერალმა, მაგრამ იგრძნო თავისი სიტყვის უადგილობა და მოწყენილ თვალებში ცნობისწადილი აისახა — ეგ ტახი რა არის, რა სულიერია?

— ტახი?... — გენერალი კარგა ხუთიოდე წუთი ხითხითებდა (ამ ხნის განმავლობაში ერთხელ რომ დაერეკა, ბიჭები უკვე გათავისუფლებულები იქნებოდნენ) და მერე ხითხითითვე მიუგო: — ტახი ძროხის ბიძაა, — მერე კიდევ ერთი ხუთი წუთი იცინა და დაასკვნა: — ტყუილად კი არ არის ნათქვამი, გენერლებსა და გენერლების ცოლებს ცოტათი გასოფლელება არ აწყენდათო, დიიახ!..

მერე გენერალს დაურეკეს. მან აიღო ყურმილი და თქვა:

— ასე რომ, ტახი ძროხის ბიძაა, — მერე კი უპასუხა: — არა, შინ არიან, დღეს არავის დაუპატიჟია. კაცი ხანდახან თავის სახლშიც ხომ უნდა იყოს. რას იზამ, მოსაწყენია თუ არა, მაინც ჩვენი სახლია ბოლოს და ბოლოს. არა, სოფლიდან სტუმარი გვყავს, ვსაუბრობთ, ძველ ამბებს ვიხსენებთ. კარგი ხალხია სოფლელები.

— ამხანაგო გენერალო...

— მაშ, ქურდობა ჩაიდინეთ, ჰა?..

— ჰო, რაღა. მაგრამ არც მთლად ქურდობაა, ამხანაგო გენერალო, ჩვენი სოფლის ამბავი ხომ იცი?

გენერალმა მაძღარი კაცის კეთილი სიცილით ჩაიცინა. — ჩვენს თანასოფლელებს კარგად ვიცნობ: ხარს შეჭამენ და იტყვიან, რა იყოთ, რა მოგვიდათ, ხარი იყო, რა დიდი რამე ეგ იყოო! ხარი, ქალბატონო სოფი, ძროხის უქნარა მეუღლეა, — გენერალმა თვალი ჩაუკრა თავმჯდომარეს.

— ჰო, ეგეცა ხდება ხოლმე, ამხანაგო გენერალო, ხანდახან ხარსაც ვჭამთ.

— აჰა, ხომ ვთქვი! კარგად ვიცნობ ჩვენს სოფლელებს. კამეჩს შეჭამენ და იტყვიან, კამეჩი იყო, რა დიდი რამ კიდევ ეგ იყო, რა გაუყაანებთო...

— ვაი, ამხანაგო გენერალო, ამხანაგო გენერალო... — გაეცინა თავმჯდომარეს, — რა კარგად ამბობს, კაცო... კამეჩს შეჭამენო...

— ხომ გითხარი, რაღა, ვიცნობ ჩვენს სოფლელებს: ტრაქტორს შეჭამენ და — ტრაქტორი იყოო, რაღა, რა გალაპარაკ... კაი ხალხნი არიან ჩვენი სოფლელები. — აქ გენერალმა ქალბატონ გენერალს მოუთხრო წიოელ პარტიზან ეგორისა და სარქისის ამბავი, ხარის დაკვლისა და კატების ამბავი, მერე თავმჯდომარეს მიუბრუნდა: — ისეთივენი დარჩენილან ჩვენები, სულ არ გამოცვლილან.

— აბა, როგორ გამოიცვლებიან, ამხანაგო გენერალო, ხალხი მუშაობს, იმისი დრო სადა აქვს ზნე-ხასიათი შეიცვალოს? თავად გასინჯეთ, ამხანაგო გენერალო: ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი ხორბალი მივიღეთ, ეს ცხვარზე — ასოცი ბატკანი, ვაშლის ძირზე — თითო ტონა ვაშლი და. ახლა თაფლი იანგარიშეთ... ან კიდევ — სხვა რომელმა სოფელმა მისცა ქვეყანას გეხერალი? ჩვენსას კი, აგერ, სატრაბახო აქვს თქვენი სახით. ჰოდა, ჩვენც, ისე როგორ იქნება, ხანდახან თითო მწვადით არ მოგიგონოთ ხოლმე. ჩვენი სოფელი თქვენით ამაყობს, ამხანაგო გენერალო და ეგ რაღა გამოვა, თუკი რაღაც სამი-ოთხი ცხვრის დაკვლაა შეეშინდება...

— დაა, — თქვა გენერალმა და მთქნარებაში კიდევ რაღაც წაიბუტბუტა.

— რაო, ამხანაგო გენერალო? ვერ გავიგე, — თავმჯდომარე გენერლის მხარეს გადაიხარა და ყურიმიუმარჯვა.

— იმას ვამბობ, — გენერალმა მთქნარების შესაჩერებლად პირზე რამდენჯერმე მიირტყა ხელისგული, — ცუდი ამბავი მომხდარა. მოწყალეული ხალხი ხართ, არ იცით, რომ სხვისი ცხვრის დაკვლა არ შეიძლება?

და თავმჯდომარეს ისე შეეზიზღა ყოველი, რომ ბიჭების ერთი-ორი წლით ციხეში ჩასმასაც კი შეურიგდა. ეს არც ისე საშინლად ეჩვენა თავმჯდომარეს, ის კი არა, ამჯობინა კიდეც. იგი წამოდგა და ქუდი დაიხურა. „აქამდე მწვადსა სჭამდით. ახლა როგორმე სხვა საჭმელზე გადაიარეთ“, კარებში მდგარმა გენერალმა კი უკანიდან დააწია:

— ქალაქში რომ ჩამოდიხართ, სხვაგან კი ნუ მიდიხართ, ჩვენთან მოდით, ნუ გრცხვენიათ. ხომ ხედავთ, ქალბატონ გენერალთან სოფელზე ლაპარაკი ძნელია, მოდით ხოლმე, ჩაი დავლიოთ, დავსხდეთ, ვისაუბროთ, საინტერესო იქნება. ასე და ამრიგად, — დაამთქნარა გენერალმა, — ტახი ძროხის ბიძაა, ქალბატონო გენერალო.

გამოდიოდა, რომ იმ ქალბატონ სოფის არამცთუ რაიმე სამხედრო საქმეზე ემუშავა, არამედ სულაც არაფერი გაეგებოდა სამხედრო საქმისა. ამ კაცისა მხოლოდ საველის მოზიარე იყო და აქაც იმისთვის წამოპყოლოდა, რომ ქმარს სამხედრო გენერლობაშიც შეზიარებოდა.

დარბაზში მხოლოდ რამდენიმე კაცი იჯდა. მერე შიგნით გადაიხარხარეს და კინოდან თუ ცირკიდან გამომავალმა ხალხმაც დარბაზში შეუხვია. მთელი სოფლიდან ერთი კაციც არ აღმოჩნდა, რომ ოდნავ მაინც ჭკვიანურად ელაპარაკა. მოსამართლის შეკითხვაზე ბრალდებულები უპასუხებდნენ: „ჩვენ რას გვეკითხებით, ჩვენ ხომ ბრალდებულები არა ვართ!“ მათს პასუხზე დარბაზი ხარხარებდა. პროკურორი ისე დასცინოდათ, დარბაზიც ისე ლაზღანდარულად იცინოდა, რომ კაცს ანტარამეჯელობა შერცხვებოდა. ადამიანი აღარავდებოდა, სიტყვასაც ვეღარ ახერხებდა და მხოლოდღა ლუღლუღებდა: „ღმერთო ჩემო, როგორ მოხდა, რომ ცხოვრებას ასე ჩამოვრჩი? განა რა არის აქ სასაცილო, რატომ მე ვერა ვხვდები?“.

ანტარამეჯს თავზე ხშირად გადაუფრენენ ხოლმე თვითმფრინავები. ისინი უმაღლეს მთებზეც უფრო მაღლა მიფრინავენ. ღრუბლები იმ თვითმფრინავების ქვემოთაა, იმდენად ქვემოთ, რომ კაცი იფიქრებს, ღრუბლები თოვლის მინაგვანი რაღაცაა და თოვლივით მიწაზეა დაფენილი. იმ ღრუბლებშუა, მოწმენდილზე, მიწიდან ერთი-ორი წუთით თუ გამოჩნდება ხოლმე მზის სხივებით აელვარებული თვითმფრინავის ტან-ფრთა და მერე გადაიგრუხუნებს, წავა, ასე რომ ანტარამეჯელებმა იციან, რა არის ფრენა და თვითმფრინავი, მაგრამ არცერთი ანტარამეჯელი ბავშვი არ ოცნებობს მფრინავად გახდომაზე. ანტარამეჯელი ბავშვისთვის სამჭედურში საბერველის ბერვა იმდენადვე სერიოზული საქმეა, რამდენადაც თვითმფრინავის მართვა. ამიტომ ანტარამეჯელი, რომელსაც, ვთქვათ, ვირით კარტოფილი მიაქვს, მისდღეში თავს არ ასწევს ცისიერ გრუხუნზე.

მაგრამ აქ, სასამართლოს დარ-

ბაზში თავიანთი თავი ისე ნამცეცად იგრძნეს, როგორც თვითმფრინავიდან ვირის გამყოლები მოჩანან.

იგრძნეს და შერცხვათ, რომ მთიბავები იყვნენ, გაუპარსავები ისხდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ; შერცხვათ, რომ თუმცა პერანგი, ტანსაცმელი, წინდები გამოიცვალეს, თავიც დაიბანეს, ფეხიც და სასამართლოში ისე მოვიდნენ, მაგრამ მაინც ნეხვის სუნი ასდიოდათ; შერცხვათ იმაზეც, რომ ავტობუსის ბილეთის ფასი არ იცოდნენ.

და ტელეფონ-საქმემ უთხრა ვანის:

— ცხოვრება მიდის და შენ ცხვარი პარსე, ვანი!..

ვანი გაბრაზებული იყო და შეულრინა: — ხმა ჩაიწყვიტე! „ცხოება მიის და შე ცხვაი პასე, ვაიი!“.

პავლემ ხომ სულ გამოაჭენა სოფელი. ეგეც შენი მაიორი! ეუბნებათ:

— ეგ ვითომ, რა გახარხარებთ? ერთი მითხარით, რა გახარხარებთ? მეტი საქმე არა გაქვთ? გადით, დაიკარგენით აქედან, თქვენ საქმეს მიხედეთ, თქვე ძაღლიშვილებო! აბა, მარშ!

ჰოდა, რატომ უნდა ყოფილიყო ვითომ ეს პავლე ანტარამეჯელი? კაცი მარტო სახელად კი არა, სულითაც უნდა იყოს ანტარამეჯელი. ან ეს ანტარამეჯი რა სოფელია! სახელი მაინც ერქვას რიგიანი! ან-ტა-რა-მე-ჯი, ფუ!

ავაგი, ავაგი?! ავაგს ალარ იკითხავთ? კაცი სამოცი წლისაა, შვილიშვილების პატრონი, თავისი წვერისაც არა რცხვენია და ერთ ქალს ეუბნება:

— ქალბატონო, მუხლები გიჩანთ! — თან იდაყვსა ჰკრავს იშხანს, — მა რა, თუ ჩამოვედით ქალაქში, ბარემ ვიცინოთ კიდეც, საცილოდ ხომ არ ჩამოვედით?

მოსამართლე კითხვებს აძლევს ავაგს, ის კი აღარ უსმენს, თვალი დარბაზში აქვს, იმ მუხლებმოღლეტილ ქალზე და თხასავით ფრუტუნებს: ჰი-ჰი!.. ზახრუმა! პროკურორი შენიშვნას აძლევს, არცხვენს, ის კი კვლავ ჯლიგვსა სცემს იშხანს: — იშხან, გახედე, ე, მაგის ქვეშ სკამი ალარა ჩანს! — თან ჭირქილით აზრს ეკითხება: — თურქებში ორი ცოლის ყოლა ისევ ნებადართულია თუ აკრძალეს?

— იშხან, ნეტა ქმარი თუ ეყოლება?..

— მაშ არადა! ისე ვინ გაუშვებს.

— ნეტა მაგის ქმარსა და ვაი მაგის ქმარსა!

ბოლოს კი ველარ მოითმინა და, ზღაპრებში მეფეებს რომ მიმართავენ ხოლმე, იმ კილო-ყაიდაზე უთხრა მოსამართლეს:

— დიდებულო მოსამართლევ... ჰი-ჰი-ჰი... ქალბატონსა სთხოვეთ, გარეთ გავიდეს, თორემ აზრისთვის თავი ველარ მომიყრია, ფიქრს მიშლის, მოქალაქე მოსამართლევ!

ავაგს იშხანიც აჰყვა ლაზღანდარობაში, თან ცხვირს ისრესდა, ვითომ — შემომხედეთ, რა ყოჩაღადა ვარ, ეს სასამართლო მე სულაც არ მეხებაო.

— ნეტა ლოყები მართლა წითელი აქვს თუ ფერუმარილის ამბავია, ავაგ?

— ნამდვილად, ფერუმარილი იქნება, იშხან.

— ტუჩებიც შეღებილი აქვს, არა?

— ტუჩებიცა და ყველაფერიც ხელოვნური აქვს.

— არა, ავაგ, იმ ადგილას, რა ვი, ეგრე ამბობენ, ბალიშებს იკრა-

ვენ ქვემოდანო, მაგრამ მუხლები როგორღა ექნება ხელოვნური?

— მუხლებიო?.. ხი-ხი-ხი... აბ, ქვისლო, ქვისლო!

მოკლედ, კაცი რომ შეხედავდა იმხანის მუშტისტოლა, მოუხეშავ ცხვირსა და მრუდე ღიმილს, ავაგის ბრიყვულსა და დაცეცებულ თვალებს, იფიქრებდა: განა არ ჯობდა, რაიმე უფრო დიდი ქურდობა ჩაედინათ, კამეჩი ან ტრაქტორი მოეპარათ, თუნდაც ხიდი აეფეთქებინათ, მოსამართლესაც არ დაეზოგა და ოცი, ორმოცდაათი წელი, თუნდაც მთელი სიცოცხლე, პატიმრობა მიესაჯაო.

იმათში ყველაზე ჭკვიანი ზავენი იყო და მოსალოდნელი იყო, ის მაინც ჭკვიანურად ილაპარაკებდა და პროკურორის ენამჭევრობას ალიკაპს ამოსდებდა. მართლაც ადგა და ილაპარაკა, მაგრამ რა ილაპარაკა! სულ ერთსა დ იმავეს იმეორებდა:

— ბუღალტრები ხართ, ბუღალტრები... თქვენ კაცმა თავი არ უნდა გაგიყადროთ... მედლებს აგროვებთ, სიგელებს აგროვებთ, ბიოგრაფიასაც აგროვებთ და უფროსები ხდებით... ბუღალტრები ხართ, ბუღალტრები!..

— შენ საქმეზე ილაპარაკე,— ეუბნება მოსამართლე.

— მეორე წარუკიანი ხართ, რაღა, მოქალაქე მოსამართლევ, თქვენი ავ-კარგი, თავ-ბოლო, ყველაფერი — მხოლოდ „საქმეა“ და სხვა არაფერი... ქვეყანა ბუღალტრობად აქციეთ.

მას ვერც მოსამართლემ გაუგო და ვერც დარბაზმა. მოსამართლემ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ტუჩები დალმიჭა.

— გეყოფათ, მორჩით!

თქვი, შე კაი კაცო, ნაკითხი ბიჭი ხარ, შექსპირია თუ რაღაცა, ზეპირად იცი, თქვი რაიმე ლოგიკური; იმ შექსპირიდანაც ერთი-ორი სტრიქონი ისეთი სჭედე, რომ ხალხს გული შეუფანცქალოს. რას დამდგარხარ და: „ბუღალტრები ხართ, ბუღალტრები... ბუღალტრები ხართ, ბუღალტრები!..“

თავმჯდომარემაც ილაპარაკა:

— მე როგორც ადგილობრივი პირობების კარგად მცოდნე კაცს...— ასეთმა დახვეწილმა შესავალმა ყველა მისდამი პატივისცემით გამსჭვალა,—როგორც ადგილობრივ მაცხოვრებელსა და როგორც ადამიანს, ასე მიმაჩნია, — თავმჯდომარემ ხელით გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა, — ჩემი ღრმა რწმენით, ეს სასამართლო მცდარია.

— ღმერთო, ღმერთო! — პროკურორმა პირჯვარი გადაიწერასავით, — როგორც კანონისგან არც თუ ისე შორს მდგარს, როგორც პროკურორს და როგორც, აგრეთვე, მოქალაქეს,—მან ზუსტად გაიმეორა თავმჯდომარის ის გაურკვეველი მოძრაობაც, — მიმაჩნია, რომ ამათი ადგილობრივი პირობები მცდარია, — და როგორც წელან თავმჯდომარე, ერთბაშად, ტვირთმოხსნილივით დაჯდა.

ანტარამეჯელების გარდა დარბაზში ყველას გაეცინა.

— დაგვცინის, ბიჭო? — ჰკითხა ავაგმა იმხანს.

— ბიჭო, მგონი მართლა დაგვცინის.

— დაგვცინის!—ამოიქშინა ორივემ.

— მაშ ჩვენებმა რატომ არ გაიცინეს?

— ჩუმად, შეფარვით დაგვცინა.

ავაგი გაჩუმდა, იფიქრა და შემდეგ შეეკითხა: — საქონელი რომ საბჭოური არ არის, იმას რას ეძახიან?

— საზღვარგარეთულს.

— არა, რაღაც სხვას ეძახიან.

— რას?

— აი, ხელნათურები რომ იყიდება, იმათ რა ჰქვია?

— ჰო, ჩეხური!—მოაგონდა იმ-ხანს.

— ჩეხური, ჰო, ჩეხური! — გაიხსენა ავაგმაც, — ასე რომ, ეგ დაცინვა ჩეხური იყო და იმიტომაც ვერ გაიგეს ჩვენებმა.

სხვები კიდევ არაფერი და, თუ ვინმე შეარცხვინა, წითელმა პარტიზანმა სარგისმა შეარცხვინა ანტარამეჯი. მოსამართლეს ეუბნება: „ამ-ხანაგო მოსამართლევ, ახლავე, ამ წუთში გაუშვი ეს ბიჭები, წავიდნენ და მიხედონ თავ-თავის საქმეს. ცხვარი შეჭამეს თუ კამეჩი, რევაზისა იყო თუ მრევაზისა, რა შენი საქმეა. შენ მანდ ჭკვიანად იჯექი და ტყუილუბრალოდ ნერვებს ნუ დაიწყვეტ, რევაზი ხომ არც გინახავს და არც იცნობ!“.

როცა მოსამართლემ მის მიამიტობაზე გაიღიმა, სარგის ძია გაბრაზდა, გრძელი, ნამგალივით მოღუნული თითები აუკანკალდა და, ვითარცა ძველ პარტიზანს შეეფერებოდა, მოსამართლეს უთხრა:

— თუმცა რა შენი ბრალია, დრო — ის დრო არ არის!

— იქნებ უფრო გასაგებად აგვიხსნათ?—კვლავ გაიღიმა მოსამართლემ, რომელიც ასე, ოცდარვა-ოცდაცხრა წლის ახალგაზრდა იქნებოდა.

— ხომ გეუბნები, დრო — ის დრო არ არის-მეთქი.

— კაცო, წესიერად გამაგებინე, თორემ ისე, ჰაერზე ვისაც გინდა ბრალს დასდებ.

— მეც მაგას ვამბობ, რაღა, დრო — ის დრო არ არის-მეთქი.

სარგისის სიტყვებზე თვითონ ანტარამეჯელებმაც კი იცინეს, ავაგმაც კი იხარხარა. იმ ოჯახაშენებულის შვილს იმდენჯერ დააბრალეს, ძველი პარტიზანი ხარ, ძველი პარტიზანი ხარო, რომ ახლა თვითონაც სჯეროდა თავისი პარტიზანობა და ათიანით სროლა. ვაი, სარგის, სარგის! თან ხელიც კი წაიღო იქითკენ, სადაც ვითომ ათიანის ბუდე ჩამოჰკანკურებდა... მერე, როგორც იყო, აბგარმა ხალათის კალთაზე მოქაჩა და დასვა: „დაჯექ, სარგის, დაჯექ!“.

ვთქვათ და, სასამართლოს არავინ დაუპატიმრებია. ვთქვათ, რევაზმა ჩვენება შეცვალა და ჩვენების შეცვლაზე ანტარამეჯის თავმჯდომარემ სასამართლოს ჯარიმა გადუხადა. ვთქვათ, ყველანი სიცილითა და ერთი ამბით დაბრუნდნენ თავიანთ მთებში. ვთქვათ, ავაგიც იმ ერთ დღეში გაკულტურულდა და იმხანს უკანიდან მისძახოდა:

— ბრალდებულო ანტონიანო... მომიცადე, რაღაც უნდა გითხრა, ბრალდებულო ანტონიანო!

ვთქვათ და ვთქვათ... მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის, ამ დაპატიმრებისა თუ დაუპატიმრებლობის შემდეგ პავლე სრულიად შეიცვალა და შეიცვალა სწორედ უარესისკენ. თითქოს რაღაც ფარული ავადმყოფობა შეჰყრიაო, სულ მოდუნდა და თავის თავში ჩაიკეტა. თვითონ კი ამტკიცებდა, ძველ ლონეზე ვარო, მარილის ტომარასაც ცალი ხელით აიტაცებდა მიწიდან, მაგრამ ზურგზე ალარ იკიდებდა — მაგისთვის შრომადღეს არ მიწერთო, და დადიოდა ჩამქავებული სიფათით, ფილოსოფოსივით მოღუშული. ტელეფონსაქო ხესა და ქვას ასკდებოდა, ბიჭი ჭკუაზე ალარ არის, ხალხნო, უშველეთ რამეო. მერე საქო ჰყვებოდა: „პავლეს ერთი ბიძა ჰყავდა, ალასი

ერქვა. ეს ალასი რომელიღაც ომიდან თუ ჯარიდან შინ მომავლებულა და თან ბევრი ოქრო მოჰქონებია. აქ, ჩვენს ახლობელ რომელიღაც სადგურში, ის ოქრო ქურდებს აუწყაპნიათ. რა ექნა, მოვიდა სოფელში გაქურდულ-გაღლეტილი, ერთიორი თვე თავჩაღუნულმა იარა და მერე გაგიჟდა. ხმელ ბალახ-ბულახს აქუჩებდა, ჭიაკოკონას ანთებდა და ზედა ხტებოდა. მერე და მერე სულაც საცვალ-პერანგიანი დადიოდა ველ-მინდორში. ერთხელაც, იმ ტყეღრე ხეტიალში ჭკუა დაუბრუნდა და, რომ ნახა თავისი თავი საცვალ-პერანგიანი, სირცხვილისაგან თავი ალარ იცოცხლა საწყალმა, კლდეზე გადავარდა. „ალასის ხევი“ იმიტომაც ჰქვია იმ ადგილს“.

ვინ, ვინ და — პავლე კი ალასი არ იყო. ერთ მშვენიერ დღეს ცხვარს დაემშვიდობა, წაიყვანა ოჯახი და ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად.

აბა, ის რომელი ქალაქის კაცია— ნალდი ვირი და ვირისთავი. მიუვლენ სტუმრად ქალაქელი ამხანაგები, ხედავენ — დამჯდარა და ღოლოს შეჭამანდსა თქვლეფავს თავჩაღუნული. მერე ცოლს გაუწვდის მათლაფას:

— თუა, ერთიც დამისხი.

თან გაუფცქვნელ კარტოფილს ატანს და ცივ წყალს აყოლებს. კარტოფილის ტომრის გვერდით პიანინო უდგას, ვინც კი ანტარამეჯიდან ჩამოუვა, მიიყვანს და აჩვენებს: „ბალღებმა გამიჭირეს საქმე, გვიყიდეო. ძვირი კია, მაგრამ, რა ვუყო, აგერ, მეზრდებიან. სხვისებს რატომ უნდა ჰქონდეთ და ჩემებს — არა“. თვითონ კი, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, პიანინოს ახდაც კი არ იცის. სახლი აუვსია და დაუმშვენებია ავეჯით — მაცივრით, პიანინოთი, „დო-რე-მი-დო... დო-რე-მი... რე-რე-რე!..“ ამბობენ, მისმა გოგომ მუსიკალური ნიჭი გამოამჟღავნაო. ამ თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, ქალაქში სჯობს, მაგრამ, აი, სოფელს თავისი არსებობის ათასი წლის მანძილზე მუსიკალური ნიჭი ჯერ არავისთვის ალმოუჩენია. ნიჭიერები კი, ალბათ, ბევრნი იყვნენ, მაგრამ ისინი თავიანთ ალმოუჩენელ ნიჭთან ერთად კვდებოდნენ — კომბლითა და ფოცხით ხელში, თუ არადა, დიდი-დიდი, სალამურზე თუ დაუკრავთ ყველასათვის ცნობილი ჰანგები ან კიდევ რომელიმე სიმღერის ერთი კუპლეტი შეუცვლიათ. ასე რომ, პავლეს მარგოს შეგვიძლია გზა დავულოცოთ დიდი სცენისაკენ.

ეს ყველაფერი კარგი და, მეტი კარგი რაღა გინდა, ამბობენ, ანტარამეჯში იმ უკულმართი ცხვრების ქურდობის შემდეგ არცერთი ქურდობა ალარ ალმოუჩენიათო. მოხდენით, ვინ იცის, იქნებ კიდევაც მოხდა ქურდობა, მაგრამ რაკი ვერ ალმოუჩენიათ, გამოდის რომ არ მომხდარა.

სადაც კარგია, იქ ცუდიც არის და ცუდი კიდევ ის არის, რომ ახლა ანტარამეჯში თაფლი ერთ ამოღებაზე თავდება; მეორედ ველარ იღებენ, რადგან, მათი სიტყვით, ფუტკარს უტოვებენ საზამთროდ, თანაც საქმარისზე გაცილებით მეტს, მაგრამ სკების ბარაქა, რატომღაც, სულ უკან-უკან მიდის, ოჯახები წყდება. სკას ახდი, ჩაიხედავ: თაფლი არის— მაშასადამე, შიმშილით არ ამომწყდარან; სითბოს შეამოწმებ — თერმომეტრი გიჩვენებს, რომ სკაში არ ციოდა, სკას ნასვრეტი არსად არ უჩანს, თანაც სკა ყველაზე თბილი ხისგან, ცაცხვისაგან არის გაკეთებული, ესე იგი, სიცივე აქ არაფერ შუაშია. თუ ავადმყოფობას ვიტყვით, არც სენი შეჰყრიათ რაიმე,

მაგრამ დაღუპულა, გამწყდარა ოჯახები. ერთი სიტყვით, საფუტკრეს რომ დახედო, ტირილი მოგინდება. ერთ დროს აქ ხუთასი ოჯახი იყო დანომრილი და ჭადრაკულად დაწყობილი. ჭადრაკულად ახლაც აწყვია, მაგრამ რიცხვები კოჭლობით მიხტიან: 9, 10, 21, 35, 70, 108, 109, 210, 211, 287, 530.

ცუდი მარტო ეგ არ არის. ზარიკა ზავენს დღემუდამ ქალაქისკენ უგრეხს კისერს: „პავლე თუ ცხოვრობს, ჩვენ რა, ვერ ვიცხოვრებთ იქა? ცოტა შენც გაინძერი და მეც კიდევ რომელიმე ქარხანაში დამლაგებლად ვიმუშავებ“. იშხო? იშხო რაღას აკეთებს? იშხოსაც ქალაქისკენ უჭირავს თვალი. რაღა თქმა უნდა, იშხან, ქალაქს სძინავს თუ ღვიძავს, სულ იმას კითხულობს, იშხანი სად არის, რატომ არ ჩამოდისო? წადი, იშხან, დადექი ქალაქის ქუჩაში და უსტვინე. ღამღამობით გაიღვიძე და ფანჯრიდან მწყემსური სტვენით გააცილე სასაკლაოზე ფრუტუნით მიმავალი ფარა.

□

გენაღი ალამია

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასხაზურიდან

თარგმნა რენე კალანდიამ

* *

დედაჩემის ხელისგული —
    დედამიწის რუკა,
რომელშიაც ვცოცხლობ მარად ბედნიერი, ანდა
ნაღვლიანი. ზედ დავხედავ ხელისგულს და უკვე
ვიცი, რაღა მელოდება, ან სად დამიღამდა...

დედაჩემის ხელისგული —
    არის ჩემთა დღეთა
სასიცოცხლო რუკა ვრცელი,
    როგორც გზები მიწის
ერთურთს კვეთენ ხაზები და ვაკვირდები ერთხანს
უფრო ღრმას და სწორად მავალს —
    ჩემი გზაა, ვიცი.

დედაჩემის ხელისგული — სიხარული ნაზი,
მწუხარებაც — თვით ცხოვრება, როგორიც ის არის.
შევისწავლე მე ამ რუკის უმცირესი ხაზიც,
მაგრამ იქ ვერ დავინახე აღსასრულის ზარი.

დედაჩემის ხელისგული — რუკა ჩემი ბედის
იქ სიკვდილი აღარა ჩანს ჩემი, სასომიხდილი...
ხოლო ხაზი დაფარულა სიყვარულის ქედით
და ღრუბლებით—მას არ სწამს ჩემი წილი სიკვდილის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

* *

მე სიმღერამ გამალვიძა —
ივნანას სიმღერამ,
მეზობლად რომ წამოიწყო
დედამ შუაღამისას...
რამ შეაკრთო ნეტავ ბალღი?
ივნანა იღვრება,
ვით სიმშვიდის ლურჯი ტალღა და ნათელი მთვარისა...
მელოდია იფრქვეოდა,
სევდის ვარსკვლავს აღწევდა,
ხოლო დედა ეძიებდა სიმყუდროვეს ბალღისთვის —
სამყაროში...
ივნანა ცთომილთ კრებულს არწევდა,
აძინებდა...
მე ვერ შევძელ დაძინება, დაღლილმა...
არც შემეძლო.
ივნანამ დააძინა მზისდარი. —
ბავშვი,
ჩემში დაივანეს მოწრიალე ფიქრებმა,
რომ ეს მე ვარ დამნაშავე, მე გავწყვიტე სიზმარი,
ცოდვილი ვარ, ცოდვა ჩემი მარადისი იქნება.

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲚᲐᲪ

არის ყოველგვარ შეხვედრაში რაღაც მარცვალი
განშორებისა...
გემუდარები, ნუ იჩქარებ გამომეცხადო...
მე მეშინია შეხვედრის და გავურბი კიდეც.
არ მსურს,
რომ ჩადგე ამ გულსა და გონებას შუა.
იყავ იქ, სადაც აღარ აღწევს ჩემეული მზერის ალმასი,
იქ, სადაც კრთება ალერსიანი მზის ძოწეული სხივების წყება.
მე იქ არ მოვალ —
მეშინია —
შენს ლურჯ თვალებში ჩახედვის წამის...
მძულს განშორება.
იგი ლურსმანს ჰგავს მარად მღელვარ გულის სიღრმეში,
რომელიც შემდგომ ჟანგის ტყვე ხდება.
დარჩი იქ, სადაც...
მე არ მოვალ...
რათა არ მოხდეს — განშორება გარდაუვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იგი მოკლეს განთიადისას“ — ასე ჰქვია
ფედერიკო გარსია ლორკას ლექსს...
... და ის
მოკლეს

განთიადისას

განთიადისას
კიდური ცისა შეღებილია სისხლით!
განთიადისას
აბელის ძემან რომ დაინახა სისხლი, —
აისის ვარდი ეგონა.
აისი არის ნათელი —
მახარობელი მზისა.
სისხლი — მარტოდენ სისხლი!
როგორც იმ თევზს,
ვერცხლისფერ მდინარეს რომ მოაშორეს —
სუნთქვა ეკვრის, კვდება,
ისე სისხლსაც —
სხეულიდან ამოხეთქილს, განშორებულს —
მოელოდა უეცარი გაცივება...
მაგრამ იგი
თვით ბალახმა დალია და
სისხლი არ გაცივებულა...

* *

შემოდგომა —
მოვარდნილი
ოქრო-ვერცხლით შეკაზმული რაშით.
ქამი რთვლისა —
შექმნის ქამი...
ნეტავ მქონდეს დრო:
დავდგებოდი,
ვუყურებდი —
გამოუთქმელ ფერთა ლოცვას —
შემოდგომის სურათებს,
მაგრამ მჭვრეტელს აქ არა აქვს საქმე.
აქ ყოველი
ღმერთია და შემოქმედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაპატიე, გამვლელო, რომ არ მცალია შენთვის.
ხვალ დადგება შენი ჟამი...
ქარვის მტევნებს რომ შეეხონ —
მაღლა, მზისკენ მიიღტვიან ხელები...
რა სიკეთე და სინაზე
უნდა იყოს შენს თვალებში,
რომ მოგენდონ მტევნები!
რათა უსინანულოდ და
მომღიმარი თვალებით
დატოვონ მზე,
ჩამოვიდნენ ამ მიწაზე,
რათა ნათლის წმინდა სვეტი
დოქთა წყვდიადს ანაცვლონ და
შემდეგ ისევ შეერწყან
სისხლს
შენსას და ჩემსას...

□

რევაზ ასპევი

ოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ზურაბ ლორთქიფანიძემ

უნდა მოვიგონო ხალხი წარღვნის სწორი,
მათი ყოველივე ადათ-წესი, ბედო!
მოწმედ მომიდგება გვერდით მამისონი,
მე ყორანი არ ვარ, ბეჭში გავიხედო... [1]

ვიცი, — უასტირჯი [2] მეგობარი ნართის
ნართად მოქცეული ჰქროდა მთა-ბარ კენტად.
იყო ამ ჩვენს მთებში მბრძანებელი ზამთრის,
ამიტომაც ზამთარს ცხრაკლიტულში კეტდა.

ერთხელ უასტირჯიმ ცხრაკლიტულის კლიტე,
მისცა მეუღლეს და თვითონ წითელ ცხენით
შორეულ გზას მიჰყვა ქროლვით კიდით-კიდე,
კმაყოფილი მისი ოქროსფერი დღენით...

ლაშქრობაში ბევრი გზა განვლო თუ ცოტა,
ყოველივე ცხადად იცის მაღალ ღმერთმა.
მასპინძელთან კარგი მასპინძლობა ჰქონდა,
ჯეირანთა მწვადის შიშხინი ცას შეწვდა.

არაყი და ლუდი ბევრი ასვეს თუნგით
მასპინძელი მღერის, სიხარულით ღელავს:

---

[1] გადმოცემით ყორანს შეუძლია გაიხედოს თავის ბეჭში და დაინახოს ყოველივე.
[2] მითიური სახე მფარველი ანგელოზისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენო ოქრო უასტირჯ, არ გვეგონა თუკი
შენისთანა კაცი დაგვიღოცდა კერას.

ღამე გაატარა ქეიფში და ბოლოს
ძილი მაინც, ძილი თავის წესზე მართავს.
დაწვა... უნაგირზე მისდო თავი მხოლოდ,
რომ სიზმრების ახსნა შესძლებოდა მართლად.

რიჟრაჟისას გარეთ ბავშვმა გაირბინა,
ფეხშიშველი გარეთ დარბის ცელქი ბიჭი,
უცებ შემობრუნდა, მწარედ დაიყვირა;
— რა შეგემთხვა, რაა, შვილო, სთქვი რა
გიჭირს?

— მამა! ნახე ციდგან თეთრი ფქვილი ცვივა,
ფეხშიშველა ფეხი გამეყინა ქარში.
წამოვარდა ყველა, ჩაჰქრა თვალთაბრწყინვა,
სტუმარიც კი უმალ გამოიჭრა კარში.

ყვირის: — ცხენი ჩქარა, უნაგირი ჩქარა!
— ო, მფარველო უასტირჯ, გზა მშვიდობის
იყოს.
დაგვიბრუნდა, მგონი, უკულმართად ჯარა,
თუ შევცოდეთ რამე, შენმა კალთამ გვიხმოს!..

„ო, წყეულო ცოლო, შიშით ყველა დრკება,
ქვესკნელიდან ზამთარს რად გაუხსენ კარი.
აი, ჩემს წინ თოვლი მთისებურად დგება...
წყევლის მეუღლეს და წეწავს გრიგალქარი.

შინისაკენ განვლო გზა ბევრი თუ ცოტა,
ყოველივე იცის მხოლოდ ცაში ღმერთმა.
შეანელა ცხენმა ჭენება და შფოთვა,
სანთელივით გზაზე ნელა დაიღვენთა.

— ო, რომ ჩემი ცხენი არწივივით ფრენდეს, —
სწვდება მუხლის თავებს თოვლი მაღალ ხევში.
— არჯინარაგ[1]! — ასე უწოდა მთის ფერდობს,
ბრაზი ბურთივითა აწვებოდა ყელში.

შემოახტა ცხენს და გზა განაგრძო ვრცელი,
არვინ იცის ბევრი იარა თუ ცოტა.

---

[1] არჯინარაგ — მუხლისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეობაში გზაა ეხლა ძნელზე ძნელი,
ცხენი მიფორთხავდა საბრალო და ცოდვა.

დაიღალა ცხენი, მოსჩქეფს ოფლის ღვარი,
მხედარს ყინავს, ყინავს ავდარი და შია.
ცხენიდან ძირს ხტება, ებრძვის ქარიშხალი,
აღარ იცის აღარ უკვე რა დღეშია.

ცის საცერში თოვლი გამტკიცული მოდის,
ცხენის ბეჭებამდე თოვლმა აიმატა.
ონ [1]—უწოდა ამ ველს გადმომდგარმა კორდით,
თქვეს: რიონიც თურმე ოფლით დაიბადა.

— გზას განვაგრძობ! — კვლავ სთქვა, მხედრის
გული ერჩის,
გზა ბევრი თუ ცოტა იარა, ვინ იცის.
მიადგა ირს [2] — აულს, გახვეულს თეთრ ფერში,
მასპინძელი ვიღაც შეეგება ფიცით.

— მასპინძელო, ჩემს ცხენს მოუტანე საზრდო,—
მხედრის ხელის გულზე აბრჭყვიალდა ქერი.
მერე თვალი ცხვრისკენ ისე შემოანთო,
უცებ ბასრი დანაც ელავს შესაფერი.

კმაყოფილი დილით ადგა ჩვენი მგზავრი,
ნაღვლიანად კადრეს, მკვდარიაო ცხენი.
უასტირჯი ფეხით მიდის გულდამზრალი,
და კუდაროდ ის გზა მოუნათლავს წყენით...

იმ ეშხს ღვრიან წინაპრები ჩემში: —
არჯინარაგ, — ირი, კუდარო და ონი.
მამისონი ბურხოს უმზერს ოქროს ფერში,
ჩვენც ამაყად ლხინში ჩავცქერთ ხარის ბეჭში.

---

1 ონ — ბეჭისთავი.

2 ირი — ოსეთი, სოფელი ონის რაიონში.

ნამდვილი მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოთხრობა

თარგმნა სოლომონ დემურხანაშვილმა

Იყო დრო, როცა ასლანბეგ თლათოვი და ხაზიმათ თხაბსაევი ერთი ჯამიდან სჭამდნენ საჭმელს, ვიდრე მათდასაუბედურად არ გამოჩნდა ამქვეყნად რიმა ბელიკოვა, ვინაც მრავალ საცოლე ვაჟკაცს აუბნია თავგზა.

სიმართლე უნდა ითქვას, არც ასლანბეგსა და არც ხაზიმათს არ შეხვედრიათ ცხოვრებაში ისეთი ქალიშვილი, ვინც სილამაზით რიმას გაუტოლდებოდა. მისი ბრიალა თვალები, ნაზი ღიმილი გულს უკოდავდა მნახველს. ამასთან ერთად წყნარი გოგო იყო, თავდაჭერილი, მისი ყოველი სიტყვა თუ ნაბიჯი კეთილშობილების განსახიერება გახლდათ. შავი თმა ორ ნაწნავად დაჰკიდებოდა ზურგზე. ისე ლაზათიანად და გემოვნებით იცვამდა, თვალი ზედ დაგრჩებოდა.

როცა ხაზიმათმა ასლანბეგთან ერთად პირველად ნახა იგი, თავისთვის გაიფიქრა: ნეტავ მის სიახლოვეს მამყოფა, ხანდახან თვალი შემავლებინა, ცხოვრებაში მეტი არაფერი მინდაო.

იმავე ღამეს, როგორც კი შინ დაბრუნდა ასლანბეგთან ერთად, ხაზიმათმა რიმას ხატვა დაიწყო, თითქოს ეშინოდა, მეხსიერებიდან არ ამომივარდესო მისი სახება. ხატავდა ხაზიმათი და ხანდახან თვალს შეავლებდა ხოლმე ასლანბეგს. რამდენიმე წუთის შემდეგ ქაღალდიდან წყვილი თვალი შესცქეროდა. ხაზიმათმა მეგობარს შეხედა და უთხრა:

— რაზე ფიქრობ, ასლანბეგ?

— აი, მაგ წყვილ თვალზე. წინ რომ გიდევს.

ამის შემდეგ რამდენჯერმე სცადეს მეგობრებმა კიდევ შეხვედროდნენ რიმას, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს. ერთ კვირა დღეს ასლანბეგი და ხაზიმათი ქალაქის მთავარ ქუჩაზე მისეირნობდნენ. მოულოდ-

ნელად თავისუფლების მოედანზე რიმას შეხვდნენ.

ხაზიმათმა პირველმა მოიკრიბა გამბედაობა, რიმას ხელი გაუწოდა და უთხრა:

— სად დაიკარგე, რომ ველარსად გნახეთ?

რიმამ ხელი ჩამოართვა მეგობრებს და ხუმრობით უთხრა:

— ჩემი ნახვა თუ გინდოდათ, კიდეც მნახავდით.

— მოდი ახლა ცოტა ღვინო ვიყიდოთ და ჩვენი შეცდომა ამით გამოვასწოროთ, რას იტყვი, ასლანბეგ?

— მართალი ხარ, მართალი! — მაშინვე დაეთანხმა გახარებული ასლანბეგი.

მეგობრებმა ჯიბეზე გაიცრეს ხელი, ამოიღეს პატარა ლამაზი კონვერტები და ქალიშვილს მისცეს.

— რიმა, ამ კონვერტებში ჩვენი საიდუმლოებაა, ძალიან გთხოვთ, შინ რომ მიხვალ, მაშინ გახსნა. გახსნა ამ კონვერტებს და შენთვის ყველაფერი ნათელი გახდება. ახლა კი ვისარგებლოთ ამ ქვირა დღით და ერთად წავიდეთ კინოში, ნუ იუკადრისებ უბრალო მხატვრებთან გასეირნებას.

— დიდი სიამოვნებით, — ღიმილით დაეთანხმა რიმა, კონვერტებს დახედა, წიგნში ჩააწყო და სამივენი კინოთეატრისკენ გაეშურნენ.

საღამოთი, როცა რიმა შინ დაბრუნდა, ცნობისმოყვარეობა ველარ დასძლია, კონვერტები ამოიღო, სინათლეზე გახედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მერე მაკრატელი აიღო და უცებ შეყოვნდა, ვერ გადაეწყვიტა, პირველად რომელი კონვერტი გაეხსნა. ბოლოს ასე მოიქცა, კონვერტები ერთმანეთზე დააწყო და ორივეს ერთად ფრთხილად შემოაჭრა კიდეები. ორივეში ერთად ჩაყო ხელი, თვალები დახუჭა და ორი პატარა სქელი ქაღალდი ამოიღო.

— ნუთუ მათი სურათებია? — გახარებულმა შესძახა, მაგრამ დახედა თუ არა, თავისი სურათები იცნო.

რიმას გაახსენდა ასლანბეგის სიტყვები: „როცა ამ კონვერტებს გახსნი, ყველაფერს ნათლად მიხვდებიო“. რა უნდოდა ამით ეთქვა ასლანბეგს, რას ნიშნავს ეს ორი სურათი? ან საიდან მოხვდა მისი სურათი მათ ხელში? მას ხომ იგი არავისთვის მიუცია. ქალიშვილმა სურათზე შეამჩნია, რომ სამუშაო ტანსაცმელი ეცვა, და გაოცდა. ეს ხომ ის ტანსაცმელი იყო, საამქროში რომ იცვამდა ხოლმე? საკვირველია, იმ მოკლე ხანში როგორ დაიმახსოვრეს რიმას გარეგნობა? ეეჰ, მეგობრებო, პირველი შეხვედრისთანავე ორად გაჰყავით თქვენ რიმას გული, ახლა რაღა მოგიხერხოთ მან? არ უნდა რომელიმე თქვენგანს აწყენინოს, ამიტომ სჯობია ორივესთვის დახუროს გულის კარი. თქვენ ისევ მეგობრებად დარჩებით, ის კი ისევ კენტად ივლის. ეს, როგორც ეტყობა, მათი საბოლოო შეხვედრა იქნება.

მაგრამ ამაოდ ფიქრობდა ამას რიმა. როცა ამ შეხვედრის დრო მოახლოვდა, ქალიშვილმა მოსვენება დაკარგა, ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა მათ.

„როგორ მოვიქცე, ალარ ვიცი, — ფიქრობდა იგი, — ეს ორი საუკეთესო მეგობარი რად უნდა შევაძულო ერთმანეთს, ბოლოს და ბოლოს რას იტყვის ხალხი? ისევ ისა სჯობია ორივეს უარი ვუთხრა. მაგ-

რამ გული ეწინააღმდეგებოდა ამ ფიქრს, გული არ ემორჩილებოდა.

და აი ერთ დღეს ასლანბეგი და ხაზიმათი თვითონ ეწვივნენ რიმას და აცნობეს, თეატრის ბილეთები გვაქვს აღებულიო. რიმა დიდხანს ყოყმანობდა, რა პასუხი მიეცა და ბოლოს, როგორც იყო, მოერია თავს:

— მაპატიეთ და ვერ წამოვალ. ძალიან ცუდადა ვარ.

ასლანბეგი და ხაზიმათი გულწრფელად შეწუხდნენ, ექიმის გამოძახებაც კი დააპირეს, მაგრამ რიმამ გადააფიქრებინათ, წამალს ვსვამ და ჯერ ექიმი საჭირო არ არისო.

მეგობრებმა იფიქრეს, ავადმყოფს ალბათ მოსვენება სჭირდებაო, და აღარ დაუყოვნებიათ, მალევე წავიდნენ.

გუნებაწახდენილები თვითონაც აღარ წასულან თეატრში, ხეთაგუროვის მყუდრო ქუჩაზე გავიდნენ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

როცა რიმამ მეგობრები გაისტუმრა, მაშინვე ლოგინში ჩაწვა, მაგრამ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, იმაზე ფიქრობდა, ამ ხლართიდან როგორ დაეღწია თავი.

არც ასლანბეგი და ხაზიმათი იყვნენ მშვიდად, ისინიც ჩააფიქრა თავიანთმა ამბავმა. მათი ფიქრიც რიმას დასტრიალებდა. ასლანბეგი თავს იტეხდა, ასე უცებ რატომ გახდა ავად რიმა ან რა აწუხებსო. ხაზიმათს კი გული ეუბნებოდა, ქალიშვილმა ავადმყოფობა მოიგონა, ალბათ ვინმეს ელოდებოდაო. ხაზიმათი დილაადრიან ადგა და მეგობრისკენ გასწია.

— წავიდეთ რიმასთან, ეგებ ცუდად არის! მიმხედი არავინა ჰყავს.

ასლანბეგმა სწრაფად გადაიცვა ტანსაცმელი და ავადმყოფთან წავიდნენ. როცა მის სახლს მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ რიმას წყლით სავსე ვედროები მიჰქონდა.

— აბა შეხედე, ჩვენს ავადმყოფს, ისე მიაქვს ვედროები, თითქოს ბუმბულით იყოს სავსე, — უთხრა მეგობარს ხაზიმათმა და ეშმაკურად ჩაიცინა.

— შენ რას იტყვი, გუშინ ვითომ ავად იყო? — ჰკითხა ასლანბეგმა. იგი გუმანით მიხვდა, რომ ქალიშვილს მათთან წასვლა არ უნდოდა და ავადმყოფობა იმიტომ მოიგონა. მაგრამ რატომ არ უნდოდა, ასლანბეგი ამას ვერა ხვდებოდა.

— ასლანბეგ, — ხაზიმათმა მხარზე დაადო მეგობარს ხელი, — წავიდეთ უკან და საღამოს ვესტუმროთ, როგორც ავადმყოფს.

მეგობრები უკან გამობრუნდნენ. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, ბოლოს ასლანბეგმა გატეხა ნავსი:

— მე მგონი, ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი.

— მეც ეგრე ვფიქრობ, — დაეთანხმა ხაზიმათი, — გოგოს მოვწონვართ თუ არა?

— მოვწონვართ!

— ორივეს გვიყვარს?

— გვიყვარს.

— ე!

— რა ე! — ჰკითხა ასლანბეგმა.

— შენ რას ფიქრობ?

— შენ თვითონ რას ფიქრობ?

— არ ვიცი! — ღრმად ამოიოხრა ხაზიმათმა.

— ჰოდა, მეც არ ვიცი. მარტო ის ვიცი, რომ ორივეს გვიყვარს.

— საქმე რაშია, იცი, ასლანბეგ? ძალიან ცუდ დროს გავიცანით იგი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ახლა რესპუბლიკური კონკურსია და დიდი მუშაობა გვმართებს.

— სიყვარული, ჩემო ხაზიმათ, ადამიანს დიდ და სასახელო საქმეს

გააკეთებინებს. მე წინასწარ ვიცი, რომ შენ კონკურსში ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს დაიკავებ.

— ჰმ, მაგის თქმა ასლანბეგ, იოლია, მაგრამ აბა აქ ჩაიხედე, — გულზე დაიდო ხელი, — შიგ რა ამბავია. ეგ სიტყვები გულს არ ესმის. ძალიან ჯიუტია.

— კი, გული ჯიუტია, მაგრამ მაცალე ბოლომდე გითხრა სათქმელი. კონკურსი ძალიან საპატიო საქმეს ეძღვნება. ყველა მხატვარს მოუწოდებს არ დაზოგოს საკუთარი ნიჭი და ასახოს ჩვენი სოციალისტური ყოფა, მისი აწმყო და მომავალი. ამიტომ ახლა დროის დაკარგვა არ შეიძლება. რიმაზე კი აი რას ვიტყოდი: ის არც ვაშლია და არც მსხალი. შუაზე რომ გავიყოთ. ის ქალია, საკმაოდ ლამაზი და გონიერი. ეჭვი არ არის, იგი ჩასწვდა ჩვენს გულისთქმას და როგორც მგონია, ახლა ფიქრობს, რომელს უთანაგრძნოს.

— მეც ასე მგონია, — დაეთანხმა ხაზიმათი.

— აი რა მინდა გითხრა, მეგობრები ვართ თუ არა ჩვენ?

— განუყრელი მეგობრები.

— რაკი ასეა, ჩვენ ვერ ამოვირჩევთ რიმას. თვითონ მისი ნებაა ვისაც ამოირჩევს. ოღონდ ცოტა ხანს უნდა მოვიცადოთ. თანახმა ხარ? — თვალებში შეხედა ასლანბეგმა თავის საყვარელ მეგობარს.

— თანახმა ვარ, ჩემო კარგო ასლანბეგ. ვისაც რიმა ამოირჩევს, ის იყოს ბედნიერი, მეორემ კი, დაე, ლვიძლ დად მიიღოს იგი.

— ამას ლაპარაკი აღარ უნდა, თუკი მისი არჩევანი ჩვენ ორიდან იქნება.

— მაშ შევთანხმდით?

— აგერ ჩემი ხელი! — ხელი ხელს მისცეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ ახალგაზრდები.

* *

დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას. ასლანბეგი და ხაზიმათი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, აღარსად ჩანდნენ. თვითეული მათგანი დაძაბული მუშაობდა საკონკურსოდ. ერთი წუთით არა ჰკარგავდნენ დროს. მხატვრების სახლში ცალ-ცალკე ჰქონდათ სახელოსნო და საღამოთი, მუშაობით სიქაგაცლილები, შინისაკენ მიეშურებოდნენ. რამდენიმე დღე ისე გავიდოდა, ერთიმეორეს თვალითაც კი ვერა ნახულობდნენ. ბოლო დროს, როცა ხაზიმათმა ასლანბეგი ნახა, ისეთი დაღლილი, მოწყენილი და გამხდარი ეჩვენა, შიშმაც კი აიტანა.

— თავს რად იკლავ, ასლანბეგ?

— არ ვიცი, რა გამომივა, ძალიან დიდხანს ვუნდები. შენ რას შვრები?

— აბა რას ვიზამ? ჩემს სახელოსნოში დომხალია, მთელი იატაკი სხვადასხვა ვარიანტებით არის სავსე, მაგრამ არც ერთი არ მომწონს.

— რამდენჯერ გითხარი, ხაზიმათ, ჩვენ ასეთი ხერხი არ გამოგვადგება-მეთქი.

— რა ვქნა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ხომ გაგიგია.

— შენს ხელში ფუნჯი თვინიერდება, საღებავები ფერს იცვლიან, მაგრამ ძალიან დიდ დროს ანდომებ ვარიანტების რჩევას და ეს ხელს გიშლის მუშაობაში.

— ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ ვერაფერი მომიხერხებია. ხანდახან ვეტყვი ჩემს თავს, მოდი ამ ერთ სურათს დავხატავ და ეგ იქნებამეთქი, მაგრამ გული მეუბნება, მოსინჯე მეორე ვარიანტი, ეგებ უკეთესი გამოდგესო. დავხატავ მეორეს და ახლა მესამეს მთხოვს გული.

— არა, ხაზიმათ, ერთხელ და სამუდამოდ უთხარი უარი შენს

გულს. ბოლოს რა ჰქენი, შეარჩიე რომელიმე?

— შევარჩიე ერთი.

— ეგ კარგია. მაშინ დიდხანს ალარ მოუნდები, კონკურსამდე ალარც დარჩა დიდი დრო.

— რიმა ხომ არ გვენახა. ასლანბეგ? დიდი ხანია ალარ გვინახავს.

— ახლა მაგისთვის არა მცალია, ვშიშობ, ვაითუ სურათი ვერ მოვასწრო.

ამით დაამთავრეს საუბარი და ერთმანეთს დასცილდნენ, თავიანთ სახელოსნოებისკენ გაეშურნენ.

* *

როცა რიმა „გამოჯანსაღდა“, ყოველდღე მოუთმენლად ელოდა ორი მეგობრის სტუმრობას. ისინი კი არ ჩანდნენ და არა. საღამოობით ქალიშვილი ქალაქში გამოდიოდა სასეირნოდ, იქით ეჭირა თვალი, საიდანაც ისინი ერთ დროს გამოჩნდნენ, მაგრამ ამაოდ. გვიანობამდე მოსეირნე ქალიშვილი რა რჯულის ხალხს ალარ გადაეყრებოდა ხოლმე ქუჩაში. გაივლიდნენ ვიღაც მოლაზღანდარეები, თვალებით დაუწყებდნენ ჭამას და არც გამკილავ სიტყვას დააკლებდნენ.

— ლამაზო, ტყუილად ელოდები, იმან სხვაზე გაგცვალა.

— ეგ არაფერი, ტურფავ, ერთი წავა და სხვა მოვა!.. — დაუმატებდა მეორე.

რიმა ხმას არ გასცემდა იმ ლაზღანდარებს, პირზე კლიტეს დაიდებდა და სახლისკენ გაეშურებოდა გაწბილებული. მივიდოდა შინ, დაჯდებოდა ფანჯარასთან და ათვალიერებდა მხატვრებისაგან ნაჩუქარ სურათებს.

„ნუთუ ასე მალე დამივიწყა ორიგულს. ბოლოს რა ჰქენი, შეარჩიე რომელიმე?

— შევარჩიე ერთი.

— ეგ კარგია. მაშინ დიდხანს ალარ მოუნდები, კონკურსამდე ალარც დარჩა დიდი დრო.

— რიმა ხომ არ გვენახა. ასლანბეგ? დიდი ხანია ალარ გვინახავს.

— ახლა მაგისთვის არა მცალია, ვშიშობ, ვაითუ სურათი ვერ მოვასწრო.

ამით დაამთავრეს საუბარი და ერთმანეთს დასცილდნენ, თავიანთ სახელოსნოებისკენ გაეშურნენ.

* *

როცა რიმა „გამოჯანსაღდა“, ყოველდღე მოუთმენლად ელოდა ორი მეგობრის სტუმრობას. ისინი კი არ ჩანდნენ და არა. საღამოობით ქალიშვილი ქალაქში გამოდიოდა სასეირნოდ, იქით ეჭირა თვალი, საიდანაც ისინი ერთ დროს გამოჩნდნენ, მაგრამ ამაოდ. გვიანობამდე მოსეირნე ქალიშვილი რა რჯულის ხალხს ალარ გადაეყრებოდა ხოლმე ქუჩაში. გაივლიდნენ ვიღაც მოლაზღანდარეები, თვალებით დაუწყებდნენ ჭამას და არც გამკილავ სიტყვას დააკლებდნენ.

— ლამაზო, ტყუილად ელოდები, იმან სხვაზე გაგცვალა.

— ეგ არაფერი, ტურფავ, ერთი წავა და სხვა მოვა!.. — დაუმატებდა მეორე.

რიმა ხმას არ გასცემდა იმ ლაზღანდარებს, პირზე კლიტეს დაიდებდა და სახლისკენ გაეშურებოდა გაწბილებული. მივიდოდა შინ, დაჯდებოდა ფანჯარასთან და ათვალიერებდა მხატვრებისაგან ნაჩუქარ სურათებს.

„ნუთუ ასე მალე დამივიწყა ორი-ვემ? — ფიქრობდა ქალიშვილი, — ეგენი ერთმანეთთან მუდამ მოერიდნენ და იფიქრეს, ვიდრე ეს ქალიშვილი მეგობრებს — ძტრებად გვაქცევს, თავი მივანებოთ, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ. იქნებ ასეც უნდა მოქცეულიყვნენ?“

რამდენჯერმე დააპირა ქალიშვილმა, სამუშაოზე შევუვლიო მხატვრებს, მაგრამ შუა გზამდე მისული ისევ ფეხს აითრევდა, თუ ჩემი ნახვა უნდოდათ, თვითონ მოსულიყვნენო.

ერთ საღამოს, როცა რიმა ფანჯარასთან იჯდა, მოულოდნელად დაინახა ხაზიმათი. მოწყენილი მოდიოდა პირდაპირ რიმას სახლისკენ.

„ალბათ წაიჩხუბნენ“, — გაუელვა ქალიშვილს თავში, მაგრამ ხაზიმათს მაინც მხიარულად შეხვდა.

— ასლანბეგი ძალიან ავად არის, საავადმყოფოში წევს. თუ გცალია, ვნახოთ.

რიმას ამის გაგონებაზე გული დაუმძიმდა, მაშინვე დაეთანხმა ხაზიმათს.

ასლანბეგი მართლაც მძიმე ყოფაში იყო. პირისახე სიცხისგან მთლად ასწითლებოდა. ექიმმა მოწყენით თქვა: ნემსები კი გავუკეთე, მაგრამ სიცხემ ჯერ კიდევ არ დაუწიაო.

როგორც გამოიკვა, ასლანბეგს გაციების ნიადაგზე თირკმელები გამიზეზებოდა და კარგა ხანს მოუწევდა საავადმყოფოში წოლა.

რიმამ სთხოვა ექიმს, ავადმყოფს თავზე მე დავადგებიო. ექიმს უარი არ უთქვამს: სამუშაოდან პირდაპირ საავადმყოფოში მიდიოდა რიმა და მძიმე ავადმყოფს ის პატრონობდა.

ასლანბეგს მხოლოდ მესამე დღეს დაუწია სიცხემ და ცოტა მოიხედა. როცა მან თეთრ ხალათში გამოწყობილი რიმა დაინახა, უსა-

ზღვრო სიხარული ჩაუდგა თვალებში. ქალიშვილს ხელი ხელზე მოჰკიდა და მადლიერების ნიშნად მოუჭირა.

— მაპატიეთ, ალბათ ჩემი მეგობრის ბრალია, თქვენ რომ შეწუხდით.

— სამი ღამეა თავზე გადგას, — აუხსნა მას ხაზიმათმა.

ასლანბეგი შეწუხდა.

— შენს სატკივარს მღელვარება არ უხდება, ჩემო კარგო, მაგაზე ნუ იწუხებ, — და რიმამ ალერსით შეახო ხელი.

როგორ უნდოდა ახლა ხაზიმათს, ასლანბეგის ნაცვლად თვითონ ყოფილიყო ავად. მაშინ ქალიშვილის ნაზი ალერსი მას ხვდებოდა წილად.

— როგორ მიდის შენი სამუშაო? — ჰკითხა ასლანბეგმა ხაზიმათს.

— თითქმის ვამთავრებ.

ასლანბეგს გაუხარდა.

— მადლობა ღმერთს, შენი ნამუშევარი მაინც გავა კონკურსში, თავად მე არ მაცალა ავადმყოფობამ და...

— მაგაზე ფიქრი ახლა შენთვის არ ივარგებს, — ალერსით მიუგო რიმამ.

— კეთილი, კეთილი, ჩემო მეგობრებო, აღარაფერს ვიტყვი. ოღონდ შენ, ხაზიმათ, ტყუილუბრალოდ ნუ დაკარგავ დროს. შენ მაინც უნდა გამოიჩინო თავი. შენი გამარჯვება ჩემი გამარჯვებაცაა. აი ჩემი სახლის გასაღები, შენთან იყოს, ხანდახან შეიარე.

— აუცილებლად, ასლანბეგ, აუცილებლად.

— შენც წადი, რიმა, მაპატიე, რომ შეგაწუხე. ულრმესი მადლობა, ამას არ დაგივიწყებ.

— არა, ასლანბეგ, მე არ წავალ. წიგნები აქა მაქვს, და გაკვეთილებსაც აქ მოვამზადებ. შინ რა გავაკეთო! როცა უკეთ გახდები, მაშინ წავალ.

ასლანბეგი აღარ გაჯიუტებულა, მით უფრო რომ გულით ეწადა ქალიშვილის სიახლოვე.

როცა ასლანბეგი გვარიანად გამოჯანმრთელდა, ხაზიმათმა უკლო მასთან სიარულს, ხოლო ბოლოს სულ აღარ გამოჩენილა. რიმას უკვირდა მისი საქციელი და გუნებაში სძრახავდა კიდეც, მაგრამ ასლანბეგი ამშვიდებდა, ჩემი მეგობარი მე არ მიმატოვებს, ბავშვობიდან ვიცნობო.

— მერედა განა ასეთ დროს შეიძლება მეგობრის მიტოვება? არ მიმატოვებს: ექიმი მეუბნება, შენი ჯანმრთელობის ამბავს ტელეფონით ყოველდღე კითხულობსო.

— მეც მაგას ვამბობ. ტელეფონით შეიძლება განა კითხვა?

— ჩემო ძვირფასო, ნუ ბრაზობ. როცა ძალიან ავად ვიყავი, სულ ჩემ გვერდით იყო, შენცა ხარ ამის მოწმე. ახლა ის გაცხარებული მუშაობს, ასეთ დროს კი ერთი წუთიც ძვირფასია მისთვის.—მაგრამ ასლანბეგს მაინც ეჭვი ღრღნიდა, ბოლო დროს ხაზიმათმა რად მიმივიწყაო.

როცა ასლანბეგმა ფეხზე წამოდგომა შესძლო, რიმა ღამღამობით უკვე შინ მიდიოდა, მხოლოდ დღისით მოდიოდა საავადმყოფოში და სამი-ოთხი საათი მასთან რჩებოდა. ასლანბეგი ისე მიეჩვია ქალიშვილს, რომ უიმისოდ გაძლება უკვე უჭირდა. ერთი წუთით რომ დაგვიანებდა რიმას, გზისკენ ეჭირა თვალი. არც რიმა იყო მშვიდად. როგორც კი სამუშაოს დაამთავრებდა, წუთით შეირბენდა შინ, აიღებდა რომელიმე წიგნს და საავადმყოფოსკენ გაიქ-

ცეოდა. რჩეულ ადგილებს ხმამაღლა უკითხავდა ასლანბეგს, ხოლო ერთხელ ისე მოხდა, რომ ერთად წაიკითხეს რომელიღაც მოთხრობა სიყვარულზე. როცა კითხვას მორჩა, ასლანბეგმა ჰკითხა:

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ შენ ახლა ჩვენი ეპისტოლე წაიკითხე.

— ასეა, — უპასუხა რიმამ.

— მერე, დრო არ არის პასუხი გაგვცე?

— ავად რომ არ იყო, მაშინ მე ორივეს უარს გეტყოდით, უბრალოდ საკუთარ თავზე შეყვარებულ ეგოისტებად ჩაგთვლიდით, ვიფიქრებდი, მე მასულელებენ, მაგრამ თვითონვე კი ჩავარდნენ-მეთქი სასაცილო ყოფაში.

— ამას ჩემზეც იფიქრებდი და ხაზიმათზეც, არა?

— რა თქმა უნდა. აბა როგორ. რა იყო, უცებ რომ დაიკარგენით? მე კიდევ თვალები დამაწყდა თქვენს მოლოდინში.

— ვტყუივართ, რიმა, მაგრამ მეტი გზა არ იყო. კონკურსი...

— ისევ კონკურსი, დიდება, პატივი, პრემია. საწყალმა ქალიშვილმა კი თავში ქვა იხალოს, არა?

— ასე ნუ ამბობ, ჩემო ძვირფასო. პატივი და დიდება ჩვენ ახლა სხვადასხვანაირად გვესმის. საქმე საკუთარ სახელს კი არ ეხება, არამედ ჩვენი ხალხისა, ჩვენი ქვეყნის სახელსა და დიდებას. ამ კონკურსის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის და თუ იქ ვერ გავიმარჯვეთ, ეს ჩვენი ხალხის სირცხვილია, ჩვენი პატარა ქვეყნისა და მისი მხატვრობის სირცხვილი. არ მინდა ჩვენი პატარა კუთხე ჩამორჩეს სხვა რესპუბლიკებს, ჩვენმა ოსეთმაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ხელოვნების დიდ საქმეში. აი, ამიტომ არ მინდა ხაზიმათს ვაწყენინო. ჩემს თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, თუ ხაზიმათს პირველ ან მეორე პრემიას მიანიჭებდნენ, რადგან ეს მარტო ხაზიმათის პატივი და დიდება კი არ იქნებოდა, არამედ მთელი ჩვენი ხალხისა.

— მაპატიე, თუ მე რაიმე ცუდად ვთქვი. ღმერთმა ინებოს, შენ მართალი იყო, მე მტყუანი.

— ხოლო თუ ხაზიმათს გულისხმობ, მაშინ მე მართალი ვარ. ეჭვი ნუ გეპარება მის საქციელში, მის კაცობაში.

— შენ ძალიან კარგი კაცი ხარ, ასლანბეგ, ისეთი, რომ ენაც ვერ იტყვის.

— ხაზიმათს არ იცნობ და იმიტომ ლაპარაკობ ასე, ის ჩემზე უკეთესია.

— შეიძლება, მაგაში ვერ შეგედავები!..

მაგრამ რიმას ის აღარ უთქვამს, რომ როგორც არ უნდა გაემართლებინა ასლანბეგს მეგობარი, ის მაინც ამ ეჭვს ვერ ამოიგდებდა თავიდან, ვერაფრით გაამართლებდა ხაზიმათის საქციელს.

ამ ფიქრში იყო რიმა, როცა პალატაში შემოვიდა ექთანი და რიმას ქალალდის პარკი გადასცა. ეს ხაზიმათმა გამოგზავნა, ბოდიში მოიხადა, მეჩქარება და ვერა გნახავთო.

რიმამ ნიშნის მოგებით შეხედა ასლანბეგს, აბა, ახლა რაღას იტყვი, ხაზიმათმა რატომ არ გნახაო.

ხაზიმათს ერთი სული ჰქონდა შეევლო ასლანბეგის სახელოსნოში და დაეხედა იმ სურათისთვის, კონკურსისთვის რომ ამზადებდა მეგობარი. აქამდე ასე ფიქრობდა, ასლანბეგის მეტი პირველ ადგილს კონკურსში ვერავინ აიღებსო, ხოლო როცა ასლანბეგი ავად გახდა, ნამდვილ მეგობარს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მეტოქეობას სხვა ვე-

ლარავინ გაუწევდა. ჰოდა, შეალო მეგობრის სახლის კარი, ჩართო სინათლე და სახელოსნოსკენ გაეშურა. სინათლემ მთელი სახელოსნო გაანათა და ხაზიმათმა უცებ თვალებს ვერ დაუჯერა. ოთკუთხა ჩარჩოზე გადაჭიმულ დიდი ტილოს უკანა ხედზე ასახული იყო ძველი ყოფა, ხოლო წინა ხედზე მოჩანდა დღევანდელი მჩქეფარე ცხოვრება, ტრაქტორი, კომბაინი, მწიფე თავთავები და იქ მომუშავე ადამიანები.

სურათის მეორე ნაწილზე ერთი ხაზიც არ იყო საღებავით გავლებული, მხოლოდ ფანქრით ემუშავნა მხატვარს.

ხაზიმათმა თვალი გადააცილო მეგობრის ნახატს და იმწამსვე იგრძნო, რომ ავადმყოფობამ აღარ აცალა ასლანბეგს ამ დიდებული ნახატის დასრულება. ასლანბეგს რომ ეს ნახატი დაესრულებინა, ეჭვი არ იყო, პირველ ადგილს აიღებდა. ახლა კი მხოლოდ ნახევარი სურათი იყო დასრულებული. ხაზიმათს უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავში. სახელოსნო დატოვა და როცა სახლის კარები უნდა გამოეკეტა, იგი რაღაც ძალამ შეაჩერა. ამავე ძალამ მიაბრუნა უკან, სურათთან შეჩერდა და მზერა მიაპყრო. რაღაც აწვალებდა და სტანჯავდა. ის აზრი, რაც მას უცაბედად დაებადა, თანდათან ნათლად გამოიკვეთა, შაღრევანივით ამოხეთქა და ხაზიმათი გზაგასაყართან აღმოჩნდა. დაასრულოს ეს ნახატი თუ არ დაასრულოს? ერთი გული ეუბნებოდა: თუ ამას არ იქმ, მაშინ მთელი ცხოვრების მანძილზე საყვედურს ვერ მოიცილებ. დაგტანჯავს ეს ფიქრი. მეორე გული ეუბნებოდა: თუ ამას იქმ, მაშინ ეს სურათი პირველ ადგილს აიღებს, ხოლო მისი პატრონი მიიღებს პრემიას და მშვენიერი რიმაც ალბათ მას დარჩებაო.

ალბათ კიდევ დიდხანს იდგებოდა ნახატის წინ, რომ უცებ ასეთ ფიქრს არ გამოეფხიზლებინა: მე რომ ავად გავმხდარიყავ და ასლანბეგი ჩემს ადგილას ყოფილიყო, რას მოიმოქმედებდაო. ალბათ ის არც დაფიქრდებოდა, ისე გააგრძელებდა ჩემს სამუშაოსო. ამის გაფიქრებამ ისეთ სირცხვილში ჩააგდო, ყურებამდე გაწითლდა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ასლანბეგი სადღაც შორიდან უთვალთვალებდა. ხაზიმათმა პერანგი გაიხადა, კედლიდან მეგობრის სამუშაო ხალათი ჩამოიღო და გადაიცვა. საღებავები მოამზადა და სურათის წინ გაჩერდა. იგი მზად იყო ასლანბეგის ნახატი დაემთავრებინა, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, ვაითუ მეგობრის ჩანაფიქრს ზუსტად ვერ ჩავწვდე და გავაფუჭოო. მან სხვა ტილო აიღო, სხვა ჩარჩოზე გადაჭიმა და დილამდე ხატავდა.

ამ დღიდან ხაზიმათი ყოველ საღამო ასლანბეგის სახლისკენ მიიჩქაროდა და შუაღამემდე მუშაობდა, ვიდრე მთლად არ მოათავა სურათი.

კონკურსამდე ორი დღელა იყო დარჩენილი, როცა სამუშაო ბოლომდე მიიყვანა. სურათის მეორე ნაწილზე ახალგაზრდებში მოჩანდა იშვიათი სილამაზის ქალიშვილი რიმა ბელიკოვა. როცა მან შორიდან შეხედა სურათის იმ ნაწილს, რომელიც მან დახატა, უნაკლოდ მოეჩვენა.

ასლანბეგის ნამუშევარში უმნიშვნელო ხარვეზები შეიჩნეოდა, ზოგიერთი ადგილი ბუნდოვანი იყო, რასაც ხაზიმათმა თავისი ფუნჯით სინათლე მოჰფინა. მერე ნახატებს მიაწერა თსევდონიმი „ნარონი“, ცალცალკე შეახვია და კონკურსზე გაგზავნა.

ასლანბეგი საავადმყოფოდან სწორედ იმ დღეს გამოწერეს, როცა კონკურსის შედეგები უნდა გამოცხადებულიყო. ხაზიმათი მხიარულ გუნებაზე გამოცხადდა მეგობართან, გადაეხვია და მოუბოდიშა, ბოლო დღეებში ველარ მოვიცალე, რომ მენახეო.

— აბა რას ამბობ, კიდევ კარგი, შენ მაინც მოასწარი ნახატის დამთავრება. მე ისიც მეყოფა, რიმა რომ გავაწვალე, მთელი ცხოვრება მისი ვალიდან ვერ ამოვალ.

— ეგ არაფერი. დღეს გამოაცხადებენ კონკურსის შედეგებს, ხომ არ დავესწროთ?

— ღმერთი იყოს შენი შემწე. კარგი ჰქენი, რომ მოხვედი. საავადმყოფოდან ახლა გამომწერეს და შენთან ვაპირებდი წამოსვლას.

დღის ხუთი საათი იყო, როცა სამინისტროს დიდ დარბაზში დაიწყეს კონკურსის შედეგების გამოცხადება. დარბაზის ერთ კუთხეში ისხდნენ ფერმიხდილი ასლანბეგი, ხაზიმათი და მშვენიერი რიმა. ხაზიმათი ერთთავად იღიმებოდა და მოუთმენლად ელოდა სხდომის დაწყებას. რიმას აღიზიანებდა მისი გამომეტყველება, ზიზღს ძლივს მალავდა, უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ სწორად მოიქცა, ხაზიმათის მაგიერ ასლანბეგზე რომ შეაჩერა არჩევანი. აი, დაიწყო თათბირი. ჟიურის თავმჯდომარემ დაწვრილებით ილაპარაკა ოსეთის მხატვართა დამსახურებაზე, აღნიშნა, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს ხელოვნების აღორძინებაში.

— ამხანაგებო, — განაგრძო თავმჯდომარემ, — ჟიურის წევრებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე საუკეთესო ნახატი წარმოადგინა მხატვარმა ასლანბეგ თლათოვმა და მიანიჭა მას პირველი პრემია.

დამსწრეთა ტაშის გრიალმა შთანთქა თავმჯდომარის სიტყვები.

ასლანბეგი შეაკრთო თავისი გვარის ხსენებამ. ხაზიმათმა მეგობარს აკანკალებული ხელი ძალით ჩამოართვა და გადაეხვია.

— ასლანბეგ, გთხოვთ აქ მობრძანდე, — მიმართა მას ჟიურის თავმჯდომარემ, — ნაავადმყოფარი ხარ, მაგრამ ეს სიხარული გაგამაგრებს.

დარბაზში თავმოყრილებს ორმა ჭაბუკმა უჩვენა ასლანბეგის ორი სურათი. დამსწრეთ ისე მოეწონათ ნახატები, რომ ბანცალით მიმავალი ასლანბეგი ტაშით გააცილეს. ასლანბეგმა შეხედა სურათს და მყისვე იცნო ხაზიმათის ჯადოსნური ხელი. ხალხის წინაშე რომ წარსდგა, მოიბოდიშა და ასე დაიწყო:

— ძვირფასო მეგობრებო, ეს ჩემი სურათი ჩემიც არის და არც არის ჩემი. მე სურათი დაუმთავრებელი დავტოვე, აი ესეც. — მან ხელი დაადო სურათის მეორე ნაწილს. — ესეც ბოლომდე არ იყო დამთავრებული. ეს ნაწილი ჩემს უჩუმრად დაამთავრა ხაზიმათმა, როცა მე საავადმყოფოში ვიწექი. ამიტომ მე გთხოვთ პირველი პრემია ჯერ ჩემს მეგობარ ხაზიმათს მიანიჭოთ, ხოლო მეორე, თუ მეკუთვნის, მე.

ასლანბეგის ბოლო სიტყვები ტაშის გრიალმა დაფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ასლანბეგი და ხაზიმათი სურათებს აქეთ-იქით ედგნენ, ხოლო დარბაზის ერთი კუთხიდან სიამაყით მისჩერებოდა მათ მშვენიერი ქალიშვილი რიმა.

□